კვირის პალიტრა

ალია

N18(99) 2/V.-8/V.2002.

ფასი 60 თ.

იერუსალიმის ღმინდა სანთლები თბილისში ჩამოვიდა

მაკა ასათიანი:

„ჯერ ჩემთვის გაზაფხული არ მოსულა“

მიწისძვრის შიში – როგორ დავვალწიოთ თავი

ერმილე თორთლაძე – აფრიკული ქალაქის ქართველი ბელადი



ნოდარ ნათაძე: „ყველა ქალს დავისწიდი შრჩხულისაგან“

კობა დავითაშვილი:

„ჩემი მეუღლე, ინგა ბიწაძე პარლამენტის აპარატში წამყვან სპეციალისტად მუშაობდა და რადგან შეუღლებიდან დღემდე სულ დეკრეტში იყო, ხელფასსაც ვერ იღებდა. მაგრამ ყოველი წლის 3 მარტს..."

გვ. 26

ქვირის პალიტრა
ზეა
№18 (99)
2 – 8 მაისი 2002
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„მეფე შიშველია!“ 3
ერთი კითხვა 4
სტილია
• „თუ დახმარებაზე მიდგება საქმე, ალბათ მეც დამეხმარებიან...“ 5
• „8 წელი ქირით ვცხოვრობდით, ეს სახლი 5 თვის წინ ვიყიდეთ...“ 6
სტრესი
კრიზისი: თქვენ თავად შეგიძლიათ გაუმკლავდეთ მას 7
სასარგებლო პზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 9
დიპლომატი
ერმილე თორთლაძე – აბიxანის ბელადი და კოტ-დ'ივუარის ეროვნული ორდენის ოფიცერი 10
კოლეგა
„რის მონიკა, რა ლევინსკი?“ – ანუ ალექსანდრე მეტრეველის ამერიკული ვნებანი 13
კრიმინალი
აბსანძესა და ქობალიასთან ერთად გაქცეული პატიმრის საქმეს უგენაესი სასამართლო განიხილავს 16
ქალი საქმესთან
მაკა მახარაძე:
„ვიგინები... მხოლოდ გულში“ 18
ფსიქო-ემოციური პორტრეტი
ნოდარ ნათაძეს, რომელსაც დედაბრები კოცნიან, „რქიანი“ ახლობლები არ ჰყავს... 20
მოდელიერი
რით ცდილობენ ჟურნალისტები მაკა ასათიანთან თავის მოწონებას 23
დეკლარანტები
კობა დავითაშვილი 14.000 დოლარს სეიფში ინახავს 26
პროზლემა
რა „არ უყვარს“ ბრონქიალურ ასთმას 29
ტესტი
ერთგული მკითხველი 31
სამყარო
გაყინული პროდუქტი საუკეთესო თვისებებს ინარჩუნებს 32

კრიზისი: თქვენ თავად შეგიძლიათ გაუმკლავდეთ მას

მიწისძვრის დროს, ყველაზე დიდ სტრესს იღებენ ორსული ქალები, ბრონქიალური ასთმით დაავადებული ბავშვები და ინვალიდები. – ქალაქში პანიკის საფუძველი ნამდვილად არ არის, მაგრამ მოსახლეობა მოქცეულია ფსიქოლოგიურ კრიზისში.

7

ნოდარ ნათაძეს, რომელსაც დედაბრები კოცნიან, „რქიანი“ ახლობლები არ ჰყავს...

ადრე, კოცნა კი არა, ზოგის ფრჩხილის შეხებაც კი მენატრებოდა... რაც შეეხება პომადისგან დარჩენილ კვალს, ამ მხრივ მეუღლისგან არანაირი საფრთხე არ მემუქრება: ზუსტად ვიცი, რომ არ მკითხავს, საიდან გაქვს ეს კვალიო.

20

აბსანძესა და ქობალიასთან ერთად გაქცეული პატიმრის საქმეს უგენაესი სასამართლო განიხილავს

საბრალდებო დასკვნის თანახმად, მანჩხავამ თავისი ახლობელი, მამაშვილის – ბიჭიკაშვილების და მათი ნათესავის ავტომატით მკვლელობისკენ წააქეზა. განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ, გარდაცვლილთა გვამები, მკვლელის დახმარებით, ჭაობთან მიათრია და დაწვა...

16

რით ცდილობენ ჟურნალისტები მაკა ასათიანთან თავის მოწონებას

სწორად ჩაცმა და კარგად ჩაცმა სხვადასხვა რამ არის. ასევე განსხვავდება ერთმანეთისგან ცუდად ჩაცმა და არასწორად ჩაცმა. ხშირად მიგრძნია დისკომფორტი იმის გამო, რომ სიტუაციის შესაბამისად არ მეცვა.

23

ტრადიციები

საიდან მოდის ირმის ნახტომი და გუთნეული... 34

საბანქური

იშხნის საწინამძღვრო ჯვარი 35

ფავორიტები

ავსტრალიელი „გიგანტთა მკვლელი“ 36

პარასკვლავი

კაილი მინოუგი – ტრიუმფალური დაბრუნება 40

ქართველები

პირველი ქართველი ალპინისტი, სპორტული ტერმინოლოგიის შემომღები და მათემატიკოსი 43

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 44

რომანი

მერაბ ბურჭულაძე. შეკვეთილი მკვლელობა (დასაწყისი) 46

ავტო 50

მაკიაჟი

უწრთხილდით მზის აბაგანებს და სოლარიუმს 52

ჯანმრთელობა

- დიასახლისის კუთხე 54
- თქვენი პატარა 54
- გედმეტი წონა 56

ადამიანი-ლეგენდა

გენიოსი – ვალების დაბრუნების ოსტატი 57

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (6-12 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

გაქვთ თუ არა მეწარმისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჭონქოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მრჩილე თოთლაძე – აფრიკული ძალაძის ქართველი გელადი

კოტ-დ'ივუარში ბელადობა ყველაზე საპატიო წოდებაა, ოღონდ, ის იქ არჩევითია და მამიდან შვილზე არ გადადის. ასე რომ, ახლა მე ვარ ერთ-ერთი ის თეთრკანიანი, ვინც 2001 წელს აბიჯანელებმა თავიანთ ბელადად ყველა წესისა და კანონის დაცვით აირჩიეს.

10

რა „არ შმვარს“ ბრონქიალურ ასთმას

ბევრი შემთხვევაა, როცა პაციენტი ბრონქიალური ასთმის შეტევისგან გარდაიცვალა. სიკვდილი ყოველთვის მოხუთვით ან გაგუდვით კი არ არის გამოწვეული, არამედ იმ გართულებითაც, რასაც ბრონქიალური ასთმის ქრონიკული მიმდინარეობა იწვევს.

29

კაილი მინოუგი – ტრიუმფალური დაბრუნება

კაილის აღმასვლა გასაოცარი სისწრაფით მიმდინარეობდა: ის პირველი მომღერალი გახდა, რომელმაც ლიდერობას ავსტრალიასა და დიდ ბრიტანეთში ერთდროულად მიაღწია. მარტო დიდ ბრიტანეთში მისი სიმღერის 650 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა.

40

შეყვარებული მგზავრობს



– აბა, დროზე გადმოდით მანქანებიდან და შენობაში შედით! ბონჯორნო, იტალია, რა შეშინებული იყურები? – ვიცი, არ ელოდი ასეთ გართულებას, მაგრამ რას იზამ?! თუმცა, შენ რა უნდა გიკვირდეს? – მაფიოზების ქვეყნიდან ხარ, მაგრამ ახლა ჩვენმა მაფიამ „მოგიჯოკრათ“ მგონი, არა?

46

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეფე შიშველია!"



როდესაც სიტყვა „მუზეუმს" გაიგონებს ნორმალური ადამიანი, მაშინვე ან არქეოლოგიური სიძველეები წარმოუდგება თვალწინ, ანაც ხელოვნების შედევრები და გონებაში თავისთავად წამოტივტივდება: „ლუვრი... პრადო... ფლორენცია... ერმიტაჟი... დრეზდენი"...

თუმცა, ეს მყისიერი და ბუნებრივი რეაქციაა, მაგრამ საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ მუზეუმები სხვადასხვანაირია და ბევრ მათგანს არც ხელოვნებასთან აქვს რაიმე საერთო და არც არქეოლოგიასთან. მაგალითად, გერმანიაში ლუდის მუზეუმი არსებობს, ამსტერდამში – პრეზერვატივების, შვედეთის რომელიღაც ქალაქში – კბილის პროთეზების, ხოლო ლიტვაში საკუთარი თვალით მაქვს ნანახი „ეშმაკების მუზეუმი", რომელიც ვიღაც თავქარიანს დაუარსებია თავისი კოლექციის „ბაზაზე" და სადაც კი ტარტაროზის გამოსახულება უნახავს (ფუი ეშმაკს!) – ნახატი იქნებოდა ეს, ქანდაკება, ცვილის ფიგურა თუ სახლის ფასადის ბარელიეფი, ყველაფერი იქ მიუზიდავს...

მოკლედ, მუზეუმი ის ადგილია, სადაც რაიმე საინტერესო, უჩვეულო უნდა ნახო, ისეთი, რაც სხვაგან არ არსებობს. და ეს „რაიმე", თუნდაც ისტორიული და კულტურული (მით უმეტეს – პრაქტიკული) თვალსაზრისით, შესაძლოა არც იყოს ღირებული. აბა, კაცმა რომ თქვას, რა საინტერესოა, ვთქვათ, მამონტის ეშვი (უცებ არ გაარჩიო ჩვეულებრივი სპილოს ეშვისგან), ან პელეს მაისური (ვითომ იშტოიანისას ნაკლები ოფლის სუნი ექნება)... ასე რომ, ხშირად მთავარი, არა სამუზეუმო ე.წ. „ექსპონატი", არამედ ის წარწერაა, რომელიც მნახველს მის რაობასა და მნიშვნელობას აცნობს. აბა, წარმოიდგინეთ: დგას რაღაც დაობებული დივანი, ვითომ არაფერი, მაგრამ გვერდით ბრინჯაოს პრიალა დაფაა მიმაგრებული, რომელზეც ამოტვიფრულია: „ამ დივანზე, კრემლში, საკუთარ კაბინეტში ისვენებდა ხოლმე საბჭოთა ხალხზე ზრუნვით დაღლილი ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე". ან მთლად უკეთესი: სტენდზე კარიესისგან შეჭმული კბილი „ასვენია", წარწერა კი „ღაღადებს": „ეს კბილი ეკუთვნოდა დიდ პროლეტარ მწერალს – მაქსიმ გორკის"...

აი, მთავარ სათქმელსაც მივადექით: ზემოთქმულის დარად, წარმოიდგინეთ, რომ სამუზეუმო სტენდზე გამოფენილია, არც მეტი, არც ნაკლები – ქვედა საცვალი, მარტივად რომ ვთქვათ – ნიფხავი (ოღონდ მამაკაცის), თანაც არცთუ ისე სუფთა, მაგრამ მას ბუზებივით ეხვევიან დამთვალიერებლები. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ეს ხდება ომისაგან დანგრეულ, საერთაშორისო იზოლაციით „გაჭყლეტილ" და თითქმის დამშეულ ქალაქში... ახლა კი, მთელი ფანტაზია და გამჭრიახობა მოიკრიბეთ და მიხვდით, – ისეთი რა „ჯადო-წარწერა" უნდა ჰქონდეს ამ „ექსპონატს", რომ ხალხმა მის ნახვაში დროც დაკარგოს და იმ ქალაქის პირობებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხაც გადაიხადოს?!

აღარ გაწვალებთ და გეტყვით: ის ქალაქი სოხუმია, ის ხალხი – სოხუმში მცხოვრები გამარჯვებული აფხაზები, ის ნიფხავი – მართლა ნიფხავია (ოღონდ მე რომ მაცვია, იმაზე ცოტა უკეთესი ხარისხის), მაგრამ როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში მთავარი, ხარისხი კი არა, წარწერაა, რომელზეც ამოიკითხავთ: „ეს საცვალი ერთ დროს ეკუთვნოდა და სოხუმიდან გაქცევის შემდეგ აღმოჩნდა იმ ჩემოდანში, რომელიც სოხუმში დარჩა დამარცხებული საქართველოს მთავარსარდალსა და პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს" (ეს თვითმხილველთა მიერ მოწოდებული უტყუარი ინფორმაციაა და არა ჩემი „პროვოკაცია").

აი, ასე!

ამ ბოლო დროს „აფხაზეთსა და საქართველოს შორის თანასწორუფლებიანი ურთიერთობების" შესახებ მოხშირებული საუბრების გათვალისწინებით, შესაძლოა „კულტურულ ღირებულებათა" ურთიერთგაცნობის პროგრამით, თბილისიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა და გაეროში ჩვენი გაწევრების ოქმის „გამსვლელი ექსპოზიცია" მოეწყოს გუდაუთაში, თბილისში კი – იმ ძვირფასი რელიკვიებისა, რომელსაც აფხაზები ფლობენ. ცხადია, ეს ექსპონატები ჩვენ უფრო გვეკუთვნის, მაგრამ ისტორია პარადოქსებითა და უსამართლობის გამოვლინებებით არის სავსე – იტალიელები ითმენენ, რომ ლეონარდოს „ჯოკონდა" საფრანგეთშია და ჩვენც მოვითმენთ...

P.S. მართლა კარგი იქნება, პატრონმა ნახოს თავისი ავლადიდება, იქნებ თვალნათლივ დარწმუნდეს იმაში, რისი არ სჯერა და რასაც, ზღაპრისა არ იყოს, უკვე ერთი პატარა ბიჭი კი არა, მთელი ქვეყანა გაჰყვირის: „მეფე შიშველია!"

ჩვენ ყველანი შიშველები ვართ – ჩვენი ჭუჭყიანი ნიფხავ-პერანგი აფხაზეთში დაგვრჩა.

P.P.S. მუზეუმი მუზეუმია – ლუვრი იქნება ეს თუ ჭუბურხინჯის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ამიტომ, როგორც ყოველ კულტურულ დაწესებულებას – თეატრს, კინოსტუდიას, გამომცემლობას, მუზეუმსაც – ორი-სამი წლით ადრე აქვს ხოლმე დაგეგმილი „გამსვლელი" თუ „ადგილობრივი" ექსპოზიცია.

ჩემი წინასწარმეტყველება ხომ არაერთხელ ახდენილა, მკითხველო, და ახლაც მენდეთ – სოხუმის იმ „მუზეუმის" გეგმები ზუსტად არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ორი წლის შემდეგ, ანალოგიური ნივთები იქნება გამოფენილი, ოღონდ უფრო მრავალრიცხოვანი: არძინბას, პასტუხოვის, ჯერგენიას, ევტეევისა და ძმათა მათთა ჩასვრილი ნიფხავ-პერანგები...

პროვოკატორი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საახლგომო საჩუქარი „კვირის პალიტრის“ მკითხველს

— „კვირის პალიტრამ“ უკვე ტრადიციად დაამკვიდრა იერუსალიმიდან საახლგომო სანთლების ჩამოტანა და ხატთან ერთად ყოველი მკითხველის დასაჩუქრება.

მკითხველთა ხშირი ზარები მოწმობს, რომ ისინი კვლავ ელიან „პალიტრის“ საახლგომო ნომერში საჩუქარს, თუმცა შიშობენ, ხომ არ შეუშლიდა ამ კეთილ საქმეს ხელს იერუსალიმში და მის ირგვლივ არსებული დაძაბული ვითარება.

გიორგი თევდორაშვილი, „კვირის პალიტრის“ რედაქტორი:

— უკვე მესამე წელია, რაც ტრადიციად ვაქციეთ მკითხველისთვის საახლგომო საჩუქრის მიძღვნა. ვფიქრობთ, მადლიან საქმეს ვაკეთებთ... ის, ვინც „კვირის პალიტრის“ ერთგული მკითხველია, უკვე მოუთმენლად ელოდება გაზეთის საახლგომო ნომრის გამოსვლას, რადგან იცის, რომ მასში იერუსალიმიდან ჩამოტანილ, ზეციურ ცეცხლზე თავშოშწვარ სანთელს ალმოაჩენს! „კვირის პალიტრაში“ ამჯერად სანთელი, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი და ტროპარი ჩაიდება. ისრაელიდან სანთლების ჩამოტანა არაერთ დაბრკოლებასთან იყო დაკავშირებული (როგორც აღნიშნეთ, იერუსალიმში და მის ირგვლივ საომარი ვითარებაა), იყო მომენტი, რომ მათი ჩამოტანა უკვე შეუძლებლადაც კი გვეჩვენა, მაგრამ ღვთის შეწევნით და საქართველოს საპატრიარქოს, ავიაკომპანია „აირზენას“, ასევე ისრაელში საქართველოს კონსულის ბატონ ლაშა ჟვანიას უდიდესი ძალისხმევით, ტყვრთის აქამდე ჩამოტანა მაინც მოხერხდა. თხოვნით მივმართავთ ყველას, რომ „კვირის პალიტრის“ ამ ნომერს სამ-სამსა და ოთხ-ოთხს ნუ იყიდიან, რათა ყველა მსურველმა შეძლოს მისი შეძენა და ოჯახში შეტანა. თითოეული თქვენგანის ოჯახზე გადმოსულიყოს ამ სანთლისა და ხატის მადლი...

ადგილობრივი არჩევნები არ უნდა გადაიდოს



— ზოგიერთი პოლიტიკური ძალა გამოვიდა ინიციატივით, რომ 2 ივნისისთვის დანიშნული ადგილობრივი არჩევნები გადაიდოს და მისთვის გამოყოფილი 4 მილიონი ლარი მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხოს. რამდენად მიზანშეწონილია ამ მოტივით არჩევნების გადადება?

ვასილ მაღლაფერიძე, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ წევრი:

— არავითარ შემთხვევაში! რა კავშირშია მიწისძვრა ადგილობრივ არჩევნებთან?! როდესაც ყველა შესაბამისი კანონი უკვე მივიღეთ და დავამტკიცეთ, ახლა ვილაპარაკოთ მისი ჩატარების მიზანშეწონილობაზე?! არც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ მიწისძვრა არჩევნების გადატანის საბაბად არ უნდა გამოიყენოს და მის ჩატარებას ხელი არ უნდა შეუშალოს! მით უმეტეს, რომ იმ სიტუაციაში, როდესაც დღეს თბილისში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად ადგილობრივი არჩევნების გზით განახლებულ საკრებულოს უფრო დიდი მნიშვნელობა და მეტი ფუნქცია დაეკისრება.

გადასახადების შემცირება ბიუჯეტს დააზარალებს

— რას უწუნებს ფინანსთა მინისტრი „მრეწველების“ მიერ ახალი საგადასახადო სისტემის ზარზეიმით წარმოდგენილ კონცეფციას?

ზურაბ ნოლაიდელი, ფინანსთა მინისტრი:

— ჩემთვის მიუღებელია ისეთი საგადასახადო კოდექსი, რომლის დევიზი შემცირებული საგადასახადო ბაზა (ამ შემთხვევაში გადასახადების 4-ჯერ შემცირებაზეა საუბარი) და გაზრდილი საშემოსავლო ბაზა იქნება. თუ გადასახადები ერთბაშად შემცირდება, ბიუჯეტი ძალიან დაზარალდება!

უნდა გაიარონ თუ არა ტესტირება ადვოკატებმა

— სამართლებრივი რეფორმის მორიგ საფეხურს — ადვოკატთა ტესტირებას, სასამართლო რეფორმის მსგავსად, დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. როგორ ფიქრობთ — ადვოკატი, რომელსაც ტესტირებას იუსტიციის საბჭო ჩაუტარებს, სახელმწიფოს გავლენის ქვეშ არ მოექცევა?

ზურაბ ადეიშვილი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:

— ვფიქრობ, ტესტირება ყველა ადვოკატმა უნდა გაიაროს, ეს აუცილებელია. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ იუსტიციის საბჭომ არ ჩაატაროს ტესტირება, რათა ადვოკატი მართლაც ვინმეს ან იგივე სახელმწიფოს გავლენის ქვეშ არ მოექცეს, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა დაიწყოს თავიდან?! აი, მაშინ კი, როდესაც ტესტირებაგავლილი ადვოკატები ადვოკატთა ასოციაციას შექმნიან, ტესტირების ფუნქცია უკვე ამ ასოციაციას გადაეცემა.

მოამზადა ნინო ჯავახიშვილმა

ნინო ჯავახიშვილი

თბილისში 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ, როგორც მერიაში აცხადებენ, ქალაქი ფაქტობრივად, თავიდან ასაშენებელი გახდა: დაზიანდა 417 სასწავლო ობიექტი, კულტურის კერები; უსახლკაროდ დარჩა ასობით ოჯახი... დაზარალებულების დასახმარებლად, მუშაობს „თბილისის ალორძინების ფონდი“, რომელშიც თბილისის საპატიო მოქალაქეები შედიან. ეროვნულ ბანკში გაიხსნა ანგარიში „მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის“, რომელზეც ჯერჯერობით მხოლოდ ერთმა მოქალაქემ — თენგიზ ღვინიაშვილმა შეიტანა თანხა — 1.000 ლარი. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებისგან არაერთხელ მოტყუებული მოსახლეობა ყველა დაპირებისადმი ძალზედ სკეპტიკურ დამოკიდებულებას იჩენს. უფრო მეტიც: ბევრს მიაჩნია, რომ დაპირებებსა და თუნდაც, თვით დახმარებას პოლიტიკური წრეები მოსახლეობის წინაშე ქულების დასაწერად სჩადიან. ამ საკითხით დავიწყეთ საუბარი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ბატონ ლადო კახაძესთან.

„თუ დახმარებაზე მიდგება საქმე, ალბათ მეც დამეხმარებიან...“

— როგორ ფიქრობთ, პოლიტიკოსები ამ თემით სპეკულირებას მართლა აპირებენ?

— პოლიტიკოსებმა პოლიტიკური ქულები ამ შემწეობებით არ უნდა ჩაიწერონ! შეიძლება თანხა ისე გადმორიცხონ, რომ ხმამაღლა არც განაცხადონ ამის თაობაზე, — ასეთი კაცური საქციელი ხომ უფრო გამართლებული იქნება! ამორალურია სხვების გაჭირვებაზე, გინდ ფულის შოვნა, გინდ პოლიტიკური ქულების ჩაწერა და გინდაც სახელის მოხვეჭა. არ მეგულება ადამიანი, ვინც ამას იკადრებს, მაგრამ ისეთი გაუკუღმართებული ფორმა მიიღო პარტიული ცხოვრების წესმა, რომ გამორიცხული არაფერია. ნათქვამია: რასაც არ კრძალავს კანონი, კრძალავს წესიერებაო. ასეა! კანონიც რომ გაძლევდეს უზნეობის უფლებას, წესიერებამ



არ უნდა ჩაგადენინოს ულირსი საქციელი.

ლადო კახაძე

— რა გარანტიაა, რომ ფონდში ჩარიცხული თანხა მიზნობრივად დაიხარჯება და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ვიღაც-ვილაცები ხელს არ მოითბობენ?

— იცით, რაშია საქმე? რაც არ უნდა ღია და გამჭვირვალე იყოს ფულის ხარჯვა, ასეთი ეჭვი მაინც იქნება: ასეთი ეჭვის საფუძველი საზოგადოებას ბევრჯერ მისცეს და იმიტომ! მაგრამ რა ვქნათ, ამის გამო, ფონდი აღარ შეიქმნას?! ამ ფულს განმკარგავი სჭირდება, ამიტომ უნდა შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო და თითოეული თეთრი უნდა გაკონტროლდეს ჟურნალისტების, პროფესიონალების და კეთილსინდისიერი ადამიანების მიერ. ბევრი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ამ სამეთვალყურეო საბჭოში შევიდნენ თბილისის საპატიო მოქალაქეები — სახელოვანი ადამიანები, რომლებსაც ხალხი წესიერებისა და ზნეობის განსახიერებად მიიჩნევს.

— დაუზუსტებელი ინფორმაციით, ზარალმა უკვე დაახლოებით 100 მლნ ლარს მიაღწია. რა გზით აპირებს ხელისუფლება ამხელა თანხის მოძიებას?

— ზარალი მართლაც კატასტროფულია, სიტუაცია კი ოპერატიულად სამართავი. როგორ უნდა აუხსნა ადამიანს, რომელსაც საკუთარი ჭერი აღარ აქვს, რომ თანხის უქონლობის გამო, ვერაფრით ეხმარები?! ეს ძალიან რთული მომენტია. არავის ვუსურვებ ჩემს ადგილზე ყოფნას... ყველაფერს გავაკეთებთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად, ყველასთვის გამოიძებნოს თავშესაფარი. დაძმობილებულ ქალაქებსა და ქვეყნებს მივმართეთ თხოვნით, რომ ფინური სახლების ყიდვაში დაგვეხმარონ. ანგარიში კი გაიხსნა, მაგრამ შემოსული თანხა ძალიან მიზერულია — ჯერჯერობით, სულ 8 მილიონამდე აღწევს...

— მიწისძვრას მერიის შენობაც გვარიანად დაუზიანებია და როგორც შევიტყვე, ვერც პირადად თქვენი სახლი გადაურჩა ბიძგებს. მერია ლადო კახაძესაც აღმოუჩენს დახმარებას?

— 25 აპრილს სამსახურიდან გვიან დავბრუნდი ოჯახში და მეუღლეს ვთხოვე — ძალიან მშია და ვახშამი მომიმზადე-მეთქი. ტანსაცმლის გამოსაცვლელად შევტრიალდი თუ არა, სახლმა რყევა დაიწყო. სხვათა შორის, არც მე, არც ჩემი მეუღლე და არც ქალიშვილი პანიკაში არ ვყოფილვართ და არც ყვირილი დაგვიწყია; აი, სიდედრს კი, ცოტა შეეშინდა. სახლიდან გარეთ არ გამოვსულვართ. როდესაც ბიძგები შეწყდა, ყველა ოთახი დავათვალიერე და უშველებელი ნაპრალები და გაბზარული კედლები ვნახე. მთაწმინდაზე სიდედრ-სიმამრის სახლში ვცხოვრობ, საკმაოდ ძველი ბინაა და ამიტომაც ვერ გაუძლო რყევებს. არავისზე უკეთესი არ ვარ და თუ დახმარებაზე მიდგება საქმე, ალბათ მეც ისევე დამეხმარებიან, როგორც ყველას, — ამას პოპულიზმისთვის არ ვამბობ. რაც შეეხება მერიას — ეს ისტორიული შენობაა და ვფიქრობ, სეისმური თვალსაზრისით, ჯერ კიდევ მდგრადია. ამიტომაც ალბათ მისი რესტავრირება მოხდება.

«8 წელი ქირით ვცხოვრობდით, ეს სახლი 5 თვის წინ ვიყიდეთ...»

არაბულების ოჯახს მიწისძვრის მეორე დღესვე ვესტუმრეთ. ნუგზარ არაბულს და მანანა ალუდაურს 4 შვილი ჰყავთ — უფროსი 12 წლისაა, ნაბოლარა კი — ორის. მძიმე რყევებმა, სულ ხუთიოდე თვის წინ მუხიანში ნაყიდ პატარა სახლს უშველებელი ნაპრალები და ბზარები გაუჩინა, კედლები და ჭერი კი ერთმანეთისგან რამდენიმე სანტიმეტრით დააშორა. იქ ცხოვრება შეუძლებელი გახდა და ამიტომ, დღემდე მეზობლის ცარიელ სახლში ათევენ ღამეს.

ნინო ჯავახიშვილი

— ნუგზარ, იქნებ, 25 აპრილის ღამე გაიხსენოთ?

— ყველანი სახლში ვიყავით, მიწისძვრა რომ დაიწყო. ისეთი ძლიერი იყო რყევა, რომ სახლს მთლიანად ათამაშებდა. გარეთ გამოსვლა მინდოდა და კარამდე ვერ მივდიოდი. შუქი მაშინვე გამოირთო, არაფერი ჩანდა. მხოლოდ მტვრის სუნს ვგრძნობდი. სამი ბავშვი ჩემთან იყო, მეოთხე კი სადღაც ტიროდა და ვერ ვპოულობდი. სად არის, ანიკო სად არის-მეთქი? — ვიყვირე. იქითკენ წავედი, საიდანაც ტირილის ხმა ისმოდა. როგორც იქნა, მანანამ ხმა ამოიღო: ნუგეშინია, ანიკო მე მყავსო... ღმერთო, თურმე რა უმწეო ყოფილა ამ დროს ადამიანი... ამას მერჩივნა ჯარი შემოსულიყო და იმასთან მარტოს მებრძოლა, არ შემეშინდებოდა... მიწისძვრის შემდეგ, გვიან, როდესაც სახლი დავათვალიერე და ვნახე, ჭერი რამდენად იყო დაშორებული კედლებს, თავი დავიმშვიდე — ხომ შეიძლებოდა, უარესი რამეც მომხდარიყო, ვიდრე უსახლკაროდ დარჩენაა-მეთქი?! ალბათ მთის სალოცავებმა, ჯვარხატთ გადამარჩინეს, თორემ, ვინც სახლი ნახა, ყველას გაუკვირდა — ისე არამყარად ნაგები სახლია, საერთოდ თავზე როგორ არ ჩამოგექცათ, ბეწვზე ხართ გადარჩენილებიო.

მანანა:

— როდესაც ნუგზარი ანიკოს ეძახდა, ბავშვი გულზე მყავდა მიკრული, მაგრამ შიშისგან ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი. საშინელება იყო... არ ვიცი, რა გვეშველებოდა... არანაირი შემოსავლის წყარო არ გვაქვს, არადა 4 ბავშვს ხომ უნდა შენახვა?! 8 წელი ქირით ვცხოვრობდით, ძალიან დამღალა აქეთ-იქით წოწიალმა. 5 თვის წინ ვიყიდეთ ეს სახლი, თანხის ნახევარი ჯერაც არ მიგვიცია პატრონისთვის. რა ვიცი, გარედან როგორ უნდა შეგვეტყო, მკვიდრად ნაშენი იყო თუ არა? როდესაც ვიფიქრე — აი, ახლა კი ამოვისუნთქავ, აქეთ-იქით გადაბარგება-გადმობარგებას მოვრჩები, რადგან როგორც იქნა, საკუთარ ჭერს ველირსეთმეთქი, — ყველაფერი თავზე ჩამოგვექცა. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო — ჩვენზეა ნათქვამი. ველარაფერს ვფიქრობ, დარდი მკლავს! ბედი არაფერში გვწყალობს, შეუღლების დღიდან, პრობლემები არ გველევა. ამ ამბავმა ხომ საერთოდ გამანადგურა, მომავლის რწმენა, იმედი დამაკარგვინა!

— ნუგზარ, როგორ ცხოვრობთ, ოჯახს რით არჩენთ?

— შეუღლებიდან 5 წელი ყაზბეგის რაიონში, სოფელ ჯუთაში ვცხოვრობდით. საქონელს ვუვლიდით და თავი ამით გავიქონდა, მაგრამ ბავშვები რომ წამოიზარდნენ, მაშინ გადავწყვიტეთ ბარში ჩამოსახლება. სწავლა ხომ უნდათ ბავშვებს? შვილების გამო, თორემ, მთას არაფრით მივატოვებდი... ყველაფერს იმისთვის ვაკეთებ, რომ მათ უკეთესად იცხოვრონ, უკეთესი მომავალი ჰქონდეთ. ეს სახლიც იმიტომ ვიყიდე, მაგრამ რად გინდა? — ბედი არაფერში მაქვს! თვითონაც ხომ ნახეთ — სხვა სახლებს ბზარებიც კი არ გასჩენია. ცხოვრება ვერ ავაწყვე, როცა არ ველოდები, მაშინ მიმუხთლებს ხოლმე ბედისწერა. რასაც ხელი მოვკიდე და რა საქმეც წამოვიწყე, ყველაფერი უკუღმა წავიდა. ჩემი საქმე იცით, როგორ არის? — ობლის კვერი ცხვა, ცხვა და აღარ გამოცხვაო... ველარ გამიგია, რა სჯობს... რაც უფრო მეტ სიკეთეს ვაკეთებ, უფრო ცუდად მიბრუნდება უკან... პროფესიით მხატვარი ვარ, მაგრამ ვის რაში სჭირდება ჩემი ხატვა?! ნაცნობ ბიჭებს როდესაც რაიმე სამუშაო გამოუჩნდებათ, მეც მეუბნებიან ხოლმე და პერიოდულად ვმუშაობ — ძირითადად, მშენებლობაზე, სხვაგან სად უნდა ვიმუშაო?! როდესაც სახლი ვიყიდეთ, საქონელი, რაც გვყავდა, სულ გავყიდეთ, სამი ძროხაღა გვყავს და ეგ არის მთელი ჩვენი ავლადიდება.

— დამხმარე არავინ გყავთ?

— ვინ დაგვეხმარება?! ახლა ისეთი დროა, რომ ყველას საკუთარი თავი და თავისი ოჯახი გასჭირვებია, ჩვენთვის ვის სცხელა?!

— რას აპირებთ, მეზობლის ბინას თავს როდემდე შეაფარებთ?

— გუშინ სხვა მეზობელთან გავათენეთ ღამე, ერთ საწოლში ოთხნი ვიწექით. სახლში რომ დავბრუნდეთ, ერთი ბიძგი — და ჭერი თავზე დაგვემხობა, ვერ ვბედავ ბავშვების იქ შეყვანას. თვითონაც ძალიან ეშინიათ. რაიმე ნივთის გამოსატანად შესვლასაც კი ვეღარ ბედავენ, საჭმელიც გარეთ ჭამეს. კიდევ კარგი, რომ კარის მეზობელი (თვითონ სხვაგან ცხოვრობს და აქ შაბათ-კვირას ამოდის ხოლმე) გასაღებს გვიტოვებს, ყურადღება რომ მივაქციო სახლს. თვითონაც ხომ ხედავთ, შესასვლელი და ერთი პატარა ოთახია. მანანამ დილით მიალაგა სახლი, ღუმელსაც აქეთ გადმოვიტანთ, თორემ ბავშვები გამიცივდებიან. ორს ისედაც სიცხე აქვს ეს რამდენიმე დღეა. არ ვიცი, აქ როდემდე გაგვაჩერებს ბინის პატრონი, ისედაც უნებართვოდ გადმოვბარგდით, მაგრამ, სხვა რა გზა მქონდა?! მთაში დაბრუნებასაც აზრი არა აქვს; რა ვქნა, არ ვიცი... თან მთაშიც არა მაქვს სახლი: იქ ჩემი ძმა ცხოვრობს ცოლ-შვილთან ერთად, თვითონაც ბევრნი არიან და ახლა ჩვენ დავემატოთ? გამოსავალს ვერ ვხედავ. მერია დახმარებას გვპირდება, ერთადერთი ამის იმედიღა გვაქვს. თუმცა, ამას ალბათ ძალიან დიდი დრო დასჭირდება. იქამდე რა ვქნა, ცოლ-შვილი სად წავიყვანო?! მე საძილე ტომარა მაქვს, ბოლოს და ბოლოს, ღია ცის ქვეშაც დავიძინებ, მაგრამ ბავშვები?!. ■

კრიზისი: თქვენ თავად შეგიძლიათ გაუმკლავდეთ მას

ლელა ჭანკოტაძე

თბილისი ფსიქოლოგიურმა კრიზისმა მოიცვა, რაც გამოწვეულია 25 აპრილის მიწისძვრით. ადამიანებს ცხოვრების ჩვეულ რიტმში ჩადგომა უჭირთ. მთელი ქალაქი დამანგრეველი ძალის მიწისძვრის მოლოდინში ცხოვრობს. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს საერთო ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. საერთოდ, მიწისძვრა იწვევს ისეთ შიშს და ჩვევებისა და ქცევების ისეთ ერთობლიობას წარმოქმნის, რომელიც თაობებს გადაეცემა. მაგალითად, მიწისძვრების შედეგია ადამიანთა დიდი ნაწილის ჩვევა, იაროს მანქანების სავალ ნაწილზე და არ ისარგებლოს ტროტუარით, — თუნდაც ამით საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდოს. მიწისძვრების შედეგია, მიწისქვეშა გადასასვლელების უარყოფა.

მიწისძვრის შემდეგ, ირღვევა ადამიანის ჩვეული ცხოვრებისეული წონასწორობა. ადამიანი, რომელიც კრიზისში იმყოფება, ვეღარ აკონტროლებს საკუთარ ქცევას, სტრესის გამო უარესდება მისი ჯანმრთელობა. მიწისძვრის დროს, ყველაზე დიდ სტრესს იღებენ ორსული ქალები, ბრონქიალური ასთმით დაავადებული ბავშვები და ინვალიდები. ცნობილია, რომ 1920 წლის 19-20 თებერვლის გორის მიწისძვრის შემდეგ, მოსახლეობამ თავი მინდვრებს შეაფარა. ნახევრად შიშველი ადამიანები თოვლსა და ყინვაში ითოშებოდნენ, მაგრამ მაინც ვერ ბედავდნენ თავიანთ სახლებთან მიახლოებას. ორსული ქალები ღია ცის ქვეშ, თოვლში აჩენდნენ ბავშვებს. ახალშობილები იყინებოდნენ, მშობიარე ქალებსაც ყინვა უსწრაფებდა სიცოცხლეს, მაგრამ იდგნენ მინდორში, სანამ მეორე დღეს, საღამო ხანს მათთან დასახმარებლად არ ჩავიდნენ სამთავრობო კომისიის წევრები და მოხალისეები.

თბილისში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ მოქმედებს კრიზისული დახმარების ცენტრი — „ნდობა“. გვესაუბრება ცენტრის დირექტორი, ქალბატონი ვეტა ლაზარაშვილი.

— როგორია თბილისელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა?

— ქალაქში პანიკის საფუძველი ნამდვილად არ არის, მაგრამ მოსახლეობა მოქცეულია ფსიქოლოგიურ კრიზისში. ადამიანს, როცა ის კრიზისში იმყოფება, არ ძალუძს გადალახოს სიტუაცია მისთვის ჩვეული ტრადიციული გზებით. კრიზისში მყოფ ადამიანს აღენიშნება: უძილობა, არტერიული წნევის მომატება და გულის ცემის სიხშირის ცვალებადობა, გაუარესებული გუნება-განწყობა, არათანამიმდევრულობა ქცევაში, დაბნეულობა და აგრესიულობა. საერთოდ, კრიზიკული სიტუაცია პირადულია (მაგალითად, ახლობლის სიკვდილი, ძალადობა, სამსახურის დაკარგვა და ა.შ.), ზოგი კი ადამიანთა ჯგუფს მოიცავს (მაგალითად, საომარი მოქმედებები, სტიქიური უბედურებები და სხვა). ტრავმულმა შემთხვევამ შეიძლება გამოიწვიოს, როგორც ცალკეულ ადამიანთა, ისე ათობით, ასობით ან ათასობით ადამიანის კრიზისი. კრიზისი ადამიანის ცხოვრებაში გარდატეხის, შემობრუნების წერტილია. გამოსავალი უარყოფითი ან დადებითი შეიძლება იყოს. კრიზისის დადებითად გადაჭრისას, ადამიანში არსებული ძალებისა და უნარ-ჩვევების მობილიზება ხდება, რასაც იგი მომავალში გამოიყენებს. კრიზისის წარმატებით გადალახვა ხელს უწყობს პიროვნების ზრდას, მისი ადაპტაციის უნარის გაძლიერებას.

— როგორი მკურნალობის მეთოდები არსებობს თქვენს ცენტრში?

— როდესაც ადამიანი განიცდის ისეთ კატასტროფას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც სხვა ადამიანის ხელით, ასევე სტიქიური უბედურებით, მას სხვადასხვა ფსიქოლოგიური პრობლემა უჩნდება. არსებობს მკურნალობისა და დახმარების სხვადასხვა მეთოდი. როცა ადამიანს ეძლევა საშუალება, მოახდინოს განცდილის სიტყვიერად აღწერა ანუ ვერბალიზაცია, ეს უკვე შვებას აძლევს. თუ როგორი ძალის სტერსს მიიღებს ადამიანი, ეს დამოკიდებულია მის ჯანმრთელობაზე; ზოგი ჯანმრთელია, ზოგს მოშლილი აქვს ნერვული სისტემა. ადამიანთა უმეტესობა უკვე ყოფილა რაღაც ტრავმულ მდგომარეობაში — გადაიტანა ომი ან ტრაგიკული ინციდენტი. ამ ტრავმების შემდეგ, ყველა ერთნაირად როდი რჩება ტრავმირებული...

— რა იწვევს ყველაზე დიდ სტრესს და რა ქმნის იმის საფუძ-

ველს, რომ ადამიანი ტრავმირებული დარჩეს?

— ყველაზე ძლიერ ტრავმას იწვევს ის, რაც ადამიანის ბიოლოგიურ არსებობას შეეხება: როცა ადამიანი მორწმუნეა, მას უფრო იოლად გადააქვს სტრესი, მაგრამ მიწისძვრის შემდეგ ასე არ მოხდა. როგორც ჩანს, სიკვდილი ყველას აშინებს...

— ეი. შეიძლება ვთქვათ, რომ მიწისძვრის დროს, ყველაზე მეტად, სტრესს საკუთარი სიცოცხლის მოსპობის საშიშროება იწვევს?

— არა. ეს უბრალოდ, ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია. ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, საკუთარი სიცოცხლის შესაძლო მოსპობის გამო, უზარმაზარ შიშს განიცდის. ზოგიერთები შვილებსაც კი ტოვებენ და თვითონ გარბიან. რამდენი ფსიქიატრი და ფსიქოლოგიც არსებობს, იმდენი განსხვავებული აზრია ჩამოყალიბებული ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთი რამ კი, ნამდვილად ფაქტია: ადამიანი არ არის მხოლოდ ბიოლოგიური არსება, ამიტომ სიკვდილის შიშის გარდა, უამრავი სხვა განცდა ეუფლება.

— ბავშვებისთვის დახმარების გაწევას თუ ახერხებთ?

— როგორც კი მოჰყავთ ბავშვი, იმ წუთიდან იწყება დახმარება. რაც უფრო ადრე დაიწყება ფსიქოლოგიური დახმარება, მით უფრო მძიმე შედეგები იქნება თავიდან აცილებული. ასეთმა სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს თვითმკვლელობა, აგრესიულობა, ფსიქოზი, დეპრესია. ზოგი, დეპრესიას ეძახის იმას, რომ უბრალოდ, ცუდ გუნებაზეა. სინამდვილეში კი, ეს გაცილებით მძიმე და რთული დაავადებაა.

— შესაძლებელია თუ არა, რომ მოზარდი, მიწისძვრის შემდეგ არასწორი მიმართულებით განვითარდეს?

— შესაძლებელია, ასეთი რამეც მოხდეს. ამის გამო პანიკის ატეხვა არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება ძალიან ცუდი შედეგების მიღება, თუ ბავშვს არ გაეწია ფსიქოლოგიური დახმარება. არ არის აუცილებელი სპეციალისტის კონსულტაცია — დედასაც შეუძლია გაუწიოს შვილს დახმარება, მთავარია, იცოდეს, ეს როგორ უნდა გააკეთოს. ბავშვებსა და მოზარდებს ისედაც უამრავი პრობლემა აქვთ, რომლის მოგვარებას დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ. ხშირად მშობელსაც უჭირს, გაუგოს შვილს. ზოგჯერ მას არ აქვს სათანადო გამოცდილება და ცოდნა. ამიტომ, მაინც სჯობს, რომ ფსიქოლოგიური დახმარება მოზარდს სპეციალისტმა გაუწიოს. კერძოდ, ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის გამოცდილების მქონე ბავშვთა ფსიქოლოგებმა და ფსიქიატრებმა, პედაგოგმა, იურისტმა და სოციალურმა მუშაკმა. ზოგ შემთხვევაში, ოჯახის დახმარება ხორციელდება რამდენიმე შეხვედრისას. სამწუხაროდ, უფრო ხშირია შემთხვევა, როცა მოზარდებს უფრო გახანგრძლივებული საოჯახო თერაპია ესაჭიროებათ. მიწისძვრის შემდეგ ბავშვებს განსაკუთრებით უჭირთ სტრესიდან გამოსვლა. ისინი ველარ ახერხებენ თანატოლებთან ურთიერთობას, რადგან მათში გამუდმებით გაქცევის ინსტინქტია გაბატონებული. ყოველ წუთს არიან მზად იმისთვის, რომ პირველივე ბიძგისას გავარდნენ სახლიდან. უფრო ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვს ეწყება უძილობა და უხალისობა, შფოთვა და მიუღებელი, უცნაური ქცევები. უმეტესობა სკამზე ჯდომასაც კი უფრთხის და ურჩევნია ფეხზე იდგეს, — ისევ იმის იმედით, რომ ასეთ მდგომარეობაში უფრო სწრაფად გაიქცევა სახლიდან. ასეთი ბავშვები, რა თქმა უნდა, გარკვეული ხანი ვერ შეძლებენ სწავლას... ემოციურმა პრობლემებმა შესაძებელია, გამოიწვიოს ფიზიკური დაავადებები, გონებრივი განვითარების შეფერხება და ა.შ. ეს არ იძლევა პანიკის საფუძველს და თავისუფლად ექვემდებარება მკურნალობას. შედარებისთვის ვიტყვი, რომ ანალოგიური პრობლემები ბავშვებს მშობლების განქორწინების, ძალადობის ან მძიმე ფიზიკური დაავადების შედეგად ემართებათ ხოლმე. ერთადერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, ფსიქოლოგიური დახმარებაა, რაც მიწისძვრის შემდეგ უფასოდ, უანგაროდ ხორციელდება. ბავშვთა კრიზისული დახმარების სატელეფონო სამსახურია: 96-05-05, ხოლო ბავშვთა კრიზისული დახმარების პუნქტები მდებარეობს: მელიქიშვილის ქ. №1/6-ში და წინამძღვრიშვილის (ყოფილი კლარა ცეტკინის) ქ. №65ბ-ში.

— რამდენად მრავალრიცხოვანია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც დასახმარებლად მოგმართეს?

— მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებული ზარების რაოდენობამ პირველი სამი დღე-ღამის განმავლობაში „ნდობის ტელეფონზე", 245 შეადგინა. 28 აპრილს მივიღეთ 105 ზარი, რაც სამჯერ აღემატება ჩვეულებრივ მაჩვენებელს. მობილიზებულია 24-საათიანი ოთხარხიანი სასწრაფო სატელეფონო ფსიქოლოგიური დახმარების სამსახური. ადამიანებს შეუძლიათ დარეკონ ნებისმიერ დროს, დღისით და ღამით, დღესასწაულებსა და უქმე დღეებშიც კი. ჩვენი დახმარება ანონიმურია და უსასყიდლო. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება დადგეს წუთი, როდესაც ის ვერ უმკლავდება საკუთარ პრობლემებს, გამოსავალს ვერ პოულობს რეალურად რთული სიტუაციიდან, რომელსაც მას ეუფლება შიში, შფოთვა, უიმედობა, სასოწარკვეთა. ყველა, ვისაც სურს თავის პრობლემაზე საუბარი ან უჭირს დამოუკიდებლად მისი გადაჭრა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ეროვნებისა, რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულებისა, ჩვენ მოგვმართავს. ჩვენ ვმუშაობდით აფხაზეთის ომის დროს, დაჭრილებთან, ზუგდიდში, გალიდან ლტოლვილთა მეორე ნაკადი რომ ჩამოვიდა, მათაც მივაკითხეთ. ეს ადამიანები მაშინ ძლიერი სტრესის ქვეშ იმყოფებოდნენ. არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში არიან ახლა, რადგან მიწისძვრის შემდეგ, მათ ისედაც დროებითი საცხოვრებლები დატოვეს და კარვებში გადავიდნენ. ამ ადამიანებს სასწრაფო ფსიქოლოგიური დახმარება ესაჭიროებათ.

— არ გიჭირთ ყველა ზარზე პასუხის გაცემა და ყველა ადამიანისთვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა?

— მიწისძვრის შემდეგ ყოველდღიურად მატულობს ზარების რაოდენობა. ვერ ვასწრებთ ყურმილის დადებას, რომ მაშინვე აწკრიალდება ტელეფონი. თბილისში არ დარჩენილა ადამიანი, მიწისძვრაზე რომ არ საუბრობდეს. ასე გაგრძელდება დიდი ხნის მანძილზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა ძლიერი შიში გაოგი-

ტანეს. ნებისმიერ ადამიანს სჭირდება თანადგომა და დახმარება. ჩვენ ყველას ვერ გავწვდებით, ამიტომ უკვე დაწყებულია მოხალისეთა მობილიზება, მათი სწავლება და სპეციალისტთა ტრენინგი.

— მოხალისეებად რა ასაკისა და სპეციალობის ადამიანები მოდიან?

— ტრადიციულად, ადამიანები ერთმანეთს ყოველთვის ეხმარებოდნენ. ასე რომ, დახმარების უნარი ნებისმიერ ადამიანს აქვს. ხოლო ზოგიერთებს ასეთ დროს უჩნდებათ მოთხოვნილება, რომ სხვა ადამიანებს დაეხმარონ. არა მხოლოდ ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებს, არამედ ჩვეულებრივ ადამიანებსაც შეუძლიათ ეს. დახმარების უნარი ერთგვარი ნიჭია. ჩვენთან ტარდება ე.წ. დებრიფინგები, რაც გულისხმობს მობილური ბრიგადების მუშაობას დაზარალებულებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კრიზისული ინტერვენციისათვის. ყველა მოხალისე ჩვენთან გადის დებრიფინგს — ჯერ თვითონ იხსნის სტრესს, რათა შემდეგ სხვას გაუწიოს დახმარება. აქ უმეტესად, მორწმუნე ადამიანები მოდიან, მართლმადიდებლები, რომლებსაც აქვთ სურვილი, დაეხმარონ ადამიანებს.

— თუ არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ სჭირდებათ ფსიქოლოგიური დახმარება?

— ფსიქოლოგიური კრიზისის მდგომარეობაში მყოფი ადამიანების დიდ უმრავლესობას არ სჭირდება სპეციალისტის დახმარება. ბევრს თავად შესწევს უნარი გაუმკლავდეს კრიზისს. მცირეა იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისაც სჭირდება ხანგრძლივი ფსიქოთერაპიული დახმარება, თუმცა, ალბათ, ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ვქმნით ტრავმირებულ საზოგადოებას და ვართ ტრავმირებულები. სამწუხაროდ, ჩვენ სოციალურად დაუცველი ადამიანები ვართ. მიწისძვრისგან გამოწვეულ სტრესს ისიც ამძაფრებს, რომ ადამიანებს არა აქვთ საშუალება, შეაკეთონ ბინები და წაშალონ მიწისძვრის კვალი. განსაკუთრებით მძიმე სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი, ვინც ბინის გარეშე დარჩნენ. სხვათა შორის, სომხეთში დატრიალებული მიწისძვრის შემდეგ, გადარჩენილ ადამიანთა შორის პანიკა სწორედ უბინაობამ გამოიწვია. საცხოვრებლისა და ყველა ნივთის დაკარგვის გამო მძიმე სტრესში მყოფი ადამიანები თვითნებურად იწყებდნენ ნანგრევების გაწმენდას, რათა თავიანთი ნივთები ეპოვათ. იყო შემთხვევა, როცა ნახევრად დანგრეულ მრავალსართულიან სახლში დაბინავდა კაცი, რომელსაც ოჯახის ყველა წევრი დაელუპა. არსებობს ფოტო და ვიდეომასალა, რომელზეც აღბეჭდილია, თუ როგორ სძინავს მას მერვე სართულზე; სახლი დანგრეულია, დგას მხოლოდ ორი სადარბაზო, ჩამოშლილია წინა ფასადი, საწოლი კი სწორედ ჩამონგრეული კედლის ნაპირას დგას... თბილისში განსაკუთრებული შემთხვევა მიწისძვრასთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა, თუ არ ჩავთვლით იმ საერთო პანიკას, რაც ვითომდა მოსალოდნელი მიწისძვრით არის გამოწვეული. იმის ფიქრი და მტკიცებაც, რომ განმეორდება იგივე სიმძლავრის ან დამანგრეველი ძალის მიწისძვრა, ფსიქოლოგიური კრიზისის შედეგია. ვინც ამაზე ფიქრით არის შეპყრობილი, ის, ფსიქოსოციალური დახმარების კაბინეტებში მოკლევადიან კრიზისულ დახმარებას და საერთო ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას საჭიროებს. ■

ვეტა ლაზარაშვილი საერთაშორისო კონფერენციის ტრიბუნაზე

სასარგებლო აზრები

მოკლედ ნათქვამი ძლიერი აზრები დიდად გვეხმარება ცხოვრების გაუმჯობესებაში.
მარკუს ტულიუს ციცერონი

როცა ძლიერ ქუხს, მალე იცის გამოდარება.
ანდრეას გრიფიუსი

არ შეიძლება იყოს არავითარი კომპრომისი სიკეთესა და ბოროტებას შორის, სიმართლესა და სიცრუეს შორის, პროგრესსა და რეგრესს შორის.
ჯუზეპე მაძინი

ვის ერგება ამ ჩვენს დროში უთამამეს კაცის ხვედრი?
ვინც შავს შავი უწოდა და თქვა, რომ თეთრი არის თეთრი,
მეტისმეტად დიდი ხოტბით არ შეამკო ქურდი, მკვლელი,
უსამართლოს წინ აღუდგა და მსაჯული იყო ქველი.
ფრიდრიხ ლოგაუ

ცოდნას უნდა დაეწაფო არა პაექრობის, არა სხვათა დამცირების, არა მოგების, დიდების, ძალაუფლების ან სხვა რამ მიზნისათვის, არამედ იმისათვის, რომ ცხოვრებაში ხალხს სარგებლობა მოუტანო.
ფრენსის ბეკონი

იგავ-არაკი და ცხოვრება ფასდება არა მისი სიგრძით, არამედ შინაარსით.
ლუციუს ანეუს სენეკა უმცროსი

გულგრილად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას
და სულელს ნუღარ ეკამათები!
ალექსანდრ პუშკინი

მართალი გითხრათ, როცა გავიგე, რომ აფრიკული სახელმწიფოს — კოტ-დ'ივუარის საპატიო კონსული საქართველოში ქართველი იყო, მასთან ინტერვიუზე მისული, კონსულის სავარძელში ჩაფლული „ეგზოტიკური მავრის“ დანახვას ნამდვილად აღარ ველოდი, მაგრამ არც ის მიფიქრია, რომ ხელს „ჭეშმარიტ არიელს“ ჩამოვართმევდი. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ბატონ ერმილე თორთლაძეს გერმანელი ბებია ჰყოლია, რაც მის გარეგნობაზეც მკვეთრად ასახულა. თუმცა, ეს ყველაფერი მაინც ის „უმნიშვნელო“ დეტალებია, რომელიც მკითხველის განწყობილების შესაქმნელად უფრო მოვიხმე, თორემ ბატონმა ერმილემ ყურადღება სხვა, ბევრად მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილა. თუმცა, მივყვეთ თანამიმდევრობით.

ერმილე თორთლაძე — აბიჯანის ბელადი და კოტ-დ'ივუარის ეროვნული ორდენის ოფიცერი

რუსუდან ლებანიძე

— თუ არ ვცდები, კოტ-დ'ივუარი ის ერთადერთი აფრიკული სახელმწიფოა, რომელმაც, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, საქართველოში პირველი საკონსულო გახსნა...

— დიახ. ნამდვილად ასეა. კოტ-დ'ივუარის რესპუბლიკას დიპლომატიური წარმომადგენლობა ანუ საელჩო მოსკოვში აქვს, საკონსულო კი, პირველად, 1998 წელს, გახსნა თბილისში. ამჟამად საკონსულო უკრაინაშიც გვაქვს...

— ამ მხრივ საქართველოს პირველობა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო...

— არა. შემთხვევებ ნამდვილად არაფერი მომხდარა. ამაში გადამწყვეტი როლი საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ ითამაშა. საქართველო ხომ ის ქვეყანაა, რომლის მეშვეობითაც კოტ-დ'ივუარი სავაჭრო კავშირზე ერთდროულად და თანაც სრულიად უმტკივნეულოდ, 12-13 ქვეყანაზე მაინც გავა...

— თავად საქართველოს ეს რა სიკეთეს მოუტანს?

— ძალიან დროული კითხვაა. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე საბჭოთა კავშირში ყავის ნედლეულის ყველაზე დიდი მიმწოდებელი აფრიკის კონტინენტი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი, ეს უდიდესი სივრცე აფრიკისთვის კარგა ხანს დაკარგული იყო. დაახლოებით 10 წელი მაინც დასჭირდა აფრიკის სახელმწიფოებამდე იმ აზრის დაყვანას, რომ საბჭოთა კავშირში მარტო რუსეთი კი არა, კიდევ 14 დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. და რომ ამ ქვეყნებთან პირდაპირ კავშირებზე გასვლა არანაკლებ საჭირო და მნიშვნელოვანია. თავის მხრივ, ასეთი კავშირები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში, მაგალითად, კოტ-დ'ივუარიდან შემოვა კაკაოს მარცვალი და ყავა...

— მაინტერესებს, ამ წუთში კოტ-დ'ივუარული ყავით ხომ არ მიმასპინძლდებით?

— არა. სამწუხაროდ, საქართველოში ამჟამად კოტ-დ'ივუარიდან არანაირი ყავა არ შემოდის. თქვენ თბილისში ნაყიდ ყავას მიირთმევთ. მართალია, ძალიან ვფრთხილობ, მაგრამ მაინც მინდა გითხრათ, თანაც, როგორც კონსულმა კი არა, როგორც საქართველოს მოქალაქემ, რომ საქართველოში შემოტანილი ყავის უდიდესი ნაწილი...

— ფალსიფიცირებულია, ხომ?

— კარგია, რომ ეს სიტყვა პირველმა თქვენ ახსენეთ. საერთოდ კი, აქ მარტო ფალსიფიცირებაზე არ არის საუბარი. კოტ-დ'ივუარელმა ბიზნესმენებმა, რომლებსაც საქართველოში ყავის ბიზნესის წამოწყება და სერიოზული ინვესტიციების ჩადება აქვთ გადაწყვეტილი, საქართველოს ბაზარზე შემოსული ყველა ყავა შესამოწმებლად ლონდონში გადააგზავნეს. იქიდან მიღებულმა დასკვნებმა თვით ყველაზე უარეს მოლოდინსაც კი გადააჭარბა: ამ ყავის 60%-ში სახელდობრ, ყავა ძალიან ცოტაა. აღარას ვამბობ ჯანმრთელობისთვის საზიანო იმ დანამატებზე, რომლითაც ხშირ შემთხვევაში, ასეთი „ყავა“ უხვადაა გაჯერებული...

— კოტ-დ'ივუარელი ყავის მწარმოებლები რაღას გვპირდებიან?

— თუ ყველაფერი მართლაც ისე წარიმართა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში საქართველოს ბაზარზე გამოჩნდება ახალი ტიპის ყავა, რომელსაც აფრიკული ყავა „აკვაბა“ („კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“) ერქმევა და ქართველი მომხმარებელი ნამდვილი ყავის გემოსაც ისევ გაიხსენებს...

— თქვენს ბიზნესმენებს აგრეთვე „ველურ“, ქართულ ბაზარზე ფეხის მოკიდება არ გაუჭირდებათ?

— თუ ჩვენს ბიზნესმენებს რაიმე პრობლემა შეექმნებათ, მჯერა, რომ საქართველოს წელისუფლება მათ ყველანაირად მხარში ამოუდგება.

— ისე, ახლა, მხარში დგომა საქართველოს ხელისუფლებას აქეთ უფრო სჭირდება: მიწისძვრის მძიმე შედეგების ლიკვიდაცია მაქვს მხედველობაში...

— ის უბედურება, რაც თბილისში მოხდა, საქართველოს მხარში დგომას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას ავალებს, ჩვენ კი, საქართველოში აკრედიტებულმა საპატიო კონსულებმა, ამ მიზნით მთელ მსოფლიოში ყველა ჩვენს კოლეგასთან დაკავშირება გადავწყვიტეთ. ჩვენი საკონსულო, ბოლო სამი დღის განმავლობაში, მხოლოდ ფაქსებისა და ანგარიშის ნომრების გაგზავნითაა დაკავებული. გვჯერა, რომ კოლეგები ჩვენს თხოვნას უთუოდ გამოეხმაურებიან და ამ გზით საქართველოში საკმაოდ სოლიდური

მსოფლიოს კონსულთა ასოციაციის ყრილობაზე მექსიკაში (მარცხნიდან პირველი)

დახმარებაც შემოვა, რომელსაც, საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების შემდეგ, ათივე საპატიო კონსული კონკრეტულ მისამართებზეც თავადვე გავანაწილებთ.

— როგორც ვიცი, საპატიო კონსულს ისედაც ბევრი ფუნქცია აკისრია...

— 1963 წლის ვენის კონვენციით, საპატიო კონსულს შტატიანზე ბევრად მეტი ფუნქცია აქვს. ხშირ შემთხვევაში, საპატიო კონსული იმ ქვეყნის მოქალაქეა, სადაც ის სამუშაოდ ინიშნება. როგორც უკვე გითხარით, პირადად მე, საქართველოს მოქალაქე ვარ, თუმცა, ცხადია, ყველა ის უფლება მაქვს, რაც ნებისმიერ საპატიო კონსულს. ზოგჯერ კი — უფრო მეტიც. იმიტომ, რომ, ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ ქვეყნის საპატიო კონსული მისივე საელჩოს დაქვემდებარებაში იმყოფება. ჩვენ კი — დამოუკიდებელი ორგანიზაცია, საპატიო გენერალური კონსულის ხელმძღვანელობით მოქმედი სრულუფლებიანი საკონსულო ვართ.

— სავაჭრო-ეკონომიკურის გარდა, ალბათ, თქვენი საკონსულო ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო-ტექნიკურ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში შეთანხმებებზეც სერიოზულად ზრუნავს...

— რა თქმა უნდა. პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ ახლო მომავალში ჩვენთან, საკონსულოში, საინფორმაციო ხაზი ანუ ე.წ. სადღეღამისო „ცხელი ხაზი“ გაიხსნება, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, ჩვენთან დარეკვა და კოტ-დ'ივუარზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეეძლება. ცოტა ხანში, ამავე „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, კვლავ განვაახლებთ ინფორმაციის შეგროვებას იმის თაობაზე, არიან თუ არა ჩვენში კოტ-დ'ივუარში სამუშაოდ წასვლის მსურველები. თუ ასეთი მსურველები აღმოჩნდებიან, ისინი სპეციალურ დოკუმენტებს შეავსებენ, რომელსაც ჩვენ კოტ-დ'ივუარში გადავაგზავნით და თუ იქიდან მიწვევაც მოვა, ყველაფერი კონტრაქტის დონეზე გაფორმდება.

— ამჯერად კვალიფიციური სპეციალისტების მიწვევაზეა ლაპარაკი თუ ნებისმიერ მუშახელზე?

— მხოლოდ კვალიფიციურ სპეციალისტებზე, რადგან უბრალო მუშახელი იქაც ბევრია და ძალიან იაფიც. სხვათა შორის, სამი ქართველი სპეციალისტი უკვე გავაგზავნეთ კოტ-დ'ივუარში. ამჟამად ისინი ქალაქ აბიჯანში ცხოვრობენ და საქმეც ჩინებულად მისდით.

— საქართველოში თუ ცხოვრობენ კოტ-დ'ივუარის მოქალაქენი?

— არა. ბოლო მონაცემებით, საქართველოში კოტ-დ'ივუარის არც ერთი მოქალაქე არ ცხოვრობს.

— არც თქვენთან, საკონსულოში, მუშაობს ვინმე?

— ჩვენი საკონსულოს შტატები მთლიანად საქართველოს მოქალაქეებით არის დაკომპლექტებული... ისე, თუ კოტ-დ'ივუარული ბიზნესი საქართველოში ნამდვილად შემოვა, იქაური კომპანიები აქ თავიანთ წარმომადგენლობებსაც გახსნიან, ფეხსაც მოიკიდებენ და ზოგი, ალბათ, მუდმივადაც დამკვიდრდება.

— რამდენადაც ვიცი, ბიზნესის კეთება არც საპატიო კონსულს ეკრძალება...

— დიახ, ასეა. თუმცა, პირადად მე, ასეთ საქმიანობას არ ვეწევი. ისე, რომ მინდოდეს ბიზნესის გაკეთება, ნამდვილად გავაკეთებ... მაგრამ ჯერჯერობით არ მინდა, რადგან ჩემი ამჟამინდელი ანაზღაურება სავსებით მაკმაყოფილებს.

— მოდით, ახლა ნებისმიერი საკონსულოსთვის მტკივნეულ პრობლემას — ვიზებსაც შევეხოთ...

— მაშინ, მოდით, ჯერ ის გავარკვიოთ, თუ ვიზა რა არის. ვიზა იგივე თქვენი სახლის გასაღებია. ამიტომ თქვენ თქვენს მეგობარს საკუთარი სახლის გასაღებს ან მისცემთ და ან — არა. ზუსტად ასეთივეა ამა თუ იმ ქვეყნის მიერ გაცემული ვიზაც. ამიტომ, მისი გაცემა-არგაცემა მხოლოდ ამ ქვეყნის პრეროგატივაა.

— კოტ-დ'ივუარის ვიზის აღების მსურველი ჩვენში ბევრია?

— მსურველი ყოველთვის ბევრი იყო, მაგრამ, საბოლოოდ, ქვეყანაში თითო-ოროლა ჩადიოდა. საქმე ისაა, რომ საქართველოდან კოტ-დ'ივუარში ადამიანი პირდაპირი რეისით ვერ მოხვდება. ეს მან რომელიმე სხვა ქვეყნის — ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ან შვეიცარიის გავლით უნდა გააკეთოს. ამ ქვეყნებში ჩასული კაცი კი, კოტ-დ'ივუარისკენ გზას არც ისე ხშირად აგრძელებს. ამიტომ ბოლო ხანებში ყველანაირად ვცდილობთ, რომ ვიზების გაცემა მაქსიმალურად მკაცრად გავაკონტროლოთ. საერთოდ კი, არსებობს დოკუმენტების სპეციალური ნუსხა, რომელიც ვიზის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს. თუ ეს დოკუმენტები მოწესრიგებულია, ვიზის მიღება პრობლემას არც ჩვენთან წარმოადგენს.

— თქვენთან არ ვიცი, მაგრამ ბევრ სხვა საკონსულოზე კი ნამდვილად მსმენია, რომ იქ დოკუმენტებში წესრიგზე მეტად, ზოგჯერ საკითხს კონსულის განწყობილება წყვეტს: მოეწონები — მოგცემს ვიზას, არ მოეწონები — არ მოგცემს...

— იცით, რა? მე, რა თქმა უნდა, მიჭირს სხვა კონსულების მაგივრად ლაპარაკი, მაგრამ კონსული, პირველ რიგში, საკუთარი



აბიჯანის ბელადის ქუდი

ქვეყნის დავალებას ასრულებს და აქ მისი სიმპათია-ანტიპათია ნამდვილად არაფერ შუაშია. უბრალოდ, კონსული მშვენივრად ხვდება, მასთან ვიზის მისაღებად მისული ადამიანი გულწრფელია თუ ცრუობს...

— თუ ასეა, კონსული კარგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს, რომ მტყუან-მართლის ასე ადვილად გარჩევა შეეძლოს...

— რასაკვირველია. და ასეც არის! შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ყველა კონსული საკმაოდ სერიოზული ფსიქოლოგიცაა და იშვიათად ცდება. ამიტომ, საქართველოს მოქალაქეები რომელიმე კონსულზე კი არ უნდა იყვნენ გაბრაზებულნი, არამედ იმ ფირმებსა თუ ორგანიზაციებზე, რომელიც პრესით თუ ტელევიზიით გავრცელებულ ინფორმაციაში ურცხვად ცრუობენ — ამა თუ იმ ქვეყნის ვიზის გაცემა შეგვიძლიაო. ვიზის გაცემა მხოლოდ მოცემული კონკრეტული ქვეყნის საკონსულოს პრეროგატივაა და მეტი არავისი!

— რა თქმა უნდა, მაგრამ იმ კონკრეტულ ფაქტებს რალა ვუყოთ, როცა კონკრეტულ მოქალაქეს კონკრეტული ქვეყნის ვიზის ასაღებად კონკრეტულ თანხას სთხოვენ; გადაიხდის ამ თანხას — წავა, არ გადაიხდის — ვერ წავა!

— იცით, რა არის? თუ მოინდომე, ლაფში ვისაც გინდა, იმას ამოსვრი. თუ რომელიმე მოქალაქე ასეთი ფაქტის მოწმე ნამდვილად არის, ამაზე ჭორაობას არ ურჩევნია, ასეთ კონსულს სამართალდამცავ ორგანოებში უჩივლოს?

— ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებში ჩივილს, ხშირ შემთხვევა-



ში, რაც მოსდევს, ყველამ კარგად ვიცით. ამიტომ, მოქალაქეს, ჩივილს ფულის გადახდა და სასურველ ქვეყანაში მშვიდად გამგზავრება ურჩევნია...

— მაშინ მოდით, ასე დავსვათ საკითხი: ასეთი მოქალაქეები კონსულამდე საერთოდ კი აღწევენ?

— არ არის გამორიცხული, რომ მართლაც ვერ აღწევენ და ფულს მათ უფრო დაბალ ეშელონებში სძალავენ...

— გეთანხმებით. ასეთი ფაქტები არის... თორემ, ისე, ნამდვილად ვერ დამისახელებთ ისეთ ადამიანს, ვინც უცხოეთში სერიოზულ საქმეზე მიდიოდა და ვიზა არ მისცეს.

— შესაძლოა, ასეთებიც მოიძებნ[illegible]! მაგრამ მოვეშვათ ვიზების მარადიულ პრობლემას და ისევ კოტ-დ'ივუარს დავუბრუნდეთ...

— კიდევ კარგი! დავუბრუნდეთ...

— მაშინ, იქნებ, ჩვენს მკითხველებს და, პირველ რიგში, ვისაც კოტ-დ'ივუარისკენ გული ასე მხურვალედ მიუწევს, ამ ქვეყანაზე ზოგი საჭირო ცნობა კიდევ მივაწოდოთ...

— კი, ბატონო! კოტ-დ'ივუარი (სპილოს ძვლის ნაპირი) გვინეის ყურესთან მდებარეობს. მისი დედაქალაქია იამასუკრო. ეკონომიკურ დედაქალაქად აბიჯანი ითვლება. ქვეყნის მოსახლეობა 18 მილიონს შეადგენს. ყოველწლიურად კოტ-დ'ივუარიდან 4 მილიონი კუბური მეტრი ძვირფასი ჯიშის ხე გააქვთ. პირველია კაკაოს მარცვლის წარმოებაში და მსოფლიო ბაზარზე კაკაოს მარცვლის ფასსაც თავად განსაზღვრავს. მთელი მსოფლიოს შოკოლადის წარმოებაც კოტ-დ'ივუარზეა მიბმული. ყავის წარმოებით მეშვიდე ადგილზეა, ანანასის წარმოებით — პირველზე. სერიოზული ადგილი უკავია ბანანის წარმოებაშიც. ქვეყანაში განსაკუთრებით კარგადაა განვითარებული მსუბუქი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. კოტ-დ'ივუარი საკმაოდ სერიოზული ტურიზმის ქვეყანაცაა. მარტო ხუთასი კილომეტრის სიგრძის ოკეანის სანაპირო აქვს, თანაც — უმაღლეს დონეზე მოწყობილიც. ყოველწლიურად ქვეყანაში დაახლოებით 600.000 ტურისტი — ძირითადად, ევროპელები და ამერიკელები — ჩადის... ბოლო 40 წლის მანძილზე კოტ-დ'ივუარში არანაირი სერიოზული კატაკლიზმები არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით 2000 წლის სამხედრო გადატრიალებას, რომელსაც კოტა ხანში დემოკრატიული არჩევნები მოჰყვა და ქვეყნის პრეზიდენტად ისევ სამოქალაქო პირი მოვიდა, რაც აფრიკაში ძალიან იშვიათად ხდება.

— და არა მარტო აფრიკაში... ისე, ერთგან ისიც ამოვიკითხე, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში კოტ-დ'ივუარში საკმაოდ სერიოზულ ეთნოკრიზისებს ჰქონდა ადგილი, 80-იან წლებში კი — ეკონომიკურ კრიზისს. ეს ის პერიოდი იყო, როცა ამ ქვეყანას, საქართველოსი არ იყოს, კორუფცია და პროტექციაც ძალუმად ჭამდა. საინტერესოა, ყოველივე ამის დაძლევა როგორ მოახერხა, იქნებ, მისი მაგალითი საქართველოსაც გამოადგეს?

— მე არ ვიცი, კორუფციაში კონკრეტულად რას გულისხმობთ. ის მარტო საქართველოში ან აფრიკაში ხომ არ არის? კორუფცია მთელ მსოფლიოშია. ამიტომ მიჭირს ამაზე რაიმე კონკრეტული აზრის გამოთქმა. საერთოდ კი, იცით, რა არის? ნებისმიერი კორუფციონერი, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაშია, ჩვენივე გამოზრდილია. თითოეული ჩვენთაგანი უწყობს ხელს კორუფციას...

— ისე „ზემოდანაც“ კარგად გვეხმარებიან...

— ყველა ერს ის ხელისუფლება ჰყავს, რომელსაც იმსახურებს. რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს პრეზიდენტს — ედუარდ შევარდნაძე რომ არა, საქართველო საერთოდ დაინგრეოდა. მე ისიც მჯერა, ჩვენს ქვეყანას ყველა უბედურებიდანაც ისევ ის გამოიყვანს.

— ამას, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე აცხადებთ, თუ როგორც კოტ-დ'ივუარის კონსული?

— როგორც საქართველოს მოქალაქე! როგორც კოტ-დ'ივუარის წარმომადგენელი, მე ამ საკითხზე საერთოდ არანაირ კომენტარს არ გავაკეთებდი...

— ისე, ქართველი კაცი აფრიკაში მაინც რა ქარმა გადაგაგდოთ?

— ანუ ამ „გაუგებრობაში“ როგორ მოვხვდი, ხომ? მე 1992 წლიდან ვარ აფრიკის კონტინენტზე. თავიდან ეგვიპტეში ვიყავი საქართველოს სავაჭრო წარმომადგენელი, შემდეგ სხვადასხვა აფრიკულ ქვეყანაში სხვადასხვა სფეროშიც ვმუშაობდი... მოკლედ, დავრჩი და დავრჩი. 1998 წელს დღევანდელი თანამდებობა შემომთავაზეს. ბევრი არ მიფიქრია, ისე დავთანხმდი და არც ვნანობ. მეტიც, ჩემი დღევანდელი საქმიანობით ძალიანაც ვამაყობ. ცხადია, ბევრი დღესაც ვერ იგებს, ქართველი კაცი აფრიკის ქვეყანას რატომ წარმოვადგენ: სად ემიკო და სად კოტ-დ'ივუარიო. მერწმუნეთ, მოვა დრო, როცა აფრიკასთან ურთიერთობა საქართველოს ეკონომიკის უცილობელი ნაწილი იქნება. როცა დღეს აბიჯანში მეკითხებიან, საქართველო სად არისო, იცით, რას ვპასუხობ? პარიზზე შორს ნამდვილად არა-შეთქი. ასეც არის. მთავარია, სურვილი და კეთილი ნება იყოს, თორემ დაახლოება ნებისმიერ ქვეყანასთან შეიძლება და გამონაკლისს, არც კოტ-დ'ივუარი წარმოადგენს. იცით, რა ლამაზი ქვეყანაა და როგორ მენატრება? ერთი სული მაქვს, როდის ჩავალ.

— ოჯახით ჩადიხართ ხოლმე?

— ხანდახან...

— თქვენი ოჯახის წევრებზე რას გვეტყოდით?

— რა გითხრათ? მყავს ცოლი და ორი მოზრდილი ქალიშვილი — ერთი თექვსმეტის, მეორე კი 14 წლისაა... ოჯახში კიდევ, დოგი — გრაფი და კატა — ფისუნა გვყავს... ჰო, მართლა, იცით, რომ მე ქალაქ აბიჯანის პელადი ვარ?

— პელადი?

— დიახ. ნამდვილი პელადი. აგერ, ჩემს მაგიდაზე რომ უჩვეულო ქუდს ხედავთ, ჩემი პელადობის დამადასტურებელი ქუდია, კედლის კუთხეში კი, პელადის კვერთხია მიყუდებული... კოტ-დ'ივუარში პელადობა ყველაზე საპატიო წოდებაა, ოღონდ, ის იქ არჩევითია და მამიდან შვილზე არ გადადის. ასე რომ, ახლა მე ვარ ერთ-ერთი ის თეთრკანიანი, ვინც 2001 წელს აბიჯანელებმა თავიანთ პელადად ყველა წესისა და კანონის დაცვით აირჩიეს.

— მაინც რა დამსახურებისთვის გაგაბელადეს?

— რა გითხრათ, აბა... ალბათ ჩათვალეს, რომ კარგად ვმუშაობდი... ისე, ეს ხომ ჩვენებურად საპატიო მოქალაქეს ნიშნავს... მე კოტ-დ'ივუარის ეროვნული ორდენის ოფიცერიც ვარ. ესეც საკმაოდ მაღალი რანგის ჯილდოა, რომლითაც მხოლოდ მინისტრებსა და ელჩებს აჯილდოებენ...

— როგორც პელადსა და ორდენოსანს, რაიმე განსაკუთრებული მოვალეობები ხომ არ გეკისრებათ?

— ჩემი მთავარი მოვალეობა, კოტ-დ'ივუარის საუკეთესო მხრიდან წარმოჩენაა...

ერმილე თორთლაძე და დოგი გრაფი

რის მონიკა, რა ლევინსკი?

ანუ ალექსანდრე მეტრეველის ამერიკული ვნებანი

ნანა ქიბიშაური

არ მითხრათ, ეს კაცი სადღაც მინახავსო. ალეკო მეტრეველი ტელეოპერატორია. ყოველთვის იქ არის, სადაც რაღაც ხდება, მაგრამ თავისი პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, კადრში თითქმის არასდროს ხვდება. მისი კადრს მიღმა ცხოვრება კი, საკმაოდ დინამიკურია და არანაკლებ საინტერესო, ვიდრე რომელიმე ცნობილი ჟურნალისტის, რომელსაც ხშირად წარმოვიდგენთ ხოლმე ამ რუბრიკაში. დიდი ხანი არ არის, რაც ალეკო ამერიკიდან ჩამოვიდა. მის ჩამოსვლამდე კი, თბილისში მყოფი მეგობრები ნამეტნავად ღელავდნენ. ერთი, გვარს შეუნებულად არ დავასახელებ, ჩიოდა: ჩვენს ალექსანდრეს თურმე მონიკა ლევინსკის საქმეო კომპანიაში ხედავენ ხშირად და იმ ქალმა, ამ კაცსაც რამე ფარსავი არ აუტეხოსო. მეორე აწუწარებდა: შეადარე ახლა შენ კლინტონისა და მეტრეველის მოხერხებულობა ერთმანეთსო. მერე სხვა ინფორმაცია მიიღეს: ამერიკელები მეტრეველს რობერტ დე ნიროს ამსგავსებენ და ჩვენ რომ არ დაგვესიზმრება, ისეთი გოგონები სულ გუნდ-გუნდად დასდევენ უკანო. ახლა იმაზე დაიწყეს ნერვიულობა – გაითუ, ისე გაერთოს ავტოგრაფების დარიგებით, საშუაოს გული გელარ დაუდოს, ანდა ლამაზმანებისგან განებივრებულმა, საერთოდ აღარ იფიქროს დაოჯახებაო. ამაოდ ღელავდნენ. ალექსანდრე მეტრეველი ის ოპერატორია, რომელსაც ლამაზმანების გარემოცვაში კი არა, ჯუნგლებში, მშიერი ვეფხვების ალყაში მოქცეულსაც მშვიდად შეუძლია, თავისი საქმე აკეთოს. ამ და კიდევ სხვა საინტერესო ამბებზე, უფრო დაწვრილებით, ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ალეკო, რას ნიშნავს, იყო ოპერატორი და რაშია ამ პროფესიის ხიბლი?

– ალბათ იმაში, რომ ეს არის ყველაზე არაეგოისტური პროფესია. ვნახავთ თუ არა რაიმეს კარგს, ლამაზს და საინტერესოს, ბოლომდე მისით დატკბობის ნებას საკუთარ თვალებსაც არ ვაძლევთ ხოლმე, ისე სწრაფად მოვიმარჯვებთ კამერას, რომ ეს ყველაფერი სხვებსაც ვაჩვენოთ. სამწუხაროდ, ოპერატორი მაყურებელს მხოლოდ სილამაზეს როდი აზიარებს: ჩვენ მას ვთავაზობთ ვიდეოფირზე აღბეჭდილ რეალობას, რომელიც ზოგჯერ არცთუ ისე სასიამოვნო სანახავია. ჟურნალისტებთან შედარებით, ოპერატორები მაინც ბედნიერი ხალხი ვართ. ჩვენ ცალი თვალით ვუყურებთ ამ ცხოვრებას, ისინი კი პირდაპირ ეჯახებიან იმ საშინელებას, რასაც ყოველდღიურობა გვთავაზობს. სისხლი, ძალადობა, სტიქია... როგორც არ უნდა შეეცადო, ამ ყველაფერს ისე ვერ გააკეთილშობილებ, რომ მსგავსი კადრების ნახვის შემდეგ, უსიამოვნო განწყობა არ შემოგრჩეს. ოპერატორობა, დროთა განმავლობაში უკვე ჩვევაში გადადის. ოპერატორები, პენსიაზე გასვლის შემდეგაც კი, როცა რაღაც საინტერესოს მოჰკრავენ თვალს, ინსტინქტურად ეძებენ ხელით კამერას. ჩემი აზრით, ოპერატორობა მარტო პროფესია კი არა, სპორტიცაა. ვიდეოკამერა და მისი სრული აღჭურვილობა საკმაოდ მძიმეა. თოვლში, წვიმაში, ქარში, ომში, მიტინგზე – ყველანაირ პირობებში უნდა შეძლო ამ სიმძიმით სირბილი. მთელი დღე ასე უნდა ირბინო, საღამოს კი, აპარატურა უვნებელი მიიტანო ტელევიზიაში. აი, ამაშია ოპერატორის ხელოვნების მთელი ხიბლი.

— ცნობილია, რომ აგრესიული მასის პირველი სამიზნე ვიდეოკამერაა. როგორ ახერხებთ მის დაცვას?

– ასეთ სიტუაციაში, მეც და ჩემი კამერაც ხშირად აღმოვჩენილვართ და უკვე გამოვიმუშავეთ თავდაცვის ინსტინქტი. ოპერატორს მოეთხოვება, იყოს კარგი ფსიქოლოგიც და შეძლოს მართოს ემოციები. ვიდეოკამერას საქართველოში აღიქვამენ, როგორც იარაღს. იარაღიანი კაცი კი, ყოველთვის დამატებითი გამღიზიანებლის როლს თამაშობს. საერთოდ, სჯობს, არანაირ პოლემიკაში არ ჩაერთო, შენი საქმე სწრაფად დაასრულო და სხვა ადგილას გადაინაცვლო. ოპერატორისთვის დუმილი რომ ოქროა, ამას სოხუმშიც მივხვდი. მე და კორესპონდენტი თინა ტერელაძე, ერთი წლის წინ მოვხვდით იქ. გადაღების დამთავრების შემდეგ, რამდენიმე წუთით პლაჟზე გავლა გადავწყვიტეთ. უცებ ვხედავ, მოდის სამი მთვრალი აფხაზი. სიცილით მომიახლოვდნენ და დამიწყეს აფხაზურად ლაპარაკი. მე თავს ვუქნევ და მათთან ერთად ვიცინი. ხუთი წუთის განმავლობაში მიყვებოდნენ რაღაც სასაცილო ამბავს, რომელსაც ნამდვილად ვერ მოგიყვებით, რადგან ერთი სიტყვაც კი არ გამიგია, მაგრამ გულიანად კი ვიცინე. როგორც იქნა, თავი დამანებეს. ხელის აწევით დავემშვიდობე და შვებით ამოვისუნთქე. ოპერატორს, თავისი საქმის პარალელურად, ჟურნალისტის პირადი დაცვის როლის საკუთარ თავზე აღებაც უწევს ხოლმე. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მართლაც ხელით გამომიყვანია, მიტინგზე შექმნილი დაძაბული სიტუაციიდან ჟურნალისტი. სატელევიზიო მასალა კომპლექსური სამუშაოა. ძალიან ბევრი რამ არის ჟურნალისტისა და ოპერატორის ურთ-

ინდოელი მილიონერი აერობიკის ქართველ ოსტატებთან ერთად

ინდოეთში, აერობიკის ჯგუფთან ერთად (მარცხნიდან მეორე)

იერთობასა და თანამშრომლობაზე დამოკიდებული. რაც უფრო ხშირად მუშაობენ ისინი ერთობლივად, მით უფრო ადვილად უგებენ ერთმანეთს და კონფლიქტურ სიტუაციებსაც ადვილად აღწევენ თავს.

— გაიხსენეთ კადრები, რომელიც დიდი რისკის ფასად მოიპოვეთ.

— აფხაზეთის ომის დროს, წინა ხაზზე გავედით და იქ გადაღებული კადრები მართლაც დიდი რისკის ფასად გადავიღეთ. მაგრამ ამ კადრების გადაღებაზე უფრო ძნელი აღმოჩნდა ჩვენი სოხუმიდან წამოსვლა. ვერტმფრენებით დაჭრილები გადმოჰყავდათ. ჩვენი ადგილი არ იყო. ასე გავიდა რამდენიმე დღე. ბოლოს ვიმგზავრე იმ ვერტმფრენით, რომლითაც მიცვალებულები გადმოასვენეს. აფხაზეთში დაღუპულ ჩვენს ბიჭებთან ერთად ვიმგზავრე — ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ტრაგიკული დღე, რომელიც ჩემს პროფესიას უკავშირდება.

— ბევრს მოგზაურობთ. გაუთვალისწინებელი შემთხვევაც ალბათ, ხშირია თქვენს ცხოვრებაში?

— არის ქვეყნები, სადაც სიამოვნებით ჩავალ მეორედაც და მეათედაც, მაგრამ არის ისეთი ქვეყნებიც, რომელიც კაცმა მხოლოდ ერთხელ უნდა ნახოს. ჩემთვის ასეთი ქვეყანაა ინდოეთი. მართლაც საინტერესო და ეგზოტიკურია მისი ბუნება და ტრადიცია, მაგრამ გაიღება თუ არა თვითმფრინავის კარი და სალონში შემოვარდება თუ არა იქაური ცხელი ჰაერი და მხოლოდ იქაურთათვის დამახასიათებელი სუნი, მაშინვე მიხვდები, რომ უკვე თბილისი გენატრება და შინ დაბრუნება გინდა. ასე მომივიდა მეც, მაგრამ რას ვიზამდი? — ვახლდი ჯგუფს, რომელიც აერობიკაში ვარჯიშობდა და ინდოეთში გადაღებული ვიდეომასალა სჭირდებოდა. სასტუმროდან გამოსულმა ერთ მათხოვარს ფული მივეცი და იცით, რა მოხდა? არ ვიცი, საიდან გაჩნდა და ასე უცებ როგორ მოიყარა თავი ჩემ გარშემო ამდენმა საცოდავმა ხალხმა. მთელი ქუჩა მე შემომეხვია. მომყვებოდნენ, ხელს მკიდებდნენ, თან ისეთ ჭუჭყიან ხელებს, რომ იძულებული ვხდებოდი, სახლიდან გამოსული, მეექვსედ და მეშვიდედ ავსულიყავი კვლავ ჩემს ნომერში და საფუძვლიანად მებანავა... აუტანელი სიცხე იყო. აერობიკას საცურაო კომპლექსში ვიღებდით. იქ ხშირად მოდიოდა ერთი ჩალმიანი ინდოელი, რომელიც ჩვენი გოგონების ვარჯიშს ადევნებდა თვალს. ვფიქრობდი, ვიღაც დამსვენებელია-მეთქი და ერთი-ორჯერ შევთავაზე, ჩემს ცივ წყალს გიწილადებმეთქი. მოგვიანებით გავიგეთ, რომ იმ საცურაო კომპლექსის მეპატრონე, ინდოეთში ცნობილი მილიონერი ყოფილა... ერთ დღესაც გამოგვიცხადეს, კომპლექსის მეპატრონე თავისთან გიხმობთო. იმ კაცმა გვითხრა, რომ მისი ცოლიც აერობიკით იყო გატაცებული და, მისი პატივისცემის ნიშნად, რასაც ვთხოვდით, ყველაფერს შეგვისრულებდა. ჩვენ ვთხოვეთ: ვარჯიშის გადაღება ქალაქგარეთ გვინდა და ამის ორგანიზებაში დაგვეხმარეთ-თქო. მეორე დღეს, კართან ორი ჯიპი და ის მილიონერი გველოდა. გამოგვიცხადა, რომ გვეპატიჟებოდა ისეთ ადგილას, სადაც ყველა ტურისტი ვერ შეაღწევდა. მოკლედ, აღმოვჩნდით იქ, სადაც მაუგლიმ გაატარა ბავშვობა — გაუვალ ჯუნგლებში! შეარჩიეს გოგონებმა შესაფერისი ადგილი, ჩართეს მთელი ხმით მუსიკა და დაიწყეს ორმეტრიანი ფეხების ქნევა. შემოგვალამდა. მე მუშაობით ვარ გართული, გოგონები კვლავ ვარჯიშობენ, ჩვენი თანმხლები მილიონერი კი, ერთ ადგილას ვეღარ ჩერდება, ნერვიულობს, ცმუკავს და გვეხვეწება — დროა, წავიდეთო. ჩვენ მაინც არხეინად განვაგრძობთ ჩვენს საქმეს: კიდევ ერთი დუბლი, აბა ჰე, აბა ჰო, წავიდა! — მუსიკის ხმა ჯუნგლებს აყრუებს... თურმე, ის ადგილი, სადაც ვიმყოფებოდით, ვეფხვებით ყოფილა სავსე. ჩავსხედით თუ არა ჯიპში, 100 მეტრიც არ გვექნებოდა გავლილი, რომ ატყდა ერთი ჩოჩქოლი: „თაიგერ, თაიგერ!“ ბუჩქებში ჩასაფრებულ ვეფხვს რომ წავადექით თავზე, გოგონებმა ისეთი წივილ-კივილი ატეხეს, რომ ვეფხვი ჯერ გაკვირვებული შემოგვაცქერდა, მერე კი გაიქცა.

— ამერიკაში, დე ნიროს ნაცვლად ავტოგრაფებს რომ არიგებდით, მართალია?

— არა. ავტოგრაფები ნამდვილად არ დამირიგებია. უბრალოდ, იქაური ჟურნალისტები და ფოტოკორესპონდენტები მეუბნებოდნენ, დე ნიროს ჰგავხარო. ეს დღემდე მიკვირს — ჩემსა და დე ნიროს შორის, ვერანაირ მსგავსებას ვერ ვხედავ.

— აი, ხალიც რომ გქონდეთ ღაწვზე, უფრო დაემსგავსებოდით...

— ვერც დე ნიროსა და ვერც მისი თაყვანისმცემლების ხათრით, ხალს ნამდვილად ვერ გავიკეთებ.

— ისიც ჭორია, რაც თქვენსა და მონიკა ლევინსკიზე ითქვა?

— რის მონიკა, რა ლევინსკი? — ეს ყველაფერი ჩემი მეგობრების მოგონილია. ერთი-ორჯერ შევედი კაფეში ქალთან ერთად. როგორი დე ნიროც მე ვიყავი, ისეთივე ლევინსკიც ის იყო...

— ამერიკაში რა ახდენს თქვენზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას?

— ის, რომ იქ უამრავი მანქანა დადის, ჰაერი კი ისეთია, ტყეში გეგონება თავი.

— სიურპრიზებზეც ვთქვათ რამე...

— ჩემი ბოლოდროინდელი სიურპრიზი, რომელიც ფორტუნამ მომიწყო, ავიაკომპანიის შეცდომას უკავშირდება. ამერიკაში მგზავრობისას, ამსტერდამში უნდა გადავმსხდარიყავით სხვა თვითმფრინავში. ჩავფრინდით და აღმოჩნდა, რომ ჩვენი დაჯავშნული ბილეთები ავიაკომპანიას გაუყიდია. ავტეხეთ ერთი ამბავი: იქ ხალხი გველოდება, ასე როგორ შეიძლება-თქო?! თურმე რა გაყვირებს? — ავიაკომპანიამ, კომპენსაციის სახით, თითოეულს 300-300 ევრო გადაგვიხადა, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაგვაბინავა, რესტორანში კვების ფული აგვინაზღაურა, საუკეთესო საპარფიუმერიო საშუალებებით მოგვამარაგა; ქალაქში გასასვლელად ვიზაც ჩაგვირტყეს, სამწუთიანი



სოხუმში

თვითმფრინავის სალონში სამთავრობო დელეგაციასთან მგზავრობისას

სატელეფონო ბარათიც მოგვცეს... სრულიად მოულოდნელად დავათვალიერეთ ამსტერდამი და შესანიშნავადაც დავისვენეთ. ავიაკომპანიას მეორე დღესაც რომ რაიმე შეცდომა მოსვლოდა, პირადად მე, ამის საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა...

— რა არის ამჟამად თქვენი, როგორც ოპერატორის ნომერ პირველი პრობლემა?

– ეს პრობლემა ყოველთვის იდგა, დგას და კიდევ დიდხანს იქნება ოპერატორების წინაშე: ეს არის ტანსაცმლის პრობლემა. შეიძლება, დილით სახელმწიფო კანცელარიაში წახვიდე, შუადღისას – ტყეში, საღამოს კი პარლამენტში აღმოჩნდე. ყველგან ნორმალურად უნდა გამოიყურებოდე, ე.ი. იმის შესაფერისად, რა გარემოშიც ხარ... ჟურნალისტებიც ანალოგიურ მდგომარეობაში არიან: მათი ძირითადი პრობლემა – ფეხსაცმელია. მახსოვს, ახალი ლიანდაგის გახსნის ცერემონიას ვიღებდით. ლენტი მაშინდელ სახელმწიფო მინისტრს, გია არსენიშვილს უნდა გაეჭრა. ჩამოვედით მატარებლიდან, ჩამოვიტანე შტატივი და კამერა. შტატივი იქვე, მატარებელთან, ბაქანზე დავტოვე, კამერა კი, თან წავიღე. 500 მეტრით დავცილდით მატარებელს; ძალიან გაგვიჭირდა – მეც და ჟურნალისტსაც თხელძირიანი ფეხსაცმელი გვეცვა, ახალდაყრილმა ქვიშამ ტკივილისგან ისტერიკამდე მიგვიყვანა, თუმცა, არც ერთი არ ვიმჩნევდით და ვცდილობდით, ჯგუფს არ ჩამოვრჩენოდით. ჟურნალისტს ფეხებიდან მარილა სდიოდა სისხლი. როგორც იქნა, დამთავრდა ცერემონია. მატარებელთან მისვლა აღარ მოგვინდა – ის თვითონ მოვიდა იქ, სადაც ვიყავით. და უცებ – შტატივი! – გამახსენდა, რომ შტატივი ბაქანზე მქონდა დატოვებული. უნდა მომესწრო, სანამ ხალხი მატარებელში ავიდოდა. ამ დროს, არსენიშვილის ინტერვიუს იწერდნენ. გავუყევი სირბილით ამ ქვიშიან ლიანდაგს, თან ვფიქრობ: წავა ახლა მატარებელი და დავრჩები ამ ტყე-ღრეში კამერიან-შტატივიანად-მეთქი. საბედნიეროდ, არსენიშვილი დინჯად მოსაუბრე კაცია: როცა დავბრუნდი, მას ინტერვიუ დამთავრებული არ ჰქონდა.

— იმ ოპერატორებს, რომლებმაც „ინტერნიუსის“ კურსები გაიარეს, მუშაობის განსხვავებული სპეციფიკა აქვთ...

– მართალია. ჩვენთან, წამყვანი ტელევიზიების უმრავლესობა უკვე გადავიდა მუშაობის ახალ სტილზე. მათ შორისაა „პირველი არხიც“. უკვე დიდი ყურადღება ექცევა ოპერატორის ნამუშევარს, ვიზუალურ მხარეს. ამერიკელები თანამიმდევრული გადაღების სტილის დამკვიდრებას ცდილობენ. მაგალითად, არ შეიძლება, ადამიანი უცებ, პირდაპირ შენობაში ან მაგიდასთან მჯდომი აჩვენო – ის უნდა ამოვიდეს კიბეზე, შემოვიდეს ოთახში, დახუროს კარი... ვერ ვიტყვი, რომ დღეს უცხოელ და ჩვენს ოპერატორებს შორის დიდი განსხვავებაა. უბრალოდ, მათ ისეთ თანხას უხდიან, ჩვენ რომ ასტრონომიულს ვეძახით. თუმცა, ფაქტია: მათი დახმარებით ჩვენ ბევრი რამ ავითვისეთ. პირადად მე, ოპერატორობამდე ფოტოხელოვნებით ვიყავი გატაცებული. ტელევიზიაში მისვლის შემდეგ, ამ საქმის შესახებ 9 აპრილის ტრაგიკული დღეების დროს, უცხოელი ოპერატორების ნამუშევრების ნახვის შემდეგ, უფრო მეტი გავიგე, ვიდრე წლების განმავლობაში მქონდა ნასწავლი: ყურადღებით ვადევნებდი თვალს მათ მიერ გადაღებულ შავ მასალას, ვდარებდი სხვა ოპერატორების ნამუშევარს და მივხვდი, როგორ სჯობდა გადაღება.

— ბევრს აქვს „კამერის კომპლექსი“. როგორ ამზადებ ასეთ ხალხს ჩაწერისთვის?

– კამერის შიში ყველას აქვს. ეს განსაკუთრებით იმ ადამიანებს ეტყობათ, რომელთაც ვიდეოკამერასთან ხშირი კონტაქტი არ აქვთ. უმჯობესია, მათი საუბარი მაშინ ჩაიწეროს, როდესაც ჰგონიათ, რომ კამერა ჩართული არ არის.

— პოლიტიკოსებიდან თუ არის ვინმე ასეთი?

– პოლიტიკოსებიდან – არავინ. ისინი დღის განმავლობაში 4-5 ინტერვიუს წერენ და ისე არიან ვიდეოკამერასთან მუშაობას შეჩვეულნი, რომ არანაირი პრობლემა არ აქვთ. ჩემთვის ერთადერთი „პრობლემური“ ადამიანი, დავით მირცხულავაა – ისიც, იმიტომ, რომ მას სულ ეჩქარება, საუბრის დროს სულ მოძრაობს და ამის გამო, ხშირად იცვლება ხოლმე ფონი.

— ჩაწერამდე ალბათ გიწევს ლოდინი — როდის გამოიპრანჭებიან ჟურნალისტი გოგონები... ეს პროცესი ხომ არ გაღიზიანებს?

– პირდაპირი ეთერის დროს, მოსაპრანჭად დრო ნამდვილად არ რჩებათ. ამ დროს მე ვარ მათი სარკეც, სტილისტიც და პარიკმახერიც. ერთი ღერი თმაც კი, თუ ის უწესრიგოდაა, ყველაფერს აფუჭებს ეკრანზე. ვარცხნილობას ძალიან შესამჩნევად აფიქსირებს ვიდეოკამერა. ჭუჭაში ვვარცხნი ჟურნალისტს, გამვლელები, რა თქმა უნდა, ვერ ხვდებიან, რაშია საქმე, რატომ ვარცხნის ეს კაცი ამ ქალს და გაკვირვებულები შემოგვყურებენ ხოლმე; გავიქცევი, ჩავიხედავ კამერაში – ყველაფერი ბრწყინვალეაა; უცებ, წამოუბერავს ქარი, წამოექორჩებათ თმა და მთელი ჩემი წვალება წყალშია ჩაყრილი და ხელახლა იწყება მთელი ეს პროცესი...

— პაპარაც ოპერატორებზე რას იტყვით?

– ჩვენთან ისინი, მე მგონი, საერთოდ არ არსებობენ.

— ფარული კამერით თუ გიმუშავიათ?

– მიმუშავია. ეს მართლაც ძალიან საინტერესოა. თუმცა, ამასაც თავისი სპეციფიკა აქვს.

— თუ იცით, რას ამბობს კანონი ფარული კამერით მუშაობის შესახებ? — რისი უფლება აქვს ოპერატორს და რისი — იმ პირს, ვისაც იღებენ?

– არ ვიცი, რას ამბობს კანონი და, სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს. ჩემთვის კანონია ჟურნალისტის სიტყვა: მან უნდა მითხრას, რა სჭირდება ჩემგან და მე, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა მოვახერხო ასეთი კადრების აკრება. ამ პრინციპით მუშაობენ „პირველი არხის“ ოპერატორები და მე ვფიქრობ, საქმე არც ისე ცუდად გამოსდით. ჩვენი ტელევიზია ყველაზე ძველია, მაგრამ ამავე დროს, ყველაზე ახალგაზრდა: ორი წელია, სულ ახალ სტანდარტზე გადავედით და თუ რაიმე იაღლიში მოგვდის, ამის ბრალია და იმედია, ესეც მალე გამოსწორდება. კომუნისტების დროს, ჩვენი ტელევიზია, თავისი გადაცემებითა და ვიზუალური სახით, ბევრად სჯობდა რუსეთის ტელევიზიას. ცოტაც გვაცალეთ, ბატონო, და...

P.S. ჩვენ კი ვაცლით, მაგრამ კოლეგები არ აცლიან ალექსანდრე მეტრეველს ინტერვიუს დასრულებას: რაციით იძახებენ და ისიც, კეპით, ბოტასებსა და უამრავ ჯიბიან შარვალში გამოწყობილი, მთავრობის სხდომაზე გარბის. სიმძიმით სირბილისა და ტანსაცმლის პრობლემის შესახებ კი, უკვე მოგახსენეთ...

აბსანძესა და ქობალიასთან ერთად გაქცეული პატიმრის საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს

მას მამა-შვილის მკვლელობის წაქეზებაშიც ადანაშაულებენ

მეგი ცანავა

უზენაეს სასამართლოში, გურამ აბსანძესა და ლოთი ქობალიასთან ერთად ციხიდან, გათხრილი გვირაბის საშუალებით, გაქცეულ პატიმარს – ხვიჩა მანჩხავას ასამართლებენ. როგორც ამბობენ, ის „სახელგანთქმული“ გვირაბი, ძირითადად, სწორედ მანჩხავამ გათხარა... თუმცა, ამ დანაშაულის გარდა, პროკურატურა მას სისხლის სამართლის კოდექსის კიდევ ექვსი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში სდებს ბრალს. მანჩხავას, ჯგუფთან ერთად, ავტომანქანის ყაჩაღობაში (ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით), ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენაში, შენახვაში, ტარებასა და გადაზიდვაში, მნიშვნელოვანი დოკუმენტების გატაცებაში, ორი ადამიანის განზრახ მკვლელობის წამქეზებლობაში და ერთი ადამიანის განზრახ მკვლელობის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის ადანაშაულებენ. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მანჩხავამ თავისი ახლობელი, მამა-შვილის – ბიჭიკაშვილების და მათი ნათესავის ავტომატით მკვლელობისკენ წააქეზა. განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ, გარდაცვლილთა გვამები, მკვლელის დახმარებით, ჭაობთან მიათრია და დაწვა...

სახელმწიფო ბრალმდებლის განცხადებით, მანჩხავა, ისევე, როგორც მისი თანამზრახველები, დანაშაულის ჩადენისას მთვრალი იყო. ბოროტმოქმედების მოტივი კი, პროკურორის თქმით, ანგარება გახლდათ. თუ ვისგან შეიძინა მანჩხავამ ცეცხლსასროლი იარაღი – ავტომატი და საბრძოლო მასალა, გამომძიებამ ვერ დაადგინა. ხოლო რაც შეეხება მკვლელობებს, როგორც გაირკვა, ყველაფერი ავტომანქანის დაყაჩაღების ამბით დაიწყო.

1993 წელს თავდაცვის სამინისტროს საარმიო კორპუსის ერთ-ერთი ბატალიონის რიგითმა ჯარისკაცებმა – ალექსი ბექაურმა, ჯიმშერ ბიჭიკაშვილმა და ამ უკანასკნელის ბიძაშვილმა – ვლადიმერ ბიჭიკაშვილმა, ავტომანქანა გაიტაცეს. მანქანის პატრონმა დამნაშავეებს მიაგნო, ავტომანქანა დაიბრუნა და გამტაცებლებს ზარალის ანაზღაურება კატეგორიულად მოსთხოვა.

1993 წლის 12 ივლისს, დაახლოებით დღის 3 საათზე, ბექაური და მისი მეგობრები – ქართლოს ჩილინდრიშვილი, კახაბერ ღარიბაშვილი, ზაზა გოგოლაძე და ზურაბ თარაშვილი მანქანის პატრონისთვის თანხის გადახდასთან დაკავშირებით ბიჭიკაშვილებთან შესახვედრად წავიდნენ. მოლაპარაკება საღამოს 9 საათისთვის გადადეს. მანამდე კი ღარიბაშვილის მამის მანქანით, რომელსაც თავად ღარიბაშვილი მართავდა, საქეიფოდ თბილისის ზღვისკენ გაემართნენ. როგორც პროკურატურა აცხადებს, მათ თან ბექაურის ნათესავი – ხვიჩა მანჩხავა ახლდათ. ცხრის ნახევრამდე იქეიფეს. შემდეგ ნასვამები ბიჭიკაშვილებთან შესახვედრად, დათქმული ადგილისკენ – მეტროსადგურ „ახმეტელისკენ“ წავიდნენ.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, მგზავრობისას, ბექაურმა მანჩხავას რამდენიმე დღის წინ გატაცებული ავტომანქანის შესახებ უამბო. ისიც უთხრა, რომ პატრონმა მათ მიაგნო, მანქანა დაიბრუნა და ზარალისთვის 1 მილიონი რუსული რუბლის გადახდაც მოითხოვა. მისივე თქმით, ბიჭიკაშვილები თანხის ნაწილის გადახდას ბექაურსაც სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდნენ, რომ მანქანის პატრონს მის მისამართს შეატყობინებდნენ.

ბექაურს ფულის გადახდა არ სურდა. ბოლოს გამოსავალიც იპოვეს. შეთანხმდნენ, რომ ხვიჩა მანჩხავას ბიჭიკაშვილების წინაშე კანონიერ ქურდად წარადგენდნენ და საქმის გარჩევასაც მას მიანდობდნენ. მოლაპარაკების თანახმად, „ქურდი“ მანჩხავა „საქმის გარჩევის“ დასასრულს იტყოდა, რომ ბექაურს თანხის გადახდა არ ეკისრებოდა. თუკი ბიჭიკაშვილები მაინც თავისას დაიჩემებდნენ, მანჩხავა ბექაურს მათ მოკვლაში დაეხმარებოდა.

ამ საუბრის შემდეგ, ღარიბაშვილის ავტომანქანას სანომრე ნიშნები მოხსნეს და რადგანაც მანქანაში ბიჭიკაშვილების ადგილი აღარ რჩებოდა, ჩილინდრიშვილი და თარაშვილი გზაზე ჩამოსვეს. საღამოს 9 საათზე ბიჭიკაშვილებს შეხვდნენ. ჯიმშერსა და ვლადიმერთან ერთად, ამ უკანასკნელის მამა – ივანე ბიჭიკაშვილიც იყო. ბექაურსა და მის თანმხლებთ, თან ავტომატი (ერთი მჭიდითა და 30 საბრძოლო ვაზნით) ჰქონდათ. სამივე ბიჭიკაშვილი მანქანაში ჩასვეს და რუსთავის მიმართულებით გაემგზავრნენ. ბექაურმა მათ „ქურდის“ შესახებ უთხრა. გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე მანჩხავამ ღარიბაშვილს გზიდან გადახვევა ურჩია. მანქანა გზიდან 500 მეტრის მოშორებით, სოფელ მარტყოფთან – კინოსტუდია „ქართული ფილმის“ აგარაკებთან გააჩერა. გადავიდნენ თუ არა ავტომანქანიდან, მანჩხავამ „საქმის გარჩევა“ დაიწყო. ბოლოს, შეთანხმებისამებრ, ივანე ბიჭიკაშვილს უთხრა: ამ საქმეში ბექაურს ფულის გადახდა არ ეკისრებაო. ამაზე ბიჭიკაშვილმა უპასუხა, რომ თანხის გადახდა ავტომანქანის გატაცებაში მონაწილე ყველა პირს ევალებოდა და იგივე მუქარა გაიმეორა. ასეთი პასუხით განაწყენებულმა მანჩხავამ ბექაურს უთხრა: აქ გასარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერია, ყველაფერი გავიგეო, – და ურჩია, ბიჭიკაშვილებისთვის ესროლა.

ამ სიტყვების შემდეგ, ბექაურმა ავტომატი გადატენა და ორ-ორი გასროლით, მამა-შვილი – ივანე და ვლადიმერ ბიჭიკაშვილები მოკლა. ჯიმშერსაც ესროლა, თუმცა, მან როგორღაც გაქცევა მოახერხა.

მანჩხავა და ბექაური მოკლულებს მიუბრუნდნენ და იმ მიზნით, რომ დანაშაულის კვალი დაეფარათ, მათი გვამები იქვე მდებარე ჭაობის პირას მიათრიეს. მანჩხავამ მოკლულთა სხეულებს ბენზინი გადაასხა და დაწვა.

როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, დამნაშავეებმა შემთხვევის ადგილი მაშინვე მიატოვეს, ხოლო ხვიჩა მანჩხავამ საერთოდ, საქართველოც დატოვა და რუსეთში გაემგზავრა. მეორე დღეს პოლიციამ მოკლულთა გვამები აღმოაჩინა. ივანე ბიჭიკაშვილის სხეულზე ექსპერტებმა ორი ნატყვიარი – თავის ქალასა და მუცელში, დააფიქსირეს. ვლადიმერ ბიჭიკაშვილს თავის ქალაში მოხვედრილი ტყვიის შედეგად ტვინი დაუზიანდა, მეორე ჭრილობა მან გულმკერდის არეში მიიღო. ორივე გარდაცვლილის სხეულს, ექსპერტების თქმით, დამწვრობები აჩნდა.

ბექაური, გოგოლაძე, ღარიბაშვილი და ჯიმშერ ბიჭიკაშვილი სამართალდამცავებმა მკვლელობის მეორე დღეს დააკავეს. 1994 წელს ისინი სამხედრო სასამართლოს კოლეგიამ გაასამართლა. ბექაურს ყაჩაღობისთვის, განზრახ მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობისთვის 15 წლით, ხოლო გოგოლაძესა და ღარიბაშვილს აღნიშნულ დანაშაულში მონაწილეობისთვის 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ყაჩაღობისთვის, რომლის შესახებაც ბექაური ღარიბაშვილის მანქანაში ჰყვებოდა, ჯიმშერ ბიჭიკაშვილმაც მოიხადა სასჯელი.

ხვიჩა მანჩხავა 1997 წელს რუსეთის პოლიციამ დააკავა. გაირკვა, რომ დანაშაული – ყაჩაღობა, მან რუსეთშიც ჩაიდინა. სწორედ ამ ბრალდებით, იგი რუსმა სამართალდამცავებმა გაასამართლეს და 1997 წლის 4 ნოემბერს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იმ პერიოდისთვის მანჩხავა ჩვენს ქვეყანაში ჩადენილი რამდენიმე დანაშაულისთვის პროკურატურის მიერ ძებნილად იყო გამოცხადებული.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 1993 წლის 6 მაისს, თბილისი-მარნეულის ცენტრალურ გზაზე, სოფელ თელეთის მახლობლად, ავტომატით შეიარაღებულმა ხვიჩა მანჩხავამ და გამოძიებით დაუდგენელმა ოთხმა პირმა, ავტომანქანა „ვაზ 2106“ გააჩერეს. აღნიშნულ მანქანას, მისივე მფლობელი – სეირან ბერიტაშვილი მართავდა. პროკურატურის ინფორმაციით, მანჩხავამ მუქარითა და ძალადობით, ბერიტაშვილი აიძულა, მანქანიდან გადმოსულიყო, გაესაღები გამოართვა, მიუჯდა საჭეს და თანამზრახველებთან ერთად, ავტომანქანა ბერიტაშვილის დოკუმენტებითა და 180.000 რუსულ რუბლიანად გაიტაცა.

2000 წლის 20 მაისს მანჩხავა საქართველოში გადმოიყვანეს. რუსეთის განაჩენის შესაბამისად დარჩენილი სასჯელის – 5 წლის მოხდა მას საქართველოს საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში დაეკისრა.

2000 წლის 9 სექტემბერს იგი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოათავსეს. ამავე თვეში იგი დაუკავშირდა გურამ აბსანძეს, ვახტანგ (ლოთი) ქობალიას, ზურაბ ევჯიბიას, ხვიჩა ფირცხალავას და სხვებს, მათთან ერთად გვირაბის გათხრა და იქიდან გაქცევა გადაწყვიტა. საჭირო სამუშაო იარაღიც მოიპოვა, დაამზადა და გვირაბის თხრაც დაიწყო. ამოთხრილ მიწას ისინი სპეციალურად მომზადებულ ნაჭრის ტომრებში ყრიდნენ, ტომრებს კი აბსანძის საკნის საპირფარეშოში აწყობდნენ. 2000 წლის 1 ოქტომბერს ხსენებულმა პატიმრებმა განზრახვა განახორციელეს. ისინი მაშინვე მიიმალნენ, თუმცა, მანჩხავა ამის შემდეგ სამართალდამცავების წინაშე თავად გამოცხადდა.

38 წლის ხვიჩა მანჩხავას სისხლის სამართლის საქმეს ამჟამად უზენაესი სასამართლო განიხილავს. საქმის წინასწარი ძიებისას პროკურატურას მან ჩვენება არ მისცა და დუმილის უფლება გამოიყენა. თუმცა, აღნიშნა, რომ მიყენებულ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობს და მხოლოდ ციხიდან გაქცევას აღიარებს. გამომძიებლების მიერ დაკითხულმა გოგოლაძემ და ღარიბაშვილმა თავიანთ ჩვენებებში ბიჭიკაშვილების განზრახ მკვლელობის ამბავი ზუსტად, დეტალებში ისევე აღწერეს, როგორც ეს პროკურატურის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნაშია წარმოდგენილი. ხვიჩა მანჩხავას ინტერესების დამცველი ადვოკატი დასძენს, რომ ზემოთ ხსენებულ პირებზე ზეწოლას აწარმოებდნენ.

ვილერ წოწორია, განსასჯელის ადვოკატი:

„მაშინ, როდესაც პოლიციამ ბექაური, გოგოლაძე, ღარიბაშვილი და ბიჭიკაშვილი დააკავა, მანჩხავას შესახებ არაფერი იცოდა. მისი დასახელება ბექაურმა გადაწყვიტა და მერე დანარჩენებმაც გაიმეორეს. მიზეზი ის გახლდათ, რომ ღარიბაშვილის მანქანაში მართლაც იჯდა კანონიერი ქურდი, მისი სახელის გამჟღავნება კი მათ ვერ გაბედეს და ალბათ, არც აძლევთ ხელს. ეს მომენტი, როგორც ჩანს, თავად გამომძიებელზეც ახდენდა ერთგვარ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას და სრულიად უდანაშაულო მანჩხავას უსამართლოდ დადანაშაულება ამიტომაც არ გაუჭირდათ.

ხვიჩა მანჩხავა 1990 წლიდან რუსეთში ცხოვრობდა. პერიოდულად საქართველოშიც ჩამოდიოდა, მაგრამ დიდი ხნით აქ არასოდეს რჩებოდა. ბიჭიკაშვილების მკვლელობის დღესაც ბექაურთან და მის მეგობრებთან ერთად არ ყოფილა. ამ დანაშაულის შესახებ მან არაფერი იცოდა. მომხდარის თაობაზე თავად სამართალდამცავებისგან შეიტყო. არც ბერიტაშვილისთვის წაურთმევია მანქანა. ეს უზენაეს სასამართლოში გამართულ სხდომაზეც აშკარად გამოჩნდა“.

დაზარალებული სეირან ბერიტაშვილი სასამართლოზე დაჰკითხეს. თავდაპირველად, მან ხვიჩა მანჩხავა რამდენჯერმე სრულიად გარკვევით ამხილა დანაშაულში, თუმცა, შემდეგ გადათქვა და დასძინა – ბოროტმოქმედი ნამდვილად მანჩხავა იყო თუ არა, დარწმუნებული არ ვარო. ასევე მოიქცა ჯიმშერ ბიჭიკაშვილიც. მიუხედავად იმისა, რომ იგი პროკურატურის მასალებში არსებულ ჩვენებაში შემთხვევის ადგილას მანჩხავას ყოფნას ადასტურებს, სასამართლო კოლეგიის წინაშე ეს ფაქტი უარყო. რაც შეეხება ღარიბაშვილს, გოგოლაძესა და დანარჩენ მოწმეებს, მათ მომავალ სხდომებზე დაჰკითხავენ. მართალია თუ არა ის, რომ ბექაურმა „კანონიერი ქურდის“ შიშით თავისი ნათესავი – დის ნათლია გაწირა, ალბათ სასამართლოზე გამოაშკარავდება. ■

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათია თენიეშვილი

ქალბატონი მაია მეუღლის – მხატვარ მურაზ მურვანიძის მიერ ორიოდე წლის წინ ნაჩუქარი ნაცრისფერი „ჟიგული 09"-ის მარჯის ავტომანქანით საკმაოდ წყნარად და მშვიდად დადის ქალაქის ქუჩებში, თითქმის არასოდეს არღვევს მოძრაობის წესებს და, როგორც თავად ამბობს, საგზაო პოლიციის თანამშრომლებთან საკმაოდ მშვიდობიანი ურთიერთობა აქვს.

მაია მახარაძე: ვიგინები... მხოლოდ გულში

— როდის ისწავლეთ მანქანის მართვა?

– ქალაქგარეთ ვიყავით დასასვენებლად და იქ მასწავლა მამამ *(მსახიობი კოტე მახარაძე. – ავტ.)*. 17 წლის ასაკში.

— რამდენად კარგი მასწავლებელი იყო ბატონი კოტე?

– მამა საჭესთან ყოველთვის ძალიან მშვიდი იყო, წყნარად დაჰყავდა მანქანა. მე მგონი, მეც და ჩემს ძმასაც გადმოგვეცა მისი ეს სიმშვიდე.

— რა განცდა გქონდათ, როცა პირველად დამოუკიდებლად მიუჯექით საჭეს?

– 18 წლისა გავთხოვდი და აღარც გამხსენებია საჭე. შემდეგ ისე წარიმართა ცხოვრება, რომ მივხვდი – ქალს უფრო სჭირდება მანქანა, ვიდრე მამაკაცს. როცა გადავწყვიტე, რომ ქალაქში მანქანით დამოუკიდებლად მეცლო, კერძო მასწავლებელი ავიყვანე. 38 წლის ვიყავი, როცა პირველად მარტო მივუჯექი საჭეს. საშინელი განცდა დამეუფლა. ხელის მუხრუჭი ამოწეული მქონდა და ისე წავედი და მოვედი, რომ ვერც შევამჩნიე. ზოგჯერ ეს ახლაც მემართება ხოლმე. ძალიან ვნერვიულობდი, სულ ვკანკალებდი. ჩვენთან მანქანის ტარება ხომ გმირობის ტოლფასია.

— მამაკაცები ხშირად ამბობენ, რომ ქალს სწრაფი რეაქციის უნარი არა აქვს და ამიტომაც არ უნდა ივლდეს საჭესთანო.

– მაშინ ნუ დააკისრებენ ქალებს ყველაფერ იმას, რასაც თვითონ უნდა აკეთებდნენ. ქალი ამ ბოლო დროს, პრაქტიკულად, მამაკაცის ყველა საქმეს აკეთებს.

— მოძრაობის წესებს ზოგჯერ მაინც თუ არღვევთ ხოლმე?

– არ მიყვარს, მაგრამ ათასში ერთხელ შეიძლება დავარღვიო. თუ ღამით შუქნიშანზე წითელია ანთებული, ირგვლივ კი ჩემს მეტი არავინ არის, შეიძლება არ გავჩერდე და გავიარო. ესეც, ამ ბოლო დროს, თორემ ადრე, ყოველთვის მორჩილად ვიდექი ხოლმე... საერთოდ, დამთმობი ხასიათი მაქვს და ასეთი ვარ საჭესთანაც: ჩემი გზაა თუ სხვისი, ყოველთვის ვუთმობ. ხანდახან ეს სიბრიყვის დონესაც კი უახლოვდება...

— სწრაფად არასოდეს დადიხართ?

– არა, მშვიდად დავდივარ. ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვინც ჩემს მანქანაში სხედან ხოლმე, აღნიშნავენ, რომ მშვიდად და კომფორტულად გრძნობენ თავს. როცა სხვის მანქანაში ვზივარ და სწრაფად ატარებს, ძალიან ვიძაბები ხოლმე: არ მიყვარს სწრაფი მოძრაობა, ამიტომ არასოდეს ვატარებ მანქანას ჩქარა.

— წესრიგს არ არღვევთ, სწრაფად არ დადიხართ, ეი. ავტოინსპექტორებთან კარგი ურთიერთდამოკიდებულება უნდა გქონდეთ.

– ავტოინსპექტორებთან გასაოცარი დამოკიდებულება მაქვს. როცა ხედავენ, რომ ქალი უზის საჭეს, არ მაჩერებენ. მინდა დავიჯერო, რომ ეს მათი ჯენტლმენობით აიხსნება, თუმცა, ხანდახან იმასაც ვფიქრობ – იქნებ, უბრალოდ, ქალის ჭიჭყინის თავი არა აქვთ-მეთქი... მიუხედავად ამისა, ორჯერ ჩამომართვეს მართვის უფლება. თავისუფლების მოედნიდან კიროვის ქუჩაზე ავდიოდი. წესით, მარჯვნიდან მომავალი მანქანა უნდა გამეტარებინა, მაგრამ შორს იყო და გასვლა მოვასწარი. გამაჩერეს და მითხრეს – დარღვევის დამადასტურებელი ოქმი უნდა შეგიდგინოთო. ვიცოდი, რაც უნდა შემეთავაზებინა, მაგრამ არ მიყვარს ასეთი რაღაცები. კი, ბატონო, შეადგინეთ, მაგრამ ირგვლივ ისეთი რაღაცები ხდება, ამ დარღვევისთვის მართვის მოწმობის ჩამორთმევა არ ღირს-მეთქი, – ვუთხარი... შეადგინა ოქმი და მერე, როცა სახელი და გვარი წაიკითხა, რაღაცას მიხვდა, მაგრამ ბოლომდე ვერა, რადგან საბუთებში ყველგან მარიამი მიწერია. სად მუშაობთო? – მკითხა. – ცეკვის მასწავლებელი ვარ-მეთქი, – ვუპასუხე. მიხვდა, ვინც ვიყავი

ფრაზა გენიალური

მიკი მაუსი ყველა იმ ქალზე მეტად მიყვარს, ვისაც კი ვიცნობდი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე.

უოლტ დისნეი

თუ ღამით შუქნიშანზე წითელია ანთებული, ირგვლივ კი ჩემს მეტი არავინ არის, შეიძლება არ გავჩერდე და გავიარო. ესეც, ამ ბოლო დროს, თორემ ადრე, ყოველთვის მორჩილად ვიდექი ხოლმე...

და ძალიან შეწუხდა, მაგრამ ოქმი უკვე შედგენილი ჰქონდა და რალა უნდა ექნა?!

— მანქანის მოვლა თუ გიყვართ?

— ცუდად ვუვლი მანქანას. არც რაიმე გამეგება მისი. შეიძლება, ზოგჯერ, მარტო ზეთი შევამოწმო, თუ ასხია საკმარისი, მაგრამ ამ ბოლო დროს, ამასაც არ ვაკეთებ. გარეცხვითაც, იშვიათად ვრეცხავ, მიუხედავად იმისა, რომ მანქანის სამრეცხაო და ორი პროფილაქტორიუმი ჩემი სახლის მოპირდაპირე მხარეს არის. რა დიდი საქმეა? — მიდი და გაარეცხვინე, — მაგრამ ხან ფული არ მაქვს, ხან დრო. მე მგონი, საერთოდ ქალებს უფრო იშვიათად აქვთ მოვლილი და სუფთა მანქანა: იმდენად ბევრი საქმე გვაქვს, რომ ვერ ვასწრებთ. მანქანა ჩვენთვის საჭიროების საგანია და არა „მარიაჟობის“ საშუალება, — მამაკაცებისგან განსხვავებით, რომლებსაც ყოველთვის მოვლილი, სუფთა მანქანები ჰყავთ, კარგად მაგნიტოფონითა და ყველანაირად მოწესრიგებული.

— თქვენ არ გაქვთ კარგი მაგნიტოფონი?

— მე მგონი, ერთადერთი ადამიანი ვარ საქართველოში, რომელსაც მაგნიტოფონი არა აქვს მანქანაში. ყველაზე ცუდი, 150 ლარი ღირს და ვერასოდეს გამოვნახე ზედმეტი თანხა იმისთვის, რომ მეყიდა.

— ნასვამი თუ მჯდარხართ საჭესთან?

— საერთოდ არ ვსვამ იმდენს, რომ თავზე კონტროლი დავკარგო; საჭესთანაც მთვრალი არასდროს ვმჯდარვარ. მიმაჩნია, რომ ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლება.

— მანქანებს ხშირად იტაცებენ ხოლმე; თქვენი მანქანის მოტაცების მცდელობაც ხომ არ ყოფილა?

— დედაჩემი *(მსახიობი მედეა ჩახავა. — ავტ.)* ბახტრიონის ქუჩაზე ცხოვრობს. ამას წინათ, ღამით იქ დავრჩი. დილით გამოვედი სახლიდან და რას ვხედავ? — მანქანას ოთხივე საბურავი აქვს მოხსნილი და „მუცელზე“ წევს... ისე შეკივლე, ვიღაც კაცს გული კინალამ გავუხეთქე. ჯესსზე 350 ლარი და იმ დღესვე ვიყიდე ახლები, მაგრამ ხომ უნდა გადავიხადო! თავს იმით ვიმშვიდებ, რომ შეიძლებოდა, საერთოდ წაეყვანათ მანქანა.

— თქვენს მეუღლეს მოსწონს ის, თუ როგორ დაგყავთ მანქანა?

— არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, როგორც ხედავთ, მანქანა მაჩუქა. ჩვენ ადრე „ვოლგა“ გვყავდა, შემდეგ შევიძინეთ „აუდი“, რომელიც დიზელზე მუშაობს და მართვით, „ჟიგულისგან“ განსხვავდება, ამიტომ როცა შუქნიშანზე ვდგავარ და წითელზე მისიგნალებენ, წადიო, თითქოს მათ უნდათ წასვლა, მე კი იმიტომ ვარ გამოსული, რომ შუა გზაზე ტყუილად ვიდგე... ან კიდევ, ქუჩის შუაგულში გაჩერდებიან და მანქანიდან მანქანაში იწყებენ ერთმანეთთან ლაპარაკს. ისინი ემასლაათებიან ერთმანეთს, შენ კი, უნდა გაჩერდე და ელოდო... ქუთაისში ვნახე ერთხელ: ვიწრო ხიდზე მგზავრებით სავსე ორი ავტობუსი იდგა და მძღოლები ტკბილად და აუღელვებლად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს; მთელი მოძრაობა გაჩერდა, უსიგნალებდნენ, მაგრამ მათ ეს სულაც არ ანაღვლებდათ... მაგრამ ყველაზე მეტად ის მაოცებს, რომ თუ მანქანა ჩაგიქრა ან რაიმე სხვა გაგიფუჭდა და რთულ სიტუაციაში აღმოჩნდი, მამაკაცები ისე შემოგხედავენ, თითქოს თვითონ არასოდეს მოსვლიათ მსგავსი რამ და იმის ნაცვლად, რომ დაგეხმარონ, ლამისაა შეგჭამონ...

■

აეტოინსპექტორებთან გასაოცარი დამოკიდებულება მაქვს. როცა ხედავენ, რომ ქალი უჭირს საჭეს, არ მაჩერებენ. მინდა დავიჯერო, რომ ეს მათი ჯენტლმენობით აიხსნება



ნოდარ ნათაძეს, რომელსაც დედაბრები კოცნიან, „რქიანი“ ახლობლები არ ჰყავს...

პოლიტიკოსები იშვიათად სტუმრობენ ფსიქოლოგებს, ამიტომ გადავწყვიტეთ ნაწილობრივ მაინც შევავსოთ ეს ვაკუუმი და ჟურნალის ფურცლებიდან გავუწიოთ „დახმარება“. მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესწავლას არატრადიციულ კითხვებზე პასუხის გაცემითა და ტესტების შევსებით ვცდით, რაც ფსიქოლოგიური პორტრეტის დახატვის საშუალებას მოგვცემს, ეს კი, თავად რესპონდენტსაც შეუწყობს ხელს საკუთარი თავის უკეთ შეფასებაში და მკითხველთა ინტერესსაც დააკმაყოფილებს.

რუბრიკის პირველი სტუმარია სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე.

მაია შაშვიაშვილი

ოჯახი:
დედა — ტატიანა გრიაზნოვა,
მამა — რევაზ ნათაძე,
მეუღლე — ნანა ნათაძე,
შვილები — ერეკლე და ლევანი — 30 წლის ტყუპი ძმა.

სახალხო ფრონტის ლიდერი, ნოდარ ნათაძე დარწმუნებულია იმაში, რომ „მოძრაობა და მოძრაობაა“ მთავარი — და არა მხოლოდ პოლიტიკურ საქმიანობაში, პირად ცხოვრებაშიც, აქტიურ მოქმედებას ანიჭებს უპირატესობას. ბატონი ნოდარი, მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემასა და რამდენიმე ტესტის შევსებას დაუზარებლად დათანხმდა, თან დასძინა:

— ბავშვობაში მამაჩემიც მიტარებდა ტესტებს და ძალიან უხაროდა, რომ შედეგების მიხედვით, განვითარების დონით ჩემს ასაკს ვუსწრებდი ხოლმე. ბოლო ტესტი 16 წლის ასაკში ჩამიტარა და... აღმოჩნდა, რომ 14 წლის ასაკის სტანდარტში ჩავჯექი *(იცინის)*. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მითხრა.

— ისე, სკოლაში როგორ სწავლობდით? აკადემიურ მოსწრებაზეც ხომ არ აისახებოდა თქვენი „ასაკობრივი შეუსაბამობა“?

— მეექვსე კლასამდე „ხუთოსანი“ ვიყავი, მერე ცოტა მოვუკელი სწავლას.

— რატომ?

— მაღალ კლასებში ფრიადოსნობა ცუდ ტონად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მეექვსე კლასის ზემოთ მაინცდამაინც არ ვზრუნავდი კარგი ნიშნების მიღებაზე, სკოლა მეძალზე დავამთავრე.

— უნივერსიტეტიც ზედმეტი თავდადების გარეშე დაამთავრეთ?

— უნივერსიტეტში სწავლის პროცესი ძალიან მეადვილებოდა. არც ასპირანტურაში მომიკლავს თავი...

— ეი. სრულყოფილი განათლების მისაღებად ღამისთევა ხშირად არ დაგჭირვებიათ?

— არა, სხვათა შორის, ღამისთევა მიწევდა, თუმცა, ასეთი „თეთრი ღამეების“ შემდეგ ძალიან ვიღლებოდი და დაძინების დიდი მოთხოვნილება მიჩნდებოდა. იგივე მემართებოდა, როცა პურმარილში დამათენდებოდა, მაგრამ თუ მუშაობის ან ღვინის გარეშე გავათენებდი, თავს შესანიშნავად ვგრძნობდი ხოლმე.

— მუშაობისა და ქეიფის გარდა, კიდევ რის გამო გიწევდათ ღამის გატეხა?

— მაგალითად, თუ მიცვალებულს გავუთევდი ღამეს, 35 წლამდე ეს ჩემთვის არანაირ დატვირთვას არ წარმოადგენდა. ასევე არ მღლიდა მგზავრობის დროს გათენებული ღამეებიც.

— ქალები, ბატონო ნოდარ?

— ჰე, ჰე... კი, კი, მაგრამ მერე ძილი მინდებოდა ხოლმე.

— ქალების თემას აუცილებლად დავუბრუნდებით, ახლა კი ის მითხარით, მას შემდეგ, რაც სწავლას მოუკელით, ცელქობას თუ უმატეთ?

— VI კლასში აღარ ცელქობენ: თუ ადამიანს პიროვნებად ჩამოყალიბება უწერია, ის ამ ასაკში უკვე პიროვნებაა.

— ისე, ბავშვობის პერიოდს ხშირად იხსენებთ ხოლმე?

— ადამიანი, რომელიც წარსულზე ინტენსიურად ფიქრობს, უკვე გადაღრძუებული ბებერია. მე არ მინდა, რომ ამ მდგომარეობას ძალიან მივუახლოვდე, ამიტომ ასეთი მოგონებები მაინცდამაინც არ მიზიდავს.

— კარგით, მაშინ ის მითხარით, რა რეაქცია გაქვთ, როცა საზოგადოებაში თქვენ თანდასწრებით ვიღაც ფრჩხილებს იკვნეტს?

— რა რეაქცია უნდა მქონდეს? — არ მესიამოვნება და გვერდზე გავიხედავ. ფრჩხილების კვნეტას კიდევ არა უშავს — ჩემთვის ის ადამიანი უფრო „რქიანია“, რომელიც საზოგადოებაში სავარცხელს ამოიღებს და თმას გადაივარცხნის.

— თუ ეს „რქიანი ადამიანი“ თქვენი ახლობელია, შენიშვნას არ მისცემთ?

— ჩემს ახლობლებში ასეთი „რქიანები“ არ არიან! თუ შენიშვნის მიცემა მაინცდამაინც აუცილებელია, ტაქტიანად ვეტყვი, რომ საზოგადოებაში ასეთი საქციელი მიღებული არ არის.

— წარმოიდგინეთ, რომ პარაშუტით გადმოხტით, მაგრამ „გზად“ აღმოაჩინეთ, რომ ის არ იხსნება, ეი. ახლოვდება სიკვდილის მომენტი; დარჩენილ ერთ წუთში რაზე იფიქრებთ?

— ვიფიქრებ იმაზე, რომ პარაშუტი როგორღაც გავხსნა, — სხვა რაზე უნდა ვიფიქრო? სხვა რეაქცია აქ არ არსებობს!

— წარმოიდგინეთ, რომ მიწაზე დაშვებულს, თავზე მილიონი დაგეყარათ, რას იზამთ?

— რად მინდა მილიონი, თუ პარაშუტი არ გაიხსნება?

— ეი. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გახსნიდით?

— რას გავხსნიდი?

— პარაშუტს!

— აააა... ე.ი. გავხსენი და მშვიდობიანად დავეშვი, ამის შემდეგ კი, მილიონი დამეყარა თავზე?

— დიახ!

— ვიტყოდი — ვაჰ, საიდან? — აბა, სხვა რა უნდა გავაკეთო?!

— არ აკრეფდით?

— როგორ არა, კაცო?!

— მერე, როგორ დახარჯავდით?

— ოო, ეგ ძალიან რთული ამოცანაა. ღარიბი კაცისთვის თითოეულ ლარს რამდენიმე დანიშნულება აქვს: ან ერთზე უნდა დახარჯო, ან მეორეზე... არჩევანი ძალიან ძნელი გასაკეთებელია. ვერ გავიგე, რატომ უნდა დავიტვირთო თავი იმ ფულის გადანაწილებით, რომელიც არ მაქვს?!

— თქვენც წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ, თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ მილიონზეა საუბარი, — ეი შეგიძლიათ, უფრო თამამად გაანაწილოთ და თითოეული ლარის ორმაგ დანიშნულებაზე არ იფიქროთ.

— დანამდვილებით ვიცი, რომ ამ თანხის გარკვეულ ნაწილს ქველმოქმედებისთვის მოვიტოვებდი, მეორე ნაწილს კი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერებას მოვახმარდი; რა თქმა უნდა, ამას შევარდნაძის დაუკითხავად გავაკეთებდი...

— რისკიანი თუ ხართ?

— ვარ, თუმცა, რისკის ხარისხს გააჩნია: რუსულ „რულეტკაში“ რომ არის, ასეთი რისკი ჩემთვის მიუღებელია!

— დავუშვათ, სასწრაფოდ ხართ წასასვლელი გადაუდებელ შეხვედრაზე. მეგობარი მანქანას გთავაზობთ, რომელსაც დაზიანებული მუხრუჭები აქვს. თუ ჩაჯდებით ამ მანქანაში?

— ჩავჯდები და წავალ, მაგრამ ისეთ გზაზე, სადაც ვინმე შეიძლება გავიტანო — არა. დაღმართში ფეხით გავიქცევი: მე არ მაქვს უფლება, სხვა ადამიანი ხიფათში ჩავაყენო, — გარდა ომისა და ასეთი უკიდურესი სიტუაციებისა.

— მშვენიერი ასულის გულისთვის, ურჩხულს თუ შეებრძოლებოდით?

— აუცილებლად, მაგრამ მარტო მშვენიერს კი არა, ყველა ქალს დავიხსნიდი ურჩხულისგან!

— წარმოიდგინეთ, რომ მანდილოსანმა გაკოცათ. მისგან დატოვებული პომადის კვალი თქვენმა მეუღლემ შენიშნა. რით იმართლებთ თავს?

— იცით, სამწუხაროდ, მე ახლა მხოლოდ დედაბრებიღა მკოცნიან... ადრე, კოცნა კი არა, ზოგის ფრჩხილის შეხებაც კი მენატრებოდა... რაც შეეხება პომადისგან დარჩენილ კვალს, ამ მხრივ მეუღლისგან არანაირი საფრთხე არ მემუქრება: ზუსტად ვიცი, რომ არ მკითხავს, საიდან გაქვს ეს კვალიო, იმიტომ, რომ მის თვალში დამსახურებული ნდობით ვსარგებლობ; თანაც იცის, რომ ყოველ ნაბიჯზე მხვდებიან ისეთი ქალბატონები, რომლებიც ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის გამო მკოცნიან და თუ რომელიმე მათგანმა პომადის კვალი დამიტოვა, ამოვიღებ ცხვირსახოცს და მოვიწმენდ.

— იმ ქალის თანდასწრებით?

— არა, მერე — როცა თვალს მიეფარება, თორემ ეწყინება, თანაც ასეთი საქციელი ხომ უზრდელობაა.

— ბატონო ნოდარ, თქვენ იმყოფებით სტუმრად, შემთხვევით უძვირფასესი ანტიკვარული ვაზა გაგიტყდათ, ამ დროს ოთახში არავინ არის; როგორ მოიქცევით?

— ძალიან უხერხულად ვიგრძნობ თავს და, ცხადია, ბოდიშს მოვიხდი, — აბა, სხვა რა ვარიანტი მაქვს?

— სხვა ვარიანტი ასეთია: სასწრაფოდ უნდა მოაგროვოთ ნამსხვრევები, გადაყაროთ და ალიარება, ისევე, როგორც ბოდიშის მოხდა, სხვა დროისთვის გადადოთ. ბოლოს და ბოლოს, ტელეფონით ეს უფრო ადვილად განსახორციელებელია, თანაც მასპინძლის შეძრწუნებული თვალების დანახვაც არ მოგიწევთ...

— როგორ გეკადრებათ? ასეთი რამე როგორ შეიძლება?! — თუ გამიტყდება, ვალიარებ კიდეც და მასპინძლის რეაქციასაც როგორღაც გადავიტან!

— უცხო შენობაში იმყოფებით, არ იცით, სად არის ტუალეტი, მაგრამ ძალიან გჭირდებათ მისი პოვნა; რას იზამთ?

— ჯერ ვეცდები, დამოუკიდებლად ვიპოვო, თუ ვერ მოვახერხებ, მერე მამაკაცს ვკითხავ.

— ქალს არ ჰკითხავთ?

— არა, ქალს, ცოცხალი თავით, არ ვკითხავ.

— თუ მამაკაცს ვერ ნახავთ და მარტო ქალი შეგხვდებათ?

— მაინც არ ვკითხავ — საერთოდ წავალ იმ შენობიდან.

— ბატონო ნოდარ, პირველი სიყვარული როდის გეწვიათ?

— ეს ემოცია, ჩემდა საბედნიეროდ, ძალიან ადრეულ ასაკში განვიცადე, მაშინ 10 წლის ვიყავი. მერე 12 წლისას შემიყვარდა, მერე კიდევ შემიყვარდა...

— დღესაც ასეთი სიხშირით იცვლით სიყვარულის ობიექტს?

— არა, დღეს სხვა სიტუაციაა. როგორც ჩანს, ასაკი თავისას შვრება.

— რა არის სიყვარული? რით იყვნენ გამორჩეულნი თქვენი სიყვარულის ობიექტები?

— განსაზღვრების მიცემის თვალსაზრისით, ძალიან მოუხელთებელი რამ რაც შეეხება პომადისგან დარჩენილ კვალს, ამ მხრივ მეუღლისგან არანაირი საფრთხე არ მემუქრება: ზუსტად ვიცი, რომ არ მკითხავს, საიდან გაქვს ეს კვალიო, იმიტომ, რომ მის თვალში დამსახურებული ნდობით ვსარგებლობ

ადამიანი, რომელიც წარსულზე ინტენსიურად ფიქრობს, უკვე გაღაღრძუებული ბებერია. მე არ მინდა, რომ ამ მდგომარეობას ძალიან მივუახლოვდე, ამიტომ ასეთი მოგონებები მაინცდამაინც არ მიზიდავს

ლევან და ერეკლე ნათაძეები.
„მეუღლეს და შვილებს მაშინაც კი ვეკითხები აზრს, როცა ჩემთან არ არიან“

არის. ჯერ ერთი, ეს ემოცია იმის მძაფრ განცდას ტოვებს, რომ ობიექტი უნიკალური და განუმეორებელია. სიყვარულის დროს ისეთი რაღაცები არსებობს, რასაც მარტო შენ ხედავ და სხვა ვერავინ. ეს ნებისმიერ ვარიანტში აუცილებელი კომპონენტია.

— ყვავილები თუ მიგირთმევიათ სატრფოსთვის?

— კი, როგორ არა. სტუდენტობის პერიოდში, ჩემი მეგობარი ერთ გოგოს დასდევდა ინტენსიურად. ერთხელაც დედაჩემმა ურჩია: ახლა ისეთი მომენტია, ყვავილები უნდა მიართვაო. — ყვავილებიდან მხოლოდ კაქტუსის მირთმევას იმსახურებსო, — უპასუხა ჩემმა მეგობარმა...

— იმედია, თქვენც კაქტუსებს არ უძღვნიდით სატრფოს.

— არა, მე ვარდი მიყვარს. ვარდი განსაკუთრებული ყვავილია, რომელსაც ვერც ერთი სხვა ყვავილი ვერ ამოუდგება გვერდით.

— თქვენს მეუღლესაც ვარდი უყვარს?

— ვერ გეტყვით, ყოველ შემთხვევაში, ჩემგან განსხვავებით, ასეთი „მონოპოლიური“ დამოკიდებულება ამ ყვავილისადმი არა აქვს.

— გადაწყვეტილების მიღებისას, მეუღლის ან ახლობლის აზრს თუ იზიარებთ ხოლმე?

— შეუძლებელია რომ ვიღაცის აზრი არ გაითვალისწინო. პირიქით, რაც უფრო მეტი აზრის შეჯერება მოხდება, მით უკეთესია, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მაინც მარტო ვიღებ. მეუღლეს და შვილებს მაშინაც კი ვეკითხები აზრს, როცა ჩემთან არ არიან.

— ?!

— ე.ი. მე თვითონვე ვითვალისწინებ მათ ყველა შესაძლო პასუხსა და შეხედულებას.

— წარმოიდგინეთ სიტუაცია, როცა უცნობი სიმპათიური ქალის ყურადღების მიპყრობა გინდათ; როგორი ხერხებით ცდით ამას?

— ათასნაირი მეთოდი არსებობს: ჯერ დაველაპარაკები, გავეხუმრები, რაღაცას შევეკითხები, მინიშნებით ვეტყვი რაიმეს... უპირველეს ყოვლისა, ვცდები, შევამჩნიო, რომ ჩემი ყურადღების ცენტრში იმყოფება.

— ლექსს არ წაუკითხავთ?

— ბავშვობაში, სკამზე რომ დამაყენებდნენ, ლექსს მაშინ ვკითხულობდი ხოლმე. ზრდასრულ ასაკში ასეთი რამ აღარ ჩამიდენია. შემდეგ, ვახდენდი ლექსის ციტირებას და არა თქმას ან წაკითხვას: ლექსის კითხვაში, მხატვრული კითხვა იგულისხმება, ამის პრეტენზია კი არ მქონია და არც მაქვს.

— შეგიძლიათ, კლასიკურ სტილში შემოსილ საზოგადოებაში სპორტული ტანსაცმლით მიხვიდეთ?

— როცა რაღაც ისეთი ხდება, რომ კლასიკურად უნდა გეცვას და სპორტული ფორმით მისვლა საერთო ყურადღებას გამოიწვევს, ცხადია — არ მივალ. აქ მოქმედებს სტანდარტული „მულამი“, რომელიც აუცილებლად უნდა დაიცვა. თუ მაინც აღმოვჩნდი ასეთ სიტუაციაში, ვეცდები, ვაგრძნობინო დამსწრეთ, რომ მე ვარ პიროვნება და არა დასათვალიერებელი ექსპონატი. შევალ დინჯად, ნელა. როგორც კი ჩაველებ ამის მულამს, მაშინვე გაანეიტრალებ ზედმეტი ყურადღებისგან გამოწვეულ ემოციას... მე დიდი ხანია მონახული მაქვს ეს მულამი და ცხოვრებაშიც ხშირად ვიყენებ ხოლმე.

— ახლა ძალიან უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდებით. მოემზადეთ, იმედია, აქაც გექნებათ მონახული თქვენი „მულამი“: ცხვირზე ბზიკმა გიკბინათ, ნაკბენი ცხვირი უსაშველოდ გაგისივდათ და ძალიან გტკივათ, მეგობრები კი, თქვენი გასივებული ცხვირის დანახვაზე სიცილს ვერ იკავებენ. როგორ შეხვდებით ამ უადგილო იუმორს თქვენთვის ესოდენ მტკივნეულ მომენტში?

— ცხვირზე არა, მაგრამ ერთხელ, ბზიკმა ყურის ძირში მიკბინა, ნაკბენი მართლაც უსაშველოდ გამისივდა და ღაბაბივით ჩამომეკიდა... ასე რომ, ცხვირზე ბზიკის კბენა ადვილი წარმოსადგენია. მერე რა, რომ მტკივა? — მეც ავყვები მხიარულებაში და მათთან ერთად ვიცინებ: ასეთი, „იუმორისტული“ მიდგომა უფრო ადვილად გადამატანინებს ტკივილს.

— ბატონო ნოდარ, ჩანს, რომ „გამოუსწორებელი“ ოპტიმისტი ხართ და უარყოფითი ემოციისთვისაც გულში ადგილს არ ტოვებთ...

— საერთოდ, დადებითი ემოციებისკენ უფრო მეტი მიდრეკილება მაქვს, ვიდრე უარყოფითისკენ, მაგრამ უარყოფით ემოციას ძალიან მძაფრად განვიცდი. როცა ვხედავ, რომ ადამიანი საკუთარი ინტერესის წინააღმდეგ მოქმედებს, რა თქმა უნდა, ჩემს აზრს თავზე არავის ვახვევ, მაგრამ გულში მაინც განვიცდი ხოლმე...

P.S. ნოდარ ნათაძე ერთობ გულღია და კონტაქტური პიროვნება გახლავთ. რთულ სიტუაციაში სწრაფად ერკვევა და სწორ ორიენტაციასაც დამოუკიდებლად პოულობს, თუმცა, ზედმეტი ამბიციები არ აწუხებს და დიდი სიამოვნებით აღიარებს სხვის მიერ აღმოჩენილ სწორ გამოსავალს ან შეხედულებას. რადიკალიზმი მისი ცხოვრების თანამდევია და თვით ოცნებებშიც კი (თუმცა, ოცნება და ფანტაზიორობა სულ არ უყვარს), რადიკალურია. მძაფრი განცდებისა და თავგადასავლებისკენ ლტოლვა მის სულში ღრმად და საფუძვლიანად არის „ჩალექილი“ და შესაფერის გარემოში, იღვიძებს კიდეც. მაქსიმალისტია და ცხოვრებისგან ყველაფერს ერთად მოითხოვს, თუმცა, რბილი ხასიათის გამო, ნაკლებითაც კმაყოფილდება, — იმ შემთხვევაში, თუკი საქმე მისთვის პრინციპულ საკითხებს არ ეხება. თორემ ამ დროს ბატონი ნოდარი ერთი ნაბიჯითაც კი არ დაიხევს უკან და როგორც არ უნდა უჭირდეს, „ქალს მაინც არ ჰკითხავს, სად არის ტუალეტი“...

საქართველოს სახალხო ფრონტის ლიდერს გარდამავალი ფერები არ უყვარს, უპირატესობას წითელსა და შავს ანიჭებს. ეს სტენდალისეული შეფერილობა მის პრინციპულობაზე, ემოციურობასა და ორგანიზატორულ ნიჭზე მეტყველებს.

რა თქმა უნდა, მას, ისევე, როგორც ნებისმიერ მოკვდავს, ნაკლიც აქვს და იგი იმპულსურობაში და აფექტურ ხასიათში მდგომარეობს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნოდარ ნათაძე გამოკვეთილი ინდივიდუალობის მქონე დადებითი პიროვნება და რევოლუციური ტიპის მოღვაწეა, რომელსაც აშენებულით ტკბობაზე მეტად, შენების სიმძაფრე იზიდავს. ■

რით ცდილობენ ჟურნალისტები მაკა ასათიანთან თბილი ურთიერთობას

ᲚᲔᲚᲐ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔ

მაკა ასათიანს მაღაზიაში მაშინ ვესტუმრეთ, როცა ის თავისი ვაჟის მოფერებით იყო გართული და ცოტა შეშინებულიც: მატარა ლევანი სოლოში დაცემულა და თავი უტკენია. მაკა ამის გამო ძალიან ღელავდა.

ამჯერად, მაკასთან პრობლემებზე სასაუბროდ არ მივსულვართ; გვინდოდა, მასთან იმ სიახლეებზე გვესაუბრა, რომელიც ქართული მოდის სამყაროში ხდება.

— თავდაპირველად, იქნებ გაიხსენო, როგორ იწყებოდა შენი სამოდელო ბიზნესი საქართველოში? როგორ განვითარდა მოვლენები, როცა პარიზიდან თბილისში დაბრუნდი და მოდის სამყაროში დამკვიდრებას მიჰყავი ხელი?

— თბილისში რომ ჩამოვედი და აქ ჩვენების მოწყობა გადავწყვიტე, დავდიოდი ატელიეებში და მკერავებს ვეძებდი. მთელი ქალაქი შემოვიარე. თითოეულ ატელიეში ორი-სამი მოდელი შევაკერინე. ასე შევკრიბე ხალხი, რომელმაც ჩემი მოდელების კარგად შეკერვა მოახერხა. თან ვკითხე მათ: რომ გაეხსნა მოდელების სახლი, თუ წამომყვებით-მეთქი? ისინი დამთანხმდნენ. ასე შევკრიბე გუნდი, რომელიც დღეს დიზაინერ მაკა ასათიანის ტანსაცმელზე მუშაობს. ძალიან კმაყოფილი ვარ მათი მუშაობით.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შენთან მუშაობენ ახალბედა დიზაინერებიც. როგორ მოხდა მათი შერჩევა?

— იკა ბობოხიძე, თეონა თავართქილაძე და ხათუნა ცხაკაია მუშაობენ ჩემთან. სანამ მუშაობას დაიწყებდნენ, ჩემთან დადიოდნენ და სწავლობდნენ მოდელირებას. ჩვენ ყოველ წელს ვაცხადებთ ხოლმე მიღებას. აგვყავს ის გოგონები, რომლებმაც ან უკვე დამთავრეს სამხატვრო აკადემია, ან ბოლო კურსზე არიან. მათ ლექციებსაც ვუკითხავ და ასევე, პრაქტიკას გადიან აქ... ცოტა ხნის წინ, ნიკიტა მიხალკოვის ცოლმა მოსკოვში ახალბედა მოდელიერთა კონკურსი ჩაატარა. მასში ჩემმა მოწაფეებმაც მიიღეს მონაწილეობა. ისინი უკან პრიზებით დაბრუნდნენ.

— მაკა, როგორ ყალიბდება გემოვნება? რა უნდა გააკეთოს ქალმა, როცა საკუთარ გემოვნებაში ეჭვი ეპარება?

— ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული გარემოსა და ინფორმაციაზე. დღევანდელ პირობებში შესაძლებელია, რომ ახალგაზრდამ განავითაროს და სრულყოს თავისი გემოვნება: დღეს თბილისში ბევრი საინტერესო დიზაინერის მიერ შექმნილი ნამუშევრები იხილება, შემოდის მოდის უამრავი ჟურნალი. თუ ადამიანს აინტერესებს, შეუძლია იყიდოს მოდის ჟურნალები ან, თუ ამის მატერიალური შესაძლებლობა არა აქვს, ვინმესგან ითხოვოს და დათვალიეროს მაინც. უწინ ამ ფუფუნების საშუალება არ გვქონდა. საბჭოთა კავშირის დროს, მოდის ჟურნალის შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო. ახლა, თუნდაც ტელევიზიით, შეიძლება სრული წარმოდგენა შეიქმნა იმაზე, თუ რა უნდა ჩაიცვა და რა არის მოდაში.

— მაკა, თავად როდის გაამახვილე ყურადღება ჩაცმულობაზე? როდის დაიწყე საკუთარი სტილის ძიება?

— საერთოდ, ქალი ჩაცმას 13-14 წლის ასაკიდან აქცევს ყურადღებას, ხოლო გემოვნების განვითარება იწყება მას შემდეგ, როდესაც ის სიახლეების ძიებას, სწავლას, აქტიურ ცხოვრებას იწყებს. მე პარიზში დავამთავრე სამხატვრო აკადემია. ამან ჩემზე უდიდესი გავლენა მოახდინა. პარიზში ის გარემოა, სადაც გემოვნება თავისით, თითქოს შენდა უნებურად ვითარდება.

— შენს ცხოვრებაში თუ ყოფილა შემთხვევა, როცა ფიქრობდი: ვაითუ, სწორად არ მაცვია?

— ჯერ დავაკონკრეტოთ, რომ სწორად ჩაცმა და კარგად ჩაცმა სხვადასხვა რამ არის. ასევე განსხვავდება ერთმანეთისგან ცუდად ჩაცმა და არასწორად ჩაცმა. ხშირად მიგრძნია დისკომფორტი იმის გამო, რომ სიტუაციის შესაბამისად არ მეცვა, — ე.ი. მეცვა არასწორად. როდესაც ჩვენებაზე ვარ და მერე გავიქცევი ხოლმე კუს ტბაზე ბავშვებთან ერთად, ცხადია, არასწორად ვარ ჩაცმული.

— თბილისში თუ არის ისეთი ადგილი, სადაც შენ განსაკუთრებულად ჩაცმული მიდიხარ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა

უფრო ხშირად, ჩვენი გემოვნება არ ემთხვევა ერთიმეორისას

აქვს იმას, თუ სად მივდივარ. როცა ვიცვამ, ვცდილობ, ისე ჩავიცვა, რომ თავი კარგად ვიგრძნო. „პრაზდნიკებს“ უმეტესად, ჩემს თავს ვუწყობ ხოლმე. ზოგჯერ ხდება, რომ დღის განმავლობაში სამჯერ მაინც მიწევს ტანსაცმლის გამოცვლა და მაკიაჟის გასწორება. ტანსაცმელს ძირითადად, საკუთარი გემოვნებით ვიკერავ, თუმცა, ზოგჯერ, თუ რაიმე მომეწონება, გამზადებულსაც ვყიდულობ. მოდის სამყარო ძალიან ცვალებადია, ამიტომ კონკრეტულად ვერ გეტყვით, თუ რომელი დიზაინერი რომელ წელიწადს უფრო მომწონდა, მაგრამ ყოველთვის მაქვს ორი-სამი რაღაც იმ დიზაინერისა, რომელიც ჩემს გემოვნებას აკმაყოფილებს.

— თუ ყოფილა შემთხვევა, როცა შენი ტანსაცმელი გინახავს წლების შემდეგ და არ მოგწონებია?

— ყოველდღიურად მხვდებიან ის ადამიანები, რომლებსაც ჩემი მოდელები აცვიათ. ხშირია შემთხვევა, როცა უკმაყოფილების გრძნობა მიჩნდება, რადგან ბევრს, ჩემი ტანსაცმელი არასწორად აცვია: ზოგს სტილი აქვს შეცვლილი, ხშირია შემთხვევა, როცა შარვლის ტოტებს ან ქვედაკაბის სიგრძეს ამოკლებენ, რის შემდეგაც ჰარმონია ირღვევა. ამის გამო, ხშირად გულიც მტკენია, მაგრამ რას ვიზამ?!.

— როდის თქვი პირველად — მოდის სამყაროში ვარო, — და როდის იგრძენი, რომ უკვე მოდელიერი ხარ?

— ალბათ მაშინვე, როცა პარიზში სწავლა დავიწყე. ჩემი ლექტორები იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ახლა მოდის სამყაროს განაგებენ, ხოლო მათგან, ვინც ჩემთან ერთად სწავლობდა, ბევრმა უკვე ფართოდ გაითქვა სახელი: მაგალითად, ერთი სტუდენტი — იაპონელი გოგონა ახლა „კენზოს“ მთავარი დიზაინერია. მინდა მკითხველისთვის განვმარტო, რომ ისეთ სახელოვან მოდელიერებთან, როგორებიც არიან: შ ნელი, კენზო, კრისტიან დიორი, ახალგაზრდა დიზაინერები მუშაობენ. კრისტიან ლაკრუას ერთ-ერთი წამყვანი დიზაინერი ჩემი მეგობარია.

— შენ არ გიცდია, მოდის რომელიმე ცნობილ სახლთან გეთანამშრომლა?

— სანამ საფრანგეთში ვიყავი, ვმუშაობდი სხვადასხვა ცნობილ დიზაინერთან. შემდეგ გავთხოვდი და ჩემი გეგმებიც შეიცვალა... ახლა კი, უკვე ჩემი სახელი მაქვს და მირჩევნია, ჩემს სახელს შევძინო რაიმე, ვიდრე სხვა დიზაინერისთვის დავიხარჯო. თუმცა, ძალიან საინტერესოა და აუცილებელიც, მოდის დიდ სახლებთან თანამშრომლობა: როცა შენს თვალთახედვას რადიკალურად განსხვავებულ თვალთახედვასთან აერთიანებენ, ეს ბევრის მომტანია. რადიკალურად განსხვავებული ორი სტილის გაერთიანებით, დიზაინერი იღებს უდიდეს გამოცდილებას და პრაქტიკას.

— შენი პირველი ჩვენება თუ გახსოვს?

— ჩემი პირველი კოლექციის პრეზენტაცია პარიზში მოხდა. ჩვენების მოწყობა ჩემთვის პრობლემა არ იყო, რადგან უკვე პრაქტიკა მქონდა მიღებული. საქართველოში რომ ჩამოვედი, თავისუფლად დავიწყე დამოუკიდებლად მუშაობა. მსოფლიოში მოდელიერები არსად არ არიან ეროვნების მიხედვით გაერთიანებულები. არსებობს ცნობილი სახელების გაერთიანებები და ასოციაცია, რომელიც კოლექციების ჩვენების დროს აგვარებს ბიუროკრატიულ საკითხებს, აწესებს განრიგს — თუ რომელ საათზე ან რომელ დღეს, რომელმა დიზაინერმა უნდა წარმოადგინოს თავისი მოდელები. უცხოეთში ერთი სტილის მქონე ბევრი დიზაინერი არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს ერთი მომხმარებელი ჰყავს. თბილისში ასეთი რამ არ ხდება. ერთ სტილში, არც ერთი დიზაინერი არ მუშაობს. ჩვენთან უკვე გახსნილია მოდის სახლები და ყველა მათგანი ერთმანეთისგან რადიკალურადაა განსხვავებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ჰყავთ სხვადასხვა მომხმარებელი. ის, ვინც ჩემთან იკერავს, სხვასთან არ წავა — და პირიქით.

— დარწმუნებული ხარ, რომ ისინი, ვინც შენთან იკერავენ, სხვა დიზაინერთან არ წავლენ?

— ჩემთან უამრავი ისეთი ადამიანი დადის, რომელიც მხოლოდ ჩემთან იკერავს ან ჩემს მაღაზიაში ყიდულობს ტანსაცმელს. ამ ხალხს ჩვენებაზე ყოველთვის ვპატიჟებ; მათ უკვე ისეთი სტილი ჩამოუყალიბდათ, რომელიც ჩემს სახლშია დამკვიდრებული.

— თბილისში ვის აცვია ყველაზე კარგად?

ყოველდღიურად მხვდებიან ის ადამიანები, რომლებსაც ჩემი მოდელები აცვიათ. ხშირია შემთხვევა, როცა უკმაყოფილების გრძნობა მიჩნდება, რადგან ბევრს, ჩემი ტანსაცმელი არასწორად აცვია

— ბევრი ადამიანია ისეთი, ვისაც შეხვდავ და გესიამოვნება. მათი სახელების დაკონკრეტება არ მინდა, მაგრამ თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ხშირად შემხვედრია იმდენად სწორად და კარგად ჩაცმული ადამიანი, რომ განცვიფრებული დავრჩენილვარ.

— რამდენად მართებულია ის აზრი, რომ თბილისში ყოველთვის კარგად ეცვათ?

— საერთოდ, ქართველი ქალი ძალიან გემოვნებიანია. მე კმაყოფილი ვარ იმით, როგორც ჩვენში აცვიათ, პრეტენზია ნამდვილად არ მაქვს.

— წელს რას სთავაზობ თბილისელებს?

— გასულ წლებში, თუ ჩაცმულობაში იგრძნობოდა აგრესია, წელს ტანსაცმელმა მთლიანად რომანტიკული განწყობა უნდა შექმნას: სიმშვიდე, სილაღე და სიყვარული უნდა მოდიოდეს ტანსაცმლიდან. ამიტომ, მოდაშია თხელი, სიფრიფანა, მჩატე კაბები. თუმცა, ფერები უფრო უხეშია და არა ხასხასა. შარშან ქალებს უმეტესად, შარვლები ეცვათ. წელს მხოლოდ კაბებია მოდაში — მოდა ზედმეტად ქალური გახდა.

— რა არის შენთვის სტიმული? რის შემდეგ შეიძლება შეგექმნას იმის განწყობა, რომ ახალი მოდელი შექმნა?

– უბრალო მოძრაობამაც კი შეიძლება მომცეს ამის სტიმული, ან უბრალო ფოთოლმა; ქალმა, რომელიც მომეწონება – და ა.შ. გააჩნია, რა ახდენს ამის ინსპირირებას...

— რამდენად აუცილებლად მიგაჩნია, რომ მოდელიერის შემოქმედებას ეროვნული ხაზი გასდევდეს?

– მე არ მიმაჩნია, რომ აუცილებელია ეროვნული მოდელების შექმნა. შეიძლება შეიქმნა ისეთი მოდელი, რომელსაც ეროვნული ელემენტები ექნება, მაგრამ შემდეგ, წლების განმავლობაში, ასეთი რამ ველარ გააკეთო.

— შენს შვილებს თუ უკერავ ხოლმე?

– არა. შემიძლია სულ რამდენიმე მოდელი ჩამოვთვალო, რომელიც მათთვის შევქმენი. ძირითადად, მზა ტანსაცმელს ვყიდულობ ხოლმე მათთვის. ისინი პრეტენზიულები არიან... ვცდილობ, ლამაზად ეცვათ, მათ კი ურჩევნიათ, რომ კომფორტულად გრძნობდნენ თავს: ბოტასებსა და ჯინსებში. ამიტომ, უკვე გვაქვს პრობლემები და უფრო ხშირად, ჩვენი გემოვნება არ ემთხვევა ერთიმეორისას.

— მამაკაცებისთვის თუ ქმნი მოდელებს?

– მამაკაცებს ვუკერავთ, მაგრამ თბილისში არა. ერთხელ შევქმენი კოლექცია მამაკაცებისთვის, მაგრამ კომერციული არ იყო. საქმე კარგად გვაქვს აწყობილი მოსკოვში: მამაკაცის მოდელებს იქ ვაგზავნით და კარგადაც იყიდება. მამაკაცი მომხმარებლები იკერავენ ხოლმე ჩემთან, მათ შორის – კახურელა, „უცნობი“ და ა.შ. შემიძლია ვთქვა, რომ ათი ან ოცი მამაკაცი იკერავს ჩვენთან, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა.

— რით არის ეს გამოწვეული? ქართველ მამაკაცებს კარგად ჩაცმა არ უყვართ?

– კლასიკურ სტილში მე არ გკერავ, ქართველ მამაკაცებს კი, ძირითადად, კლასიკური ტანსაცმელი აცვიათ.

— ნაქსოვი სამოსი რატომ არ არის შენს კოლექციაში?

– მე ასე არ ვფიქრობ. აყვანილი მყავს მქსოველები, რომლებიც ხელით საკმაოდ კარგად ქსოვენ. უფრო ხშირად კი, მზა ქსოვილები ჩამომაქვს ხოლმე.

— ახლობლების ჩაცმას თუ აკონტროლებ?

– აქტიურად ვერევი ყველა ჩემი მეგობრის ჩაცმულობაში, ასევე – დედაჩემისა და ჩემი დის. ისინი ხშირად მეწინააღმდეგებიან, მაგრამ მაინც ვახერხებ, რომ მათი ჩაცმულობა ისე შევცვალო, როგორც სწორი და მოდურია.

შარშან ქალებს უმეტესად, შარვლები ეცვათ. წელს მხოლოდ კაბებია მოდაში – მოდა გვდმეტად ქალური გახდა.

როცა ჟურნალისტები ჩემთან მოდიან, სულ სხვანაირად არიან ჩაცმულები. როცა მათ სხვაგან ვნახულობ, მაშინ ვგრძნობ, რომ ჩემთან წამოსელის წინ, განსაკუთრებულად გაუმახვილებიათ ყურადღება ჩაცმულობაზე...

— თუ არსებობს ჩვენში კრიტიკა?

– არა. საქართველოში ჯერ ასეთი რამ არ არსებობს. მოდის სამყარო ახლა დგება ფეხზე. ამ დარგში დაოსტატებული ჟურნალისტები არ გვყავს. არიან ჟურნალისტები, რომლებმაც კარგად იციან, ვთქვათ, მუსიკა. მოდის კრიტიკოსი ჟურნალისტები კი, არ გვყავს.

— რა შეგიძლია თქვა ჟურნალისტების შესახებ? როგორი ჩაცმულები არიან ისინი?

– ერთი რამ შევამჩნიე: როცა ჟურნალისტები ჩემთან მოდიან, სულ სხვანაირად არიან ჩაცმულები. როცა მათ სხვაგან ვნახულობ, მაშინ ვგრძნობ, რომ ჩემთან წამოსელის წინ, განსაკუთრებულად გაუმახვილებიათ ყურადღება ჩაცმულობაზე... ეს ძალიან მსიამოვნებს. საერთოდ, გული მწყდება, რომ ბოლო დროს, ეტიკეტი ხშირად ირღვევა და ჩვენი ქალები ისევე ჩაცმულები მიდიან თეატრსა და კინოში, როგორც მაღაზიაში...

— როცა მოდელს ქმნი, მაკიაჟსა და ვარცხნილობას თუ ითვალისწინებ?

– ამის გარეშე ვერც წარმომიდგენია. მაკიაჟს მე თვითონაც ვაკეთებ და ჩემი სტილისტებიც მყავს. ერთ-ერთი ჩემი სტუ-

დენტი მოსკოვში, სტილისტების სკოლაში გავუშვი სასწავლებლად – რა თქმა უნდა, თავადვე დავაფინანსე. ისწავლა და ჩამოიტანა უმაღლესი კლასის დიპლომი, რითაც ძალიან ვამაყობ. სკოლის ხელმძღვანელმა დამირეკა და მადლობა მითხრა: მისი მსგავსი სტუდენტი ჯერ არ მყოლიაო... იმწუთას ძალიან ამაყი ვიყავი.

— რა შეგიძლია თქვა ვარცხნილობის შესახებ?

– დღეს ქალები სალონებში უფრო აქტიურად დადიან, ვიდრე წინათ. ეს აუცილებელია ქალისთვის. როცა ჩემთან მოდის ქალი და მეუბნება – მთლიანად განმაახლეო, – ეს ძალიან საინტერესოა და შედეგიანიც: მე ვცვლი მის ჩაცმულობას, მაკიაჟს და ვარცხნილობას. მაგრამ ასეთი შემთხვევა ძალიან იშვიათია. ქართველ ქალში სჭარბობს ამბიცია და სიამაყე, ამიტომ მას ყველაფერზე ურყევი, მყარი შეხედულებები აქვს.

— თუ გქონია შემთხვევა, რომ მოსულა შენს მაღაზიაში ქალი და შენ გიფიქრია, რომ მისგან არაფერი გამოვა?

– არა. არ არსებობს უშნო ქალი – არსებობს ქალი, რომელიც არასწორად იცვამს და არ იცის, რა უხდება...

— როგორ შეხვდი გაზაფხულს და რა შეიძინე წელს საგაზაფხულოდ?

– როცა გაზაფხული დგება, ახალი ტანსაცმლის შეკერვას და შეძენას ვიწყებ ხოლმე. დღეს შემიძლია გითხრათ, რომ ჩემთვის ჯერ გაზაფხული არ მოსულა, რადგან ჯერჯერობით მზეს მონატრებული ვარ. როგორც კი მზე გამოვა, მეც სიახლეების სურვილით ავივსები...

■

ნაციონალური მოძრაობის წევრი, ახალგაზრდა პარლამენტარი კობა დავითაშვილი არაჩვეულებრივად მხიარულ გუნება-განწყობილებაზე შემხვდა. 25 აპრილს, მიწისძვრამდე რამდენიმე საათით ადრე, 5.000 დოლარად ისეთი ძველი ბინა გავყიდე, რომ ალბათ, ახლა, სულ ნაწილ-ნაწილ არის დაშლილიო, — გულწრფელად მახარა. რა თქმა უნდა, დავითაშვილების მრავალშვილიანი ოჯახი უსახლკაროდ ნამდვილად არ დარჩა, თუმცა, ამაზე და საერთოდ, საკუთარ ცხოვრება-ქონებაზე თავად სიტყვამოსწრებული, ხელმომჭირნე დეკლარანტი უკეთესად გვესაუბრება.

კობა დავითაშვილი
14.000 დოლარს სეიფში ინახავს

ნინო ჯავახიშვილი

დოსიე:

კობა დავითაშვილი თბილისში 1971 წლის 31 ივლისს დაიბადა. როგორც თავად გამომჭილა, ბავშვობაში სათამაშოებით განებივრებული არ ყოფილა, თუმცა, არც ჩასაცმელს აკლებდნენ მშობლები და არც საჭმელს (ისე, სასმელ-საჭმელი რომ არ აკლდა, ძნელი დასაჯერებელი სულაც არ არის, — კობა ხომ მძიმეწონიან დეპუტატებს შორის ერთ-ერთი ლიდერია)! ყველაფერზე მეტად კი, თურმე მაინც წიგნები და კითხვა უყვარდა. ამიტომაც, დაბადების დღეზე ხშირად წიგნებს ჩუქნიდნენ ხოლმე. მამამისი რკინიგზელი იყო და იმ დროისთვის საკმაოდ დიდი ხელფასი — 300 მანეთი ჰქონდა, დედას კი, პროფესიით ეკონომისტს, — 145 მანეთი. როდესაც ოჯახის უფროსი 1984 წელს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აურჩევიათ, ხელფასიც 400 მანეთამდე გაზრდია და მაშინ ბევრისთვის საოცნებო, გასისინებული „ვოლგაც“ უყიდია...

კობას მეულლე, 27 წლის ინგა ბიწაძე თერჯოლაში დაიბადა. პროფესიით იურისტი გახლავთ. ინგამ და კობამ ერთმანეთი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში გაიცნეს და წელიწად-ნახევრის შემდეგ — 1997 წელს შეუღლდნენ კიდეც. 9 იანვარს ხელი მოაწერეს ანუ, როგორც თვითონ ამბობენ — იურიდიული კონტრაქტი გააფორმეს, 26-ში კი დიდუბის ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. აქაოდა, ოჯახის ერთადერთი მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი დაგვიჟორწინდაო, კობას მშობლებს ჯიბეზე ხელი გაუკრავთ და შვილისთვის საარაკო ქორწილი გადაუხდიათ.

დავითაშვილების ოჯახში სამი ვაჟკაცი იზრდება — 4 წლის ლუკა, 3 წლის თორნიკე და 2 წლის მათე. რაც შეეხება ინგა თავის პროფესიას მოსწყდა, პერმანენტულად დეკრეტშია, ამიტომ ახლა ცოტაი შეისვენებს და მერე მეთხესაც ვაპირებთო, — გამომჭილა სამი ვაჟის მამამ. ასე რომ, სულ რამდენიმე წელიწადში, დავითაშვილების ოჯახის წევრთა დეკლარირებულ სიას კიდევ ერთი წევრი შეიძლება შეემატოს, სასურველია — გოგონა...

დავითაშვილი მილიონერთა სიაში მოხვდა

დავითაშვილების მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ჯერ კიდევ 18 აპრილს (მაშინ, როდესაც პარლამენტარმა დეკლარაცია შეავსო) მხოლოდ და მხოლოდ ორ საცხოვრებელ ბინას თბილისში და ერთადერთ ავტომანქანას შეადგენდა. 25 აპრილს კი დეკლარანტს ბედმა გაულიმა და დეკლარაციაში 10.000 ლარად შეფასებული ოროთახიანი ძველი ბინა (ნასალადევის რაიონში, ჩაპაევის ქუჩაზე) სარფიანად გაყიდა. ეს ის ბინა იყო, სადაც კობამ ფეხი აიდგა და ბავშვობის ბედნიერი წლები გაატარა.

— უნდა ვაღიარო, რომ სახლი ძალიან ავარიულ მდგომარეობაში იყო. 5.000 დოლარად გავყიდეთ, ფულიც 25 აპრილსვე მოვცეს, კიდევ კარგი!.. ეჭვი მაქვს, რომ მიწისძვრის შემდეგ სახლი დაინგრა და ამიტომაც, მის ახლომახლო არ ვჩნდები. თუმცა, ეს სახლი კარის მეზობელმა იმიტომ შეიძინა, რომ დაენგრია და საკუთარი სახლისთვის მერე ახალი მიეშენებინა. მიწისძვრა ალბათ, ცოტა არ იყოს, წაეხმარა კიდეც სახლის დანგრევაში და კაცმა რომ თქვას, ორივე მოგებულები დავრჩით. ჩემი ფარღალალა სახლი დროულად რომ ვერ გამეყიდა, მიწისძვრის შემდეგ ამ ფასად ხომ ველარ გავყიდდი. საოცარი ბედი მაქვს... არადა, ვიცი, ამ ამბავსაც რაღაც კუდებს გამოაბამენ. ამიტომაც, თქვენი ჟურნალის მეშვეობით საჯაროდ ვაცხადებ: როგორც იცით, „ნაციონალისტებს“ რუსეთის აგენტობას გვაბრალებენ! ისიც გეცოდინებათ, ბოლო დროს ასე გახშირებულ მიწისძვრებს რუსებს და ეშერის ლაბორატორიას რომ მიაწერენ! ნაციონალურ მოძრაობას რუსეთთან და მით უმეტეს, ახლახან მომხდარ მიწისძვრასთან არანაირი კავშირი არა აქვს და ძალიან ვთხოვ ჩემს პოლიტიკურ ოპონენტებს, დედაჩემის მიერ მიწისძვრამდე 5 საათით ადრე სახლის გაყიდვის ფაქტს, სათავისოდ ნუ გამოიყენებენ! ეს უბრალო დამთხვევა იყო...

— რას იტყვით მეორე ბინის შესახებ, რომელშიც ამჟამად ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობთ?

— ის ოროთახიანი ბინაც მშობლების საკუთრებაა *(დავითაშვილები ვაზუშტი ბავრატიონის ქუჩაზე 30.000 ლარად შეფასებულ ბინაში ცხოვრობენ. — ავტ.)*. 5 წლის ვიყავი, როდესაც მამაჩემს რკინიგზამ ერთოთახიანი ბინა მისცა და საცხოვრებლად იქ გადავედით. რუსი მეზობელი გვყავდა, რომლის გარდაცვალების შემდეგ, მისი ბინაც შემოვიერთეთ და ცოტა გავფართოვდით. ამჟამად მამაჩემი კასპის რაიონში, სოფელში ცხოვრობს, დედა კი, ხან სოფელშია და ხან ჩვენთან.

— სოფლის სახლი რატომ არ ჩაწერეთ დეკლარაციაში, დაგავიწყდათ?

— არავის ეგონოს, რომ ამ სახლს ვინმეს ვუმალავ. ის მამაჩემის საკუთრებაა და ამიტომაც არ ჩავწერე — დეკლარაციაში გარკვევით წერია, რომ მხოლოდ ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება უნდა აღინიშნოს. მამაჩემი კი, სამწუხაროდ, ჩვენთან ერთად არ ცხოვრობს, რადგან ოროთახიან ბინაში 7 ადამიანის თანაცხოვრება ძალიან ძნელია.

— ბინის სივიწროეზე ასე რომ წუწუნებთ, ახლო მომავალში გაფართოებას ხომ არ აპირებთ?

— მეზობლის ოროთახიანი ბინის შემოერთებას ვაპირებ და ამის თაობაზე პრესკონფერენციის მოწვევასაც კი ვგეგმავდი, რომ მიშასავით *(მიხეილ სააკაშვილი. — ავტ.)* არ დამემართოს და ის სამსართულიანი კორპუსი, რომელშიც ბინას ვიყიდი, მთლიანად ჩემს საკუთრებად არ გამოაცხადონ: სამსართულიანი კორპუსის მეორე სარ-

თულზე ვცხოვრობ. პატრონი იმ ბინისა, რომლის ყიდვაც მინდა, რუსეთის სამხედრო მოსამსახურეა. მთელი ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში მოვითხოვ, რომ რუსეთის სამხედრო ბაზებმა საქართველო დატოვონ და, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც ანგარება მამოძრავებს – პირზე დუჟმრეული იმიტომ ვებრძვი რუსებს, რომ მეზობლის განდევნა და მისი ბინის მისაკუთრება შედარებით შელავათიან ფასში მსურს! ასე რომ, ჩემი პირადი ინტერესები და ქვეყნის საერთო ეროვნული ინტერესები ამ საკითხში აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს. მეზობელი კი 14.000 დოლარს ერთ თეთრსაც არ უკლებს. იცით, რატომ? ერთ გაზეთში გამოქვეყნდა ქართველი მილიონერების სია, რომელშიც, ჩემდა გასაკვირად, თქვენი მონა-მორჩილიც მოხვდა! იმ სიაში დასახელებული იყო ყველა ის პარლამენტარი, რომლის ქონებაც 100.000 ლარიდან მილიონამდე აღწევდა. მთელი ჩემი სიმდიდრე კი 100.000 ლარზე მეტს შადგენდა. აი, ასე გავხდი მილიონერი. ამ ამბავმა ისე გაართულა მეზობელთან მოლაპარაკება, რომ ის არამცთუ ფასს აღარ უკლებს, არამედ მეტსაც კი მთხოვს! თან ბინა ძალიან სარემონტოა და თუ ვიყიდე, კარგა გვარიანი თანხა დამჭირდება მის გასარემონტებლად. ამიტომ, ჯერჯერობით ვერ გადამიწყვეტია, რა ვქნა...

— ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი თქვენს ოჯახში რა არის?

– მანქანა „შკოდა-ფელიჩია“ *(მისი სადეკლარაციო ფასი შარშან 8.000 ლარი იყო, წლეულს კი – 6.000. – ავტ.)*. დეკლარაციების ბიუროში მითხრეს, ყოველ წელს მანქანის ღირებულებას 20% აკლდებაო. 4 წლის მანქანაა და ვფიქრობ, 6.000 ლარი რეალური ფასია. კიდევ, ერთი ძველებური ნივთი – 700-გრამიანი ვერცხლის ქამარი მაქვს, მაგრამ ქურდების გასაგონად ვამბობ, რომ ქამარს სახლში არ ვინახავ! იცით, ასე რატომ ვფრთხილობ?! ადრე გამქურდეს და ერთადერთი რამ, რაც ძვირად ღირებული მქონდა, – მშობლების ნაჩუქარი ვიდეომაგნიტოფონი მომპარეს. რა გინდათ, ახლა, ეს ქამარიც რომ მომპარონ ქურდბაცაცებმა?!

— დეპუტატის ხელფასის კვალობაზე საკმაოდ ძვირიანი მანქანა გყავთ. როგორ მოახერხეთ მისი ყიდვა?

– პარლამენტარობამდე ადვოკატი ვიყავი და საკმაოდ მაღალანაზღაურებადიც. ნეტავ რისთვის მოვედი პარლამენტში?!. აქ რა ხელფასიც მაქვს, ამაზე ათჯერ მეტი მქონდა და ათჯერ ნაკლები – ლანძღვა-გინება. სიმართლე თუ გინდათ, მიზეზს ვეძებ, რომ პოლიტიკიდან წავიდე და ისევ ადვოკატურაში ვისკუპო. ამიტომაც, ასეთი გადაწყვეტილება მივიღე: თუ ადგილობრივ არჩევნებში გავიმარჯვებთ და ერთი წლის განმავლობაში ვერ შევასრულებთ დანაპირებს, პირობას ვდებ, რომ პოლიტიკიდან წავალ, მეც დავისვენებ და ხალხიც...

— კარგით, მაგრამ ხომ იცით, პირობა პირობაა — მერე არ დაგავიწყდეთ თქვენი ახლანდელი სიტყვები.

– ?!

სხვისი ჯიბიდან გადახდა არ მჩვევია

როგორც დეკლარანტი ირწმუნება, საკმაოდ მაღალანაზღაურებადი ადვოკატი იყო, თუმცა, ფულს სასამართლო პროცესებზე კი არა, უფრო მეტად, იურიდიულ კონსულტაციებზე აკეთებდა. მაშინ დავითაშვილს არავინ იცნობდა და პოპულარობის მოხვეჭას ორი კურდღლის დაჭერით ცდილობდა: გახმაურებულ პროცესებზე სიმბოლურ ფასად ან სულაც უანგაროდ გამოდიოდა – ამით კლიენტურასაც იზიდავდა და საკუთარი პროფესიონალიზმისა და პერსონის რეკლამირებასაც ახდენდა. რამდენიმე ფირმამ მართლაც გაუფორმა ხელსაყრელი კონტრაქტი, რამაც ახალგაზრდა ადვოკატს საშუალება მისცა, სოლიდური თანხა მოეგროვებინა.

– ძალიან ბევრი მუშაობა არ მიწევდა, რადგან მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში (ვთქვათ, როდესაც ფირმაში საგადასახადო ინსპექცია შედიოდა შესამოწმებლად) მივდიოდი და მის ინტერესებს ვიცავდი. ისინიც კმაყოფილები იყვნენ და მეც. თვეში დაახლოებით 2.000-3.000 დოლარს ვშოულობდი, ეს კი ცოტა არ არის... იმავე პერიოდში აუდიტორული ფირმაც მქონდა და, როგორც ფირმის დირექტორი, ყოველთვიურად 500 ლარს ვიღებდი. წლების მანძილზე ჩემმა დანაზოგმა 31.000 დოლარს მიაღწია *(ცნობისათვის: თავდაპირველად, კობა დავითაშვილს, უფრო მაღალი პროცენტის გამო, სიმწრით ნაგროვები თანხის „თბილკრედიტბანკში“ შეტანა გადაუწყვეტია, მაგრამ ბედად, იმ დღეს პირადობის მოწმობა არ ჰქონია თან და უკან გამობრუნებულა. მეორე დღეს კი, „საქართველოს ბანკისთვის“ მიუნდვია თავისი ნაშრომ-ნაღვაწი და ზუსტად იმ დღეს, „თბილკრედიტბანკი“ გაკოტრებულა! დეკლარანტი ამჯერადაც გადაურჩა ცარიელ-ტარიელზე დარჩენას. ის არ მეყოფა, კომუნისტების დროს მშობლების დანაზოგი, ბანკში შეტანილი 15.000 მანეთი ოლიგარქების ჯიბეში რომ წავიდაო?! – სინანულით განაცხადა. – ავტ.)*.

— ძალიან ხელმომჭირნე კი ყოფილხართ.

– ხელმომჭირნე ნამდვილად ვარ და ვფიქრობ, ამაში სათაკილო არაფერია! რაც დავოჯახდი, ხარჯები შეძლებისდაგვარად შევამცირე და უფრო ხელმომჭირნე გავხდი. სამ ბიჭს სახლები ხომ უნდა ვუყიდო და ცოლები ხომ უნდა მოვაყვანინო? ამაზე ახლავე იმიტომ ვფიქრობ, რომ მერე უკვე გვიანი იქნება. როდესაც ცოლ-შვილი არ მყავდა, უფრო მეტს ვზოგავდი. ქალებში მე არ დავდივარ, სმა მე არ მიყვარს და დროს ტარება და ფული სად უნდა დავხარჯო?! ჩემი დროს ტარება პოლიტიკაა... კი ვწუწუნებ – ადვოკატობას თავი რატომ ვანებე-მეთქი?! – მაგრამ პოლიტიკას მაინც თავისი ხიბლი აქვს და პოლიტიკოსობაც მომწონს.

— პოლიტიკა დროს ტარებად რომ მიგაჩნიათ, ამიტომ ხომ არ გამოცხადდით ამას წინათ სხდომაზე ვაშლის ჭამით, რამაც დეპუტატების დიდი მრისხანება გამოიწვია?

– როგორც ხედავთ, საკმაოდ „შეთხელებული“ ვარ, რადგან მკაცრ დიეტას ვიცავ. ყოველ ორ საათში ერთხელ, ერთი ვაშლი უნდა შევჭამო. სხდომათა დარბაზიდან ვაშლის შესაჭმელად გარეთ გამოვედი, მაგრამ ვინ დამაცადა?! ერთი-ორჯერ ჩავკბიჩე თუ არა ვაშლი, გიგი წერეთელმა ზარი დარეკა და მანდატურიც მომვარდა – ახლავე დარბაზში შემოდიო. კი, ბატონო-მეთქი, – ვუპასუხე და შევედი. ვაშლი ხელში შემრჩა. გიგიმ დამიყვირა: რა არის, აქ რა სადილი გამიმართეო?! სადილი არა, მაგრამ ვაშლს ვჭამდი და ხელში შემრჩა-მეთქი, – ვუთხარი. მერე ჯიბეში რატომ არ ჩაიდეო? ნაჭამ ვაშლს ჯიბეში როგორ ჩავიდებდი-მეთქი? – გამეკვირდა. „მრეწველებმა“ და „ახალმა მემარჯვენეებმა“, არ ვიცი რატომ,

მაგრამ ძალიან ავრესიულად აღიქვეს ჩემი საქციელი და აღშფოთდნენ. დღესაც ეჭვის თვალით მიყურებენ – ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავიო?! მე კი, იმწუთშივე განვაცხადე, რომ ვაშლის ჭამა არ წარმოადგენდა პოლიტიკურ დემარშს, მასში არ იდო არანაირი პოლიტიკური აზრი და არ იყო მიმართული რომელიმე პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ! უბრალოდ, ვაშლის დიეტაზე ვარ და ზუსტად იმ დროს უნდა შემეჭამა ის ვაშლი, – ეს არის და ეს, ვისაც როგორც უნდა, ისე გაიგოს!..

— იმ ფულს, რომელიც ნაღდი ფულის აღმნიშვნელ გრაფაში გაქვთ ჩაწერილი — 10.000 დოლარს ვგულისხმობ, — ახლა უკვე 5.000-იც მიემატება, ხომ?

– ასეა, ოღონდ 10.000 დოლარს 1.000 მოვაკელი – ნაციონალური მოძრაობის ოფისის ქირა გადავიხადე. ასე რომ, ნაღდი ფული ახლა უკვე 14.000 დოლარი მაქვს *(საუბარი შეწყვიტა. – ავტ.)*; მოიცა, კაცო, ახლა რა გინდათ? მართლა უნდა დააყაჩაღებინოთ ჩემი თავი?! ამ ფულს სეიფში ვინახავ, ქურდები სახლში მოსვლით თავს ნუ შეიწუხებენ!..

— გინდათ თქვათ, რომ ოფისის ქირა საკუთარი ჯიბიდან გადაიხადეთ?

– აბა, როგორ! სხვისი ჯიბიდან გადახდა არ მჩვევია...

მე ახალი არ მინდა, ძველი მირჩევნია...

ოჯახის ერთადერთი მამა-მარჩენალი, თავად ოჯახის უფროსი გახლავთ. კობა დავითაშვილის წლიური შემოსავალი 7.704 ლარს შეადგენს (ე.ი. თვეში 642 ლარს იღებს), მეუღლე კი ოჯახის ბიუჯეტს მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ 50 ლარით ავსებს. მიუხედავად იმისა, რომ არც ჭამა-სმაში და არც ჩაცმა-დახურვაში ინგა და კობა პრეტენზიულები სულაც არ ყოფილან, ეს თანხა სრულიადაც არ ჰყოფნით თვიდან თვემდე თავის გასატანად.

– ინგა პარლამენტის აპარატში წამყვან სპეციალისტად მუშაობდა და რადგან შეუღლებიდან დღემდე სულ დეკრეტში იყო, ხელფასსაც ვერ იღებდა, მაგრამ ყოველი წლის 3 მარტს – დედის დღეს პარლამენტში ყველა ქალს 50 ლარით ასაჩუქრებენ ხოლმე. აი, ეს 50 ლარიც კი აღვნიშნე დეკლარაციაში.

— ჰო, ალბათ, იმიტომ, რომ 50 ლარი ძალიან დიდი შეღავათია ოჯახის ბიუჯეტისთვის, არა?

– დიდი შეღავათი არ არის, კაცი ერთ დღეში დახარჯავს 50 ლარს, მაგრამ იყოს, რა – პურს მთხოვს თუ წყალს? ხომ გაგიგიათ – ყვავს კაკალი გააგდებინე, ისიც კარგიაო...

— რა თანხა უდევს კობა დავითაშვილს ყოველდღიურად ჯიბეში?

– *(ჯიბეები მოიქექა და ქართუკის გულის ჯიბიდან ტკაცინა 20-ლარიანი ამოაცოცა.)*. აი, თვითონაც ხომ ხედავთ, რამდენი ფული მაქვს...

— სამსახურებრივ მივლინებებში, ამერიკაში, გერმანიასა და ბელგიაში ყოფილხართ, მაგრამ მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯები თურმე თქვენთვის ცნობილი არ არის. არადა, პარლამენტარები სამივლინებო ხარჯებიდან სერიოზული თანხის გადანახვას ახერხებენ ხოლმე...

– გინდ დამიჯერეთ და გინდ არა, ნება თქვენია, მაგრამ სამივლინებო თანხა არასდროს ამიღია და არც დავინტერესებულვარ, რამდენი ჯდება საზღვარგარეთ წასვლა და ცხოვრება. თან, როდესაც კონფერენციაზე ან სემინარზე გვიწვევენ, სასტუმროს და კვების ხარჯსაც თვითონ მასპინძლები იხდიან ხოლმე. ერთადერთხელ იყო ასეთი შემთხვევა ამერიკაში, როდესაც ფული ხელზე მოგვცეს სასტუმროს დასაქირავებლად. ქართველები რის ქართველები ვიქნებოდით, რომ არ გვეშმაკა, – და ერთ ნომერში ორ-ორი კაცი შევედით. ასე გადავარჩინეთ თანხის ნახევარი, მაგრამ თბილისში ჩამოვედი თუ არა, ერთ დღეში როგორ გავაქრე ის ფული, არ ვიცი... გულახდილად რომ გითხრათ, ხელფასი თვიდან თვემდე არ მყოფნის და ამიტომ, ხშირად, დანაზოგიდან 100-დოლარიანს გამოვაძრობ ხოლმე და ვხარჯავ, აბა რა ვქნა?!

— მშობლები სოფლიდან არაფრით გეხმარებიან?

– როგორ არა? სოფლის პროდუქტს გვიგზავნიან, მაგრამ მოსავლის მოყვანას ბევრი ფული სჭირდება. სოფელში საწვავისა და სასუქის საყიდლად იმდენ ფულს ვაგზავნი, რომ იგივე გამოდის. ეგ კია – სუფთა, ნატურალური მაწონს, ყველს, ხორცსა და კვერცხს გეახლებით.

— ადრე, ერთ ინტერვიუში გითქვამთ, ერთადერთი კოსტიუმი მაქვს და იძულებული ვარ, ყოველდღე ამ კოსტიუმში გამოვეწყო. ახალს გაჭირვების გამო ვერ ყიდულობთ?

– არა, არა, მაგ მნიშვნელობით არ მითქვამს!.. მერე, სხვათა შორის, ძალიან მაწყენინა ლევან გაჩეჩილაძემ, როცა დებატებში მითხრა: რა არის, გახეული „ნასკები" რომ ჩაგიცვამსო?!. ჯერ ერთი, რა კაცის საკადრისია სხვისი თვალიერება და მეორეც, ვისი საქმეა, რას ჩავიცვამ? ტანსაცმლის ამოჩეჩება ვიცი. ის ერთი და იგივე კოსტიუმიც იმიტომ ამოვიჩემე, რომ ახალ სამოსში თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობ, ძველი მირჩევნია და ამიტომაც არ ვყიდულობ ხშირად ახლებს. თანაც ჩაცმაზე მაინცდამაინც არ ვგიჟდები, თორემ, იმის საშუალება ნამდვილად მაქვს, რომ როცა მომინდება, ახალ-ახალი კოსტიუმი ვიყიდო!..

პოსტსკრიპტუმის მაგიერ:

დეკლარანტმა „საქართველოს ბანკში" ანგარიში 2001 წლის თებერვალში გახსნა, მაგრამ ჯერჯერობით დივიდენდი არ მიუღია. სექტემბერში, როდესაც 31.000 დოლარის საპროცენტო სარგებელი უკვე 6.000 დოლარს მიაღწევს, ერთიანად გამოიტანს ფულს. ამის გამო, დავითაშვილებმა შეიძლება ბინის ყიდვა შემოდგომამდეც გადადონ, ეს 6.000 დოლარიც დაამატონ და უფრო დიდი, გარემონტებული ბინა იყიდონ. ამიტომაც, კობამ ახლობლები მკაცრად გააფრთხილა: იცოდეთ, ფულის სესხად თხოვნა არც კი გაბედოთ, ხომ ხედავთ, რა დღეშიც ვარ, ბინისთვის თითოეულ თეთრს ვზოგავ, თანაც თანხის ძირითადი ნაწილი მაინც ბანკში მაქვს და ვერ გამოვიტან, პროცერჩი მოაკლდებაო! (ცნობისათვის, კობა დავითაშვილს 1998-99 წლებში ნათესავებისთვის ზეპირი ხელშეკრულებით 2.200 დოლარი უსესხებია; ეს თანხა წლეულს კიდეც ჩაუსესხებიათ მევალეებს და ჩვენს ხელმომჭირნე პარლამენტარს კიდეც შემოხარჯვია...) საუბრის დასასრულს კი დააყოლა: ხელმომჭირნეობაზე ამდენი რომ ვილაპარაკე, სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი არ გეგონოთ, არც ცოლ-შვილისთვის მენანება ფული და გაჭირვებაში ჩავარდნილ მეგობრებსაც ვეხმარები ხოლმეო...

■

როგორც „გზის" წინა ნომერში, ალერგიულ დაავადებებზე საუბრისას დაგპირდით, ამჯერად ბრონქიალური ასთმის შესახებ მოგითხრობთ. სასუნთქი სისტემის ეს ალერგიული პათოლოგია ორი სახეობისაა: ეგზოგენური – რომელსაც ალერგენები იწვევს, და ენდოგენური – რომელიც არაალერგიული დაავადების ფონზე მიმდინარეობს. მაგალითად: მუკოვისციდოზის, ტუბერკულოზის, სარკოიდოზისა და ავტოიმუნური პათოლოგიების ფონზე. ბუნებრივია, ყველაფერი პროფესიონალურ დონეზე ჩატარებული დიაგნოსტიკით იწყება. ვესაუბრებით მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, პედიატრ-ალერგოლოგ ირინა მიმინოშვილს.

რა „არ უყვარს" ბრონქიალურ ასთმას

ლელა ჭანკოტაძე

— თუ გამოიწვია თბილისში მომხდარმა მიწისძვრამ ალერგენების მომატება და თუ არსებობს რაიმე კავშირი მიწისძვრასა და ალერგიას შორის?

— ასეთი კონკრეტული ინფორმაცია ალერგიასა და მიწისძვრას შორის მსოფლიო ლიტერატურაში არ შემხვედრია, მაგრამ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ამ კავშირს აღმოვაჩენთ. ალერგიის ბევრი ფორმა მჭიდრო კავშირშია ადამიანის ფსიქო-ემოციურ სფეროსთან. ნერვიულ სტრესსა და ეკოლოგიურ პრობლემებს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. მიწისძვრის დროს ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური სტრესი ყალიბდება, აქედან გამომდინარე, დასაშვებია, რომ მიწისძვრის შედეგად ალერგიული პათოლოგიები გამწვავდეს.

— თუ მოგმართეს პაციენტებმა, რომლებსაც მიწისძვრის შემდეგ გაუმწვავდათ ალერგიული ფონი?

— ძალიან ბევრმა მომმართა. ზოგს ალერგიული ფონის გამწვავებასთან ერთად, ვირუსული ინფექციაც აქვს, რომელიც სწორედ მიწისძვრის შედეგად წარმოიშვა. მიწისძვრის დროს ჩემი პაციენტების უმეტესობას ეძინა, დაბნეულმა დედებმა ისინი თითქმის შიშველები გაიყვანეს სახლებიდან: გაქცევა იყო პირველი სპონტანური რეაქცია თავდაცვის მიზნით. ბევრი ბავშვი გაცივდა კიდეც და მწვავე ბრონქიტი დაემართა. ასე რომ, ალერგიული დაავადებების გამწვავების გარკვეული ტალღა ნამდვილად წარმოშვა მიწისძვრამ.

— იქნებ განმარტოთ, რა არის ბრონქიალური ასთმა და როგორ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს პაციენტზე შეტევები, რომელიც ამ დაავადებას ახლავს თან.

— ბრონქიალური ასთმა ერთ-ერთი პირველი ალერგიული დაავადებაა, რომელიც აღწერილია სპეციალურ ლიტერატურაში. თვითონ სიტყვა „ასთმა" ხუთვას ნიშნავს. დაავადება ვლინდება სუნთქვის, კერძოდ კი – ამოსუნთქვის გაძნელებით. ამ დაავადებას ხრჩობის შეგრძნება ახასიათებს, ამიტომ პირველი გრძნობა, რომელიც პაციენტს უჩნდება, გაგუდვის შიშია. ძალიან მძიმედ გადასატანია თითოეული შეტევა – რამდენად მსუბუქადაც არ უნდა მიმდინარეობდეს ის, – რადგან პანიკური შიში ახლავს თან.

— თუ შეიძლება, შეტევის დროს პაციენტი ართლა დაიხრჩოს?

— რა თქმა უნდა, შეიძლება. მსოფლიო ლიტერატურაში ძალიან ბევრი შემთხვევაა აღწერილი, როცა პაციენტი ბრონქიალური ასთმის შეტევისგან გარდაიცვალა. სიკვდილი ყოველთვის მოხუთვით ან გაგუდვით კი არ არის გამოწვეული, არამედ იმ გართულებითაც, რასაც ბრონქიალური ასთმის ქრონიკული მიმდინარეობა იწვევს. ასთმა გარეგნულად სპაზმებით ანუ სუნთქვის გაძნელების შეგრძნებით გამოიხატება, თუმცა, არის შემთხვევები, როცა პაციენტს სუნთქვა არ უჭირს, მაგრამ აქვს ძლიერი ხველა. აუცილებელია განვასხვავოთ ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის გაძნელება.

— დააკონკრეტეთ ეს განსხვავება.

— ჩასუნთქვის გაძნელების დროს სასუნთქი სისტემის ზედა ნაწილებია დაზიანებული, ხოლო ამოსუნთქვის გაძნელების დროს ვამბობთ, რომ პაციენტი დაავადებულია ბრონქიალური ასთმით. გარეგანი სუნთქვის დიაგნოსტიკის გარეშე, ბრონქიალური ასთმის დიაგნოზის დასმა შეუძლებელია. შეიძლება პაციენტს ჰქონდეს ძლიერი ხველითი შეტევები, მსტვენავი ხიხინიც კი, მაგრამ არ იყოს დაავადებული ბრონქიალური ასთმით.

— კიდევ რა მძიმე პრობლემებს ქმნის ბრონქიალური ასთმა?

— ხდება ორგანიზმში ჟანგბადის მიწოდების შეფერხება, რის გამოც, ჟანგბადის ნაკლებობას განიცდის ყველა შინაგანი ორგანო, პირველ რიგში კი – ტვინი. ადამიანს უქვეითდება მეხსიერება, ეწყება თავის ტკივილები და თავბრუსხვევა; მოზარდები სწავლაში ჩამორჩებიან. რაც მთავარია, თითოეული შეტევა სიცოცხლისთვის არის საშიში. იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით მიმდინარეობს ბრონქიალური ასთმის შეტევები, ხდება ასთმის სიმძიმის დადგენა. როცა დაავადება მარტივი და მსუბუქია, ბავშვი აბსოლუტურად უუნაროა – არ შეუძლია სწავლა, თამაში, ურთიერთობა თანატოლებთან. როცა შეტევების გახშირება იწყება, ზიანდება გული, ცენტრალური ნერვული სისტემა და ფილტვები; ვითარდება დამ-

ატებითი ინფექციის კერები.

— ბრონქიალური ასთმა განკურნებადი დაავადება არ არის?

— არ შეიძლება ვთქვათ, რომ ბრონქიალური ასთმა განკურნებადია. მაგალითად: მოიყვანეს ხუთი წლის ბავშვი, ჩავუტარეთ მკურნალობა, რომელიც მიღებულია მსოფლიო სტანდარტებით და ოთხმოცი წლის ასაკამდე ამ ბავშვს შეტევა აღარ მოსვლია; ამ შემთხვევაშიც კი, ვერ ვიტყვით, რომ ის განიკურნა, რადგან შეიძლება მოხვდეს ისეთ პირობებში, სადაც უმალვე განუვითარდება დაავადება. მიუხედავად იმისა, რომ ბრონქიალური ასთმა არ იკურნება, ალერგიული პროცესის შეჩერება შესაძლებელიც და აუცილებელიცაა.

— როგორ ხდება ალერგიული პროცესის შეჩერება?

— ის მძიმე ფორმიდან გადაგვყავს საშუალო სიმძიმის ფორმაში, საშუალო სიმძიმიდან — მსუბუქ მიმდინარეობაში. უნდა მივაღწიოთ რემისიის ანუ ნათელი პერიოდის გახანგრძლივებას — მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი გართულებების თავიდან აცილება და სიცოცხლისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა.

— შეტევები ყველაზე ინტენსიური როდის არის?

— გაზაფხულზე და შემოდგომაზე შეტევები ხშირია, რადგან ამ დროს მიმდინარეობს ყვავილობისა და მეტეოროლოგიური ფაქტორების ცვლილებების პროცესი. შეტევა პაციენტს შეიძლება ჰქონდეს ყოველდღე ან დღეში რამდენჯერმე. ძალიან ხშირად, დედა ვერ აფასებს ბრონქიალური ასთმის შეტევის სიმძიმეს. მას ესმის ხველა, სუნთქვის გახანგრძლივება და ფილტვიდან მსტვენავი ხიხინი, ამ დროს შეტევა შეიძლება იყოს მსუბუქი, ხოლო როცა ფილტვიდან ხტვენა არ ისმის, ასეთ შემთხვევაში — რთული. ამიტომ აუცილებელია ამბულატორიული კონსულტაცია, რის შემდეგაც ექიმი გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა სტაციონარში ბავშვის მოთავსება. ასთმა სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობაა. გამოსავალი, სწორ მკურნალობაში და, როგორც პაციენტის, ასევე ექიმის სრულ მობილიზებაშია.

— ასთმიან ბავშვებს ხშირად მოავადე ბავშვებს უწოდებენ. რატომ?

— ეს ფრაზა მართლაც გავრცელებულია, რადგან როცა მკურნალობა შეცდომით ხდება, პროფილაქტიკა კი დაგვიანებულია, იოლად ვერ ხერხდება დაავადების შეჩერება. ასეთი ბავშვები გამუდმებით ავადმყოფობენ.

— რამდენად აუცილებელია ბრონქიალური ასთმის დროს მედიკამენტოზური მკურნალობა?

— სწორად ჩატარებული მედიკამენტოზური მკურნალობა იძლევა საშუალებას, რომ შეჩერდეს ბრონქიალური ასთმა, მაგრამ ეს არ არის უნივერსალური საშუალება. ამიტომაც, მსოფლიოში არსებობს მეთოდი, რომელსაც სპეციფიკური ჰიპოსენსიბილიზაცია ჰქვია, — როცა მკურნალობა ხდება იმავე ალერგენებით, რაც ალერგიას იწვევს. ეს მკითხველისთვის ძალიან რთული გასაგები იქნება, ამიტომ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ასეთი მკურნალობა მაქსიმალური ეფექტის მიღების შანსს იძლევა. მსოფლიოში ამაზე შედეგიანი ჯერჯერობით არაფერი არსებობს.

— რამდენად აქტიურად მიმდინარეობს მსოფლიოში ამ დაავადების საწინააღმდეგო ახალი საშუალებების ძიების პროცესი?

— ძალიან დიდი თანხები იხარჯება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ამ დაავადებასთან საბრძოლველად. შემიძლია ერთი საინტერესო ფაქტი გაგაცნოთ: ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან მომრავლდა ალერგიული რეაქციები მიწის თხილზე (არაქისზე); გამოვლენილია, როგორც ქრონიკული ულტიკარიის, ასევე ბრონქიალური ასთმის შემთხვევებიც. ამერიკაში მიწის თხილს აქტიურად იყენებენ. მსოფლიოს ალერგოლოგთა ასოციაციამ არაქისის მწარმოებელ ორგანიზაციებს ძალზე სოლიდური თანხები გამოაყოფინა ალერგიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისთვის. საქმე სასამართლომ განიხილა და ალერგოლოგთა ასოციაციამ მილიონობით დოლარი მიიღო.

— რამდენად მაღალია სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ბრონქიალური ასთმით დაავადებულ პაციენტთა შორის?

ოთახის მტვრის ტკიპა, რომელიც იწვევს ალერგიას მტვერზე

— მსოფლიოში სიკვდილიანობის საკმაოდ სოლიდური სტატისტიკაა. დადგენილია ერთი სავალალო კანონზომიერება: ყოველ თხუთმეტ წელიწადში, წინა მაჩვენებელი ორმაგდება. ერთი შეხედვით, პარადოქსული სიტუაცია იქმნება: წინათ, არც ამდენი მედიკამენტი არსებობდა და არც ამდენი სამკურნალო საშუალება, მაგრამ ამ დაავადებამ სწრაფი ტემპებით ზრდა მხოლოდ ახლა დაიწყო. რა თქმა უნდა, ეს მედიკამენტების სპონტანურად გამოყენებითა და ეკოლოგიური გარემოს გაუარესებით არის გამოწვეული. ყველა წამალი, გარკვეული დოზით არის წამალი — იმ შემთხვევაში, თუ ის სწორად არის დანიშნული, ამის მიღმა კი, საწამლავად იქცევა. ნებისმიერი წამალი უნდა ტრანსფორმირდებოდეს ღვიძლში ან გამოიყოს ორგანიზმიდან თირკმლების მეშვეობით. ამიტომ, ალერგიის საწინააღმდეგო და სპაზმების მოსახსნელი წამლების ხელაღებით მიღება მომაკვდინებელია. ალერგია ისეთი დაავადებაა, რომ ზოგჯერ, თვით ანტიალერგიული საშუალებებიც კი განავითარებს ალერგიულ მოვლენებს, — მაგალითად, ჰორმონზე, რომელიც ძალიან ხშირად, როცა სიცოცხლისთვის საშიში სიტუაცია იქმნება, გადარჩენის ერთადერთ საშუალებად გვევლინება. ასეთ კრიტიკულ შემთხვევაში, ალერგიული რეაქცია ჰორმონმაც შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ, ალერგიაში არ არსებობს ურყევი კანონები, ალერგიაში მხოლოდ ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება მიაღწიო სასურველ შედეგს.

— საქართველოში თუ დაფიქსირებულა ბრონქიალური ასთმით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები?

— საოცარი ფაქტია, მაგრამ ასეთი შემთხვევა მე არ გამიგია; ალბათ, საქართველოში არც მომხდარა. ალერგიული პრობლემები საზღვარგარეთის ქვეყნებში უფრო მწვავედ დგას. ჩვენ მათ უკან მივყვებით, თუნდაც იმიტომ, რომ ეკოლოგიური გარემო ჩვენთან ცოტათი უფრო სუფთაა.

— ბავშვებში უფრო ხშირია ბრონქიალური ასთმა თუ მოზრდილებში?

— ბავშვებში ბრონქიალური ასთმა ადრეული ასაკიდან ვლინდება. მაგრამ შეიძლება ის სიბერის დროსაც გამოვლინდეს. ცხოვრების რა ეტაპზე აღმოაჩნდება ადამიანს ბრონქიალური ასთმა, ამის წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია.

— კიდევ რა შეგიძლიათ რჩევის სახით უთხრათ ბრონქიალური ასთმით დაავადებულ პაციენტებს?

— პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ მთელი მსოფლიოს ალერგიული ცენტრები სისტემატურად უცხადებს მოსახლეობას, თუ როგორია ჰაერში სხვადასხვა ნარჩენისა და ყვავილის მტვრის შემადგენლობა. ეს ინფორმაცია ინტერნეტითაც ვრცელდება. ორი-სამი დღის წინ ეს მეთოდი მოსკოვშიც დამკვიდრდა. დროა, ჩვენც ვიცოდეთ, როგორ ჰაერს ვსუნთქავთ ყოველდღიურად, რაც გააადვილებს დამცავი ღონისძიებების გატარებას. რაც შეეხება რჩევებს: მშობელს ვურჩევ, ნურასოდეს დაიმშვიდებს თავს, რომ შეტევა მსუბუქია, რადგან ამ დაავადების „დამძიმება“ ღამის საათებში ახასიათებს ხოლმე და ექიმის დახმარების დაგვიანებამ სერიოზული გართულება შეიძლება გამოიწვიოს... ბრონქიალურ ასთმას ძალიან „არ უყვარს“ ქარიანი ამინდი, ამ დროს უმჯობესია, პაციენტმა ნიღაბაფარებულმა იაროს ან საერთოდ არ გავიდეს სახლიდან. აუცილებელია, მშობელმა მკაცრი კონტროლი დააწესოს აეროზოლების ხმარებაზე: როცა შესხურება ხშირად ხდება, ეს გულის კუნთზე იმდენად ცუდად მოქმედებს, რომ შეიძლება ფატალური შედეგიც კი გამოიწვიოს. სამწუხაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იშვიათად ხდება ბრონქიალურ ასთმასთან დაკავშირებული ცნობების გავრცელება.

— რომელია ყველაზე მცირე ასაკი, როცა ბრონქიალური ასთმა შეიძლება გამოვლინდეს?

— თუ ბრონქოსპაზმური მოვლენა ერთ წლამდე ასაკის ბავშვს სამჯერ განუვითარდა, ეს უკვე ბრონქიალური ასთმაა; გარეგანი სუნთქვის ფუნქციური დიაგნოსტიკა ორი წლის ასაკიდან ხდება — მაშინ, როცა ბავშვს შეუძლია გაიმეოროს ის სუნთქვითი მოძრაობები, რაც აუცილებელია დიაგნოსტიკისთვის.

— განსაკუთრებით საინტერესო პაციენტები თუ გყავთ?

— მყავს მოზარდი პაციენტები, რომლებსაც პედაგოგის ეშინოდათ და ამ პედაგოგთან ურთიერთობისას ემართებოდათ შეტევა. ან კიდევ, შეტევა ჰქონდათ იმ ადამიანებთან კონტაქტისას, რომლებისაც ეშინოდათ. არიან პაციენტები, რომლებსაც აქვთ ალერგიული რეაქცია წყალზე: ზღვაში შესვლისას ან ცივი წყლის გადავლების შემდეგ, ტანზე გამონაყარი უჩნდებათ, ჭინჭრის ციების სახით — თუმცა, შესაძლებელია, ამის შედეგად ბრონქოსპაზმიც განუვითარდეთ. ზოგიერთ პაციენტს ცივი ჰაერის ჩასუნთქვაზეც უვითარდება ბრონქოსპაზმი.

— შესაძლებელია ახალშობილს ალერგია დედის რძეზე ჰქონდეს?

— ასეთი ალერგია არ არსებობს. მაგრამ როცა მეძუძური დედა ალერგენებს ღებულობს, ეს შვილზე მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში, მკურნალობას ვუტარებთ დედას და პარალელურად, თავისთავად, ახალშობილიც იკურნება.

■

ჩვენ მივაღწიეთ ამას!

საერთო წონის დაკლება 31 კგ!!!

წონის დაკლების და ჯანმრთელობის კორექციის ახალი სისტემის საშუალებით ჩვენ დავიბრუნეთ ახალგაზრდული იერი და ჯანმრთელობა!

დაიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა ჩვენი კვალიფიციური ზედამხედველობის ქვეშ.

დაგვირეკეთ: 957067; 227756; 382374; 893345008 ანდრო, ნატა

ქართული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვისი ნათლული იყო გურამ რჩეულიშვილი?

ა) გალაკტიონ ტაბიძის;
ბ) ირაკლი აბაშიძის;
გ) ივანე ჯავახიშვილის.

2. რომელი ქართველი მეცნიერის აშენებულია თბილისის გავშვთა პირველი კლინიკური საავადმყოფო?



ა) ძმები ზუბალაშვილების;
ბ) დავით სარაჯიშვილის;
გ) ძმები ლაზიშვილების.

3. რა ჰქვია ბრილიანტს, რომელსაც მხატვრულ ფილმ „ტიტანიკში“ მთავარ მოქმედ პირს უძღვნიან?

ა) „ცისფერი თვალი“;
ბ) „ოკეანის გული“;
გ) „ცის ნამი“.

პასუხები ახალ ნომერში გვერდზე

გაყინული პროდუქტი საჭმელად თვისებას ინარჩუნებს

გაზაფხულის დადგომასთან და დათბობასთან ერთად, ბუნება უხვად გვასაჩუქრებს მრავალფეროვანი ხილით, ჯენჯერითა და ბოსტნეულით. დაუჯერებელია, მაგრამ მათი გემოსა და ვიტამინების ცოცხლად შენარჩუნება თურმე მომავალ გაზაფხულამდე არის შესაძლებელი. აქ არ არის ლაპარაკი დამარილების ან დაკონსერვების კლასიკურ მეთოდებზე; იმისათვის, რომ ახალდაკრეფილმა ნობათმა თითქმის ერთი წელი უდანაკარგოდ გაძლოს, ცივად შენახვის მეთოდის გამოყენება ყოფილა საჭირო.



ასე გამოიყურებოდა ასი წლის წინანდელი ამერიკული საყინულე

ალბათ, ყველამ იცის, რომ გაყინული პროდუქტებისადმი გავრცელებული გულგრილი დამოკიდებულება გამართლებული სულაც არ ყოფილა: მრავალრიცხოვანმა ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ გაყინული პროდუქტი უკეთ ინარჩუნებს ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებს, ვიდრე ცივ ადგილას, სარდაფში ან საკუჭნაოში შენახული. ეს იმიტომ ხდება, რომ ჰაერი ვიტამინებს (ეს განსაკუთრებით C ვიტამინს შეეხება) უფრო ადვილად შლის, ვიდრე სიცივე. მეცნიერებმა 51 სახეობის პროდუქტი შეისწავლეს და დაადასტურეს, რომ გაყინვის დროს, მათში ოცზე მეტი სასიცოცხლოდ აუცილებელი ნივთიერების შენარჩუნება ხდება. ასე რომ, თუ ახალნაყიდ ჭარხალს, პომიდორს ან კომბოსტოს მაშინვე საყინულეში მოათავსებთ, ამით პროდუქტები ორგანიზმისთვის უფრო სასარგებლო გახდება.

გაყინულ პროდუქტს ადამიანები ჯერ კიდევ ათასი წლის წინ იყენებდნენ, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე კი, დაულალავად ცდილობდნენ ყინულის მწარმოებელი მოწყობილობებისა და ხის საყინულეების სრულყოფას. ამგვარი სახის თანამედროვე მოწყობილობებს კი თავისი ავტორიც ჰყავს – ეს ამერიკელი კლარენს ბირდსეია. XX საუკუნის დასაწყისში, ლაბრადორზე მუშაობისას მან პირველად გასინჯა ესკიმოსების მიერ გაყინული პროდუქტი, ამის შემდეგ ბუნებრივი სიცივისა და პროგრესის ახალი მიღწევების გაერთიანება გადაწყვიტა და მაცივრის შექმნის იდეაც გაუჩნდა.

1924 წელს ბირდსეიმ ახალგაყინული თევზის მწარმოებელი პირველი კომპანია დააარსა, სადაც თევზს თუნუქის კონტეინერებში კალციუმის ქლორიდის მეშვეობით მინუს 40 გრადუსამდე ყინავდნენ.

სახლის პირობებში პროდუქტის გაყინვის დროს, აუცილებლად უნდა დაიცვათ რამდენიმე წესი: ყველა პროდუქტი გამზადებული უნდა იყოს მოსახმარებლად, ანუ კენკრა – მარწყვი, მოცხარი და სხვა – უნდა დაარჩიოთ, მოაცილოთ წვრილი ღეროები და გარეცხოთ, შემდეგ თხელ ფენად გაშალოთ პირსახოცზე და გააშროთ. რაც უფრო კარგად იქნება გაშშრალი კენკრა, მით უფრო მალე გაიყინება იგი და გემოსაც კარგად შეინარჩუნებს. კენკრა თეფშზე უნდა დაყაროთ და საყინულეში მოათავსოთ. მას შემდეგ, რაც ის კარგად გაიყინება, უკვე მისი პარკში ან შუყაოს ყუთში ჩაყრა და საყინულეში დიდი ხნით შენახვაც შეიძლება.

ისეთ ბოსტნეულს, როგორიცაა ყაბაყი ან გოგრა, კანი უნდა გააცალოთ და პატარა ნაჭრებად დაჭრათ, რადგან პატარა ნაჭრები გემოსა და ვიტამინებს უკეთ ინარჩუნებს. მწვანილი კი შეგიძლიათ კონებად შეკრათ

ქ. ცხაკაიას დღევანდელი სახელი	ნაღირთა მეფე	საფრანგეთის იმპერატორი	ხმლის ტარი	მსახური	მხატვარი ... მაგალი	წერტ კოორდი აბსცის
სენაკი	ლომი	ნაპოლეონი	ტარი	მსახური	მაგალი	
მღინარე პარიში	დიალექტი, ...კილო	შუშა ანუ ...	მდ. იტალიაში	მწერალი ... ქიანელი	ჯიპის მსგავსი „ქიგული“	პარიკმახერი	ფ. ფელინის ფილმი

ან დააჭუმაცოთ. ამ შემთხვევაში, კარგი იქნება ყინულისთვის განკუთვნილი პატარა ფორმების გამოყენება, რადგან ასეთი კუბურების წვნიანში და სადილში ჩამატება ძალიან მოსახერხებელია. სხვათა შორის, სიცივეს მწვანილი ძალიან კარგად იტანს და შეგიძლიათ გაყინოთ, როგორც ოხრახუში, ქინძი და კამა, ასევე მაჟუნა, ისპანახი და მწვანე ხახვიც კი.

უნდა გითვალისწინოთ ისიც, რომ ისეთი ბოსტნეული, როგორიცაა ყვავილოვანი კომბოსტო, მწვანე პუხუდო და მწვანე ლობიო, გაყინვის წინ აუცილებლად ნახევარი წუთით მდულარე წყალში უნდა მოთავსდეს. ამ შემთხვევაში ვიტამინების დაკარგვის საფრთხე არ ჩნდება, რადგან ასეთ მცირე დროში ტემპერატურა ვერ ახერხებს იმ ფერმენტების გააქტიურებას, რომლიც ხარშვისას ვიტამინებს შლის. თუმცა, სოკო აუცილებლად სრულ გამზადებამდე უნდა მოიხარშოს – მისი უმად გაყინვა არ შეიძლება, რადგან ამ შემთხვევაში სოკო გემოს კარგავს. ხილისა და ბოსტნეულის გაყინვას სპეციალისტები ცელოფანის კარგად თავმოკრულ პაკეტებში გვირჩევენ.

იმისათვის, რომ მთელი ეს შრომა წყალში არ ჩაიყაროს და შენარჩუნებული მიკროელემენტები, გემო და ვიტამინები არ დაიკარგოს, აუცილებელია გაყინული პროდუქტების სწორად გალღობა. ეს კი, რაც შეიძლება მცირე დროში უნდა მოხდეს, რადგან ყინულის დნობის პროცესში წარმოქმნილი წყალი სხვადასხვა მიკროორგანიზმის გაცოცხლებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება გალღობის შემდეგ პროდუქტების გარეცხვა: წყალი ვიტამინებს შლის და პროდუქტს გემოს უფუჭებს. თუ ხილის და კენკრის ცოცხლად გამოყენებას აპირებთ, უმჯობესი იქნება, პროდუქტი არ გახსნათ და ისევე შეფუთული გაალღოთ: ამ შემთხვევაში, ტექნოლოგები მიკროტალღოვანი ღუმლის გამოყენებას გვირჩევენ ან სასურველია, რომ შეფუთული პაკეტი 35-45 გრადუსი ტემპერატურის ცხელი წყლის ჭავლის ქვეშ მოვათავსოთ.

თუ გაყინული პროდუქტის მოხარშვას ან შეწვას აპირებთ, მაშინ სჯობს, ის საერთოდ არ გაალღოთ. სხვათა შორის, გაყინული პროდუქტი ახალზე დაახლოებით ორჯერ უფრო სწრაფად იხარშება. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო ნაკლები რაოდენობის წყალში იხარშება ბოსტნეული, მით უფრო კარგად ინარჩუნებს იგი ვიტამინებს და მიკროელემენტებს, ამიტომ, გაყინული პროდუქტის მომზადების იდეალური ხერხი, მისი ორთქლზე მოხარშვაა.

პროდუქტის გაყინვა და მისი გამოყენება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ დაუშვებელია პროდუქტის ხელმეორედ გაყინვა: ამ დროს ის არა მარტო გემოს კარგავს, არამედ მასში მავნებელი ბაქტერიებიც იყრის თავს და მოწამვლის საფრთხეც მაღალია. ამიტომ, საჭირო პროდუქტის ძებნის დროს, საყინულედან ყველა პაკეტის გადმოლაგება რომ არ დაგჭირდეთ, სჯობს, ყველა პაკეტს წინასწარვე დააწეროთ პროდუქტის დასახელება და მისი გაყინვის თარიღი. ■



ის ტებია: ა ...	თბილისში არის ... ბა	რომელი რელიგიური სექტის წევრი გახდა ბუდარიბა	50-დოლარიანზე გამოსახული ამერიკის პრეზიდენტი	იგავი	ლიბიის დედაქალაქი	ქალაქის თავი	
ბილისის სამოდელო სააგენტო	ადამიანს აქვს ... მიმოქცევის სისტემა	„თეთრი ბაირაღების“ პერსონაჟი ... გულოიანი	რომის პაპის გვირგვინი	ბოსტნეული	სინთეზური ბოჭკო (მოგაღად)		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდან მოდის ირმის ნახტომი და გუთნეული...

სალომე შოშიტაშვილი

ლეგენდა:

გლეხკაცს ორი მეგობარი ჰყავდა – ირემი და ხარი. ორივე ძალიან უყვარდა, მაგრამ ვერ გაერკვია, მისი ერთგული რომელი უფრო იყო. გლეხის ერთგულებაში ხარი და ირემი ეცილებოდნენ ერთმანეთს. ამიტომ შეჯიბრება გადაწყვიტეს. შეჯიბრის ადგილად ცის თაღი აირჩიეს... ვინც პირველი მიირბენდა ცის თაღის ბოლომდე, იგი ითვლებოდა გამარჯვებულად – ე.ი. კაცის ერთგულად. ირემმა იჩქარა, ვერ განსაზღვრა თავისი ძალა, გრძელი ფეხებით შეჰკრა კამარა, დიდი მანძილით გაუსწრო კიდეც ხარს, მაგრამ მალე დაიღალა, ციდან ჩამოვარდა და დაიღუპა. ცის თაღს ახლაც ამჩნევია მისი კვალი – ირმის ნახტომი. რაც შეეხება ხარს, იგი დინჯი, ზომიერი ნაბიჯებით გაუყვა ცის სავალს, დაიღალა, მაგრამ თაღის ბოლომდე მაინც მიაღწია – ასე გაჩნდა მეორე თანავარსკვლავედი – გუთნეული.

გამარჯვებული ხარი თავისი წმინდა მოვალეობის აღსრულებას შეუდგა – გუთანში შეება...

ასე სხვადნენ ჩვენი წინაპრები – გადმოცემული XIX საუკუნის ბოლოს, ბარის კახეთში (ფოტო)

ციურ მოვლენებთან მიწათმოქმედების კავშირი ხალხურ გამოცანებშიც ჩანს. აი, თუნდაც: „უმზღვარი ყანაი, უთვალავი სერკვი (ბულული)“ – არც მეტი, არც ნაკლები, ცა და ვარსკვლავებია. რაც შეეხება ხარის უდიდეს როლს, ეს მშვენივრად არის ასახული ერთ ხალხურ ლექსში:

არშაბათობით აშენდა
ცხე-ქალაქი მთაზედა,
ქვა შემოვლო გალავნად,
ცა დახურა თავზედა,
ალმასის შენახვა
ვერავინ იდო თავზედა.
ხვნა-თესვა, ფარცხვა,
დაზიდვა
გაჭირდა მეწყალ ძალზედა,
ხარმა თქვა ჰარ-ნათლიერმა:
„მე დამანერეთ რქაზედა“...

ვესაუბრებით ცნობილ ეთნოლოგს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ქალბატონ **თამილა ცაგარეიშვილს**.

— ქალბატონო თამილა, ქართული ეთნოლოგიის მეტრის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ნაშრომებში სამიწათმოქმედო ტრადიციების განხილვისას გამორჩეული ადგილი უკავია ხარს. რით არის ეს განპირობებული?

— ქართველი მიწათმოქმედის დამოკიდებულება თავის ერთგულ მეგობართან, ხართან (სახვნელი იარაღის გამწევ ძალასთან) ხალხურ სიმღერებშიც კარგად ჩანს. ეს სიმღერები დღეს მარტოოდენ სცენას როდი შემორჩა. კახეთში ახლაც გაიგონებთ სახნისს მიბრუნებული გლეხკაცის ძველებურ გუთნურს და ოროველას, ტკბილხმოვან ურმულს... საქართველოს ზოგიერთ საკურთხეველში, წმინდა გიორგის დღეს, გადმოცემით, თვით წმინდა გიორგის მოჰყავდა ხარი, ზოგან კიდევ წმინდა გიორგის დღეს, ირემი მოდიოდა... თუ ქრისტიანულმა წმინდა გიორგიმ წინაქრისტიანული მთვარის ღმერთი შეცვალა, მიწათმოქმედების მფარველს ასევე უკავშირდება ირემი – ნადირობის ღმერთის წარმომადგენელი...

— კიდევ სად უნდა ვეძებოთ გეორგიანელთა წეს-ჩვეულებების ფესვები და საერთოდ, რას უკავშირდება სამიწათმოქმედო კულტურის განვითარება ჩვენთან?

— პირველ ყოვლისა, თვით მიწათმოქმედს – ქართველ კაცს, რომელიც მითებიდან და ლეგენდებიდან გოლიათებად, გმირებად მოდიან – ისინი მიწას ხნავენ და უაღმატებულესი შრომით გამოირჩევიან, გვერდს ვერ ავუვლით სახვნელ იარაღებს, ხვნა-თესვასა და მოსავლის აღებასთან დაკავშირებულ რიტუალებს.

— ჩვენთან რა სახის სახვნელმა იარაღმა მოიკიდა ფეხი?

— თავდაპირველი, მარტივი ტიპის გუთნიდან მოყოლებული, სახვნელმა განვითარების დიდი გზა გაიარა. ორი საუკუნის წინ სახვნელს უჩნდება რკინის ქუსლი და ფრთა და მუხრანული გუთნის სახელით მკვიდრდება. თუმცა, გაცილებით ადრე, დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ VI-VII საუკუნიდან დასტურდება სახვნელი იარაღი, რომელიც რკინის სახნისით და საკვეთელით ბელტს ჭრიდა, აბრუნებდა და ფშვნიდა. ამ ტიპის სახვნელში 8-10 უღელი ხარ-კამეჩი იყო შებმული.

— მუშახელიც, ალბათ, ბევრი დასჭირდებოდა.

— დიახ. გუთნისდედას მეხრეები და მწაფელები ეხმარებოდნენ. გარდა ამისა, გუთნეულში ოთხი უღელი ხარის შესაბმელი ღვედის დასამზადებლად ორი ხარისა და ერთიც კამეჩის ტყავი იყო საჭირო...

— ხვნის რიტუალს, როგორც ჩანს, დღესასწაულის სახე ჰქონდა *(ამ რიტუალის შესახებ ჩვენს წინა მასალებში გვქონდა კიდეც საუბარი.)*

— რა თქმა უნდა. არსებობდა ე.წ. მოდგამის ინსტიტუტი (მოდგამი იგივე ნადია, ან ამბაზი: როცა მინდვრის დამუშავება ერთობლივი ძალით, შეამხანაგებით წარმოებდა). სახვნელად წინასწარ ემზადებოდნენ, აცხობდნენ სპეციალურად ამ დღისთვის განკუთვნილ პურებსა და ქადებს, კლავდნენ საკლავს. ამ დღისთვის განკუთვნილ ღვინოს ასევე ცალკე ინახავდნენ საგანგებოდ... ბუნებრივია, შრომის ორგანიზაციის ასეთი ფორმა (შრომითი გაერთიანება) უკავშირდებოდა დიდი მასშტაბის მემინდვრეობას.

...

სახვნელი იარაღი, ხარი და გუთნისდედა განუყოფელია ქართული ყოფისთვის. ამდენად, ბუნებრივია ხალხურ ეპოსში უამრავი მითის, ლეგენდის, ლექსისა თუ სიმღერის არსებობა, ქართულ სამიწათმოქმედო ტრადიციებს რომ უკავშირდება. და არც ის არის გასაოცარი, რომ არცთუ ისე იშვიათად, ჩვენი წინაპრები საფლავის ქვაზე სწორედ გუთანს გამოსახავდნენ. ■

ელენე სალარიძე

იშხნის საწინამძღვრო ჯვარი



ეს ჯვარი არა მარტო თავისი სიდიდით იქცევდა ყურადღებას, არამედ უამრავი პატიოსანი თვლით, ფილიგრანული ტექნიკით შესრულებული ოქროს ვარდულებით და პირველ ყოვლისა, სასწაულმოქმედი ძალით. მისი წინამძღვრობით არაერთი განსაცდელი აუცილებია თავიდან ქართველს... ამ ჯვარს თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მტერს ბევრჯერ უცდია მისი ხელში ჩაგდება, ვერაფერს გაბედარა...

იშხნის სამონასტრო ცენტრი, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი იყო, ტაოში მდებარეობდა. თავდაპირველად, ეკლესია VII საუკუნეში აუშენებია ეპისკოპოს ნერსეს, მერე არაბებს დაუნგრევიათ, IX საუკუნის დასაწყისში კი ტაძარი გრიგოლ ხანძთელის მოსწავლეს საბა იშხნელს განუახლებია. შუა საუკუნეებში აქ მნიშვნელოვანი სამონასტრო კომპლექსი მოქმედებდა...

დღეს იშხნის ტაძარი თურქეთის ტერიტორიაზეა, დროდადრო თუ შეავლებს თვალს მის გუმბათს იქ მოხვედრილი ჩვენი თანამემამულე და პირჯვარს გადაიწერს.... უცხო რჯულის ხალხისთვის კი ქართველთა უძველესი და უწმინდესი სალოცავი ერთი უბრალო, ძველი ნაგებობაა და მეტი არაფერი...

იშხნის საწინამძღვრო ჯვარი იშხნის ეპისკოპოსის ილარიონის შეკვეთით დაუმზადებიათ 973 წელს. ამ დროიდან მოყოლებული XVI საუკუნემდე, იგი ტაძრის მშვენებას წარმოადგენდა. ტაოკლარჯეთში ისლამის გაძლიერების შემდგომ ჯვარი ცაგერს გახიზნეს, საიდანაც 1924 წელს ხელოვნების მუზეუმში გადმოიტანეს, თბილისში.

ჯვარი სიმაღლით 51 სმ-ია, სიგანით – 31 სმ. სატარებლად დამაგრებული ჰქონდა სახელური (31 სმ სიმაღლის), რომელიც დღემდე შემორჩა.

ამ უზარმაზარი ვერცხლის მოოქრული ჯვრის ცენტრში ჯვარცმაა, მაცხოვრის ფიგურა უბრალო, მაგრამ შთამბეჭდავი ხაზებითაა გამოქანდაკებული, მაშინ, როდესაც მთლიანი ჯვრის ფრთები, ზედა და ქვედა ნაწილები მეტად მდიდრულად არის შესრულებული. მაცხოვრის თავს ზემოთ წარწერაა: „ესე იესუ მეუფე ჭურიათაი“.

ჯვრის თითოეული განივი მკლავის ქვედა ნაწილში არის შემკვეთის გრავირებული წარწერა ერთ სტრიქონად: „იშხანისათვის ილარიონ შექმნა, ვინ გამოახვას შემცაჩვენებელ არს“ (ვინც ხელყოს, შეჩვენებულ იყოსო).

ჯვარზე მოთავსებული ვარდულები ოქროსგანაა დამზადებული დამოუკიდებლად, შემდეგ საგანგებო მოოქრულ ვერცხლის ბუდეშია ჩასმული და მიმაგრებული. ქრისტეს ჯვარცმის ზემოთ უმშვენიერესი, დიდი ზომის ამეთვისტოა, დანარჩენ ვარდულებში ძირითადად ძვირფასი საფირონებია, რამდენიმე ზურმუხტიც აჯადოებს თვალს.

შემკვეთის წარწერას გვერდით მკლავებზეც ვხვდებით: „ძელო ცხორებისაო წინამძღუარ და მფარველ ექმენ ილარიონ ეპისკოპოსსა, ქრისტე ადიდენ მეფენი ჩუენნი და ერი მათი დაიფარე...“

ჯვრის სახელური

მთელი ჯვარი სპეციალურ სახელურზე იყო დამაგრებული, რომელიც დღემდეა შემონახული (თუმცა, ჟამთა სვლისგან რამდენადმე გაცვდა...). იგი შედგება საკუთრივ ცილინდრული სახელურისა და სფეროსაგან, რომელშიაც ჯვარი მაგრდებოდა. სახელური ორნამენტირებულია, მოსევადებული.

ჯვრის ქვედა მკლავი, როგორც ჩანს, ხშირი ტარებისგან გადატეხილა და აღუდგენიათ. იმერეთის მეფის, გიორგი III-ის ნებით, რაზეც იქვე გაკეთებული წარწერა მიგვანიშნებს (XVII ს.). ერთი საუკუნის შემდგომ კი სახელურისთვის კვერთხიც მიუმატებიათ.

იშხნის საწინამძღვრო ჯვარზე ქრისტეს ჯვარცმის არსებობის თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდათ ქართველ მეცნიერებს. აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი მიიჩნევდა, რომ ჯვარცმა პირველადვე იყდა საწინამძღვრო ჯვრის კომპლექსში. აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი კი ქრისტეს ფიგურას ჯვარზე XVII საუკუნეში მიმაგრებულად თვლიდა...

ამ თემას კვლავაც არაერთგზის მიუბრუნდებიან ქართული კულტურის მკვლევარნი, მაგრამ როგორი დასკვნაც არ უნდა გამოიტანონ, ერთი რამ უდავოა, იშხნის საწინამძღვრო ჯვარმა ქართულ საგანძურში იმთავითვე დაიმკვიდრა გამორჩეული ადგილი. გიორგი ჩუბინაშვილისავე სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „იშხნის ჯვარი ქართული ჭედური ხელოვნების დიდებული ნიმუშია. იგი ეპოქის განვითარების ანარეკლია პირველ რიგში საზეიმო, რელიეფური გამომსახველობით, ჯვარცმის გამოკვეთილი სკულპტურული ფიგურით, საიუველირო მედალიონებით დამშვენებული, სვეტის დახვეწილი ტექნიკით, დაბოლოს, ფიგურებში განხორციელებული ექსპრესიით... ყოველივე ეს ჯვარს უდიდეს მნიშვნელობას სძენს ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიულ პროცესში“. ■

ავსტრალიელი «გიგანტთა მკვლელი»

დოსიე:

დაბადების თარიღი: 1981 წლის 24 თებერვალი

საცხოვრებელი ადგილი: ადელაიდა (ავსტრალია)

სიმაღლე: 180 სმ

წონა: 65 კგ

პროფესიონალურ ტურნირებზე გამოდის 1997 წლიდან



1997 წლის იანვარში ავსტრალიის ღია პირველობის მონაწილეთა ძირითად ჯგუფში ყველასათვის მოულოდნელად მსოფლიო საჩოგბურთო სამყაროსათვის სრულიად უცნობი, ქერაკიკინიანი ჩოგბურთელი მოხვდა, რომელიც იმთავითვე დიდი ამბიციურობით გამოირჩეოდა. მართალია, პროფესიონალურ ჩოგბურთში მაშინ ჯერ კიდევ თინეიჯერ ლეიტონ ჰიუიტის ტრიუმფალურ სტარტს უკვე პირველივე წრეში დაესვა წერტილი, მაგრამ გავიდა სულ რაღაც სამი წელი და ახალგაზრდა ავსტრალიელმა ზედიზედ ორი პრესტიჟული ტურნირი მოიგო, რის შედეგადაც სულ ორი კვირით, მაგრამ მაინც, ლიდერთა რეიტინგში პირველ ადგილზე იმყოფებოდა. ასე უცაბედად ამობრწყინდა მსოფლიო ჩოგბურთში ახალი სუპერვარსკვლავი.

ლეიტონ ჰიუიტი ავსტრალიაში საკმაოდ ცნობილი სპორტსმენების ოჯახში დაიბადა. მისი მამა, გლინ ჰიუიტი ათი სეზონის განმავლობაში ავსტრალიის ეროვნული საფეხბურთო ლიგის (იგულისხმება ავსტრალიური ფეხბურთი – ე.წ. „ფუტი“ – რომელიც ამერიკულ ფეხბურთს უფრო მეტად წააგავს, ვიდრე ევროპულს) ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის, „ადელაიდელი ყვავების“ წამყვან ფორვარდად ითვლებოდა. ჩოგბურთის მომავალი ვარსკვლავის დედა, შერილინ რაბოლი კი, სამხრეთ უელსში, ერთ-ერთი საუკეთესო ფრენბურთელის სახელით იყო ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ჰიუიტების საგვარეულოში თითქმის ყველა მამაკაცი ავსტრალიური ფეხბურთით იყო გატაცებული, ლეიტონის მამამ არ ისურვა, რომ ვაჟიშვილს მისი გზა გაეგრძელებინა. „ჩემი ყველაზე დიდი ოცნება ავსტრალიურ საფეხბურთო ლიგაში პროფესიონალ მოთამაშედ გახდომაა“, – ამბობდა თურმე პატარა ლეიტონი, თუმცა, სულ სხვანაირად ფიქრობდა გლინ ჰიუიტი. ჩოგბურთის მომავალი ვარსკვლავის მამას, სპორტული კარიერის მანძილზე, უამრავი მძიმე ტრავმა ჰქონდა გადატანილი. სწორედ ამიტომ, ლეიტონის მშობლებმა ვაჟიშვილისათვის ფათერაკებით აღსავსე ავსტრალიური ფეხბურთის მაგივრად, უფრო მშვიდი და ჯანმრთელობისათვის ნაკლებად საშიში სპორტის სახეობა – ჩოგბურთი არჩიეს. გლინ და შერილინ ჰიუიტების არჩევანს კი, ის ფაქტიც უწყობდა ხელს, რომ მათ ყველა შეძლებული ავსტრალიური ოჯახის მსგავსად, საკუთარი საჩოგბურთო კორტიც ჰქონდათ. სწორედ იმ კორტზე, მომავალში „გიგანტთა მკვლელად“ წოდებულმა სამი წლის, რვა თვისა და ჩვიდმეტი დღის ლეიტონმა პირველად დაარტყა ბურთს ჩოგანი. როგორც შემდგომში გამოირკვა, გლინ და შერილინ ჰიუიტების არჩევანი მთლად მართებული არ ყოფილა. ლეიტონი თავისი

წინაპრებისაგან (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰიუიტების საგვარეულოს ერთერთი წინაპარი მწვანე კონტინენტზე კატორღელის სტატუსით ჩასულა) მემკვიდრეობად მიღებული თვისებების გამოვლენის გამო, ხშირად კონფლიქტურ სიტუაციებში აღმოჩნდებოდა ხოლმე, რის გამოც მან შემდგომში საკმაოდ ოდიოზური სპორტსმენის სახელი დაიმკვიდრა საჩოგბურთო სამყაროში. მომავალი ვარსკვლავის აგრესიული გამოხდომები ჯერ კიდევ ბავშვობაში იყო ცნობილი. ერთხელ, მაგალითად, ჰიუიტმა ერთ-ერთი თავისი თანატოლი ბიჭი მხოლოდ იმის გამო სცემა, რომ მან მისი ჩოგანი აიღო. ერთხელაც კინაღამ თვალი გამოსთხარა გოგონას, რადგან ეს უკანასკნელი მას კინოში არ გაჰყვა. ჩხუბისთავობასთან ერთად, ლეიტონ ჰიუიტს ბავშვობაში პიროტექნიკოსის სახელიც ჰქონდა გავარდნილი. მისთვის ყველაზე თავშესაქცევი და საინტერესო გართობი იყო, ვინმეს დაბადების დღეზე მისვლა და ყველასაგან შეუმჩნევლად, საიუბილეო ტორტის სანთლების პეტარდებით შეცვლა, რის შედეგადაც აფეთქებული კრემიანი ფანტელებით დამშვენებული სტუმრების შემხედვარე, გულიანად იცინოდა ხოლმე. ჰიუიტის ამგვარი, სხვებისთვის არცთუ ისე სასიამოვნო საბავშვო თავგადასავლების შემდეგ, გასაკვირი აღარ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ როდესაც ავსტრალიელი ჩოგბურთელი საქვეყნოდ ცნობილი გახდა, მისი ბიოგრაფიის დეტალების დასადგენად კორესპონდენტები ამაოდ ეძებდნენ სპორტსმენის ბავშვობის მეგობრებს. ლეიტონის მიმართ, ყველა ნაცნობ-თანატოლი თუ თანაკლასელი ანტიპათიით იყო განწყობილი. მათ მეხსიერებაში „დიდი ჰიუიტი“ ყოველთვის არამზადა, აუტანელ ბავშვად რჩებოდა. თინეიჯერთა გამოკითხვის შედეგად კი, ჟურნალისტებისთვის ნათელი გახდა, თუ რატომ დატოვა ჰიუიტმა სკოლა (რომელიც ადელაიდაში ყველაზე პრესტიჟულ კერძო კოლეჯად ითვლებოდა) და რატომ გადაწყვიტა, რომ მერხს აღარასოდეს მისჯდომოდა. ბოროტი ენები იმასაც ამტკიცებენ, რომ ლეიტონ ჰიუიტმა უშეცდომოდ წერა დღესაც არ იცის.

„უტიფარი აგასი სულიერად გავტეხე, თავხედ კაფელნიკოვს ჭკუა ვასწავლე, ფილიპუსისიც თავის ადგილზე დავსვი და ამჯერად ჩემთვის ყველაფერი სულერთია“, – ასეთი სკანდალური და მოულოდნელი განცხადებებით საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების ცენტრში მუდმივად ექცეოდა ლეიტონ ჰიუიტი მას შემდეგ, რაც მან პროფესიონალურ ჩოგბურთში წარმატებებს მიაღწია.

პროფესიონალურ ტურში გამოსვლის პირველ სეზონში ლეიტონმა მსოფლიო რეიტინგში 722-ე ადგილიდან 113-ე ადგილზე გადაინაცვლა, როდესაც მან მშობლიურ ადელაიდაში ანდრე აგასი დაამარცხა. მიუხედავად ამ წარმატებისა, ჰიუიტი ავსტრალიაში მაინც შეუმჩნეველი რჩებოდა და მისით მხოლოდ ადელაიდაში ამაყობდნენ. ავსტრალიელი თინეიჯერის ყოველი წარმატება კი, მსოფლიოს წამყვანი საჩოგბურთო გამოცემებისათვის სენსაციურ სიურპრიზად აღიქმებოდა. „არსებობს ჯგუფი, რომელსაც ჟურნალისტთა კატეგორიას ვერ მივაკუთვნებ. ისინი საძაგელი ფიზიონომიით გამოირჩევიან და ყოველნაირად ცდილობენ, რომ რაიმე მავნონ, მაგრამ არა უშავს, მიხვდებიან, რომ თავდასხმის ობიექტი შეეშალათ“, – მთელი სერიოზულობით განაცხადა პროფესიონალურ ტურში ჯერ კიდევ თავისი პირველი სეზონის დასაწყისში ჰიუიტმა, რომლის შეუნიღბავი სიძულვილი მხოლოდ ორი ადამიანის – ავსტრალიის ჩოგბურთელთა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელების, ჯონ ნიუკომბისა და ტონი როჩის მიმართ არ ვრცელდებოდა. სწორედ ნიუკომბმა შენიშნა პირველად 16 წლის ლეიტონი და დევისის თასის გათამაშებისას სათადარიგო წევრად მიიწვია გუნდში. ტონი როჩი კი, მიუხედავად თავისი მეტად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, მაინც გამოძებნიდა ხოლმე დროს ნიჭიერი თინეიჯერის დამატებითი ვარჯიშისათვის. „ჯონი და ტონი რომ არ დამხმარებოდნენ, დიდი ჩოგბურთელი ვერასოდეს გავხდებოდი“, – გულწრფელად აღიარა ერთხელ ლეიტონ ჰიუიტმა.

ეჭვგარეშეა, რომ დღეს ლეიტონ ჰიუიტი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ჩოგბურთელია პროფესიონალთა შორის, თუმცა, მისი მისამართით ხშირად გაისმის კრიტიკა, რაც ავსტრალიელი სპორტსმენის არასასურველი რეპუტაციით არის განპირობებული. არაერთი სპორტული ჟურნალისტი და ჩოგბურთის სპეციალისტი მიიჩნევს, რომ თუ ჰიუიტს პოპულარობის მოხვეჭა სურს, იმიჯის შეცვლაზე უნდა იზრუნოს. ლეგენდარული ჯონ მაკინროის მსგავსად, კორტზე გამოსვლისთანავე ლეიტონ ჰიუიტიც მხეცს ემსგავსება, რომლისთვისაც, არანაირი ზღვარი და აკრძალვა არ არსებობს. თუმცა, მაკინროისა და ჰიუიტს შორის ამ მხრივ ერთი განსხვავება მაინც არსებობს. ჯონი მატჩის დამთავრებისთანავე უწყინარ, გულისხმიერ ადამიანად გადაიქცეოდა ხოლმე, რომელთანაც ხელოვნებაზე საუბარი ან თუნდაც კათხა ლუდის დალევაც კი იყო შესაძლებელი. ლეიტონ ჰიუიტი კი, ძალიან ხშირად აგრესიასა და უარყოფით ემოციებს საჩოგბურთო კორტის მიღმაც ველარ იკავებს, რის გამოც მის მენეჯერს ხშირად დიდი პრობლემები ექმნება. საკმარისია გავიხსენოთ, რამდენიმე წლის წინ მისი მეტად უტაქტო გამოხდომა სიდნეისა და მისი მცხოვრებლების მისამართით. პროვინციული ადელაიდის მკვიდრი მხოლოდ იმიტომ გადაეკიდა სიდნეიელებს, რომ მათ 2000 წლის ოლიმპიადის დაწყების წინ სიდნეიში გამართული ერთ-ერთი საჩოგბურთო მატჩის დროს, მსაჯთან მოკამათე ლეიტონს სტვენა დაუწყეს. „თუ სიდნეის მკვიდრნი ჩემს წინააღმდეგ იქნებიან განწყობილნი, ე.ი. ისინი ტუტუცები არიან და კისერიც უტეხიათ თავიანთი სულელური ოლიმპიადით“, – უთქვამს მაშინ ლეიტონ ჰიუიტს, რომელ-



იც იმ შეხვედრაში სიდნეიელთა საყვარელ ჩოგანს, დეჟან პეტროვიჩს 6:1-სა და 5:0-ს უგებდა და ბუნებრივია, პუბლიკას დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მათ რჩეულს ძალიან სამარცხვინოდ მაინც არ წაეგო მატჩი. თუმცა, ლეიტონმა უკვე მოგებულ შეხვედრაში ერთი გეიმის ჩუქებაც ვერ გაიმეტა დეჟან პეტროვიჩისათვის, რაც შემდგომში თავადვე განმარტა. „როდესაც კორტზე ვარ, მთელი 110 პროცენტით ვიხარჯები, დანარჩენისთვის კი, მიმიფურთხებია“, – აღნიშნა ველური სიფიცხით ცნობილმა ჰიუიტმა.

ლეიტონ ჰიუიტი კორტზე თავისი შემტევი სტილის გარდა, სხვა ჩოგბურთელებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ ყოველთვის ცდილობს მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურად დათრგუნვას. პროფესიონალ მოკრივეთა მსგავსად, ლეიტონი ყველა ხერხს მიმართავს, ხშირად კი, პირდაპირ შეურაცხყოფასაც არ თაკილობს, რათა მოწინააღმდეგე წონასწორობიდან გამოიყვანოს და უნდა ითქვას, რომ ძალიან ხშირად ავსტრალიელი ჩოგანი თავის მიზანს აღწევს კიდეც. ლეიტონის ამგვარი საქციელის შემდეგ, მის არაერთ მოწინააღმდეგეს უჩნდება სურვილი, რომ უზრდელი ავსტრალიელი „შუაზე გაგლიჯოს“ და გაცოფებული გადადის შეტევაზე, რასაც პროვოკატორი ჰიუიტი მშვენივრად იყენებს თავის სასარგებლოდ.

ლეიტონ ჰიუიტი არასოდეს მალავს იმას, რომ მოწინააღმდეგეთა მიმართ სიძულვილით არის განწყობილი. პროფესიონალური კარიერის დაწყებიდან ოთხნახევარი წლის გასვლის შემდეგაც კი, ავსტრალიელმა ვერაფრით შეძლო თავის რომელიმე კოლეგას რიგიანად გასცნობოდა მაინც, რომ აღარაფერი ვთქვათ დამეგობრებაზე. უფრო მეტიც, სხვა ჩოგბურთელებთან ურთიერთობას იგი თავისი ღირსების შელახვად მიიჩნევს. შეიძლება ითქვას, ანალოგიური შეხედულებისაა ლამაზი სქესის წარმომადგენელთა მიმართაც. ერთხელ, ერთ-ერთ პოპულარულ ბრიტანელ მანეკენს, რომელიც მოდის სამყაროში „კაპრიზის“ ფსევდონიმითაა ცნობილი, ლეიტონის „შებმა“ განუზრახავს. – „თავიდან მომწყდი, თორემ ფეხებს შემოგამტვრევ!“ – უთქვამს ჰიუიტს. ამბობენ, რომ ადელაიდელი ჩოგანი თავისი არაკონფლიქტური ხასიათის გამო, დღემდე მეგობარი გოგონას გარეშე ცხოვრობს, თუმცა თავად მას ეს ფაქტი სულაც არ ადარდებს და ამ მხრივ არც არაფრის შეცვლას ცდილობს.

ლეიტონ ჰიუიტის არასპორტული საქციელის მსხვერპლი არაერთი ცნობილი ჩოგბურთელი გამხდარა. ავსტრალიელზე განსაკუთრებულად განაწყენებულნი, ევგენი კაფელნიკოვის გულშემატკივრები არიან. რუსი ჩოგანი ხომ უკვე რამდენჯერმე გაება ლეიტონის „ბადეში“. მაგალითად, ბრისბენში რამდენიმე წლის წინ გამართული მატჩის დროს, კაფელნიკოვმა წინდახედულება ვერ გამოიჩინა და „ადელაიდელ უტიფართან“ უცენზურო რეპლიკების გაცვლა-გამოცვლაში ჩაება, რაც მალე ერთგვარ „სიტყვათა ომში“ გადაიზარდა. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლაში, ისევე, როგორც თავად საჩოგბურთო მატჩში, გამარჯვებული, ლეიტონ ჰიუიტი დარჩა. ერთი თვის შემდეგ ბერსში ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და ჰიუიტმა იგივე სცენარით შეძლო კაფელნიკოვის დამარცხება. მატჩის შემდეგ კი, იმისათვის, რომ რუსი ჩოგბურთელისათვის თავისი უპირატესობა კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა, თითებით მიანიშნა – ორჯერ შეგხვდი და 2:0-ს გიგებო. „კორტზე მხოლოდ ერთი მიზნით გამოვედი – რუსი გამენადგურებინა“, – აღნიშნა მოგვიანებით ჰიუიტმა.

ჩოგბურთის გულშემატკივრები არ ივიწყებენ იმ ფაქტსაც, როდესაც რამდენიმე წლის წინ ბრისბენში რუსებთან ერთ-ერთ ნახევარფინალურ მატჩში გამარჯვების ნიშნად ჰიუიტმა გაზონზე ფეხით კარტოფილი გასრისა. როგორც ჩანს, ამგვარი არაეთიკური საქციელი ავსტრალიელი ჩოგბურთელისთვის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა. ჰოლანდიელებთან ერთ-ერთი გამარჯვების შემდეგ, ლეიტონმა ფეხით წითელი ტიტა გასრისა. მოგვიანებით კი, ზიმბაბვეში სტუმრობისას, გამოუსწორებელი ადელაიდელი ჩოგანი გაშმაგებულ ადგილობრივ გულშემატკივრებსაც არ მოერიდა და მათი ქვეყნის ერთ-ერთ სიმბოლოს – ბრინჯაოს კვერს შესდგა ფეხით. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამგვარი საქციელით ლეიტონ ჰიუიტმა ჯერ კიდევ თავისი პროფესიონალური კარიერის დასაწყისისას, 17-18 წლის ასაკში გაითქვა სახელი.

მიუხედავად ავსტრალიელი ჩოგნის საქვეყნოდ ცნობილი არასასურველი იმიჯისა, ჩოგბურთის სამყაროში არაერთი ცნობილი პიროვნება აღტაცებას ვერ მალავს მისი სპორტული მონაცემების გამო. „ის ახალ საჩოგბურთო ტალღაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდაა. ჰიუიტი ახალი ათასწლეულის იდეალური ჩოგბურთელია“, – ამბობს პიტ სამპრასი, რომელმაც „დიდი მუზარადის“ ჩემპიონატი ჯერ კიდევ 18 წლის ასაკში მოიგო. მართალია, ჰიუიტმა ეს ვერ შეძლო, მაგრამ მან სამპრასის მსგავსად, თინეიჯერულ ასაკში მოახერხა პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში „შეჭრა“ და მცირე ხნის განმავლობაში, მის სათავეშიც მოექცა. „უფრო და უფრო მეტი ადამიანი სვამს დღეს კითხვას: ვინ არის ლეიტონ ჰიუიტი? – აღნიშნავს ცნო-



ბილი ამერიკული ჟურნალის, Tennis-ის მიმომხილველი, პიტერ ბოდო, – ის არის გაუთლელი ბრილიანტი თუ პირწავარდნილი არამზადა, რომელსაც ჩოგბურთისთვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია". ბევრი ჩოგბურთის სპეციალისტი კი, მიიჩნევს, რომ მსოფლიოს კორტებზე სწორედ ახლა დადგა ლეიტონ ჰიუიტისნაირი სპორტსმენების ეპოქა.

ავსტრალიელ ჩოგანს თავისუფალ დროს ძალიან უყვარს გოლფის თამაში, მისი საყვარელი მსახიობები ედი მერფი და შერონ სტოუნი არიან, უყვარს შორტების ჩაცმა, დადის BMW-თი, სასმელებიდან კი, ყველაფერს „კოკა-კოლა" ურჩევნია. „ჩემი მიზანია „დიდი მუზარადის" არანაკლებ ათი ჩემპიონატი მოვიგო და 50 მილიონი დოლარი გამოვიმუშავო", – ამბობს ლეიტონ ჰიუიტი, რომელთან თამაშიც მის ბევრ კოლეგას გამძვინვარებულ მხეცთან ბრძოლის ტოლფასად მიაჩნია, რადგან ავსტრალიელის მოწინააღმდეგეთათვის ყოველთვის უცნობია, თუ როდის რას მოიმოქმედებს იგი. ლეიტონი ხომ გამარჯვებისთვის უკან არაფერზე იხევს და როგორც ამბობენ, მისი მსგავსი „ახალგაზრდა მგლებისთვის" ცხოვრებაში წმინდა არაფერი არსებობს.

■

ცრავმირთმული მოქმედი ამჯერად ავტოკატასტროფაში მოხვდა

დევიდ ბეკჰემს ბოლო დროს ბედი ნამდვილად არ წყალობს. „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ეროვნული ნაკრების ტრავმირებული ნახევარმცველი, ამჯერად საკუთარი სახლის სიახლოვეს, ავტოკატასტროფაში მოჰყვა. შინ მიმავალი ბეკჰემი თავისი სახლის კუთხესთან მდგომ პოლიციის მანქანას შეასკდა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. ბეკჰემს კი, საკუთარი „მერსედეს 500"-ისა და პოლიციის მანქანის (რომელსაც ორი კარი დაუზიანა) შეკეთებისათვის საკმაოდ დიდი თანხის გაღება მოუწევს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბეკჰემს ტრავმირებული ფეხი თაბაშირში აქვს ჩასმული, თუმცა, ვადაცემათა ავტომატური კოლოფის წყალობით, მაინც ახერხებს საჭესთან ჯდომას. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ინგლისის ნაკრების კაპიტანი 2 ივნისამდე გამოჯანმრთელებასაც შეძლებს და მსოფლიო ჩემპიონატზე ალბიონელთა პირველ მატჩში მონაწილეობასაც. მანამდე კი, დევიდ ბეკჰემი დროს უშვად არ კარგავს: ის იქნება პირველი მამაკაცი, რომელიც ჟურნალ Marie Claire-ს გარეკანზე მოხვდება. ჟურნალის ეს ნომერი მაისში გამოვა. „ვიდ მსოფლიოს ქალებისათვის რომელიმე სფეროში – როგორც მამა, მეუღლე, ფეხბურთელი, კერპი, – მაინც არის სათაყვანებელი. ბოლოს და ბოლოს, ის ნამდვილი გმირია", – განაცხადა ჟურნალის რედაქტორმა, მარი ო`რიორდანმა. აღსანიშნავია, რომ ბეკჰემის ცოლი ვიქტორია ადამსი, უკვე მოხვდა Marie Claire-ს ერთ-ერთი შარშანდელი ნომრის გარეკანზე, თავად დევიდმა კი განაცხადა, რომ ეამაყება, ჟურნალის ხელმძღვანელობისაგან ასეთი საპატიო წინადადების მიღება.

■

ძაღლის დელიკატესებს კორეელები ტურისტებს თავისთვის გაასინჯებენ

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობის პროცესში საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ კორეაში ძაღლის ხორცისაგან დამზადებული ტრადიციული კერძების აკრძალვის მოთხოვნის გამო ატეხილი სკანდალი კვლავ გრძელდება. ცოტა ხნის წინ, სამხრეთკორეული რესტორნების მფლობელებმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს, რაც ალბათ კიდევ უფრო გააღიზიანებს ცხოველთა დაცვის იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებმაც რამდენიმე თვის წინ, პირდაპირ ქვეყნის ხელისუფლებისგან მოითხოვეს ძაღლის ხორცისაგან დამზადებული კერძების გაყიდვის აკრძალვა ან თუნდაც ამის დროებით შეჩერება მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამხრეთ კორეის მოსახლეობამ უკმაყოფილება გამოთქვა აღნიშნული პრობლემების ასე რადიკალურად გადაჭრის გამო. ამიტომ კორეულ სამზარეულოებსა და რესტორნებში ძაღლის ხორცისაგან დამზადებული დელიკატესები კვლავაც იყიდება. უფრო მეტიც, რესტორნების მფლობელებმა სპეციალური აქციის ჩატარებაც კი გადაწყვიტეს, რომელიც ტურისტებს ძაღლის ხორცისაგან დამზადებული კერძების უფასოდ გასინჯვის საშუალებას მისცემს: რესტორნების კლიენტებს შესთავაზებენ ადამიანის ყველაზე ერთგული ოთხფეხა მეგობრის ხორცისგან დამზადებულ სენდვიჩებს, ჰამბურგერებს და სხვა ათასგვარ კერძს. ბევრი მიიჩნევს, რომ კორელთა ასეთი სტუმართმოყვარეობით ტურისტები დიდად კმაყოფილები დარჩებიან.

■

რუბრიკა მოამზადა
ალექსი რეხვიაშვილმა

ჯაილი მინოუგის სენსაციური დაბრუნება მუსიკალურ სამყაროში უპრეცედენტო შემთხვევად აღიქმება. 80-იან წლებში მიღწეული პოპულარობის შემდეგ, მომღერალმა თითქოსდა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და მისი პოპულარობაც უნდა დაცემულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და დღეს ჯაილი მინოუგი ავსტრალიის მიერ ევროპაში განხორციელებულ ყველაზე „დიდ და მნიშვნელოვან ექსპორტად" ითვლება.

ჯაილი მინოუგი —

ტრიუმფალური დაბრუნება

1968 წლის 28 მაისს მელბურნში, რონ და კეროლ მინოუგების ოჯახში გაჩნდა გოგონა, რომელსაც კაილი ენი დაარქვეს. ოჯახში კიდევ ორი ბავშვი შეეძინათ, კაილი მათ შორის უფროსი იყო — მისი უმცროსი ძმა ბრენდანი, ამჟამად ოპერატორად მუშაობს ტელევიზიაში, და — დანი მინოუგი კი, უფროსი დის კვალს გაჰყვა და ავსტრალიაში საკმაოდ ცნობილი მომღერალია.

დაახლოებით ხუთი წლის ასაკიდან მშობლები კაილის აქტიურად ამეცადინებდნენ ქორეოგრაფიასა და სიმღერაში. ამ გაკვეთილების წყალობით კი 11 წლის კაილი ტელევიზიაში მოხვდა და ორიოდე სერიალში მიიღო მონაწილეობა. თუმცა, ნამდვილი პოპულარობა გოგონას სკოლის დამთავრების შემდეგ ეწვია, როცა 1986 წელს ავსტრალიურ სერიალ „მეზობლებში" შარლინის როლი შეასრულა. 1987 წელს სერიალი დიდი ბრიტანეთის ეკრანებზე გამოჩნდა და მაშინვე პოპულარობა მოიპოვა. კაილი მინოუგი შეამჩნიეს და ლონდონში მიიწვიეს, იქ ჩასულმა კი სულ მალე პროდიუსერი პიტ ვოტერმანი გაიცნო. კაილის მონაცემებით აღფრთოვანებულმა ვოტერმანმა მინოუგს სიმღერის ჩაწერა შესთავაზა და აგვისტოში გამოსული კაილის ახალი სინგლი The Loco-motion ოქტომბერში ისეთი პოპულარული გახდა, რომ გაყიდვის მიხედვით დეკადის ყველა რეკორდი მოხსნა. ამას მეორე სიმღერაც მოჰყვა და 1988 წელს გამოსული სინგლი I Should be So Lucky იმ წლის ყველაზე შემოსავლიანი სიმღერა გახდა. ამასთანავე ეს სიმღერა ათი წლის მანძილზე პირველი იყო, რომელმაც ხუთი კვირის განმავლობაში, პირველობა არავის დაუთმო. კაილის აღმასვლა გასაოცარი სისწრაფით მიმდინარეობდა: ის პირველი მომღერალი გახდა, რომელმაც ლიდერობას ავსტრალიასა და დიდ ბრიტანეთში ერთდროულად მიაღწია. მარტო დიდ ბრიტანეთში მისი სიმღერის 650 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა, მთელ მსოფლიოში კი — მილიონზე მეტი. იმავე წელს კაილიმ თავისი პირველი ალბომი Kylie გამოუშვა და წარმატებამაც არ დააყოვნა — ის წლის ყველაზე შემოსავლიან ალბომად მიიჩნიეს. კაილი მინოუგი 1988 წლის საუკეთესო მომღერლად აღიარეს. იმავე წელს, მან ერთი საღამოს მანძილზე ოთხი სატელევიზიო პრემია — Logies მიიღო, მსგავსი რამ კი, ამ პრემიის არსებობის მანძილზე არავის ახსოვს.

1989 წელს კაილის თავისი შემო-

ქმედებითი ჰორიზონტის გაფართოების შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა – მას შესთავაზეს, შეესრულებინა როლი ფილმში „დამნაშავეები“. სცენარის წაკითხვისთანავე მინოუგს იმდენად შეუყვარდა თავისი მომავალი გმირი ლოლა ლოველი, რომ ფილმში მონაწილეობაზე უარი ვეღარ თქვა. ფილმის გადაღებები ავსტრალიის პატარა პროვინციულ ქალაქში მიმდინარეობდა და სამსახიობო კომპანიის ყველაზე გამორჩეულ წევრად ამერიკელი მსახიობი, ჩარლი შლატერი ითვლებოდა. კაილი დიდ ბრიტანეთში იმდენად პოპულარული იყო, რომ ლონდონში ფილმის პრემიერის დროს თავისი კერპის სანახავად კინოთეატრის წინ მინოუგის 20 ათასმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი – ასეთი პატივი კი წილად ბევრ ვარსკვლავს ნამდვილად არ რგებია.

კაილის უზომო პოპულარობის კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ ის ფაქტი, რომ ცნობილმა მადამ ტიუსომ 1989 წლის დასაწყისში მინოუგის ცვილის ფიგურას ისეთი ვარსკვლავების გვერდით მიუჩინა ადგილი, როგორებიცაა მადონა, მიკ ჯაგერი და ჯგუფი Beatles. იმავე წელს კაილი მინოუგს „ათწლეულის ქალის“ წოდება მიანიჭეს.

1991 წელს კაილი მინოუგი მონაკოში მიიწვიეს და თავად პრინცმა ალბერტმა მომღერალს World Music Awards-ის პრემია გადასცა.

კაილი პირველი მომღერალი იყო, რომლის ცამეტმა სიმღერამ ზედიზედ მოახერხა დიდი ბრიტანეთის პოპულარული სიმღერების ათეულში პირველი ადგილის დაკავება.

ამის შემდეგ კი კაილის პოპულარობამ ნელ-ნელა იწყო უკუსვლა. ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია ეს ფაქტი, რადგან ამ პერიოდს რამდენიმე მოვლენა დაემთხვა: კაილიმ შეიცვალა ხმის ჩამწერი კომპანია, მიატოვა PWL, სადაც წლების მანძილზე წერდა ყველა თავის პოპულარულ სიმღერას და კონტრაქტი Construction Record-თან გააფორმა. და კიდევ, მინოუგმა რომანტიკული ურთიერთობები გააბა ჯგუფ INXS-ის სოლისტ მაიკლ ჰატჩინსთან. მიუხედავად ყველაფრისა, მინოუგი დღესაც სითბოთი იხსენებს ამ ურთიერთობებს და ამბობს: „ის ძალიან ქარიზმატული, ჭკვიანი, გულუხვი და საინტერესო ადამიანი იყო, მშვენიერი თხრობა და საუბარი შეეძლო. მე ის ცხოვრების იმ მომენტში შემხვდა, როცა სამყაროს დასანახად თვალების ახელა მჭირდებოდა – მან კი ეს მშვენივრად მოახერხა.“

თუმცა, მინოუგი იმასაც აღნიშნავს, რომ ჰათჩინსი ბევრს სვამდა, ნარკოტიკებსაც ეძალებოდა და თავის ექსპერიმენტებს კაილისთან ერთად ატარებდა: „მე ისევე, როგორც ბევრ სხვა ადამიანს, მქონდა ცხოვრებაში ისეთი ორ-სამწლიანი პერიოდი, როცა მუდამ გართობაზე ვფიქრობდი და თამამ ექსპერიმენტებზეც არ ვამბობდი უარს, – აღიარა კაილიმ. – მაგრამ ამგვარად ცხოვრება დიდხანს არ შემიძლია – მე ხომ საკმაოდ „სწორად“ ვარ აღზრდილი და არც განსაკუთრებული სითამამით გამოვირჩევი.“

მართალია, კაილის სიმღერისთვის თავი 90-იან წლებშიც არ მიუნებებია, რამდენიმე ალბომიც გამოუშვა და ფილმებშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მისი პოპულარობა აშკარად დაცემული იყო.

მუსიკალურ სამყაროში კაილის ტრიუმფალური „დაბრუნება“ 2000 წელს, ავსტრალიაში, სიდნეიში გამართული ოლიმპიადის დახურვის ცერემონიის დროს შესრულებული სიმღერით შედგა. ყველამ აღიარა, რომ ასეთი ფაქტი არასოდეს მომხდარა: კაილი და მისი მუსიკა ისევ პოპულარობის ზენიტშია. კაილის სენსაციურმა დაბრუნებამ ბევრი გააოცა, რადგან ასეთი ჩავარდნის შემდეგ, ჩვეულებრივ მომღერლები

პოპულარობას ველარ იბრუნებენ და პოზიციებს მშვიდად თმობენ.

კაილის ახალმა ალბომმა გამოსვლისთანავე პირველი ადგილები მოიპოვა, ასეთი პატივი კი მხოლოდ მადონას და ელტონ ჯონის ტიპის მომღერლებს თუ ღირსებიათ. ალბომში სხვა სიმღერებთან ერთად, რობი უილიამსთან შესრულებული დუეტიცაა შესული: სიმღერის სახელწოდებაა „ბავშვები“. როცა კაილის, უილიამსის შესახებ უსვამენ შეკითხვებს, მომღერალი მაშინვე სიცილს იწყებს: „რა თქმა უნდა, როგორც კი ყვითელმა პრესამ ინფორმაცია მოიპოვა, რომ ჩვენ ერთად ვწერდით სიმღერას, მაშინვე დაიწყო ლაპარაკი ჩვენს ურთიერთობებზე და ისიც დაგვაბრალეს, თითქოს შობა ერთად, განმარტოებით აღგვენიშნოს.“

თავის ნამდვილ გრძნობებზე საუბარს მომღერალი თავს არ არიდებს და იმასაც კი ამბობს, რომ გადაწყვეტილი აქვს, ცოლად გაჰყვეს თავის ახლანდელ მეგობარ მამაკაცს, ჯეიმს გუდინგს. კაილი აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე სერიოზულად აქვს ნაფიქრი და ოჯახის შექმნას სწორედ ჯეიმსთან ერთად აპირებს.

ადრე კაილი ამბობდა, რომ კარიერას მუდამ დააყენებდა სიყვარულზე წინ. ახლა კი აღნიშნავს: „ჩემი ცხოვრების ახლანდელი მიზანი სრული ჰარმონიის მოპოვებაა. მე მიყვარს ჩემი სამუშაო, მაქვს 15-წლიანი გამოცდილება, რომელსაც მუდამ ვიყენებ, მაგრამ ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს პირადი ცხოვრება მივივიწყე, ეს კი კარგი არ არის და ამის გამო, ჩემს თავს ხშირად ვკიცხავ.“

კაილის ბოლოდროინდელი უზომო წარმატების მიზეზის დადგენას ბევრი ჟურნალისტი ცდილობს, ისინი დაუღალავად იღებენ მომღერლისგან ინტერვიუებს და როგორც თავად მინოუგი აღნიშნავს, თურმე ხშირად მის წარმატებას ლეგენდარულ „ოქროსფერ შორტებსაც“ მიაწერენ. კაილი ამ საკითხს ოდნავ ირონიულად უდგება და სიცილით ამბობს: „ვაღიარებ, რომ ამ შორტებმა მართლაც ყველაფერი დაჩრდილა, მაგრამ თუ ჩემი წარმატება მხოლოდ მისი დამსახურებაა, იქნებ ინტერვიუ ჩემი შორტებისგან აგეღოთ?“

უკვე დიდი ხანია კაილის დაინტერესებული თაყვანისმცემლები მისი ბიოგრაფიული წიგნის გამოსვლას ელიან, მაგრამ წიგნის გამოცემა სწორედ ზემოთ აღნიშნული „ტექნიკური მიზეზების“ გამო გადაიდო – ავტორმა, ჯენი სტენლიკლარკმა, ცდუნებას ვერ გაუძლო და გადაწყვიტა შეცვალოს, დახვეწოს და უფრო ამაღელვებელი გახადოს წიგნის ბოლო თავი, რომელიც მომღერლის ბოლოდროინდელ გამაოგნებელ პოპულარობას ეხება.

ასე რომ, თანდათანობით ყველა დარწმუნდა იმაში, რომ კაილი მინოუგის ტრიუმფალური დაბრუნება შედგა. მან უკვე შეძლო ნისლიან ალბიონში და მწვანე კონტინენტზე ყველა შესაძლო ჯილდოს და პრემიის დასაკუთრება და ახლა თვალი ჯიუტად აქვს მიპყრობილი ამერიკისკენ, სადაც სულ მალე, მისი ბოლო ალბომის Fever-ის რელიზი უნდა შედგეს. კაილი მინოუგმა „ჩარტების ომში“ ადვილად შეძლო სხვადასხვა რანგის და მნიშვნელობის ვარსკვლავების უკან ჩამოტოვება და თითქოსდა მის წარმატებას აღარაფერი ემუქრება, მაგრამ როგორც ამბობენ, „უბედურება იქიდან მოდის, საიდანაც არ ელი“: კაილის უსაზღვრო წარმატება მოსვენებას არ აძლევს მის უახლოეს ნათესავს – უმცროს და დანის. გოგონა დარწმუნებულია, რომ კაილიზე ნაკლები ვოკალური და ქორეოგრაფიული მონაცემები თავადაც არ გააჩნია, კაილიზე უფრო მომხიბლავი გარეგნობაც აქვს და ამიტომ უახლოეს მომავალში, პოპულარობას სახელგანთქმულ და აუცილებლად შეეცილება.

მოამზადა
მანანა ღლონტიძემ

ლელა ხიყაშვილი

...საფრანგეთში ჩასული გიორგი ნიკოლაძე ხშირად სტუმრობდა ლამბაშიძეების ოჯახს. ქალიშვილის მკურნალი ექიმის — გიორგი ლამბაშიძის პატარა ქალიშვილები გარს ეხვეოდნენ სასურველ სტუმარს. ერთ-ერთი — ჟორჟეტა კალთაშიც კი უჯდებოდა ხოლმე, 4 წლისა იყო... და მაშინაც განსაკუთრებულად უყვარდა... მერე ამ სიყვარულმა სახე იცვალა. ამბობენ, პატარა ჟორჟეტა იმ ღილსაც კი სათუთად ინახავდა, რომელიც გიორგის პერანგს შემთხვევით ასწყდა... გავიდა დრო და გიორგი ნიკოლაძემ ჟორჟეტა ლამბაშიძეზე იქორწინა. საქორწინო მოგზაურობაში მათ ველოსიპედებით შემოუვლიათ საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია...

ვიკვეთი ჩაკეთილი

ალპინისტი, სპორტული ტერმინოლოგიის შემომღები და მათემატიკოსი

გიორგი ნიკოლაძეს განსაკუთრებული ბედი არგუნა განგებამ. რასაკვირველია, იღბლიანს ვერ უწოდებ იმ კაცს, რომელმაც მხოლოდ 43 წელი იცოცხლა. და მაინც ასეა. გიორგი ნიკოლაძე, თავისი დროის ახალგაზრდებისათვის საოცნებო რაინდად ქცეული, თითქმის ყველაფერში პირველი იყო: ნიჭიერი მათემატიკოსი, გამომგონებელი, მეტალურგი, მრავალი ტერმინის შემომღები, სპორტსმენი, პირველი ქართველი მთამსველელი... მას არ მოჰკლებია შეყვარებული მანდილოსნების ანთებული თვალები, ლომგული ვაჟკაცების მეგობრული სითბო და, რაც მთავარია, ღვთით მომადლებული დიდი ნიჭი... ამიტომაც, მის ხანმოკლე სიცოცხლეს მაინც იღბლიანი უნდა ერქვას, ვიდრე უიღბლო.

გიორგი ნიკოლაძე 1888 წელს დაიბადა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძისა და ოლღა გურამიშვილის ოჯახში. დედამისი დიდი ილიას მეუღლის ნათლული, მოსახელე და მოგვარე იყო. განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული. ნიკო ნიკოლაძეზე ხომ ლაპარაკიც არ არის საჭირო: მისი სახელი საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. მისი წერილები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ პრესაში; ურთიერთობდა ლუი ბლანთან, ვიქტორ ჰიუგოსთან, პოლ ლაფარგთან, კარლ მარქსთან; 1868 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „განიარაღებისა და მისი შედეგების შესახებ“, რისთვისაც სამართლის დოქტორის წოდება მიენიჭა; იყო ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორი.... ცხადია, ამ გარემოში აღზრდილი კაცი, განათლებული და დახვეწილი პიროვნება იქნებოდა. ყველა სფეროში, სადაც კი მოღვაწეობდა, ღრმა, წარუშლელი კვალი დატოვა.

სპორტის მოღვაწის, თბილისში პირველი სპორტული სკოლის დამაარსებლის (1934 წ.), გიორგი მერკვილაძის მოგონებიდან: „ნიკო ნიკოლაძეს არ უყვარდა თავის შვილით ტრაბახი, მაგრამ ერთხელ, როცა გერონტი ქიქოძის ცნობილი სტატია გამოქვეყნდა ადამიანის ფიზიკურ აღზრდაზე, მაშინ კი ვეღარ მოითმინა და თქვა: ჩემი გიორგი ისეთია, რომ ნახავთ, ნამდვილად მოგეწონებათო, და მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი სპორტული საზოგადოების კარი შემოაღო მშვენიერმა ახალგაზრდამ. გვთხოვა: ტანვარჯიშულ იარაღზე თუ შეიძლება ვარჯიშიო. მთლად დაკუნთული იყო, ბრინჯაოსგან ჩამოსხმული გეგონებოდათ. როცა გავიგეთ, ვისი შვილი იყო, კიდევ მეტი პატივისცემით განვიმსჭვალეთ მის მიმართ.“

1912 წელს გიორგი ნიკოლაძემ პრაღაში VI საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა ექვსჭიდში, რომელშიც შედიოდა: ტანვარჯიში, სირბილი, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, შუბისა და ბადროს ტყორცნა. გიორგი ნიკოლაძემ ყველა მოწინააღმდეგეს სძლია. პრაღის გაზეთმა „ნაროდნი ლისტმა“ გამოაქვეყნა მისი ფოტო წარწერით: „ნიკოლაძე გრუზინ“. სურათზე ჩოხაში გამოწყობილი ბრწყინვალე გარეგნობის ახალგაზრდა იყო აღბეჭდილი... და თითქოს მთელი პრაღა ერთი მიმართულებით — 24 წლის ჭაბუკისკენ დაიძრა: ყველა მას დასდევდა კუდში და ავტოგრაფს სთხოვდა. პრაღელი ლამაზმანები უცნაურად ჩაცმული ბიჭის ხილვით ფრთაშესხმულები, ჩურჩულებდნენ იმ უცხო ქვეყანაზე, რომელსაც საქართველო ჰქვია და სადაც თურმე ასეთი ბრწყინვალე გარეგნობის ხალხი ცხოვრობს... მამაკაცები კი, ასეთ ჩოხებში გამოწყობილები დადიან — ისე, როგორც აქ, პრაღაში, გიორგი ნიკოლაძე...

ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა გიორგი ნიკოლაძემ უცხოეთი აალაპარაკა... ხუმრობა ხომ არ არის?! — მთელ მსოფლიოში გავრცელდა ღია ბარათი, რომელზეც გიორგი ნიკოლაძე, ბადროს ტყორცნის მომენტში იყო აღბეჭდილი...

სულ 13 წლისა ყოფილა, როცა დებთან, რუსუდანსა და თამართან ერთად, ალპებში მწვერვალ ტეტ დე ჟეანზე ავიდა. წლების შემდეგ სინანულით აღნიშნავდა: „ერთგვარ უხერხულობას ვგრძნობ იმის გამო, რომ ჩემს მშობლიურ საქართველოში არც ერთი მწვერვალი არ დამიპყრია. აუცილებლად უნდა შევისწავლო ჩემი მშობლიური კუთხის მდიდარი ბუნება, ლაჟვარდოვანი ზღვიდან დათოვლილ მწვერვალებამდე. სააბისოდ დიდებული ახალგაზრდობა გვყავს“... ასე დაიწყო საქართველოში პირველი მთამსვლელური ექსპედიციების დაგეგმვა. გიორგი ნიკოლაძემ მოგვიანებით, წიგნად გამოსცა ნაშრომი — „პირველი ქართული ასვლა მყინვარწვერზე“. რამდენიმე ფრაგმენტი ამ წიგნიდან, რათა ნათელი გახდეს, თუ როგორ ფიქრობდა გიორგი ნიკოლაძე: „რატომ არის, რომ ინგლისელები, გერმანელები, რუსები ახერხებენ მაღალ მწვერვალებზე ასვლას და ჩვენ, ქართველები კი, რომლებსაც ჯომარდობის (სპორტის) სხვადასხვა დარგში დიდი უნარი გამოგვიჩენია, მთასვლაში კი (ე.ი.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უშის წიგნაკიდან:

1. საბერძნეთის ეროვნული ჰიმნის ტექს-

2. „შუშანიკის წამება“ მრავალ ენაზე, მათ შორის ლათინურადაც არის თარგმნილი.

3. იერუსალიმში შესულ მაცხოვარს ხალხი პალმის ტოტების ქნევით ესალმებოდა.

4. ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმი წელიწადში ნახევარ ლიტრ ცრემლს გამოიმუშავებს.

5. აფრიკ სიმონის „შალა კუკარელას“ ტექსტში არც ერთი სიტყვა არ არის აზრიანი.

6. ბაობაბების ნახვის დროს ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს გიგანტური ხეები ვილაცას ამოუთხრია და მიწაში თავდაყირა ჩაურჭვია.

7. მარლონ ბრანდოს უფროსი შვილი, კრისტიანი თავის ოჯახს შიზოფრენების კომპანიას ეძახდა.

8. ქალაქ ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკა იულიუს კეისარმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 47 წელს გადაწვა.

9. თეთრი დათვის ბელების ნახევარზე მეტი სიცოცხლის პირველსავე წელს იღუპება. ხშირად მათ მოხეტიალე სვადები ხოცავენ.

10. რიო-დე-ჟანეიროს მცხოვრებლები თაკიანთ თავს კარიოკელებს უწოდებენ. P.S. რიოს სახელგანთქმული კარნავალი ოთხი დღე გრძელდება.

11. ფეხბურთის ერთი მატჩის განმავლობაში, ცენტრალურ მსაჯს 12 კილომეტრის გარბენა უწევს.

12. იეზიდები კურმანჯიზე – ქურთებში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დიალექტზე ლაპარაკობენ.

13. ჯიმი ჰენდრიქსი, კარლ ფილიპ ემანუელ ბახი, ტონი აიომი, ფილ კოლინზი, სერგეი რახმანინოვი, მორის რაველი, კურტ კობეინი, ბილი კობჰემი – ყველა ჩამოთვლილი მუსიკოსი ცაციაა.

14. ეგვიპტის დაცემის პერიოდში, როდესაც სამარხების ძარცვა ძალზე გახშირდა, ეგვიპტელებმა თავიანთი ფარაონების ნეშტები ერთ საძვალეში მოათავსეს. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ არქეოლოგებმა ტიტას I, რამზეს II და თუთმოს III სარკოფაგები სხვა ფარაონთა ნეშტებთან ერთ სამარხში აღმოაჩინეს. P.S. ეს იგივე იყო, რომ ევროპაში ვინმეს ჩერჩილის, ნაპოლეონის და ვილჰელმ დამპყრობლის ნეშტები ერთ საძვალეში აღმოეჩინა.

ექსპედიციის მონაწილენი მწვერვალიდან დაბრუნების შემდეგ (მარცხნიდან მეორე – გიორგი ნიკოლაძე)

ალპინიზმში) აქამდის სრულიად არაფერი გაგვიკეთებია. „თუ სხვებს შეუძლიანთ, ჩვენ მით უფრო შევძლებთ, რადგან ჯომარდობაში დახელოვნებული ვართ“, ვფიქრობდით და ამიტომ თვით მყინვარ-წვერზე ასვლა განვიზრახეთ...“

„მყინვარის გაფრენაზე 27 კაცი მივემგზავრებოდით, 18 ძმა და 9 და. მიზანი მიღწეულია... აღსრულდა მრავალი წლის ოცნება, მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა! ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონია... როგორ აღვწერო ადამიანის სულიერი მდგომარეობა მიუწვდომელი მწვერვალის მიღწევის დროს. ეს ხომ სრულიად შეუძლებელია. ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თვითონ ყოფილა ასეთ წუთებში. უძლეველი სიძლიერისა და სიამაყის გრძნობა მთელ არსებას იტაცებს. ჩვენ კი ბევრი რამ გვაქვს საამაყო: მწვერვალზე თვრამეტნი ვართ... ასეთ ცუდ დარში, როგორშიაც ჩვენ ავედით, 18 კაცი კი არა, ჯერ ერთი არ ასულა... უმთავრეს სიამაყეს ჩვენი დები წარმოადგენენ. ამდენი ქალი ჯერ არასოდეს არ ასულა. ჩვენები ხუთნი არიან...“

რამდენიმე დღის შემდეგ, მყინვარწვერზე პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ექსპედიციაც ავიდა. ამ ორი ექსპედიციის წევრებმა 1924 წლის 18 იანვარს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება ჩამოაყალიბეს. თავმჯდომარედ გიორგი ნიკოლაძე აირჩიეს. 1926 წელს ის ლონდონში, დიდი ბრიტანეთის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე კითხულობს მოხსენებას: „საქართველოში გეოგრაფიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ალპინიზმის განვითარების შესახებ“.

საზღვარგარეთ არა მარტო ქართული სპორტის სახელი დააჭექა, არამედ ქართული ინტელექტის ზეობაც მოაწყო. 1926 წელს სორბონაში დაიცვა დისერტაცია.

მაგრამ გიორგი ნიკოლაძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გააცნო თავი საზღვარგარეთს. 1913 წელს ბრწყინვალედ დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიისა და მეტალურგიის კათედრებმა შესთავაზეს დარჩენილიყო, მაგრამ მან უარი თქვა და მეტალურგად დაიწყო მუშაობა... თანამედროვე კარიერისტებს ალბათ ძალიან გაუჭირდებათ ამის დაჯერება, გიორგი ნიკოლაძე კი მალე მთელ რუსეთში ერთ-ერთი სახელოვანი სპეციალისტი გახდა... მისი ერთ-ერთი მოწაფე, ა. კაიშაური იხსენებდა: „ნიკოლაძეს ღრმად სწამდა, რომ სპეციალისტმა თავისი საქმე ქარხანაში მუშის საქმით უნდა დაიწყოს. მაშინ იგი ბევრს გაიგებს და მუშებში ავტორიტეტიც ექნებაო. ერთხელ, მუშის ტანსაცმელში გამოწყობილი გიორგი ენაკიევოდან იუზოვკაში *(დღევანდელი დონეცკი. – ავტ.)* რბილი ვაგონით მიემგზავრებოდა. საწოლზე რომ ვერ ეტეოდა, ფეხები კედელზე შემოეწყო. ვაგონში ვიღაც კარგად ჩაცმული ახალგაზრდა შემოვიდა, რომელსაც ჩემოდანი გამცილებელმა შემოუტანა. ახალგაზრდას არ ეჭაშნიკა „მუშის“ იქ ყოფნა და...

– აქ რომ გაშხლართულხარ, შენი ადგილი სხვა ვაგონშიაო...

გიორგიმ მშვიდად უპასუხა:

– თქვენთან ბრუდერშაფტით არ დამილევია, უმჯობესია, ეგ თქვენი ინჟინრის ჯინჯილები მოიხსნათ, თორემ მუშები საამქროში არაფრად ჩაგაგდებენო.

მეორე დღეს, როცა გიორგი მეტალურგიის ქარხანაში მმართველის კაბინეტში იყო, ოთახში ის ჯინჯილაკებიანი შემოვიდა.

— აი, ამ უფროსის ხელმძღვანელობით იმუშავებთ, იგი ჩემი პირველი თანაშემწეა — უთხრა მმართველმა და გიორგიზე მიუთითა. შემდგომში ის ინჟინერი დიდ პატივს სცემდა ნიკოლაძეს".

ქარხანაში 13 საათს ატარებდა და მაინც ასწრებდა ვარჯიშს, რათა თავადაც ფიზიკურად ჰარმონიული ყოფილიყო და დიდ სპორტზეც ეფიქრა. ინგლისში წყალში მხტომელები ნახა და იმწუთას გაიფიქრა: რა იქნება, ეს სახეობა საქართველოშიც რომ დავნერგოო?.. სწორედ გიორგი იყო პირველი, ვინც ფიქრობდა ბაკურიანში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებაზე. შემდგომში იქაურ სამთო-სათხილამურო სადგურს გიორგი ნიკოლაძის სახელი მიანიჭეს.

ნიკოლაძემ ჩამოაყალიბა პირველი სპორტული საზოგადოებები რუსეთის ქალაქებში — იუზოვკაში, ენაკიევოში, ტულაში... ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ყოფნის დროს დაუწყია ფიქრი ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შექმნაზე. „მთამსვლელობა", „კალათბურთი", „ფეხბურთი", „ფრენბურთი", „ტანვარჯიში" მისი შემოღებული ტერმინებია... ანდრია რაზმაძესთან, ნიკო მუსხელიშვილთან და არჩილ ხარაძესთან ერთად, გიორგი ნიკოლაძემ საკუთარი წვლილი შეიტანა ქართული მათემატიკური სკოლის საძირკვლის ჩაყრაში...

ეს უნიჭიერესი ადამიანი ცოტა უცნაურადაც ეჩვენებოდათ მაშინდელ ქართველებს. მაგალითად, დიდ მითქმა-მოთქმას იწვევდა ის, რომ პროფესორი გიორგი ნიკოლაძე შორტებით დადიოდა და წარმოიდგინეთ, უნივერსიტეტშიც კი, ლექციის წასაკითხად ასე, ევროპულ-სპორტულად გამოწყობილი შედიოდა! საქციელს უწუნებდნენ? დიახ, ასეც იყო... მაგრამ რა... გიორგი ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. ევროპაში ყოველი ჯილდოს მიღებისას, სპორტული იქნებოდა ის თუ სამეცნიერო, საზოგადოების წინაშე თეთრ ჩოხაში გამოწყობილი აღიმართებოდა ხოლმე. თბილისში ევროპულს ამკვიდრებდა, ევროპელებს კი, ქართველებს აცნობდა...

37 წლისა რომ გახდა, საკუთარ დაბადების დღეს ევროპის უმაღლეს მწვერვალზე — იალბუზზე შეხვდა. მასთან ერთად 19 ახალგაზრდა იყო. ეს ბევრისთვის საოცნებო, ცოტა ახირებული იდეების პატრონი კაცი, სიყვარულით ბევრ ქალს აუბნევდა თავგზას, მაგრამ ვერც გიორგი და ვერც თვითონ ჟორჟეტა ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი მეუღლე გახდებოდა. მათი გაცნობისა და ურთიერთობის ამბავი დასაწყისშივე აღვწერეთ. აქ კი დავძენთ, რომ მისი საყვარელი ჟორჟეტა მთამსვლელობის დროსაც ახლდა ხოლმე მეუღლეს...

1929 წელს გიორგი ნიკოლაძემ თეთნულდზე მოაწყო ექსპედიცია. ცუდი ამინდი იყო. როგორც გიორგი ნიკოლაძე აღწერდა, 27 აგვისტოს კიდევ ერთხელ სცადეს ასვლა... ასვლისას პიმენ დვალს ფეხი დაუცდა. ნიკოლაძემ სიმონ ჯაფარიძეს დაუყვირა. სიმონმა მოიხედა, დაარჭო წერაყინი, მაგრამ ვერ შეაჩერა განწირული. თვითონვე დაეშვა, განწირულს ბეჭებში სტაცა ხელი და... გადაჰყვა... ეს იყო პირველი ქართველის მსხვერპლი კავკასიონზე.

გიორგი ნიკოლაძემ ძალიან განიცადა მეგობრების დაკარგვა... ამბობენ, ძალიან შეიცვალა კიდეცო... სახლიდან გამოსვლა აღარ უნდოდა, ისე სტკიოდა სული... მაგრამ საქმე თავისას მოითხოვდა... პროფესორი ნიკოლაძე დიდუბეში, ფერომანგანუმის საცდელი ქარხნის აგებაზე მუშაობდა. თან არ დაგავიწყდეთ, მომავალი თაობის ფიზიკურ აღზრდაზეც ზრუნავდა და პროფესორი კაცი, სკოლაში ფიზკულტურას ასწავლიდა(!)

43 წლის ასაკში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. მემკვიდრე არ დარჩენია. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეთერ დვალის უბის წიგნაკიდან:

15. როდესაც ფშაველი ნადირს მოკლავდა, პირველ რიგში ფეხს ჩაუტყაპუნებდა ხოლმე, რადგან, თუ სხვა მონადირე მიუსწრებდა, სანამ მას ეს პროცედურა არ ექნებოდა ჩატარებული, იგი ვალდებული იქნებოდა, ნადავლის ნახევარი მისთვის მიეცა. P.S. „თავი მოგიჭრავს ჯიხვისთვის, ფეხებიც ჩატყაულია", — ეუბნება ზვიადური ჯიყოლას ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში".

16. „შაჰ-აბასი იყო ტირანი. არც მტერს ინდობდა, არც მოყვარეს. მას მხოლოდ ქრისტიანობის საკითხი როდი აღელვებდა. უნდოდა ქართველების სრული მოსპობა და მდიდარი ქვეყნის ხელში ჩაგდება... შაჰს განსაკუთრებით ეშინოდა ქართველებისა, რადგან იცოდა, მათი საბოლოოდ დამორჩილება შეუძლებელი იყო" — წერდა 1628 წელს პიეტრო დე ლა ვალე თავის ნაშრომში „სპარსეთის მეფის აბასის მდგომარეობა".

17. ძველ ბერძნებს სხვა ატმოსფერულ მოვლენებთან ერთად ქარებიც ჰყავდათ გაღმერთებული. აღმოსავლეთის ქარს ევროსი ერქვა, დასავლეთის ქარს — ზეფირი, სამხრეთის ქარს — ნოტოსი და ჩრდილოეთისას — ბორეასი.

18. თუმანი მონღოლური ფულის ერთეულია. 1 თუმანი 10.000 ოქროს დინარს შეიცავდა. XVII საუკუნის დასაწყისში თუმანი 10 მინალთუნს უდრიდა, მინალთუნი კი 5 აბაზი იყო. ქართული თუმანი 10.000 ნახევარდრაქმიან სპილენძს შეიცავდა.

19. ერთხელ მოსკოვში მყოფ კახი კავსაძეს ჰკითხეს — როგორ ცხოვრობთ, საქართველოშიო? „სუკე, ჩემ ვ მასკვე, ი ლუჩშე, ჩემ ვ რასიი", — უპასუხა ბატონმა კახიმ.

20. III-IV საუკუნეების იგავ-არაკების ინდური კრებული „პანჩა-ტანტრა" საქართველოში სპარსულის გზით შემოვიდა და „ქილილა და დამანას" სახელწოდებით არის ცნობილი.

21. მხატვრულ ფილმში „ნატვრის ხე" შეთეს დედისა და მარიტას ბოროტი დედამთილის როლს, თინა ბუბუტეიშვილი ასრულებს. P.S. აუ,რაც მე ბავშვობაში ეს ადამიანი მძულდა!.. (რა თქმა უნდა, თავისი როლიდან გამომდინარე). დღეს ამ ქალბატონისადმი ძალზედ დადებითად ვარ განწყობილი, მით უმეტეს, რომ იგი დუტა სხირტლაძის ბებია აღმოჩნდა. ■



მერაბ ბურჭულაძე

შეჯვეთილი მკვლელობა

დიდი სიჩქარით მოძრავმა „მერსედესმა“ მკვეთრად მოუხვია და მტვრის კორიანტელი დააყენა. უკან კიდევ ერთი, შავი „მერსედესი“ მიჰყვებოდა.

იტალიელი ბიზნესმენი — შუახნის მამაკაცი, რომელიც წინა მანქანაში საცოდავად მოკუნტულიყო, დროდადრო ხრინწიანი ხმით რაღაცას წარმოთქვამდა და თარჯიმანიც აუღელვებელი ხმით პასუხობდა. თარჯიმანი ასე, 25-27 წლის სიმპათიური გოგონა იყო. მსგავს სიტუაციაში მოხვედრა ვერაფრით წარმოედგინა და თავი უცხოური, მძაფრსიუჟეტიანი კინოფილმის გმირად წარმოესახა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ არც ნერვიულობდა. სამაგიეროდ, აშკარად აღელვებული ჩანდა მძღოლიც და მის გვერდით მჯდომი მამაკაციც, რომელსაც ავტომატი ეჭირა.

უეცრად რაცია ალაპარაკდა — უკანა მანქანიდან გადმოსცემდნენ:

— ომეგა! ომეგა! როგორ გესმით ჩვენი?

— ყველაფერი მესმის. რა სიტუაციაა? ჩამოვიტოვეთ მდევრები თუ კიდევ ჩანან?

— ახლა გამოჩნდნენ, თუმცა, საკმაოდ შორს არიან!

— გადააგდე მაკრატელი! — გახუმრება სცადა არჩილმა.

— ვერ გავიგე!

— რა ვერ გაიგე? — „წიქარა“ ან რომელიმე სხვა ქართული ზღაპარი არ წაგიკითხავს? ჰოდა, გადააგდე ან სალესი ქვა, ან სავარცხელი.

— სახუმაროდ გვაქვს საქმე?

— სულაც არ ვხუმრობ, — არჩილმა მძღოლს გადახედა, — მანდ, თქვენთან 6 ხელყუმბარა დევს; დროა, გამოვიყენოთ.

— მაშინ, ახლოს უნდა მოვუშვათ და შემდეგ ავაფეთქოთ.

— როდის უნდა გაგიმყარდეს ეგ ლაყე ტვინი?! — მე კვამლის ხელყუმბარებზე გელაპარაკები. სულ რაღაც ორ კილომეტრში, მკვეთრი მოსახვევია; როგორც კი მოვუხვევთ, ყუმბარას ისვრი: უკვე ისედაც შებინდებულია და კარგად იმოქმედებს. ყოველ 30 მეტრში გაისვრი. დროს მოიგებთ და უახლოეს სოფელში მივიმალებით. მერე ღმერთია მოწყალე... გასაგებია?

— ყველაფერი გასაგებია.

— აბა მოემზადე, მოსახვევში შევდივართ!

ჯერ ერთმა მანქანამ შეუხვია მკვეთრად, ისე, რომ საბურავების წუილმა გააყრუა იქაურობა, მერე მეორემ და როგორც ნაბრძანები იყო, დაახლოებით ყოველ 30 მეტრში სკდებოდა კვამლგამშვები ყუმბარები. ბუნებრივ ბინდს სულ რამდენიმე წუთში, კვამლი შეემატა... არჩილის ჩანაფიქრმა გაამართლა: მან დროც მოიგო და პირველივე სოფელში თავის შეფარება მოასწრო. მისი მთავარი ამოცანა იყო, უცხოელი ბიზნესმენი გადაერჩინა და ყაჩაღების ხელში არ ჩაეგდო.

სოფელში, სადაც არჩილის ბრძანებით მანქანებმა შეუხვიეს, ღამის მშვიდობიანად გატარება და დამხმარე ძალის მოსვლამდე გამაგრება შეიძლებოდა. დამხმარე ძალა კი, არჩილის ვარაუდით, სულ მალე უნდა მოსულიყო.

ორსართულიან სახლს მიადგნენ. არჩილი მანქანიდან გადავიდა, ეზოს ჭიშკარი გააღო და ორივე „მერსედესი“ ეზოში შესრიალდა.

— აბა, დროზე გადმოდით მანქანებიდან და შენობაში შედით! — გასცა განკარგულება და კარს გასაღები მოარგო. — რა გაოცებულები მიყურებთ? — ბაბუაჩემის სახლია, მისი სიკვდილის შემდეგ, შიგ აღარავინ ცხოვრობს. მე თუ შემოვიღი ხოლმე ხანდახან, თორემ სულ გაპარტახდება აქაურობა. ბონჯორნო, იტალია, რა შეშინებული იყურები? — ვიცი, არ ელოდი ასეთ გართულებას, მაგრამ რას იზამ?! თუმცა, შენ რა უნდა გიკვირდეს? — მაფიოზების ქვეყნიდან ხარ, მაგრამ ახლა ჩვენმა მაფიამ „მოგიჯოკრათ“ მგონი, არა?

თარჯიმანი გოგონა თვალებგაფართოებული მიაცქერდა არჩილს:

— ეს ყველაფერი გადავუთარგმნო?

— არა, სინიორინა, თუ გინდა, მე გადავუთარგმნი, მაგრამ, სამწუხაროდ, იტალიური არ ვიცი. თუმცა, ერთი-ორი სიტყვა კი ვიცი: „ტემბრო“ დი „ვალორარე“, „ტემბრო დისკაცარე“... აქ რაღაც დროზეა ლაპარაკი — დრო არ ჩერდებაო თუ რაღაც ამდაგვარი...

იტიალიელი ბიზნესმენი აწრიალდა, თარჯიმანს რაღაც შეეკითხა.

— ე, გოგო, დროზე გადაუთარგმნე, თორემ ხომ ხედავ, მოკვდა კაცი ნერვიულობით. ეჰ, იტალიანო ბიზნესმენო, ერთი ახლა შენს გულში ჩამახედა! დამანახვა, როგორ ნერვიულობენ მილიონერები, როგორ ტირიან მდიდრები... ამოდით, მეორე სართულზე უნდა მოვთავსდეთ.

ყველანი ერთ დიდ ოთახში შევიდნენ, წინ ანთებული ნავთქურით არჩილი მიუძღოდათ.

— ეს არის დღეს ჩვენი ბოლო გაჩერება; თუ ვინმე უკმაყოფილოა, გთხოვთ, ხელის აწევით დამიდასტუროთ... ვგრძნობ, სინიორ კორიზოტის ასეთი ჩაბნელებული აპარტამენტები არ მოეწონება, მაგრამ, როგორც ამბობენ, კაცმა ყველაფერი უნდა გამოსცადოს ცხოვრებაში... მორჩა, ხუმრობის დრო არ გვაქვს. ყველანი ვართ? რა იყო, ენა ხომ არ ჩაგივარდათ, ყველას მაგივრად, მე რომ ვლაპარაკობ?

— არ გვაქვს საქმე სახუმაროდ, არჩილ, — წითურთმიანმა სპეცრაზმელმა თვალი თვალში გაუყარა. — ხუთნი ვიცავთ ერთ კაცს, ეგ არაფერი, მაგრამ

ცენტრთან კავშირი რატომ გაწყდა? — ესეც კაბელური ტელეფონი ხომ არ არის? გარდა ამისა, დამხმარე ძალა, თუ თბილისიდან მანძილსა და დროს ვიანგარიშებთ, ჯერ კიდევ ორი საათის წინ უნდა მოსულიყო, ჩვენ კი დავჭრით ამ ტრასაზე, ხან სად ვიმალებით და ხან სად... რაღაც არ მომწონს ეს ყველაფერი.

— კავშირი მართალია, გაწყდა, მაგრამ ალბათ რაღაც ტექნიკური მიზეზია. სინიორ კორიზოტის მობილურით ვისარგებლოთ და ცენტრს მაინც დავუკავშირდეთ. გადაუთარგმნეთ სინიორს, რომ მისი ტელეფონით უნდა ვისარგებლოთ.

თარჯიმანმა უთარგმნა, იტალიელმა ხელი მოისვა კოსტიუმის გულის ჯიბეებზე და ხელები ვაასავსავა.

— რაო, რას ამბობს? — ვერ მოითმინა არჩილმა.

— ვწუხვარ, რომ თქვენი თხოვნის შესრულება არ შემიძლიაო.

— მაგას, როგორც ვატყობ, პანკისის ნახვა სწყურებია და თუ მასეთი ჭკუით მიაღწია მილიონერობას იტალიაში, ამ გზით ჩვენში, ქუჩის მათხოვრამდე მივა...

— თქვენ ვერ გაიგეთ — მობილური ჯიბეში არ აღმოაჩნდა, როგორც ჩანს, ქალაქში დარჩენია.

წითურთმიანმა თარჯიმანს გადახედა.

— რამდენადაც ვიცი, მანქანაში მობილური გქონდათ.

არჩილი ხან წითურთმიანს შესცქეროდა, ხან იტალიელს. კორიზოტიმ შეწუხებული სახე მიიღო და თარჯიმანს რაღაც გადაულაპარაკა.

— მანქანაში ახლაც დევს მობილური, ოღონდ რატომღაც გათიშული აღმოჩნდა. მეორე კი, როგორც სინიორმა აღნიშნა, წამოსვლის წინ გამქრალა, — თქვა თარჯიმანმა.

— იქნებ მოვსინჯოთ და დავრეკოთ იმ მობილურით! — არ ეშვებოდა წითურთმიანი.

— აზრი არა აქვს — მე თვითონ ვხედავდი, მანქანაში როგორ წვალობდა დასარეკად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაშინ არც ვფიქრობდი, თუ დარეკვას ცდილობდა და ყურადღებაც არ მიმიქცევია, — არჩილმა უიმედოდ ჩაქინდრა თავი. — ეს ყველაფერი მართლაც საეჭვოა: რაცია გაითიშა, მობილური, ერთი არ მუშაობს, მეორე სადღაც საეჭვოდ გაქრა.

ერთხანს მდუმარედ ისხდნენ; ყველა საფიქრალს მისცემოდა. უეცრად ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა ფანჯარა გამოაღო და ისე მაგრად მიახეთქა კედლის კუთხეს, რომ მინები ჩაიმსხვრა და ანთებული ნავთქურაც ჩაქრა. არჩილი წამოდგა, ფანჯარა ჩაკეტა, შეეცადა, ფარდა ჩამოეფარებინა, მაგრამ გატეხილი მინიდან მონაბერი ქარი ამის საშუალებას არ აძლევდა. ბოლოს, თავი მიანება და ნავთქურას მიუბრუნდა. როგორც იქნა, აანთო და კუთხეში მოთავსებულ პატარა მაგიდაზე დადგა.

— როგორც ჩანს, გაწვიმდება. არ ვიცი, თქვენ რას ფიქრობთ, მაგრამ ჩემი აზრით, მთავარია, გათენებამდე გავიტანოთ თავი, დღისით კი ამდენი საშიშროება აღარ იქნება.

მძღოლი, რომელიც არჩილთან ერთად იყო მანქანაში და აქამდე ხმის ამოუღებლად იჯდა, დაჟინებით დააცქერდა მას, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ არჩილს მართლაც სჯეროდა იმისა, რაც თქვა...

— ერთი შეხედვით, დამშვიდებული ჩანხარ, არჩილ, — თქვა მან, — მე თუ მკითხავ, უსაფრთხოების ზომების მიღებაა საჭირო: მართალია, მდევარი უკან ჩამოვიტოვეთ და თითქოს გზა-კვალიც ავუბნიეთ, მაგრამ არა მგონია, დამშვიდების საფუძველი გვქონდეს. უკვე რამდენი ხანია, სპეციალური დანიშნულების რაზმში ვართ და არაერთი შემთხვევა გვქონია, როცა ცარიელ ადგილზე დიდი პრობლემა გაგვჩენია... ნავთქურა უნდა ჩავაქროთ — სიფრთხილეს თავი არ სტკივა; დილამდე მორიგეობაც უნდა შემოვიღოთ. სამი კაცი პირველ სართულზე ჩავა და იფხიზლებს. დანარჩენები ზემოთ იქნებიან და აქედან დააკვირდებიან არემარეს. თუ რაიმე საეჭვო შევნიშნეთ, ერთმანეთს უცებ უნდა დავუკავშირდეთ. გარდა ამისა, ყოველ წუთს უნდა ვეცადოთ, რომ ცენტრთან კავშირი აღვადგინოთ.

ამ წინადადებას ყველანი ერთხმად დაეთანხმნენ. სამი კაცი პირველ სართულზე მოთავსდა, ხოლო არჩილი და წითური ადგილზე დარჩნენ და იქიდან განაგრძეს თვალთვალი. ნავთქურა ჩააქრეს და ოთახში უკუნეთმა სიბნელემ დაისადგურა. იტალიელი უკმაყოფილოდ აბურტყუნდა.

— კიდევ რაო, რა მინდაო? — დამცინავად იკითხა არჩილმა.

— დასვენება მინდაო, — გაიღიმა თარჯიმანმა.

— ეჰ, იტალიანო მილიონერო, მაინც ვერ დაივიწყე კაი ცხოვრება, ხომ? რა გაეწყობა? — ვიღაცამ უნდა დაისვენოს, ვიღაცამ კიდევ, მისი უსაფრთხოებისათვის იზრუნოს — ასეთია ცხოვრების ირონია... გვერდით საწოლი ოთახია. გადაუთარგმნეთ, რომ შეუძლია იქ მოისვენოს. ოღონდ, თეთრეულს ნუ მომთხოვს, სადღაც არის შენახული, მაგრამ მაგის ძებნის თავი არ მაქვს. მიეჩვიოს ასე წოლას, არა უშავს. კაი ცხოვრება თუ უნდოდა, დარჩენილიყო იმ თავის იტალიაში, — თვითონაც არხეინად იქნებოდა და ჩვენც. რა უნდოდა, ამ არეულ ქვეყანაში რომ მოდიოდა?!.

იტალიელი, რომელსაც თარჯიმანმა ძირითადი ნაწილი გადაუთარგმნა, უკმაყოფილოდ წამოდგა, ასანთს გაჰკრა და საწოლ ოთახში გავიდა.

— თქვენ შეგიძლიათ, მოპირდაპირე ოთახში მოისვენოთ, — ახლა თარჯიმანს მიმართა არჩილმა. — ისიც საძინებელია და თეთრეულიც არის გატკიცინ-გახამებული. რა ვქნა? — ბავშვობიდანვე დამჩემდა მანდილოსნის პატივისცემა... — არჩილმა გოგონას გადახედა, მაგრამ სიბნელეში ვერაფრით დაინახა მისი სახის გამომეტყველება, რომ გაეგო, კმაყოფილი დარჩა თუ არა ამ ქათინაურით.

გოგონამ თავაზიანად გადაუხადა მადლობა, არჩილს ასანთის კოლოფი გამოართვა და მეორე ოთახში გავიდა. გარეთ კი ელვამ წამიერად გადაანათა არემარე; მერე ჭექა-ქუხილის გამაყრუებელი ხმა გაისმა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. წვიმის წვეთები თუნუქის სახურავზე ეხეთქებოდა და გამაყრუებელ ხმას გამოსცემდა.

არჩილი ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია. ამ დროს ისევ იელვა და ციცაბო ფერდობი, რომელიც ტყის მასივით იყო დაფარული, თეთრად გაანათა.

— აბა, ჩართე რაცია, იქნებ როგორმე გავიდეთ, — წითურა მეორე ფანჯარას მიუახლოვდა და მინას შუბლით მიეყრდნო.

— ტყუილი ცდაა, უშედეგო. რაღაც სხვა ამბავია, თორემ ამდენ ხანში დაგვიკავშირდებოდნენ. დავიჯერო, არ ანაღვლებთ იტალიელის ბედი?! ხომ ფაქტია, რომ დიდი ამბით გადმოგვაბარეს; მერე რაღა ეტაკათ?

— საეჭვოა ეს ყველაფერი, ნუთუ გაწირეს? თუ ხელის მოთბობა უნდათ?! უკვე ხუთი საათია გასული, რაც საეჭვო მანქანები აგვედევნენ...

— ამ იტალიელის ტელეფონს რაღა მოუვიდა? რამეს ხომ არ გვატყუებს ეგ უცხოელი?

— რაში სჭირდება? საფრთხეში თვითონაა ჩავარდნილი და თუ აქეთ გვატყუებს, თავი ქვას ახალოს...

— ...არა, რაკიღა დაგვპირდნენ, დამხმარე ძალა აუცილებლად მოვა, მაგრამ როდის? — ეს უკვე არ ვიცი.

— ვთქვათ და გამოუშვეს — ჩვენი კოორდინატებიც კი არ იციან და როგორ მოგვაგნებენ?

— გზის მონაკვეთი ხომ იციან, ამ გზის გაკონტროლებაც დიდ საქმეს ნიშნავს.

— ვატყობ, კარგი დღე არ დაგვადგება, რაღაც ცუდი წინათგრძნობა მაქვს. ამ წვიმამაც ხომ გაბურღა ტვინი. დაილოცა კრამიტი — არც ხმა აქვს და ღამი-

თაც მშვიდად დაგეძინება.

— საინტერესოა, იტილიელს თუ ჩაეძინა? ეგ არ იქნება მიჩვეული ასეთი „დაფდაფების“ ხმაურში ძილს.

— ნეტავი შენც — სხვა სადარდებელი თუ არა გაქვს.

გარეთ ისევ იელვა და გრუხუნიც მოჰყვა. უცებ, კედელზე მოძრავი შუქის ანარეკლი გამოიკვეთა, სულ რაღაც 3-4 წამის შემდეგ კი, ისევ გაქრა. არჩილმა სმენა დაძაბა, ფანჯარასთან მივარდა და ავტომატი შეათამაშა. აშკარა იყო, მანქანა აღმართში გაჩერდა.

არჩილი დაძაბულად იყურებოდა მინაჩამსხვრეული ფანჯრიდან, იმ იმედით, რომ ისევ გაიელვებდა და წამით მაინც შეავლებდა თვალს იმ ადგილს, საიდანაც მანქანის მაშუქებმა გამოანათა. დრო უსაშველოდ იწელებოდა და მომქანცველი ლოდინი გამაღიზიანებლად მოქმედებდა ორივეზე.

ბოლოს, როგორც იქნა, ისევ იელვა და წამიერად გაანათა არემარე... მანქანა აღარსად ჩანდა. წითური არჩილს მიუახლოვდა.

— რას იტყვი, ვინ იქნებოდა? — ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით იკითხა.

არჩილმა მხრები აიჩეჩა. ერთხანს, მდუმარედ იდგა, ისევ ჩაფიქრებული მისჩერებოდა წყვდიადს.

— ფაქტია, რომ სოფელში მანქანა შემოვიდა, მაგრამ მაშუქების ჩაქრობა რაში დასჭირდა? თუ მდევარია, საიდან უნდა გაეგოთ ჩვენი ადგილსამყოფელი? თუ ჩვენი დამხმარე ძალაა — მით უმეტეს, არ იციან, სად ვიმყოფებით. თუ ადგილობრივი მცხოვრებია, რაში დასჭირდებოდა უკუნეთში ჩამქრალი ფარებით მოძრაობა?.. ეს წვიმაც რომ აღარ ჩერდება! არაფერი ისმის, ამ სახურავის გრუხუნში. მაინც, რა დაფდაფებივით ხმა აქვს, პირდაპირ ტვინს ბურღავს.

უცებ, ისევ გამოანათა მანქანის მაშუქებმა და ისევ უმალ ჩაქრა, ოღონდ, ახლა უფრო ქვემოდან მოდიოდა მოძრავი შუქი, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მეორე მანქანაც შემოდიოდა სოფელში.

— აქ რაღაც სხვა ამბავია... — არჩილმა ავტომატი მოიმარჯვა. — მე ქვემოთ ჩავალ, ეზოში უნდა გავიდე. იქნებ როგორმე, მანქანების ხმა გავიგონო და მათი მოძრაობის მიმართულება დავაზუსტო. ფანჯარას არ მოშორდე და ყველაფრისთვის მზად იყავი; შეცადე, საეჭვო არაფერი გამოგეპაროს.

— აზრი არა აქვს ეზოში გასვლას — ამ წვიმის ხმაურში ვერაფერს გაიგონებ. მე მგონი, ისევ აქედან სჯობს თვალთვალი.

— არა, უნდა ვცადო, თანაც — ქვემოთ ბიჭებსაც დავხედავ. საინტერესოა, თუ შეამჩნიეს რაიმე უცნაური.

— კარგი, ჩადი, ოღონდ ასანთი არ აანთო.

არჩილი შებრუნდა და სიბნელეში ფრთხილად, გამოზომილი ნაბიჯებით დაუყვა კიბეს. პირველ სართულზეც საკმაოდ ისმოდა თუნუქის სახურავზე წვიმის წვეთების რახარუხი. არჩილმა იმ ოთახის კარი გამოაღო, სადაც ბიჭები დატოვა. ოთახში მის შესვლას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. არჩილი გაჩერდა, შეეცადა, სიბნელისთვის შეეჩვია თვალი. ეზოდან სახლში შემოსასვლელი კარი ღია დახვდა და წყლის წვეთების ხმა ოთახში ისე მკაფიოდ ისმოდა, თითქოს აქაც კოკისპირულად წვიმდა. ავმა წინათგრძნობამ დაუარა. ბუნდოვნად გაარჩია საგნები, ავტომატი მოიმარჯვა და სამი ნაბიჯით ფრთხილად წაიწია წინ. ფანჯარაც ღია იყო... ახლა უკვე იქით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ელდა ეცა: ფანჯარასთან უსულო სხეული იყო მისვენებული; მის გვერდით ავტომატი იდო. „ღალატია თუ რა ხდება?!“ — გაუელვა თავში და ახლა უკვე ღია კარისკენ წავიდა... კართან, შიგნით, კიდევ ერთი უსულო სხეული ეგდო, პირქვედამხობილი.

არჩილი ფრთხილად დაიხარა, ხელი მხარში ჩაავლო და გადმოაბრუნა... გულმკერდის არედან, თბილი სისხლი მოჟონავდა. მაჯაზე თითი დაადო, უკანასკნელ იმედს ჩაებღაუჭა — იქნებ, ჯერ კიდევ ცოცხალიაო, — გაიფიქრა, მაგრამ წაქცეულს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

არჩილი წამოდგა, სმენა დაძაბა, მაგრამ საეჭვო არაფერი ისმოდა. ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ ღალატთან ჰქონდა საქმე: ვიღაცამ მუხანათურად გაწირა, მაგრამ რატომ და რა მიზანი ამოძრავებდა მოღალატეს, სრულიად გაუგებარი იყო... სისხლიანი ხელი გაიწმინდა და ავტომატს ჩააფრინდა. ყოველ წამს მზად იყო მოულოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად. ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ საიდუმლოებით მოცული მანქანები, ეს ორი მკვლელობა და მუხანათური ღალატი, გადაჯაჭვული იყო ერთმანეთთან.

ფრთხილად გავიდა გარეთ, სიბნელეში აქეთ-იქით მიმოიხედა, ვერაფერი გაარჩია, თუმცა გადაწყვიტა, პირდაპირ ჭიშკრისკენ წასულიყო.

უცებ, ფეხი რაღაცას წამოჰკრა და თავი ვეღარ შეიმაგრა. ზუსტად ამ დროს, ყრუ გასროლის ხმაც გაისმა და დაბარბაცებულმა იგრძნო, თუ როგორ მწვავედ გაუარა მარცხენა მკლავში ტყვიამ. წაქცეული, რაღაც რბილ სხეულზე დავარდა და მიხვდა, რომ ადამიანის უსულო გვამმა წააქცია... შეძრწუნებულმა, უკანასკნელი ეჭვები ამოიგდო გულიდან; მიხვდა, რაღაც უფრო შემზარავი ხდებოდა, ვიდრე უბრალო ღალატი... პირველ სართულზე მყოფი მისი სამივე თანამებრძოლი მკვდარი იყო, მაგრამ ვინ ჩაიდინა ეს? რა ხდებოდა ამ ბნელ ღამეში? ვინ ებრძოდა და რა მიზეზით თუ მიზნით? რომ არ წაფორხილებულიყო, ალბათ თვითონაც, უკვე მეოთხე მსხვერპლი იქნებოდა: წაფორხილებამ ტყვია გულმკერდს ააცილა... არჩილმა მკლავზე ხელი მოიკიდა. ეტყობოდა, რომ ტყვია ოდნავ შეეხო ძვალს, მაგრამ მაინც მთელი სხეული ეწვოდა. წამოდგომა სახიფათო იყო. მკლავს ხელი მოაცილა, მაგრამ ისევ გაუნძრევლად იწვა ერთ ადგილზე. წვიმის წვეთები დაუნდობლად ეცემოდა მთელ სხეულზე. უკვე სულ მთლად გალუმპულიყო. კარგა ხანს იყო ასე, თითქმის სუნთქვაშეკრული. უცებ, ნაბიჯების ხმა გაიგონა. არჩილი გაიტრუნა, სუნთქვა შეიკრა და დაელოდა. ვიღაც თავზე წამოადგა, ცივი ლულა გვერდში ამოსდო და მისი გადაბრუნება სცადა. არჩილმა ელვის სისწრაფით წაავლო ლულას მარჯვენა ხელი, ფეხებით, უცნობის ორივე ფეხს ჩაეჭიდა და მკვეთრი მოძრაობით გვერდზე გადაიხარა. უცნობი მიწაზე გაიშხლართა. არჩილი ზემოდან მოექცა და მარჯვენა მუშტი მთელი ძალით უთავაზა სახეში. უცნობი „მკვდრის“ გაცოცხლებას არ მოელოდა, არჩილის ძლიერმა დარტყმამ კი, კბილები ჩაუმტვრია; შეეცადა, პირში ჩაგუბებული სისხლი გადმოეფურთხებინა.

— ვინა ხარ, შე ნაბიჭვარო?! — ახლა არჩილი მას ყელში ჩაჰფრენოდა, — თქვი, თორემ ხერხით გადაგიხერხავ მაგ გასივებულ კისერს! ვინ გამოგგზავნა და რას ერჩოდი ამ ხალხს?! თქვი დროზე, შენი დედა...

უცნობმა სიმწრისგან ამოიხრიალა. არჩილმა ცოტათი მოასუსტა ხელი, რომ მისთვის ლაპარაკის საშუალება მიეცა, მაგრამ წაქცეულმა ისე შეუკურთხა, რომ არჩილმა მეორედ, ახლა უკვე ცხვირში დაარტყა; უცნობს თქრიალით წამოუვიდა სისხლი.

— რას ერჩოდი-მეთქი ამ ხალხს? გეკითხები, რა დაგიშავეს? ლაპარაკი არ იცი, ნაბიჭვარო, თუ მართლა გინდა, გადახერხილი თავით წახვიდე იმქვეყნად?! — დანა ამოიღო, გახსნა და მისი წვერი თავდამსხმელის წარბებს შუა მიაბჯინა.

— თქვი დროზე, თორემ გადაგჭრი ყველივით!

წაქცეული ისევ დუმდა, მიუხედავად იმისა, რომ დანის წვერმა უკვე ტყავიც გადაუსერა. ერთი ამოიგმინა და ისევ გინება სცადა. გაბოროტებული არჩილი დანას დააწვა და შუბლის კანი გადაუგლიჯა.

— ღორივით სასიკვდილო ხარ, შენი... არ გინდა და ნუ იტყვი — ეს იმ ბიჭების სიკვდილისთვის სამაგიერო იყოს! — ამ სიტყვებზე დანა ყელში გამოუსვა. წაქცეულმა ამოიხრიალა და თავი გადაუვარდა. არჩილმა უბე გაუხსნა, ჯიბეები მოუჩხრიკა, მაგრამ ვერანაირი საბუთი ვერ აღმოაჩინა. მთელ მის ავლადიდებას ღამის ხედვის ოპტიკური ხელსაწყო და სნაიპერის შაშხანა წარმოადგენდა.

მკლავის ტკივილი სულ გადაავიწყდა, წამოდგა და სწრაფად წავიდა შენობისკენ. ცხადი იყო, თავდამხმელი მარტო არ იქნებოდა და ახლა მთავარი იყო, წითური გაეფრთხილებინა და მერე ერთად მოეფიქრებინათ, როგორ მოქცეულიყვნენ. სახლში შევიდა და საგულდაგულოდ, გასაღებით დაკეტა კარი. თავდამხმელისთვის წართმეული ოპტიკური ხელსაწყო მოირგო და პირველი სართულის ოთახი მოათვალიერა. მერე ფანჯარასთან მივიდა, ისიც გამოკეტა და ზემოთ ასავლელ კიბეს აუყვა. სულ მთლად გალუმპულიყო და ტანსაცმლიდან წურწურით ჩამოსდიოდა წყალი. მეორე სართულის ოთახის კარი რატომღაც ღია დახვდა. ისევ ავმა წინათგრძნობამ დაუარა. ოთახი მოათვალიერა. ხელსაწყოს წყალობით, ყველაფერი გამოკვეთილად ჩანდა... ჩამსხვრეულმინიანი ფანჯრის რაფაზე წითურის სხეული იყო გადაწოლილი; აშკარა იყო, ისიც მკვდარი იყო...

არჩილმა კარი დაკეტა, ჩაიმუხლა და ასე მიუახლოვდა ფანჯარას. წითურს ფეხებში მოჰკიდა ხელი, ქვემოთ ჩამოაცურა. ის ჯერ კიდევ თბილი იყო, მაგრამ უკვე აგონიაში იმყოფებოდა. თვალები ოდნავ გაახილა, ეტყობოდა — სიბნელეში ვერაფერი გაარჩია.

— არჩილ, შენა ხარ? ვის შეევწირეთ? ასე უღმერთოდ ვინ გაგვწირა, არჩილ?! — უკანასკნელად ამოიგმინა და თვალები სამუდამოდ დახუჭა.

არჩილი იმ ოთახის კარს მივარდა, სადაც იტალიელი უნდა ყოფილიყო... როგორც იტალიელის, ასევე თარჯიმნის ოთახების კარი ღია იყო, ოთახები კი — ცარიელი... ფიქრისა და განსჯის დრო აღარ იყო, რაღაც გზას უნდა დასდგომოდა. უცებ, ხმაურს მოჰკრა ყური. სმენა დაძაბა. მიუხედავად სახურავის ძლიერი ხმაურისა, მაინც გაიგონა კიბეზე ამომავალი ფრთხილი ნაბიჯების ხმა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ერთი ნახტომით, შემოსასვლელი კარის უკან აღმოჩნდა და გაირინდა. ოთახში ვიღაცამ შემოაბიჯა. ორივე ხელში მაყუჩიანი რევოლვერები ჰქონდა მომარჯვებული და ხან ერთ და ხან მეორე მხარეს მიუშვერდა ხოლმე. არჩილმა ნელა-ნელა აღმართა ავტომატი და უცებ, კონდახი დაუშვა კეფაში. უცნობი პირქვე ჩაემხო. არჩილმა კარი მიხურა, მერე გასაღებით დაკეტა და წაქცეული ამოაბრუნა. ღამის ხედვის ხელსაწყოს მეშვეობით ყველაფერს მკაფიოდ ხედავდა. წაქცეულს ჯიბეები სწრაფად მოუჩხრიკა. პირველი თავდამსხმელისგან განსხვავებით, ამას პირადობის დამადასტურებელი საბუთიც ჰქონდა და ამ საბუთის მიხედვით, იგი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომელი იყო... კიბეზე ისევ გაისმა ნაბიჯების ხმა, ოღონდ ამჯერად — ნაბიჯები სწრაფი და მოურიდებელი იყო.

არჩილმა საბუთი ჯიბეში ჩაიდო, ფანჯარას გადაევლო და მეორე სართულიდან გადმოხტა. მარცხენა მკვლავიდან კვლავ სისხლი სდიოდა, მაგრამ ტკივილს ვეღარც კი გრძნობდა. გადმოხტომისთანავე, მის თავთან ტყვიამ გაიზუზუნა — ჯერ ერთმა, მერე მეორემ. არჩილი ახლა ღობეს გადაევლო და რამდენადაც შეეძლო, სწრაფად დაეშვა ციცაბო ფერდობზე. სულ მალე, ტყის მასივში იყო და დაღმართს მიუყვებოდა სირბილით. გრძნობდა, რომ მოსდევდნენ, რათა ისიც გაენადგურებინათ...

რამდენჯერმე წაიქცა, ღამის ხედვის აპარატიც სადღაც დაკარგა და ახლა მხოლოდ ალალბედზე, ვარაუდით მიიკვლევდა გზას. იცოდა, რომ ტრასა სულ ახლოს უნდა ყოფილიყო. უცებ, ისევ წაიფორხილა ჯირკზე და შემაღლებული გორაკიდან თავქვე გადაეშვა; ავტომატი ტოტებში გაიხლართა და თვითონაც გვით დაეშვა. მიხვდა, რომ უკვე ტრასის პირას იმყოფებოდა, მაგრამ უიარაღოდ იყო, უკუნ, სიბნელეში და კოკისპირულ წვიმაში მისი მოძებნის არც თავი ჰქონდა და არც იმედი. მდევარიც ალბათ ახლოს იყო. ამიტომ, მხოლოდ რევოლვერის იმედადღა დარჩა, რომელიც მარჯვენა ხელში მოიმარჯვა და ყოველი შემთხვევისთვის ჩახმახზეც შეაყენა... შორიდან მანქანის მაშუქებმა გამოანათა. არჩილი შუა გზაზე გადავიდა და მანქანის გასაჩერებლად, ორივე ხელი ასწია. ტანსაცმელი სველი და ტალახიანი ჰქონდა. მანქანა დიდი სისწრაფით უახლოვდებოდა, მაგრამ მიუხედავად არჩილის ხელების ენერგიული ქნევისა, გაჩერებას არ აპირებდა. არჩილმა იარაღი პირდაპირ დაუმიზნა, მაგრამ ამ დროს, მანქანამ სიჩქარეს კიდევ უფრო მოუმატა, რასაც არჩილმა ელვისებური რეაქციით უპასუხა და ბოლოს, ავტომანქანის კაპოტზე აღმოჩნდა. ამ დროს, მუხრუჭების გამაყრუებელი ხმაც გაისმა და მანქანა გაჩერდა.

გაგრძელება იქნება

კუპეს renesansi

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში ბევრს ეგონა, რომ კუპეს ძარის მქონე ავტომობილებმა თავისი დრო მოჭამა. მართლაც, 70-იანი წლების ბუმის შემდეგ, ამ ტიპის მანქანებმა ორადგილიან როდსტერებს დაუთმო ადგილი, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭა სპორტული სტილის მოყვარულთა წრეში, მაგრამ ნებისმიერ სხვა მოდის დარად, საავტომობილო მოდაც ცვალებადობით ხასიათდება და ბოლოდროინდელმა ავტოსალონებმა დაადასტურა, რომ კუპეზე მსოფლიოს ყველა წამყვანი მწარმოებელი მუშაობს. მაგალითად, „ბე-ემ-ვე“ 2003 წლის გაზაფხულისთვის ახალი, მე-6 სერიის გამოშვების დაწყებას აპირებს, რომლის სამოდელო რიგი სწორედ კუპეთი 630 GL-თი გაიხსნება. 6-ცილინდრიანი ძრავით აღჭურვილი მანქანა (სამუშაო მოცულობა – 3 ლ, სიმძლავრე – 231 ცხ.ძ.) „მერსედესის“ კუპეს – CL-ის ერთ-ერთ კონკურენტად მოგვევლინება. ბავარიული კონცერნი მსურველებს ამავე მანქანას ორი 8-ცილინდრიანი – 272 ცხ.ძ-იანი (635 GL) და 333 ცხ.ძ-იანი (640 GL) ძრავებითაც შესთავაზებს.

„ბე-ემ-ვე“-ს არც „ფოლკსვაგენი“ ჩამორჩება. ჩეხეთში მდებარე მისი შვილობილი ფირმა „შკოდა“ ჟენევის განვლილ ავტოსალონზე ავტომოყვარულთა წინაშე სწორედ მოხდენილი კუპეთი – Skoda Tudor-თი წარდგა, სათავო კომპანია კი, 2004 წელს, ახალი „პასატის“ პლატფორმაზე აპირებს კუპეს წარმოებას. მისი ძირითადი აგრეგატი, კომპაქტური 6-ცილინდრიანი ძრავა იქნება, რომელიც 180 ცხ.ძ-ს განავითარებს. უფრო სრულყოფილი ვერსიები 8-ცილინდრიანი, 280 ცხ.ძ-იანი ძრავით აღიჭურვება, თუმცა, საამისოდ კონსტრუქტორებს ძრავის დანაყოფის გაზრდა მოუწევთ, რაც მანქანასაც დააგრძელებს.

„მერსედესი“ მაისშივე აპირებს CLK-ს ახალი კუპეს წარმოების დაწყებას. იტალიელები, რომლებსაც საკუთარი დიზაინერების მიერ წინა წლებში შემუშავებული არაერთი ელეგანტური კუპე აქვთ, სახელგანთქმული საავტომობილო ჯადოქრის – ჯუჯაროს მიერ შემუშავებულ მოდელს – Brera-ს ფლობენ. ეს მანქანა Alfa Romeo GTV-ის ბაზაზეა შექმნილი და 8-ცილინდრიანი, 400 ცხ.ძ სიმძლავრის ძრავითაა აღჭურვილი.

პოზიციებს არც იაპონელები თმობენ. ფირმა „ნისანს“ კუპეს შექმნის კარგი ტრადიცია აქვს:

სერიის პირველი ავტომობილის დებიუტი ჯერ კიდევ 1969 წელს შედგა და მას შემდეგ, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კარგად რეალიზებად სპორტულ ავტომობილად რჩება. 2003 წლის ზაფხულში კი, ევროპაში ახალი Z-ის გაყიდვა დაიწყება. ორხდენილი ორკარიანი მანქანა 3,5 ლ სამუშაო მოცულობის 6-ცილინდრიანი და 280 ცხ.ძ-იანი ძრავით იქნება აღჭურვილი. მისი ფასი ევროპისთვის ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის, აშშ-ში კი „ნისანის“ ახალი კუპე (საბაზო ვერსია) 26.269 დოლარი ეღირება. ბოლოს დავძენთ, რომ მომავალი წლის ზაფხულში ევროპულ ბაზარზე კიდევ ერთი „იაპონელი“ – ოთხკარიანი კუპე Mazda RX-8 გამოჩნდება. ■

სპორტული Opel Astra

ამერიკულ „ჯენერალ მოტორსში“ შემავალმა გერმანულმა ფირმა „ოპელმა“ აპრილში მოწყობილ ლაიპციგის ავტოსალონზე თავისი ცნობილი მოდელის – „ასტრას“ სპორტული მოდიფიკაცია წარმოადგინა. ავტომობილმა, რომლის სრული სახელწოდებაა Opel Astra OPC, წარუცილებელი სრულყოფის პროცესი კომპანიის სატიუნინგო ქვედანაყოფში – Opel Performance Center-ში (OPC) გაიარა. ინჟინერ-კონსტრუქტორებმა კომპაქტური კლასის მანქანას ტურბომდაბერვით აღჭურვილი 192 ცხ.ძ-იანი 4-ცილინდრიანი ძრავა დაუყენეს, რომელსაც „ასტრა კუპეზე“ იყენებენ. ახალი მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ-ს შეადგენს, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი, 8 წმ-ში ავითარებს. „ასტრა“ აღჭურვილია სპორტული საკიდრით, საკურსო მდგრადობის ელექტრონული სისტემით ESP და მუხრუჭების ანტიბლოკირების ახალი თაობის სისტემით. გარეგნულად მანქანა ჩვეულებრივი „ასტრასგან“ მსუბუქი შენადნობებისგან დამზადებული 17-დუიმიანი დისკებით, რადიატორის რამდენადმე სახეცვლილი ცხაურით გამოირჩევა; ჰეჩბეკის ტიპის ძარაზე, ანტიფრთაცაა დაყენებული.

საჭე ნატურალური ტყავით არის განწყობილი, სავარძლები კი, ცნობილი ფირმის – Recaro-ს სპეციალისტებმა დაამზადეს. OPC-ის საბაზო კომპლექტაციაში კლიმატ-კონტროლით აღჭურვილი კონდიციონერი, უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშები შედის. „ასტრასთან“ ერთად სატიუნინგო ფირმა OPC-იმ ვენის – Opel Zafira-ს სპორტული მოდიფიკაციაც შეიმუშავა. ფირმა აცხადებს აგრეთვე, რომ მომავალში OPC-ის სატიუნინგო მოდელებს საგანგებო სამოდელო რიგად ჩამოაყალიბებს. ■

ნახმატების ფასი

„ფორმულა 1“, როგორც სპორტი და, ამავე დროს, ძალზედ შემოსავლიანი ბიზნესი, მსოფლიოს ყველა კუთხის ავტომოყვარულთა უდიდეს ინტერესს იწვევს. „გზის“ მკითხველისთვის რამდენიმე წერილი შეგვითავაზებია ამ შეჯიბრების, მისი მონაწილეებისა და მეპატრონე ბერნი ეკლსტოუნის შესახებ.

ამჯერად საშუალება გვაქვს წარმოგიდგინოთ „ფორმულა-1“-ში მონაწილე 11 გუნდის 2002 წლის ბიუჯეტები (მლრდ დოლარში), რომელიც ნათლად მეტყველებს ამ შეჯიბრების უახლოეს პერსპექტივაზე.

„ფერარი“	—	302,4 მლნ
„მაკლარენი“	—	287,8 მლნ
„რენო“	—	255,8 მლნ
„ტოიოტა“	—	238,4 მლნ
„ბარი“	—	235,4 მლნ
„უილიამსი“	—	230 მლნ
„იაგუარი“	—	211,77 მლნ
„ჯორდანი“	—	190 მლნ
„ზაუბერი“	—	104,35 მლნ
„მინარდი“	—	83,45 მლნ
„ეროუზი“	—	49,55 მლნ.



Lotus-ის ჰობლემები

„ლოტუსის“ სპორტულ ავტომობილებს ინგლისური ავტომრეწველობის ლეგენდას უწოდებენ. მაგრამ დღესდღეობით „ლოტუსს“ საკმაოდ მძიმე დრო უდგას. სულ ცოტა ხნის წინ თავისი გადადგომის შესახებ გამოაცხადა კომპანიის პრეზიდენტმა ტერი ფლეილმა. ამ ნაბიჯის ფორმალურ მიზეზად მეწარმის ასაკს ასახელებენ: მალე მას 70 წელი შეუსრულდება, მაგრამ რეალურად მისი გადადგომა კომპანიის ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება: 2001 წელი „ლოტუსმა“ 42,6 მლნ გირვანქა სტერლინგიანი ზარალით დაასრულა; დასავლეთ ევროპაში სულ 1660 ავტომობილი გაასაღა, რაც წინა წელთან შედარებით 32%-ით ნაკლები იყო. ამის შედეგად დაიხურა ქალაქ კოვენტრიში მდებარე ქარხანა.



სულ ცოტა ხნის წინ კომპანიის ხელმძღვანელობა წელიწადში 10 ათასამდე მანქანის გაყიდვას ისახავდა მიზნად. ბუნებრივია, სადღეისოდ ეს გეგმა საგრძნობლად მცირდება. ამჟამად ფირმა 3 ათასამდე Lotus Elise-სა და 200 Lotus Esprit-ს უშვებდა, ახალი მოდელის – M250-ის სერიულ წარმოებაში ჩასაშვებად კი, სახსრები არ ჰყოფნის. ფლეილის შემკვიდრე ჯერ არ დაუსახელებიათ, თუმცა ინგლისში ვარაუდობენ, რომ ის შეიძლება აზიელი იყოს: „ლოტუსის“ მთავარი აქციონერი ხომ მალაიზიური საავტომობილო კომპანია Proton-ია, რომელსაც, ცხადია, ფირმის მომავლის საკუთარი ხედვა აქვს. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ვისარგებლოთ მაკიაჟით ისე, რომ დავრჩეთ ბუნებრივნი? რა ფერებს გვთავაზობს გაზაფხულისა და ზაფხულის მოდა? როგორ მოვუაროთ სახეს, ყელს? ამ და სხვა მრავალ იმ კითხვაზე, რომელიც სუსტი სქესის წარმომადგენლებს აუცილებლად დააინტერესებს, პასუხებს სილამაზის სალონის ვიზაჟისტი ოლია გოცირიძე გაგვცემს.

უფრთხილდით მზის აბაზანებს და სოლარიუმს

ოლია გოცირიძე

ელისო გურგენიძე

– სწორად შერჩეული მაკიაჟიც ვერ შეგვცემს სასურველ შედეგს, თუ სახის ნაკეთები დაძაბულია და თვალები გადაღლილი. ასეთ შემთხვევაში სჯობს, ფუნჯი გვერდზე გადავდოთ და თავს მოდუნების საშუალება მივცეთ, ამისათვის კი დაგვეხმარება მასაჟი.

მასაჟი: ხელის თითები მივიტანოთ საფეთქლებთან და თითის ბალიშებით შევასრულოთ წრიული მოძრაობები კეფის ზედა ნაწილამდე (დაიმახსოვრეთ, ამ მასაჟის შესრულებისას, თავის კეფა ერთგვარი ცენტრის როლს ასრულებს და წრიული მოძრაობები ყოველთვის მისი მიმართულებით ხორციელდება). ახლა კისრიდან შევასრულოთ ანალოგიური მოძრაობები ზემოთ აღნიშნული მიმართულებით, შემდეგ თავის უკანა და წინა ნაწილებიდან.

მასაჟის შემდეგ, ლავანდის 10 წვეთი გავხსნათ ერთ ლიტრ თბილ (თითქმის ცხელ) წყალში. ავიღოთ პირსახოცი და ჩვენ მიერ მომზადებულ ნაყენში დავასველოთ. წამოვწვეთ, სველი პირსახოცი კეფის ქვეშ ამოვიდოთ. როდესაც ნაჭერი გაცივდება, კვლავ თბილ წყალში დავასველოთ და ისევ თავქვეშ ამოვიდოთ. 15 წუთის შემდეგ, ნამდვილად უკეთ იგრძნობთ თავს.

ახლა გადაღლილ თვალებზეც ვიზრუნოთ. ავიღოთ ცივი წყლით სავსე თასი და ჩავყოთ პირისახე. წყალში 10-ჯერ გავახილოთ და დავხუჭოთ თვალები. ეს პროცედურა თვალს დაძაბულობის მოხსნაში ეხმარება.

ახლა ჯი შეგვიძლია მაკიაჟსაც მივმართოთ:

ტონალური კრემი: აუცილებელი არ არის, ტონალური კრემი იმ რაოდენობით წავისვათ სახეზე, რომ მან კანის ყველა ნაკლი დაფაროს. ამ საქმისთვის შემნიღბავი ფანქარი არსებობს. კრემი კი იმდენად თხლად უნდა წავისვათ, რომ სახის კანი გამჭვირვალე დარჩეს. ტონალურის ხმარებამდე, მშრალი კანისათვის აუცილებელია დღის კრემის წასმა. ცხიმიანზე კი, მისი ხმარება პირდაპირაც შეიძლება. გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ტონალურის წასმა შუბლის მიდამოებში თმის ძირებამდეა საჭირო. რაც შეეხება ფერებს, გაზაფხულზე და ზაფხულში, ზამთართან შედარებით ერთი ტონით მუქი ფერი უნდა შეირჩეს.

რა ფერებია წელს მოდაში? მოდაშია სპილოსძვლისფერი და კრემისფერი, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტონალურის ფერი სახის ბუნებრივ ფერს უნდა ეხამებოდეს.

სახის ფერი („რუმიანა"): მისი შეფერილობა წელიწადის დროების მიხედვით იცვლება. გაზაფხულზე სჯობს მოვარდისფრო-ორაგულისფერი, ზაფხულში ბრინჯაოსფერი, ხოლო შემოდგომაზე, მოყავისფრო ფერები ავირჩიოთ. უკვე რამდენიმე წელია, დამკვიდრდა „რუმიანა ბურთულებში". ეკონომიის მიზნით, სხვადასხვა „რუმიანას" ყიდვა რომ არ დაგვჭირდეს, გაზაფხულზე ბრინჯაოსა და ყავისფერი ბურთულები ამოვიღოთ ფერუმარილის კოლოფიდან, ზაფხულში, კოლოფში უკან ჩავაბრუნოთ ბრინჯაოსფერი, შემოდგომაზე კი, ყავისფერი ბურთულებიც ჩავამატოთ და ისე ვისარგებლოთ.

პომადა: ადრეულ ასაკში (16-18 წლები) საჭირო არ არის მისი ხმარება, მაგრამ ტუჩებს კვება და ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვა ესაჭიროება. ამისთვის „ბლესკის" გამოყენება შეიძლება, ანდა, სულაც სჯობს, ბუნებრივ საშუალებებს მივმართოთ. მაგალითად: შემთბარ ზეითუნის ზეთში დავასველოთ პატარა ხაოიანი ნაჭერი. შემდეგ იგი ტუჩებს შორის მოვათავსოთ. პირი დავმუწოთ და რამდენიმე წუთის განმავლობაში ვაცმაცუნოთ. ამის შედეგად, ტუჩები სასიამოვნო ფერსაც მიიღებს და საკვებსაც. რაც შეეხება ფერებს, გაზაფხულზე ვარდისფერი, იასამნისფერი და მარჯნისფერია მოდაში, – იმის მიხედვით, ვის რა უხდება, ანდა, შეგიძლიათ, პერლამუტრის უფერო „ბლესკი" გადაისვათ ტუჩებზე. ზაფხულისა და შემოდგომის თვეებისათვის, როგორც „რუმიანის", ასევე პომადის ფერებიც მუქდება. დაიმახსოვრეთ, პომადა არავითარ შემთხვევაში დიდი რაოდენობით არ უნდა წაისვათ, და რაც მთავარია, იგი ბუნებრივად უნდა გამოიყურებოდეს. თუ ერთი ტუჩი პატარაა, მაშინ ის შედარებით მუქად იღებება.

ტუჩის კონტური: აუცილებელია ეხამებოდეს პომადის ფერს. დაიხსომეთ: კონტურის მოხაზულობა არ

უნდა იყოს ძალიან მკვეთრი. არ უნდა ჩანდეს საზღვარი პომადასა და კონტურს შორის.

თვალის ჩრდილი: მოდაშია პასტელის ფერები, ღია ნაცრისფერი, იასამნისფერი, პერლამუტრისა და ფირუზისფერები. ბუნებრივია, იმის შესაბამისად, ვის რა უხდება.

არავითარ შემთხვევაში არ იხმაროთ თვალის შავი ფანქარი. შეარჩიეთ ყავისფერი, მწვანე, ნაცრისფერი და ლურჯი ან ცისფერი, რადგან ისინი უფრო შეესაბამება გაზაფხულ-ზაფხულს. თუ მაინცდამაინც ვერ ელევით შავ ფანქარს, შეგიძლიათ წაისვათ იგი თვალის შიგნით, შემდეგ კი მწვანე გადაისვით. მოდაშია, ფერთა შეხამებაც, მაგალითად: თეთრი, ნებისმიერ სხვა ფერთან.

ტუში: უმჯობესია, ჯერ უფერული ტუშით ისარგებლოთ, ხოლო შემდეგ თქვენთვის სასურველი ფერი გადაისვათ. აქაც, მოდაშია ნებისმიერი ფერი, გარდა შავისა.

საერთოდ, გაზაფხულის და ზაფხულის მაკიაჟი მსუბუქია. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ყოველთვის სჯობს, მაკიაჟს რაღაც აკლდეს, ვიდრე იყოს ზედმეტი.

წარბები: წარბების ამოქნისას აუცილებელია მის ბუნებრივ ფორმას მივყვეთ და არ შევცვალოთ იგი. სჯობს, წარბების დასაწყისს არც შევეხოთ და მხოლოდ შუა ნაწილიდან დავიწყოთ თმის ღერების ამოღება. თუმცა, აუცილებელია ბუსუსების მოცილება წარბებს შორის. ძირითადად წარბები ან რკალისებრია ან Л-ის ფორმის. წარბების ამოქნისას კარგი იქნება, თუ ჩვენი წარბის მოხაზულობას ტუჩის ფორმას დავამთხვევთ, რადგანაც წარბი ძირითადად, ტუჩის ხაზებს იმეორებს, დღესდღეობით კი მოდაში არ არის უზომოდ დათხელებული წარბები და როგორც ზემოთ აღვნიშნე, მთავარია სუფთად შევინარჩუნოთ ფორმა.

სახლიდან გასვლის წინ წარბებზე თმის „გელი“ ან ტუჩის „ბლესკი“ გადაისვით. ეს ბზინვარებასაც აძლევს წარბს და ფორმასაც აუმჯობესებს. წარბების დასავარცხნად შეგვიძლია უფერო ტუში ან გელში დასველებული კბილის ჯაგრისი გამოვიყენოთ.

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ქალის ასაკი შეიძლება ყელმა გასცეს.

ყელი: არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ქალის ასაკი შეიძლება ყელმა გასცეს. როგორ გადავჭრათ ეს პრობლემა? ამ საქმისთვის საუკეთესო საშუალება ვარჯიშია.

ვარჯიში ყელისათვის: გადავწიოთ თავი ჯერ წინ, შემდეგ უკან. ეს მოძრაობა ოცჯერ გავიმეოროთ. ახლა თავი მარცხნიდან მარჯვნივ ვამოძრაოთ. ეს მოქმედებაც ოცჯერ შევასრულოთ, ბოლოს კი, წრიულად ვამოძრაოთ თავი ჯერ ერთი, შემდეგ მეორე მიმართულებით.

33 წლის ასაკიდან აუცილებელია წილბების ხმარებაც. ყელზე წაისვით შემთბარი ზეითუნის ზეთი. შემდეგ გადაიფინეთ დოლბანდი. შემდეგ შემთბარი მარილი მოათავსეთ სუფთა ნაჭერში და დაიდეთ ყელზე. ბოლოს კი დაიფინეთ პირსახოცი და პარკი.

ძუთუთოები: ქუთუთოების კრემის ხმარება 29 წლამდე აუცილებელი არ არის, 30 წლის შემდეგ კი სავალდებულოა. დაიხსომეთ: კრემი ქუთუთოებზე თვალის კუთხეებიდან შიგნითა მიმართულებით უნდა წაისვათ მსუბუქი დარტყმითი მოძრაობით. ქუთუთოებისთვის ძალიან კარგი იქნება, თუ უმ კარტოფილს თხელ, მრგვალ ნაჭრებად დაჭრით და დაიდებთ.

რამდენიმე რჩევა სახის კანის მოსავლელად.

დაბანილ ან კარგად გაწმენდილ სახეზე ბამბის ტამპონით წაისვათ შემთბარი ზეითუნის ზეთი. გავაჩეროთ ნახევარი საათი. შემდეგ სახე ქაღალდის ხელსაწმენდით შევიმშრალოთ.

სახის კანისთვის საუკეთესო საშუალებაა გვირილის, ღიღილოსა და სალბის ნაყენი.

200 გ წყალში ჩავყაროთ 1 ს/კ გამხმარი გვირილა (ღიღილო, სალბი) და წამიერად წამოვადუღოთ. მიღებული ნაყენი გავაჩეროთ დახურულ ჭურჭელში და ოდნავ თბილი გავწუროთ. მიღებულ სითხეში დავასველოთ მარლა და 10-15 წთ-ით სახეზე დავიდოთ.

ჩემთან ხშირად მოდიან 18 წლის გოგონები, რომლებსაც უკვე ნაოჭები აქვთ გაჩენილი სახეზე. ამის მიზეზი ხშირად ხდება მზის აბაზანები და სოლარიუმით სარგებლობა, რადგანაც მზე ისევე, როგორც სოლარიუმი, აშრობს კანს და დამღუპველად მოქმედებს მასზე. ულტრაიისფერი სხივები კი შეიძლება კიბოს გამომწვევ მიზეზადაც იქცეს. სწორედ ამიტომ, ზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებით გაფრთხილებთ, რომ მზის აბაზანებისგან ყველანაირად შეიკავოთ თავი. თუ მაინცდამაინც გსურთ, რომ გაირუჯოთ, მზის სხივებით დილის 10 სთ-მდე ისარგებლეთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მზის აბაზანის მიღების წინ კრემის წასმა. ამ შემთხვევაში მსუბუქი გელი ან ემულსია გამოიყენეთ. ■

მთელი დედამიწის ზურგზე არავინ, თქვენზე მეტად არ იმსახურებს თქვენს სიყვარულსა და ერთგულებას.

ბუდდა

ფრაზები გენიალური

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

როგორ შევლებოთ საახლგომო ჯვერცხი

საახლგომო კვერცხი დიდ პარასკევს იღებება. ეს დღე მორწმუნეთათვის ყველაზე მძიმეა მთელი წლის განმავლობაში. სწორედ ამ დღეს მოხდა მაცხოვრის ჯვარცმა და ხორციელი სიკვდილი.

კვერცხის შესაღებად უმჯობესია ბუნებრივი საღებავი – ენდრო გამოიყენოთ. ბოლო დროს, მომრავლდა ქიმიური საღებავები, მაგრამ ბევრი მათგანი მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.

ენდროს ფესვები უფრო კარგად გამოყოფს ფერს, თუ გამხმარია, ამიტომ საღებავი ადრიანად უნდა შეიძინოთ. გაამხმარი ენდრო მოშუშეთ ცხელ ტაფაზე, შეაგრილეთ და შემდეგ დაჩეჩქვეთ როდინში.

ქვაბში ჩაყარეთ გამზადებული ენდრო და წითელი ხახვის ნაფცქვენები, რომელიც შეღებვასაც უწყობს ხელს და კვერცხებს დამტვრევისგანაც იცავს. დაასხით წყალი და ადუღეთ 15-20 წთ. შემდეგ ქვაბი გადმოდგით ცეცხლიდან, შეაგრილეთ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩააწყვეთ ფრთხილად კვერცხები. კვერცხი არ უნდა იყოს მაცივრიდან ახალი გამოღებული, თორემ დასკდება. წყალში შეგიძლიათ ჩაამატოთ ცოტა მარილი, რომელიც კვერცხის დახეთქვას შეუშლის ხელს.

ქვაბი შემოდგით საკმაოდ ნელ ცეცხლზე და კვერცხები ხარშეთ არანაკლებ 1 საათისა, ადუღებიდან. შემდეგ, ქვაბი ისევ გადმოდგით, შეაგრილეთ და ამის შემდეგ ამოალაგეთ. შეღებილი კვერცხები ზეთიანი ნაჭრით უნდა გააპრიალოთ.

საახლგომო პასკა

მასალა: 20 კვერცხი, 100 გ საფუარი, 1,5 ლ რძე, 1,5 კგ შაქარი, 12 ცალი მიხაკი (დანაყილი), 1 ჩ/კ ილი (დაფქული), 1 ლიმონი (გახეხილი), 1 ცალი მუსკატის კაკალი, ჩაის კოვზის წვერით აღებული ყვითელი ყვავილი, ამდენივე დარიჩინი, მარილი, 400 გ კარაქი, 500 გ მარგარინი, 80 გ არაყი ან კონიაკი, 1 ჩ/კ ვანილი, 1 ჩ/ჭ ქიშმიში, ფქვილი – რამდენსაც შეიზელს, 2 ჩ/კ სოდა ძმრით, ზეთი.

მომზადების წესი: პასკის მომზადების წინა დღით, მოამზადეთ სუნელების ნაყენი – მიხაკი, ილი, ყვითელი ყვავილი, მუსკატის კაკალი, დარიჩინი, მარილი, ლიმონი და ვანილი ჩაყარეთ ჭიქაში და დაასხით არაყი, ჭიქას თავზე დაახურეთ. მეორე დღისათვის ნაყენი მზად იქნება.



0,5 ლ ცხელ რძეში გახსენით საფუარი (რძის ტემპერატურა უნდა იყოს 37-38 გრადუსი, ზედმეტი ან ნაკლები ტემპერატურის შემთხვევაში ცომი არ ამოფუვდება. თერმომეტრის გარეშე რძის ტემპერატურის შესაფასებლად მცხობელი მასში ჩაყოფს თითს და რძე ოდნავ უნდა ,,კბენდეს''). დაამატეთ იმდენი ფქვილი, რომ ფელამუშის მაგვარი მასა მიიღოთ და დადგით თბილ ადგილას.

დიდ ჯამში ათქვიფეთ 20 კვერცხისა და 1,5 კგ შაქრის გოგლიმოგლი. დაამატეთ 1 ლ არც თუ ისე ცხელი რძე, შემდეგ – წინასწარ გამდნარი მარგარინი და კარაქი (არც თუ ისე ცხელი), თან ურიეთ. შემდგომ, ცომს დაუმატეთ გამზადებული საფუარი, სუნელების ნაყენი (ნალექის გარეშე), სოდა ძმრით და იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ მოსქელო ცომი, რომელიც ხელს მოჰყვება. ცომის ზელვისას ხელი ზეთით უნდა დაისველოთ. როცა ცომი მზად იქნება, თავი ზეთიანი ხელით მოუსწორებთ, თბილად შეფუთეთ და დადგით თბილ ადგილას ამოფუებამდე. როცა ცომი ამოვა, ზეთიანი ხელით ისე კარგად ჩაზილეთ, რომ საფუარისგან წარმოქმნილი ბუშტუკები დასკდეს. მეორედ ამოსვლის შემდეგ ცომის პატარა გუნდები გადაიტანეთ წინასწარ მომზადებულ პასკის ფორმებში (ფორმა უნდა იყოს ქაღალდჩაფენილი და ზეთწასმული), ისე, რომ ცომი ფორმის მესამედს ავსებდეს. ფორმები დააყოვნეთ მანამ, ვიდრე ცომი ფორმის 2/3-მდე ამოვა და შემდეგ შედგით ცხელ ჰაერღუმელში ზომიერ ცეცხლზე. გამომცხვარ პასკას ზემოდან შაქრის პუდრა მოაყარეთ. ■

თქვენი პატარა

როგორ დავტვირთოთ სკოლის მოსწავლე

თქვენი ბავშვი უმადობას უჩივის, გაღიზიანებული და უხეშია, ღამით გვიანობამდე ვერ იძინებს და ძალიან ხშირად ცივდება... გიცდიათ კი დაგეთვალათ, როგორია მისი დატვირთვა დღის განმავლობაში? – რამდენ საათს უხდება ბავშვს კითხვა, წერა, ამოცანების ამოხსნა, ზეპირობა?

უფროსკლასელი მოსწავლე 3-4 საათისათვის ბრუნდება შინ, სადილობს, 30-40 წთ ისვენებს და იძულებულია, დავჯდეს სამეცადინოდ, რადგან მოსწავლეთა უმრავლესობა დატვირთულია მუსიკალურ სკოლაში, უცხო ენების თუ სხვადასხვა საგნის დამატებით მეცადინეობებზე და ყოველი საღამოს 1-2 საათი ამ დატვირთვას უნდა დაუთმოს. მუსიკისა და უცხო ენის წრიდან დაბრუნების შემდეგ ბავშვი აგრძელებს გაკვეთილების მომზადებას, მაგრამ მუსიკა და უცხო ენაც ხომ სამეცადინო აქვს? აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს ასე მომრავლებული გიმნაზიები და კოლეჯები თავს იმით იჩენენ, რომ აუარებელ საშინაო დავალებას აძლევენ პატარებს და მათი დატვირთვაც ერთი-ორად მატულობს.

დაღლილი ბავშვი ბოლოს და ბოლოს, ლოგინში წვება, მაგრამ რატომღაც არ ეძინება... დილით კი უკანასკნელ წუთამდე წელავს

დროს, რომ საწოლიდან არ ადგეს...

სანიტარული ნორმების მიხედვით, მე-5 კლასელ ბავშვს 5-დღიან სამუშაო კვირაში უნდა ჰქონდეს არა უმეტეს 28 გაკვეთილის, ხოლო მე-6 კლასელს – არა უმეტეს 29 გაკვეთილისა. საშინაო დავალების მოსამზადებლად ამ ასაკის ბავშვს 2,5-3 საათი უნდა ჰყოფნიდეს. მას უნდა ეძინოს 9,5-10 საათი მაინც, ხოლო სეირნობისათვის ბავშვმა 2-3 საათი უნდა გამოყოს ყოველდღიურად, მაგრამ დღევანდელი უფროსკლასელი მოსწავლის დღის რეჟიმი საკმაოდ შორს დგას იდეალური ვარიანტისგან და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ხშირად მათი ჯანმრთელობა შერყეულია.

შეამოწმეთ დატვირთვა

უმკლავდება თუ არა თქვენი შვილი ყოველდღიურ დატვირთვას, შეგიძლიათ განსაზღვროთ რამდენიმე ნიშნით. ქრონიკული დაღლილობის ნიშნები ასეთია:

1. ბავშვი ძალიან ძნელად იძინებს იმის მიუხედავად, რომ ხშირად გვიან წვება დასაძინებლად. უმცროსკლასელმა მოსწავლემ შუადღისას დაიწყო დაძინება, სკოლაში შესვლამდე იგი დღისით აღარ იძინებდა.

2. საშინაო დავალების შესასრულებლად დაჯდომისას, დიდხანს ვერ ახერხებს მეცადინეობის დაწყებას – იქექება ქაღალდებში, ეძებს წიგნებს, რვეულებს, ფანქრებს, ვერ პოულობს დავალებას... მასწავლებელი გეუბნებათ, რომ გაკვეთილებზე მოუსვენარია, არ შეუძლია მოსმენა, სულ წრიალებს...

3. მადა გაუუარესდა. ბავშვი დილით მშიერი მიდის სკოლაში. საუკეთესო შემთხვევაში, თან მიაქვს საუზმე. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პატარა წონაში იკლებს, რაც ყოვლად დაუშვებელია, მოზარდი ორგანიზმი ხომ მუდმივად უნდა მატულობდეს წონაში.

4. უმცროსკლასელი ძალიან აღგზნებულია, გამუდმებით უხეშობს, მოძრავია. ბავშვის ზედმეტი მოძრაობა გადატვირთვისაგან თავდაცვაა, ხოლო უხეშობა – ემოციური დისკომფორტის ნიშანი. სავსებით შესაძლებელია, რომ თქვენი შვილი იმიტომ გეუხეშებათ, რომ ვერაფერს ასწრებს.

5. ხშირად სტკივა თავი, შეიძლება წნევაც კი მოემატოს. გადაძაბვისას არტერიული წნევის მატება, განსაკუთრებით გოგონებს ახასიათებს. უმცროსკლასელი ბავშვის ზედა წნევის ნორმა 100 მმ. ვწყ. სვ-მდეა. ზედმეტი დატვირთვისას ეს მაჩვენებელი 115-120 მმ. ვწყ. სვ-მდე მატულობს.

6. ბავშვი დაუსრულებლად ცივდება. ესეც იმის სიგნალი გახლავთ, რომ კიდევ ერთხელ უნდა გადახედოთ შვილის ყოველდღიურ რეჟიმს და განსაზღვროთ პრიორიტეტი – პირველ ადგილზე დააყენოთ ბავშვის ჯანმრთელობა.

ვისთვისაა წინააღმდეგნაჩვენები ლიცეუმებისა და გიმნაზიების დიდი დატვირთვა:

ბავშვებისათვის, რომლებსაც აქვთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციური დარღვევები. ეს დარღვევები ცუდად იკურნება და ხშირად გადადის ქრონიკულ პათოლოგიაში.

ბრონქული ასთმით დაავადებულებისათვის.

მათთვის, ვისაც აწუხებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური გადახრები.

ბავშვებისათვის, რომლებიც წელიწადში 5-6-ჯერ და უფრო ხშირად ცივდებიან.

როგორ დავეხმაროთ

როგორ შეუძლია ოჯახს, ისე შეუმციროს დატვირთვა მოსწავლეს, რომ არ დააშოროს იგი კარგ სკოლას?

პირველი. ბავშვმა რაც შეიძლება მეტი უნდა იმოძრაოს. ნუ დაუშლით თქვენს შვილს გაკვეთილებს შორის შესვენებებზე სირბილსა და ხტუნვას. სახლიდან სკოლამდე ბავშვმა ფეხით გაიაროს 2-3 გაჩერება.

მეორე. კარგად გადააფასეთ ყველა ის დამატებითი დატვირთვა, რაც თქვენს შვილს აქვს. ნუთუ, აუცილებელია გიმნაზიის კლასთან ერთად უცხო ენების სკოლა, მუსიკალური და სამხატვრო სკოლები? იქნებ ამის ნაცვლად ბავშვი საცურაო აუზზე გეტარებინათ? კვირაში ორი დღე ვარჯიში მთლიანად მოუხსნიდა ბავშვს ფიზიკურ და ფსიქიკურ დაღლილობას.

მესამე. დასვენების დღეებში ასეირნეთ ბავშვი პარკში, ტყეში, ქალაქგარეთ.

მეოთხე. მიაჩვიეთ თქვენი შვილი ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს დაძინებას, ჭამას, მეცადინეობას, გაკვეთილებას. ამგვარად მისი ორგანიზმი ყოველთვის მზად იქნება მოსალოდნელი დატვირთვისთვის. ასეთი ბავშვი მადიანადაც ჭამს, მალეც იძინებს, გაკვეთილებსაც სწრაფად ამზადებს – დროსაც ცოტას კარგავს და ნაკლებად იღლება. დასვენების დღეებში ნუ დაუშლით ბავშვს ძილს – ამ დროს მთელი კვირის ძილის დანაკლისის ანაზღაურება ხდება. ■

ზედმეტი წონა – გაზაფხულის პრობლემა

გაზაფხულდა და ქალბატონების ის ნაწილი, რომელიც სხეულის 90-60-90-იან სტანდარტში ჯდება, საგულდაგულოდ არჩევს ახალ მოდელებს საგაზაფხულო კოლექციიდან. ხოლო მეორე ნაწილი არანაკლებად საგულდაგულოდ კითხულობს ცნობებს „უსწრაფესი“ და „ხანგრძლივი“ გახდომის მეთოდების შესახებ. სულ მალე ხომ პალტოებსა და ქურთუკებს გარდერობში შეკიდებენ.

სწრაფად მოქმედი დიეტა

ზედმეტ წონასთან მებრძოლ ალბათ ყველა ადამიანს გამოუცდია მოკლევადიანი (1-3 კვირის ხანგრძლივობით) დიეტის ეფექტურობა. კვების ეპიზოდური და, როგორც წესი, ძალიან მკაცრი შეზღუდვის ეფექტი საკმაოდ ხანმოკლეა. 100-დან 95 ადამიანს 4-6 თვის შემდეგ, ასეთი წესით დაკლებული კილოგრამები რიკოშეტივით უბრუნდება უკან და, უფრო მეტიც, მათ „ამხანაგებიც“ კი მოჰყავთ თან. ამის ახსნა საკმაოდ მარტივია: გადარჩენის მექანიზმი ადამიანს გენეტიკურ დონეზე აქვს დაპროგრამებული. შიმშილისაგან რომ არ მოკვდეს, კვებითი კალორიების მკვეთრი დაქვეითებისას ჩვენი ორგანიზმი გადადის ეკონომიურ რეჟიმზე. და თუკი სასტიკი დიეტის შემდეგ ისევ დაიწყებთ ჭამას ძველებურად, საკვებით მიღებული კალორიები ჩალაგდება კანქვეშ

ქონის სახით – ეს ხომ მარაგია შავი დღისათვის. ამასთან ჩალაგება უფრო ინტენსიურად ხდება, ვიდრე მანამდე ხდებოდა.

გარდა ამისა, პურზე და წყალზე გატარებული ერთი კვირა ძლიერი სტრესია მსუქანი ადამიანისათვის და ამ სტრესის მოსახსნელად, დიეტის დამთავრებისთანავე მას მთელი მაცივრის თაროების გადმოლაგება და გამოცარიელება უხდება. ხელმეორედ მომატებულ წონასთან ბრძოლა კი სულ უფრო რთული ხდება.

სპორტი და სიმსუქნე

თუ აქამდე სპორტსმენი არ ყოფილხართ, სატრენაჟორო დარბაზი, რა თქმა უნდა, გაგაკაჟებთ, მაგრამ ზედმეტი წონისგან ვერ გიხსნით, თუკი თქვენი ჩვეული მადა არ შეიცვლება.

სპეციალისტი-დიეტოლოგები ერთხმად აღიარებენ, რომ ზედმეტი წონის მიზეზი (თუ სახეზე არ არის მძიმე ენდოკრინული დარღვევები) ელემენტარულია: თქვენ საკვებით იღებთ იმაზე მეტ კალორიას, ვიდრე ხარჯავთ. იმისათვის, რომ გახდეთ, ეს თანაფარდობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს. მხოლოდ ფიზიკურ დატვირთვაზე დაყრდნობა არ შეიძლება. ვარჯიშის შემდეგ ადამიანი, მისთვის შეუმჩნეველად, ჩვეულებრივზე მეტს ჭამს. ასე რომ, თუ არ გადახედავთ კვების რეჟიმს, წონაში არათუ დაიკლებთ, შესაძლოა მოიმატოთ კიდეც.

უნდა გაითავისოთ ყველაზე მთავარი: თქვენ სიმსუქნემდე თქვენი ცხოვრების წესმა მიგიყვანათ. რა თქმა უნდა, არსებობს ორგანიზმში ცხიმოვანი ქსოვილის ჟანგვის (წვის) თავისებურება, რომელიც ყველა ადამიანს ინდივიდუალური აქვს. ეს პროცესი ვის ორგანიზმშიც ნელა მიმდინარეობს, მან სხვებთან შედარებით მეტად უნდა შეზღუდოს საკვებში ცხიმები. ყველაფერი გენეტიკამდე კი არა, ოჯახის კვების თავისებურებამდე მიდის. თუ თქვენ მართლა გინდათ გახდომა, აუცილებლად უნდა დაარღვიოთ ეს სტერეოტიპი არა დროებით, არამედ სამუდამოდ. თუ ეს გამოგივიდათ, შეგიძლიათ, უხვში ფიზიკური დატვირთვა შედარებით „მშვიდობიანი“ მეთოდებით, მაგალითად, რიტმული სიარულით ან სეირნობით შეცვალოთ, სხვათა შორის, რიტმული სიარული ვარჯიშთა ლიდერად ითვლება. 63 კგ წონის მქონე ქალი, ნახევარ საათში სიარულისას 324 კალორიას წვავს. ვინც აუზსა და კორტებს არჩევს, უნდა იცოდეს, რომ ნახევარი საათი ცურვის შედეგად 270 კალორიას დახარჯავს, ხოლო კორტებზე ვარჯიშით იმავე დროში მხოლოდ 207 კალორიას.

გამწმენდი ოყნა

დღეს მოდაშია ორგანიზმის „გაწმენდის“ ეს მეთოდი, მაგრამ მისი გამოყენება ხშირად სრულიად გაუმართლებლად ხდება. მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანმა ვერ შეძლო ბოსტნეულზე და მწვანილზე ყოფნა, იტარებს ორგანიზმის ხელოვნურ „წმენდას“, მაგრამ მათ საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ როცა ადამიანი კვირაში რამდენჯერმე იკეთებს ოყნას, მისი ჯანმრთელობა საფრთხის წინაშე დგება – გაუმართლებელი ოყნები ხომ არღვევს ნაწლავის მიკროფლორას.

ფინჯანი ყავა თქვენს სამსახურში

ადამიანს მადა მაშინ აღეძვრება ხოლმე, როდესაც უჯრედთა ძირითადი საწვავის – შაქრის შემცველობა სისხლში კლებულობს. ზედმეტ წონასთან ბრძოლის მთავარი არსი მიდის იქამდე, რომ რამენაირად, თუნდაც დროებით, საკვების მიღების გარეშე ავწიოთ გლუკოზის დონე სისხლში, რათა მადა დაითრგუნოს. ამის გაკეთება შესაძლებელია ორგანიზმში არსებული შაქრის (გლიკოგენის) მარაგის გამოყენებით. გლიკოგენი ღვიძლსა და კუნთებში იშლება. ამ პროცესის ჩართვა შეუძლია, მაგალითად, ადრენალინს. გაიხსენეთ, ძლიერი შიშის შემდეგ ადამიანს დროებით ეკარგება მადა. იგივე შეიძლება მოხდეს, თუ თქვენ მიიღებთ ე.წ. სიმპატომიმეტიკების ჯგუფის ნივთიერებას (ეფედრინი, ამფეტამინი და ნერვული სისტემის სხვა სტიმულატორები). ამ რიცხვში შედის კოფეინი. სწორედ ამიტომაა, რომ ფინჯანი ყავა მადის აღძვრის დროს დროებით თრგუნავს ჭამის სურვილს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყავის უზომო და უკონტროლო რაოდენობით მიღება შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს თქვენი ჯანმრთელობისათვის.

ახლა ჯი, რამდენიმე ჯონერეტული რჩევა

- ზედმეტი 10-20 კგ ერთ კვირაში არ მოგომატიათ, ამიტომ ნურც ეცდებით ერთ კვირაში მისგან გათავისუფლებას. წონის დაკლების ოპტიმალური ტემპია კვირაში 1 კგ.
- შიმშილი და თითოეული კერძის კალორიების თვლა არარეალური და უაზროა.
- მაქსიმალურად შეზღუდეთ ცხიმები. გამორიცხეთ საკვებიდან შემწვარი კერძი.
- უპირატესობა მიანიჭეთ ბოსტნეულს (უმს და მოხარშულს), ხილს კი (განსაკუთრებით ძალიან ტკბილ ხილს) ბევრს ნუ მიირთმევთ.
- ერიდეთ ცხარე კერძებს, რადგან ის მადას აღგიძრავთ.
- გახსოვდეთ, რომ ალკოჰოლური სასმელები ასევე ზედმეტი კალორიებია.
- სვით ბევრი სითხე (წყალი, უშაქრო ჩაი).
- კვების ნებისმიერი შეზღუდვის დროს არ დაგავიწყდეთ ვიტამინების მიღება.
- თავს ნება დართეთ, „აკრძალული“ პროდუქტები (მაგალითად, ნამცხვარი) დღესასწაულებზე მაინც მიიღოთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ დღესასწაულები წელიწადში მხოლოდ რამდენჯერმეა.

გესაჭიროებათ თუ არა გახდომა?

სწორია ის აზრი, რომ სიმსუქნე საზიანოა ჯანმრთელობისათვის. მსუქნებს აღენიშნებათ ქოშინი, მათ ხშირად ემართებათ ინფარქტი, ინსულტი, შაქრიანი დიაბეტი, უვითარდებათ არტერიული ჰიპერტენზია, ერღვევათ ნივთიერებათა ცვლა, სისხლძარღვები ზიანდება ათეროსკლეროზული ფოლაქებით. წონის კლებასთან ერთად, ბევრი დაავადება უკან იხევს, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, რისთვისაც კარგ ორიენტირს წარმოადგენს ე.წ. ნასუქობის ინდექსი. მისი გამოთვლა მარტივია: წონა (კილოგრამებში) უნდა გაიყოს სიმაღლის კვადრატზე (მეტრებში). მაგალითად 170 სმ სიმაღლისა და 65 კგ წონის მქონე ადამიანის ნასუქობის ინდექსი 22,5-ის ტოლია.

ამ ფორმულის გამოყენების რეკომენდაციას იძლევა მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია. ნორმაში ინდექსი უნდა იყოს 18,5-დან 24,9-მდე. ე.ი. 170 სმ-ის სიმაღლის მქონე ადამიანის წონა უნდა ცვალებადობდეს 52-დან 72 კგ-მდე.

ორივე სქესისათვის ნასუქობის ინდექსის ოქროს შუალედია 23-25 ერთეული, მაგრამ თუ იგი 25-ს აჭარბებს, უკვე სიფრთხილეა საჭირო, თუ 30-ს უტოლდება – ეს უკვე სიმსუქნეა. ■

გენიოსი ვალების დაგროვების ოსტატი

550 წლის წინ დაიბადა ლეონარდო და ვინჩი – კაცი, რომელსაც ალორძინების ეპოქის ბურჯად მიიჩნევენ. ფერმწერმა, მოქანდაკემ, არქიტექტორმა, მეცნიერმა და კონსტრუქტორმა, რომელმაც სახელი გაუთქვა მშობლიურ ფლორენციას, ცხოვრება მისგან შორს დაასრულა. სამშობლოსთან განშორება ხელოვანს აიძულა არა ხელისუფლებასთან კონფლიქტმა, – რაც ხშირად მომხდარა ისტორიის მანძილზე, არამედ კრედიტორთა დევნამ: უნივერსალმა გენიოსმა ვერა და ვერ აითვისა უბრალო რამ – ვალების დაბრუნება.

ხელმარჯვე ოსტატი

ნოტარიუს პიერო და ვინჩისა და გლეხი ქალის, კატერინას ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილი – ლეონარდო ამ ქვეყანას 1452 წლის 15 აპრილს მოევლინა. მან საფუძვლიანი განათლება მიიღო ტოსკანაში მდებარე მამისეულ მამულში, ფლორენციაში კი, სადაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა, 14 წლის ასაკში მოხვდა. ლეონარდო გამოჩენილ მხატვართან – ვეროკიოსთან სწავლობდა და შემდეგ, დაკვეთით ქმნიდა სურათებს. გარდა ამისა, მუშაობდა მრავალგვარ პროექტზე, რომელიც დაკავშირებული იყო ჰიდროტექნიკასთან და ფორტიფიკაციასთან, მოცალეობის ჟამს კი, არარსებული მექანიზმების ნახატებსა და ნახაზებს ქმნიდა.

მას ფლორენციის ხელისუფალნი მფარველობდნენ, მაგრამ ლეონარდოს არაერთხელ დაუტოვებია ქალაქი, თუმცა, კვლავაც დაბრუნებულა შინ. ცხოვრების ბოლოს, ის სამუდამოდ წავიდა ფლორენციიდან და თავშესაფარი საფრანგეთის მეფის – ფრანცისკ პირველის კარზე მიიღო. ლეონარდო და ვინჩი სამეფო კოშკში – კლო-ლიუსში 67 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თუ ლეონარდოს გენიის მასშტაბებს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენამდე მისი ნახატებისა და სურათების მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია: შემონახულია აგრეთვე მისი სამუშაო ჩანაწერები და ნახაზები – სულ რამდენიმე ათასი ხელნაწერი ფურცელი. ამ ცალკეული ფრაგმენტებიდან, რომელსაც თანამედროვეთა მოგონებები ავსებს, შეიძლება ვთქვათ, რომ მისი მსგავსი მრავალმხრივი შემოქმედი კაცობრიობის ისტორიას არ ჰყოლია. ერთი ცნობილი ჟურნალისტის თქმისა არ იყოს, „ბუნებას თითქოს მოჰბეზრდა ჩვეულებრივი ხასიათების სიმრავლე, მას არც გამორჩეული სიღრმისა და სიძლიერის პერსონაჟები აკმაყოფილებდა, რომლებმაც თავისი ტალანტი ფერწერას ან მექანიკას, მუსიკასა თუ მხედართმთავრობას შეალიეს. მან ისურვა, ყველა ნიჭი ერთ ადამიანში გაეერთიანებინა და ეს რჩეული დაეკისრებინა სრულყოფილების იმ მრავალგვარობით, რომელიც ბარე მთელ ათეულს ეყოფოდა, თანაც ისე, რომ თითოეული მათგანი, ღირსეულ ადგილს დაიკავებდა პროგრესის ისტორიაში“.

ადამიანთა უმრავლესობა ლეონარდოს, როგორც მხატვარს, ისე იცნობს: მათაც კი, ვინც არასდროს ყოფილა პარიზულ ლუვრსა თუ მილანის სანტა-მარია დელე გრაციეს ტაძარში, ზოგადი წარმოდგენა მაინც აქვთ ისეთ შედევრებზე, როგორიცაა „ჯოკონდა“ ან „საიდუმლო სერობა“. ამ ნაწარმოებთა შემქმნელის ავტორიტეტი ხელოვნების სამყაროში უდავოა, მიუხედავად იმისა, რომ ლეონარდოს ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი სამუდამოდაა დაკარგული.

უდიდესი იტალიელის სამეცნიერო და ტექნიკური აღმოჩენები გაცილებით ნაკლებადაა ცნობილი და ესეც ადვილად ასახსნელია: ჩვენამდე მოაღწია არა მოქმედმა მოდელებმა თუ დაწვრილებით გაანგარიშებულმა პროექტებმა, არა მწყობრად ჩამოყალიბებულმა თეორიებმა, არამედ ქაღალდის ნაგლეჯებზე, ხელნაწერების მინდვრებსა თუ ნახატების მეორე მხარეს გაკეთებულმა მოკლე ჩანაწერებმა და სახელდახელოდ შესრულებულმა ნახაზებმა.

და მაინც, ეს, ჩვენამდე მოღწეულიც საკმარისია მის გენიოსობაში დასარწმუნებლად. კოპერნიკამდე 40 წლით ადრე, მან დაასკვნა, რომ დედამიწა სულაც არ არის სამყაროს ცენტრი, ლავუაზიემდე სამი საუკუნით ადრე აღმოაჩინა „სასიცოცხლო ჰაერის“ – ჟანგბადის არსებობა, მიხვდა, თუ რა ბუნებისაა ხმა და სინათლე (იგულისხმება მისი სპექტრი). გარდა ამისა, შეიძლება ვთქვათ, რომ ლეონარდომ გამოიგონა კამერა – ობსკურა (კინოპროექტორის პროტოტიპი), პარაშუტი, შვეულმფრენი, პლანერი, ავტომატური იარაღი, ტელესკოპი და უამრავი სხვა რამ. მასვე ეკუთვნის მათემატიკაში შემოღებული ნიშნები + და –, აგრეთვე მოგზაურ ამერიკო ვესპუჩის აღწერით შედგენილი, ე.წ. ახალი სამყაროს რუკა.

შემდგომში ეს ყველაფერი დაამტკნტეს, აგეს ან თეორიის სახით ჩამოაყალიბეს სხვა მოღვაწეებმა, მაგრამ იდეის დონეზე მაინც მას – ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის.

„საიდუმლო სერობა“ იმ იშვიათ პროექტთაგანია, რომელიც ლეონარდო და ვინჩიმ დასრულებული სახით დაგვიგოვა

გაცილებით ღარიბულადაა აღწერილი გენიოსის ცხოვრების სხვა გარემოებები, რომელშიც ის გასაოცარ არაკომპეტენტურობას იჩენდა, რაც თავისთავად, სრულიად არ არის გასაკვირი.

განათლებული ტირანია

XV საუკუნის შუა პერიოდში ფლორენცია (ისევე, როგორც ვენეცია), წარმოადგენდა სავაჭრო რესპუბლიკის დედაქალაქს, რომელსაც, როგორც თავის სამფლობელოს, მედიჩების ოჯახი — ევროპაში უმსხვილესი ბანკის მეპატრონე განაგებდა (თუმცა, ფორმალურად, ხელისუფლების არჩევითი ორგანო — რვაკაციანი კოლეგია, სინიორია განასახიერებდა). ძმები მედიჩები — ლორენცო, რომელსაც დიდებული შაარქვეს, — და ჯულიანო მეცნიერებასა და ხელოვნებას უწევდნენ მფარველობას და ამდენად, პურზეც ზრუნავდნენ და სანახაობაზეც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქას მათზე უარესი ტირანებიც ახსოვს.

შეიძლება ითქვას, რომ მედიჩების მხრიდან ხელოვნების განვითარების მხარდაჭერას — ისევე, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ისტორიაში, — იდეოლოგიური ხასიათი ჰქონდა. ლორენცოს და ჯულიანოს დროს ფლორენციის ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ შეირყა და ძმები, მისი, როგორც აყვავებული რესპუბლიკის იმიჯის გაუმჯობესებაზე ზრუნავდნენ.

ამ ამოცანის შესრულება მხატვრებს ეკისრებოდა. იმხანად ქალაქში ცხოვრობდნენ გამორჩენილი შემოქმედნი: გირლანდაიო, ბოტიჩელი, პიერო კოზიმო; ცოტა ხანში ლეონარდო და ვინჩი მათ შეუერთდა, მალე კი ყველას წინ გაუსწრო. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, თუმცა ადგილობრივი არტ-ბაზარი სულაც არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულს (ლორენცო მედიჩი პოეტებსა და მწერლებს მეტად წყალობდა, ვიდრე არქიტექტორებსა და ფერმწერებს), მაგრამ მაინც აძლევდა მხატვრებს არცთუ ისე ღარიბულად ცხოვრების საშუალებას. ამისთვის საკმარისი იყო, მათ წარჩინებულ ვაჭართა და სასულიერო პირთა წრეებიდან ჰყოლოდათ გარკვეული რაოდენობის დამკვეთები.

მაგრამ ბაზარი თავისი სუბიექტებისგან დაუწერელი კანონების ურყევ დაცვას მოითხოვს. გენიოსის მიერ შექმნილი ტილოც კი, უნდა მოსწონებოდა კლიენტს, რომლისთვისაც ხელოვნება ხშირად ჩინურ ანბანს წარმოადგენდა. არტ-კრიტიკა, ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით — როდესაც ის ჰკარნახობს ორიენტირებს, უპირველესად მათ, ვისაც არ ძალუძს დამოუკიდებლად გაარკვიოს, თუ რა არის შედევრი და რა, ულიმღამო ნამუშევარი — მაშინ საერთოდ არ არსებობდა. ამდენად, მხატვრები იძულებულები იყვნენ, ანგარიში გაეწიათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა გემოვნებისათვის, რაც ბოლომდე ვერ აითვისა ლეონარდო და ვინჩიმ.

მისი კოლეგები, მაგალითად — დომენიკო გირლანდაიო და მისი ორი ძმა, — არასდროს ურჩობდნენ და შეკვეთებს სრული სიზუსტითა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ასრულებდნენ. ამ „ექვსხელიანი“ საოჯახო სახელოსნოს თავკაცი ტრაბახობდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ქალაქის ყველა კედლის მოხატვა შეეძლო. ლეონარდო კი, როგორც ეს გენიოსებს შეშვენით, სულ სხვა წესებით ცხოვრობდა და სიკვდილამდე ვერ მოახერხა იმის შეგნება, რომ დამკვეთის მოთმინება უსაზღვრო არ არის. კოლეგებს, რომლებისთვისაც ნაწარმოების სიუჟეტსაც და კომპოზიციებსაც ჰონორარის სიდიდე განსაზღვრავდა, ის მომხვეჭელებს ეძახდა. არადა, ისინი ყვაოდნენ, ლეონარდო კი ვალებს ვერ უმკლავდებოდა.

დამკვეთისა და მხატვრის ურთიერთობა ფლორენციაში კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობის ტოლფასი იყო. ჰონორარები პრაქტიკულად არ არსებობდა: დაკვეთის მიცემისთანავე, ოსტატს ენიშნებოდა ყოველთვიური ხელფასი, გარდა ამისა, მას უნაზღაურებდნენ საცხოვრებლის, კვების, მასალებისა და თანაშემწეების შრომის ანაზღაურების ხარჯებს. მაგრამ თუ შემსრულებელი ვერ ჩაეტეოდა დათქმულ ვადებში, ის ვალდებული იყო, მასზე დახარჯული მთელი თანხაც დაებრუნებინა და საჯარიმო პირგასამტეხლოც გადაეხადა დამკვეთისთვის.

არც ერთი მხატვარი ასეთ პირობებს კაბალურად არ მიიჩნევდა. არსებულ ბაზარზე წინადადება აშკარად აჭარბებდა მოთხოვნას: იტალია გადავსებული იყო ნიჭიერი ოსტატებით, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობდნენ იმისთვის, რომ დაკვეთები მიეღოთ.

სწორედ ამ პირობებში ქმნიდა ლეონარდო და ვინჩი — და გამუდმებით არღვევდა ნაწარმოების ჩაბარების ვადას, რითაც დამკვეთთა რისხვასა და საჯარიმო სანქციებს იმკიდა. მას მყისიერად იტაცებდა ახალი იდეები და ასევე სწრაფად კარგავდა ინტერესს, რადგან იდეა იდეას ცვლიდა და ლეონარდო ინტენსიურად მუშაობდა იმ პროექტზე, რომელიც მოცემულ მომენტში ყველაზე მეტად აღელვებდა. ეს ყველაფერი ძალზედ ცუდად შეიძლებოდა დამთავრებულიყო, ლეონარდოს რამდენიმე ისეთი ტექნიკური და მხატვრული პროექტი რომ არ მიეყვანა ბოლომდე, რომელმაც მას მთელი ევროპის მასშტაბით გაუთქვა სახელი. სწორედ ამის წყალობით, ახირებულ გენიოსს ყველაფერს უნდობდნენ.

დასრულებულ ნამუშევრებს შორის იყო უზარმაზარი ფრესკა „საიდუმლო სერობა“, რომელიც ლეონარდო და ვინჩიმ მილანში შექმნა, სადაც რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა. იქვე განახორციელა მან რამდენიმე მასშტაბური საინჟინრო პროექტი, კერძოდ — ალყაში მოქცევის შემთხვევაში, ქალაქის წყლით მომარაგების იმ დროისთვის რევოლუციური სისტემა შეიმუშავა. ამგვარ მოღვაწეობას გაცილებით მეტი სახსრები მოჰქონდა მისთვის, ვიდრე ფერწერასა და სკულპტურას, მაგრამ ხელგაშლილად ცხოვრებას ჩვეული ლეონარდო, მაინც იმაზე მეტს ხარჯავდა, ვიდრე შესდიოდა და სულ უფრო ღრმად ეფლობოდა ვალებში.

იმხანად იტალიაში არ წყდებოდა შინაომები. შინასახელმწიფოებრივ ქაოსს გარედან შემოჭრილი მტერიც ამძიმებდა. როცა მილანს, მცირე ხნით, ფრანგებმა ალყა შემოარტყეს, ლეონარდომ ქალაქი დატოვა და იტალიის სხვადასხვა ქალაქში ხანგრძლივ მოგზაურობას მიჰყო ხელი. გზაში მხატვარმა ცუდი ამბავი შეიტყო: ქალაქში შეჭრილმა ჯარისკაცებმა არბალეტებიდან დახვრიტეს ცხენზე ამხედრებული ფრანჩესკო სფორცას თიხის მოდელი, რომელიც შესაძლოა, ლეონარდოს

კლო-ლიუსის მყუდრო ციხე-კოშკში ლეონარდომ უზრუნველი 3,5 წელიწადი გაატარა. აქ მას არც ერთი შედევრი არ შეუქმნია



ცხოვრების დამლევს გენიოსს ტექნიკა უფრო აინტერესებდა, ვიდრე ფერწერა; სწორედ ამ დროს შექმნა ორთქლმავალი გემისა (მარცხენა ფოტო) და ტყვიამფრქვევის (ქვედა ფოტო) საკუთარი მოდელები

კიდევ ერთი განუხორციელებელი შედევრი იყო.

მონარქის წყალობა

ფლორენციაში დაბრუნებულ ლეონარდოს გაპარტახებული ქალაქი დახვდა. ლორენცო მედიჩი მოკვდა და მის მიერ ნალოლიავები „იტალიური ათენის“ იდეა განუხორციელებელი დარჩა. ბუნებრივია, რომ ფლორენციის რესპუბლიკის მიერ გადატანილი მრავალრიცხოვანი ომი, მის აყვავებას არ უწყობდა ხელს. მედიჩები წვრილმა ბურჟუებმა განდევნეს, რომლებიც დომინიკელი ასკეტი ბერის სავონაროლას ხელმძღვანელობით ავანყდნენ, შემდეგ ძალაუფლება მსხვილმა ვაჭრებმა ჩაიგდეს ხელში.

ამ სიტუაციაში ხელოვნებისთვის არავის სცხელოდა. მხატვრები უმუშევრები იყვნენ, ტექნიკური შეკვეთები კი (საშხედრო ხასიათის) თუმცა რეგულარულად ჩნდებოდა, მაგრამ ზოგჯერ არ ნაზღაურდებოდა.

ლეონარდოს ვალები იზრდებოდა და ის დარწმუნდა, რომ ჭეშმარიტი მხატვრისთვის მონარქია რესპუბლიკაზე მოსახერხებელი იყო. მეცენატობისკენ მიდრეკილი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ მხატვარი უფრო კომფორტულად იგრძნობდა თავს, ვიდრე თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიის პირობებში. ხასიათის ცვალებადობის მიუხედავად, ხელმწიფე ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაეხმაროს ხელოვანს და თავისი ხაზინიდან გამოუყოს თანხა. რესპუბლიკის მთავრობას კი, გამუდმებით სჭირდებოდა იმის შეხსენება, რომ სახელმწიფო სახსრები გამოყო „არაფრის მომტანი ფერწერისათვის“.

თუმცა, ცოტა ხანში ლეონარდოს ეს შეხედულება შეიცვალა: ეს კიდევ ერთი ტირანის – ჩეზარე ბორჯას (პაპის – ალექსანდრე მეექვსის შვილის) კარზე გაწეულმა მოღვაწეობამ მოიტანა. ბორჯას მუხანათობა და ვერაგობა ყველასათვის ცნობილი იყო, მაგრამ თავდაპირველად, როცა ის თავის სახელმწიფოს მიტაცებული, მეზობელი მიწების შეკოწიწებით ქმნიდა, ჩეზარეს ძალიან სჭირდებოდა კარის ფერმწერებიც და სამხედრო ინჟინრებიც. ლეონარდო კი, ორივე ამ ნიჭს აერთიანებდა და ბორჯამ საიხარულით მიიღო ის თავის სამსახურში.

მისი მოღვაწეობა იქ ძალზედ ხანმოკლე აღმოჩნდა. თავისი პატრონის ახლოს გაცნობის შედეგად, ლეონარდო კიდევ ერთ ჭეშმარიტებას ეზიარა: ხელმწიფენი მხატვრებს თავიანთ სიახლოვეს, როგორც სათამაშოებს, მანამდე აჩერებენ, სანამ ისინი არ მოჰბეზრდებათ, ეს კი, მით უმეტეს ისეთ ცვალებად და დაუდგრომელ კაცთან ურთიერთობისას, როგორიც ბორჯა იყო, სრულიად აუტანელი იყო. ამრიგად, შემოქმედმა დაინახა, რომ მონარქის წყალობა გაცილებით სერიოზული გამოცდაა ჭეშმარიტი მხატვრისთვის, ვიდრე თავისუფალი ბაზრის ტალღებთან ჭიდილი.

ეს რომ გაიცნობიერა, ჰერცოგ ბორჯას პირადმა ინჟინერმა და არქიტექტორმა გადაწყვიტა, აღარ ეთამაშა ბედ-იღბალთან და მშობლიურ ფლორენციაში დაბრუნდა.

თავდასხმა და თავდაცვა

იქ მას ბევრი ცვლილება დახვდა – ძალაუფლება, პირობითად რომ ვთქვათ, სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ხელში გადასულიყო. მისი წარჩინებული წარმომადგენელი პიერო სოდერინი საქალაქო მაგისტრატის თავად – გონფალონიერად, სამუდამოდ იყო არჩეული, ფლორენცია კი, ახალი ეკონომიკური აღზევების მოლოდინით ცხოვრობდა. ლეონარდო, რომელიც კვლავ არ კარგავდა მფარველი ხელმწიფის პოვნის იმედს (სტაბილური შეკვეთები მეფის კარზე უფრო შეიძლებოდა გაეთნდა, ვიდრე არჩევით, სინიორიის პირობებში), კვლავ ოპტიმიზმით იყო აღსავსე.

პირველ ხანებში მისი იმედები გამართლდა. ლეონარდომ, მიქელანჯელოსთან ერთად, სინიორიის ახალი სასახლის ერთ-ერთი კედლის მოხატვის დაკვეთა მიიღო. სამუშაოს შესასრულებლად, 10 თვე დაუდგინეს და გასამრჯელოდ 15 ფლორინი დაუნიშნეს.

ბუნებრივია, შეკვეთა არ ითვალისწინებდა იმას, რომ ლეონარდო, ამის გარდა, რაღაც სხვა სამუშაოს მოჰკიდებდა ხელს. ერთ-ერთ ასეთ საქმედ მისი ლეგენდარული „ჯოკონდა“ იქცა – წარჩინებული ფლორენციელის, ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს ცოლის, ლიზას პორტრეტი. მან ბევრი დრო და ძალა წაართვა ოსტატს, ამის შედეგად კი, ლეონარდოს ფუნჯმა უძვირფასესი ნაწარმოები, ფერწერის ისტორიაში ყველაზე სახელგანთქმული სურათი შექმნა.

ამ დროს, ფრესკის ჩაბარების ვადა იწურებოდა. სოდერინი არ აღმოჩნდა იმ ტიპის გულუხვი მეცენატი, როგორადაც მხატვარს წარმოედგინა: ფლორენციის ახალი მმართველი, როგორც ეს ჭეშმარიტ ვაჭარს შეეფერება, თითოეულ ფლორინს ითვლიდა. ბუნებრივია, დაკვეთის შეუსრულებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში, ჩადებული თანხის დაბრუნებასაც მოითხოვდა.

ხსნა „ფრანგული“ მილანიდან, მისი გუბერნატორისგან – ჰერცოგი შომონისაგან მოვიდა, რომელიც შეყვარებული იყო იტალიასა და მის ფერმწერებზე. მას განსაკუთრებით მოსწონდა „საიდუმლო სერობა“ და როცა ამ ნაწარმოების ავტორის შევიწროებული მდგომარეობის ამბავი შეიტყო, მფარველობა შესთავაზა. უფრო მეტიც: ჩააღწია თუ არა ლეონარდომ მილანში, მას უმალ დაუყარეს შეკვეთები – როგორც ფერწერული, ასევე არქიტექტურული და ჰიდროტექნიკური ნამუშევრების შესაქმნელად.

სინიორიამ მხატვრის წასვლა, შეკვეთის შესრულებაზე უარად შეაფასა. ლეონარდოს სასამართლო გარჩევა დაეპუქრა, რომელიც



მილებული თანხის დაბრუნებასა და უზარმაზარ საჯარიმო პირგასამტეხლოს ითვალისწინებდა. მხატვრის ფრანგი მფარველი ფლორენციასთან რთულ მოლაპარაკებას აწარმოებდა და ვადის გაზრდას ითხოვდა. მაგრამ დრო გადიოდა, შემკვეთების მოთმინების ფიალა აივსო; ლეონარდომ, მეგობრების დახმარებით, თანხის ნაწილი შეაკოწიწა და ფლორენციაში გააგზავნა.

სოდერინიმ ფული არ მიიღო. მოწყალების მიზეზი მარტივი იყო: ცნობამ ლეონარდოსთან სინიორიის ჰიდილის შესახებ საფრანგეთის სამეფო კარამდე მიაღწია და ლუდოვიკო მეთორმეტემ, რომელიც მუდამ ეხმარებოდა ფლორენციას მეზობლებთან კონფლიქტის დროს, მხატვრისთვის ვადის გაგრძელება ითხოვა. საერთაშორისო უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ფლორენციელებმა ხელი ჩაიქნიეს ურჩი ხელოვნის დასჯაზე და მას შემდეგ, ალარც აწუხებდნენ.

მაგრამ ამით ფერმწერის „საკრედიტო პორტრეტი“ საბოლოოდ გაფუჭდა; ამ ეპიზოდის შემდეგ მას წინასწარი გადახდით არავინ აღარაფერს უკვეთდა არა მარტო ფლორენციაში, არამედ მთელ იტალიაში. მას მხოლოდ „ფაქტის მიხედვით“ გადახდას სთავაზობდნენ, რაც არაორგანიზებული გენიოსისთვის სრულიად უპერსპექტივო იყო.

და მაინც, ის ფლორენციაში დაბრუნდა და ფერწერული შეკვეთების უქონლობის პირობებში დროის უმეტეს ნაწილს სამეცნიერო ძიებასა და ცდებს უთმობდა. შემოქმედისთვის ამას თითქმის არანაირი შემოსავალი არ მოჰქონდა (თუმცა, ლეონარდოს ზოგიერთი ნამუშევარი, რომელიც არხებისა და რაბების გაყვანისას გამოიყენეს, საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა რესპუბლიკისთვის), მაგრამ ის მაინც ხელგაშლილად ცხოვრობდა. ვალები იზრდებოდა და როგორც კი კრედიტორებმა კვლავ დაჟინებით მოსთხოვეს პასუხი, ლეონარდომ ისევ მილანში წასვლა გადაწყვიტა. მაშინ კი, როცა ქალაქ ფრანგებს ესპანელებისა და პაპის გაერთიანებულმა ჯარმა გამოსტაცა ხელიდან, რომში გადავიდა. იქ უწმინდეს ტახტზე, ლეონ მეათის სახელით, ახალგაზრდა კარდინალი ჯოვანი (ლორენცოს შვილი) მჯდომარე ავიდა. ისიც სარგებლობდა ხელოვანთა მფარველის სახელით და ლეონარდოს მცირე ხნით მიეცა საშუალება, არ ეფიქრა ფულსა და მასთან დაკავშირებულ უსიამოვნო საკითხებზე.

გენიოსთან სათანადო მოპყრობის შესახებ

და მაინც, იტალიაში ლეონარდო სულ უფრო არაკომფორტულად გრძნობდა თავს – ყველაფერს უფუჭებდა რეპუტაცია არასაიმედო შემსრულებლისა, რომელსაც სჩვეოდა სამუშაოს მიტოვება და ძლიერი მფარველების ფრთებქვეშ, თავს არიდებდა ზარალის ანაზღაურებას.

მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი ამბავი, რომელიც იტალიის პირველ მხატვარს, მშვიდი სიბერის გარანტიას აძლევდა. საფრანგეთში ტახტზე ავიდა ახალი მეფე – ფრანცისკ I. ახალგაზრდა, სიცოცხლისა და სილამაზის მოტრფიალე მეფე მხატვრებს ეთაყვანებოდა. არც ენერგიისა და პატივმოყვარეობის ნაკლებობას განიცდიდა და უმალ ომი წამოიწყო. პირველ რიგში, მან „თავისი“ მილანი წაართვა პაპს. დაიწყო მძიმე მოლაპარაკების პროცესი. მხარეები იტალიაში შეხვდნენ და ფრანცისკმა, რომელსაც ძალიან აინტერესებდა იტალიური ხელოვნება და პირად კოლექციაში უკვე ლეონარდოს რამდენიმე ნამუშევარიც ჰქონდა, გადაწყვიტა, პირადად გასცნობოდა მხატვარს.

ლეონარდო საფრანგეთში მიიწვიეს და ამჯერად ისეთი პირობები შესთავაზეს, რომელზეც მხოლოდ ოცნება შეეძლო: დიდი პენსია, მოსახერხებელი მომცრო სამეფო ციხე-კოშკი კლო-ლიუსი და ყველაზე მთავარი – არანაირი შეკვეთა. ლეონარდოს საშუალება მიეცა, რაზეც სურდა, იმაზე ეშუშავა, საფრანგეთის სამეფო კარს კი, ეძლეოდა უფლება, მხატვრის მიერ შექმნილი ნებისმიერი ნამუშევარი შეესყიდა. მეფემ უმალ შეიძინა მისი სამი სურათი, რომელიც ლეონარდომ იტალიიდან წამოსვლისას გამოიყოლა თან. მათ შორის იყო „ჯოკონდაც“, რომლისთვისაც მონარქმა მართლაც მეფური ჰონორარი – 20 ათასი ფლორინი გადაიხადა; ამხელა თანხას ლეონარდო 10 წლის მანძილზე შოულობდა ხოლმე.

ადრე, ამგვარ პირობებში მოხვედრის შემთხვევაში, ეს გენიოსი ალბათ გაცილებით დიდ და ძვირფას მემკვიდრეობას დაგვიტოვებდა, მაგრამ ლეონარდო უკვე ძალიან ხნიერი იყო და კლო-ლიუსის ციხე-კოშკში გატარებული 3,5 წლის განმავლობაში განსაკუთრებული არაფერი დაუხატავს. და საერთოდ, სიკვდილამდე (1519 წლის 2 მაისი) ძირითადად, ისეთი მექანიზმების გამოგონებით იყო დაკავებული, რომელსაც XVI საუკუნეში პრაქტიკული ღირებულება არ გააჩნდა.

დღეს, ამ გამოგონებათა უმეტესი ნაწილი კლო-ლიუსის ლეონარდო და ვინჩის მუზეუმშია დაცული. საფრანგეთს დარჩა „ჯოკონდაც“, რომელიც თანდათან ლუვრის მთავარ ექსპონატად იქცა. ამ სურათის ღირებულებაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს (მხოლოდ მისი სადაზღვევო ფასი შეიძლება წარმოადგენდეს განხილვის საგანს), რადგან ყველასათვის დღესავით ნათელია, რომ ის არანაირი პირობით არასდროს გაიყიდება. ისიც ცხადზე უცხადესია, რომ სწორედ მისი წყალობით ჩადის პარიზში მილიონობით ფრანგი და უცხოელი ტურისტი, რათა საკუთარი თვალით იხილოს ამ უნიკალური შედევრის დედანი. ლუვრში შესასვლელად ტურისტთა მიერ გადახდილი თანხების გარდა, საფრანგეთისთვის დიდი ფულადი მოგება მოაქვს „ჯოკონდას“ იდუმალი ღიმილის ტირაჟირებას – ალბომებში, საფოსტო ბარათებზე, პოსტერებსა და სუვენირებზე.

როცა XX საუკუნის დასაწყისში ვილაც იტალიელმა, რომელმაც პატრიოტული შეხედულებების გამო „აწაბნა“ „ჯოკონდა“, არა მარტო მთელი ფრანგული პოლიცია დადგა ფეხზე, შეიძლება ითქვას, რომ მთელი ერი იყო ყალყზე შემდგარი. სურათი ძალიან სწრაფად იპოვეს და საზეიმოდ დააბრუნეს თავის ადგილზე: მან მთელი პარიზი გამოიარა საზარბაზნე ლაფეტით, სამხედრო ორკესტრის თანხლებითა და დრავუნთა პოლკის დაცვით.

ასე და ამრიგად, გენიოსებისადმი გამოვლენილმა სახელმწიფო ხელგაშლილობამ უდიდესი დივიდენდები შეიძლება მოიტანოს...

■

იტალიაში შექმნილი „ჯოკონდა“ სამუდამოდ დარჩა საფრანგეთს – როგორც სტუმართმოყვარეობისა და სახელმწიფოს ხელგაშლილობისთვის გამოვლენილი ძვირფასი ძღვენი...

თბილისის ერთ-ერთი ძველი სასტუმრო

გუგა ბერუაშვილის ბრენდული რომანი

რომის მხატვრული „სამშობლოს მამა“

მოსკოვის MXAT-ის ემბლემა

ეტიკეტი საჭონელზე

კულორტი თურქეთში

ლათინურად – ჰერკულესი, ბერძნულად – ...?

იტალიის ტელეკომპანია

პატარა საზღვაო თევზსაჭერი გემი

სიდნი პორტერი – ო'...

სწორსანთა აშკრის უფროსი ძველად

გერმანული ავტომობილი

„როგორ შეიძინოთ მეგობრები ...“ (ავტ.)

კ/ფ „ლაშაზმანი“ (მსახიობი)

ვ. ანდრესონის პერს. „სიღრმული მასალები“

ოდისევსის კუნძული

იაპონური ელტექნიკის ფირმა

საძრახისი თავგადასავალი

... და მოპასანი

სოფელზე დიდ. ქალაქზე პატარა

დაცვის უფროსი ვერდის ოპერაში

„ოსკარის“ მფლობელი ქალი

მადიროსის მფარველი ქალღმერთი

დუმბაძის რომანში ის თეორია

კაკაბაძე

თბილისის მერიასთან ეპიცენტრი

უტკივნო გოლიათი ქართულ ზღაპრებში

ბრძოლისა და თავდაცვის საშუალება

... არწყივი

კურკვანი ხეხილი

„გაზ-24“

ეგვიპტური ღმერთი

შეკუმშვა ავტომობ.-ით

პერსონაჟი ფალიაშვილის ოპერიდან „დარი“

ზღვის წვრილი თევზი

სრული მარცხი, კრახი

ხილის სიროფი ჟელატინით

ლორდ ნელსონის სამხედრო წოდება



შეავსე გრინა რამაზ ჩხიკვაძემ

31-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ბ.

კვირის (6 – 12 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი

კრავი – 21/IV-21/V

ორშაბათს რაღაც სერიოზულ პრობლემებს შეიძლება წააწყდეთ, შემდეგ ყველაფერი სრულიად დაუბრკოლებლად აგეწყობათ. ოთხშაბათ-ხუთშაბათს კი, საერთოდ, ნებისმიერი სიტუაცია თქვენს სასარგებლოდ შემობრუნდება. მაგრამ თავს მოდუნების უფლებას ნუ მისცემთ: პარასკევს შეიძლება გადატვირთვისა და სტრესის ნიშნები იგრძნოთ, ამიტომ უქმეებში კარგად დაისვენეთ.

მარწყვი – 22/V-21/VI

ამ კვირაში პოზიტიური ენერგიის დიდ მოზღვავებას იგრძნობთ. ნებისმიერი პრობლემის მოგვარებას შეძლებთ, ყველაზე რთულ სამუშაოს გაუმკლავდებით და სიყვარულშიც დიდად გაიმართლებთ. კვირის ბოლოსთვის შეიძლება მაღალმა მატერიებმა გაგიტაცოთ – ფილოსოფიას, რელიგიას მიეძალებით... სამაგიეროდ, უქმეებში კარგად დაისვენეთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

წარმატებისა და იღბლიან დამთხვევათა პერიოდი გელით. უსიამოვნო ამბავი თუ შეგემთხვათ, საკუთარ თავს დააბრალეთ. კარგ ფინანსურ სიახლეებს მეგობრებისა და კოლეგებისაგან უნდა ელოდეთ. ამავე დროს, მიმდინარე კვირის მანძილზე გუნება-განწყობის ცვალებადობა, არაადეკვატური ქცევა და სევდის პერიოდული მოძალებაც შეგაწუხებთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

გარშემომყოფთა დიდ მოწონებას დაიმსახურებთ, სამსახურში კი თქვენს ნიჭს სათანადოდ შეაფასებენ. უცნაურია, მაგრამ ამ დროს, განმარტოების სურვილი შეგიპყრობთ. რა გაეწყობა – რაღაც კომპრომისების მიგნება მოგიწევთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

თქვენს შეყვარებულს დიდი განაცდელი ელის: ბევრი სამუშაო გექნებათ, თანაც განმუხტვის საუკეთესო საშუალება თქვენთვის, ყველაზე ახლობელი ადამიანისთვის სამსახურებრივი პრობლემების გაზიარება იქნება. ეცადეთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ: ნუ დაგავიწყდებათ, რომ შეყვარებულს სულ სხვაგვარი ურთიერთობა სწყურია.

სასწორი – 24/IX-23/X



კვირის მანძილზე შეიძლება უცნაური შეგრძნება გქონდეთ – თითქოს დროდადრო ვარდებით ცხოვრების რიტმიდან და ვერ გაგიგიათ, ვინ რას და რისთვის აკეთებს ამ ქვეყანაზე. ნუ დაკარგავთ რეალურობის შეგრძნებას. და კიდევ – ეცადეთ, ზედმეტი ხარჯი არ გასწიოთ შაბათამდე.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

კვირის დასაწყისი შეიძლება უიღბლო აღმოჩნდეს თქვენთვის, გარშემომყოფნი კი ხშირად ვერ გაგიგებენ. მაგრამ უკვე ოთხშაბათიდან, გარემოსთან ჰარმონიაში იცხოვრებთ. უქმეები ძირითადად, საოჯახო საქმეებსა და ახლობლებს უნდა მიუძღვნათ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

დაიოკეთ ამბიციები: ამ კვირაში საკმაოდ ძნელად საპასუხო გამოწვევა გელით. თავდაპირველად ყველაფერი კარგად გაიაზრეთ. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ზოგჯერ უკან დახევაც არის საჭირო. ყოველ შემთხვევაში, აშკარა მარცხს ნამდვილად სჯობს: უმრავ კონფლიქტსა და დანაკარგს მაინც აარიდებთ თავს.

თხის რქა – 22/XII-20/I

აქტიური მოქმედებებისთვის არცთუ ისე ხელსაყრელი კვირაა. სამაგიეროდ, საუცხოო პერიოდია გეგმების შესადგენად, სხვადასხვა საკითხის მოსაფიქრებლად. ახლა თქვენთვის მოსმენა სჯობს ლაპარაკს, თვით მუშაობა კი – ხელის განძრევას. უქმეებში შეიძლება თქვენს ახლობელს დასჭირდეს დახმარება.

მერწყული – 21/I-19/II



ცვლილებებისკენ ლტოლვა, სიახლის წყურვილი, მთელი კვირის მანძილზე არ მოგასვენებთ. ბევრი კარგი სიახლის შანსიც რეალურია. ამაში ძლიერ დაგეხმარებათ ასაკით უფროსი ახლობლის რჩევა. შეგიძლიათ მიენდოთ აგრეთვე თქვენი ნიშნის სხვა წარმომადგენლებსაც.

თევზები – 20/II-20/III

ამ კვირაში, საქმეში წარმატებებს უპირველესად, თქვენი პედაგოგიური ნიჭიერება მოგიტანთ – ადამიანთა სწავლებისა და ხელმძღვანელობის თქვენეული უნარი. სიფრთხილე გამოიჩინეთ საკუთარ აზარტულობასა და ავანტიურისადმი მიდრეკილების მიმართ.

ვერძი – 21/III-20/IV



სამსახურშიც კი ნაკლებად იქნებით დაკავებული სერიოზული მატერიებით. განწყობის შესაბამისად, ეცადეთ, რაღაც შეცვალოთ თქვენს სამუშაო ოთახში, მეტი სიმყუდროვე და კომფორტი შესძინოთ მას. თუმცა, კარგი იქნება, თუ კვირის შუა პერიოდიდან მაინც ეცდებით საქმიან ტალღაზე გადართვას, თორემ შეიძლება ბევრ რამეში ჩამორჩეთ.

მომავალი (და მოქმედი) ბიზნესმენებისთვის

გაქვთ თუ არა მენარმისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები?

1) მიგყავთ თუ არა ყველა დაწყებული საქმე ბოლომდე, მიუხედავად წარმოქმნილი წინააღმდეგობებისა?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

2) ყოველთვის უცვლელად ტოვებთ თუ არა მიღებულ გადაწყვეტილებას?

ა) დიახ, გადაწყვეტილებას არასოდეს ცვლით – 1;

ბ) შეიძლება სხვისმა აზრმა გადაწყვეტილება შეგაცვლევინოთ – 0.

3) გიყვართ თუ არა ხელმძღვანელობა და საკუთარ თავზე მნიშვნელოვანი ვალდებულებების აღება?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

4) მუდამ გრძნობთ თუ არა, რომ კოლეგები გაფასებენ და გენდობიან?

ა) დიახ, მუდამ – 1;

ბ) ხანდახან ამაში ეჭვი გეპარებათ – 0.

5) ხართ თუ არა ჯანმრთელი?

ა) დიახ, თავს საკმაოდ ჯანმრთელად გრძნობთ – 1;

ბ) ჯანმრთელობას ხანდახან უჩივით – 0.

6) შეგიძლიათ თუ არა დაუღალავად იშრომოთ მაშინაც კი, როცა იცით, რომ საქმიდან სარგებელს მალე ვერ მიიღებთ?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

7) გიყვართ თუ არა ხალხის გაცნობა, მათი ხასიათის ამოცნობა და მათთან მუშაობა?

ა) დიახ, ადამიანების ამოცნობა არ გიჭირთ – 1;

ბ) მუშაობა კარგ ნაცნობებთან და გამოცდილ კადრებთან გირჩევნიათ – 0.

8) შეგიძლიათ თუ არა დაარწმუნოთ სხვები თქვენი აზრის სისწორეში?

ა) დიახ – 1;

ბ) ეს ყოველთვის გიჭირთ – 0.

9) შეგიძლიათ თუ არა გაიზიაროთ სხვის მიერ წამოყენებული კარგი აზრი და იდეა?

ა) დიახ, თამამად – 1;

ბ) საკუთარი იდეებიც თავზე საყრელად გაქვთ და სხვისი არაფერში გჭირდებათ – 0.

10) მიგაჩნიათ თუ არა თავი საქმიან და გამოცდილ ადამიანად?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

11) ერკვევით თუ არა საგადასახადო კანონმდებლობაში, დაბეგვრის სისტემასა და საბუღალტრო აღრიცხვაში?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

12) გაქვთ თუ არა უნარი, იმდენად დაარწმუნოთ ადამიანები თქვენ მიერ წამოწყებულ საქმეში, რომ მათ თანხის დაბანდების სურვილი გაუჩინოთ?

ა) დიახ – 1;

ბ) არა – 0.

13) დარწმუნებული ხართ თუ არა იმაში, რომ ბიზნესმენობა თქვენი მოწოდებაა?

ა) დიახ, ბოლომდე სართ დარწმუნებული – 1;

ბ) ხანდახან ამაში ეჭვი გეპარებათ – 0.

დაანგარიშეთ ქულები

10-13 ქულა: ყველა საჭირო თვისება გაქვთ იმისთვის, რომ მეწარმე გახდეთ. მიზანმიმართული, ენერგიით სავსე, დაუღალავი ადამიანი ხართ და, რაც მთავარია, გაქვთ იმის რწმენა, რომ ყველა თქვენი წამოწყება აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება. თუ ბიზნესისთვის ჯერ ხელი არ მოგიკიდიათ, დროს ნუ დაკარგავთ, თქვენგან შესანიშნავი ბიზნესმენი დადგება!

5-9 ქულა: ბიზნესმენისთვის დამახასიათებელი თვისებები თქვენში არ იგრძნობა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბიზნესი თქვენი საქმე არ არის. თუ სხვა პროფესია გაქვთ არჩეული და ტესტი საკუთარი თავის გამოსაცდელად ჩაატარეთ, მაშინ ჩათვალეთ, რომ მეწარმეობის გულისთვის, არჩეულ პროფესიაზე უარი არ უნდა განაცხადოთ, მაგრამ თუ თქვენი პროფესია ბიზნესს უკავშირდება, მაშინ გაითვალისწინეთ გამოცდილი ბიზნესმენების რჩევები და დაუკვირდით მათ ქმედებებს — ეს თქვენს საქმიანობაზე აუცილებლად დადებითად აისახება.

0-4 ქულა: თქვენგან კარგი ბიზნესმენი ჯერჯერობით ვერ დადგება. თუ მაინცდამაინც მეწარმეობას აპირებთ, მაშინ სპეციალური განათლების მიღება და გამოცდილების დაგროვება არ გაწყენდათ. ამასთან, ცუდი არ იქნება, თუ კიდევ ერთხელ კარგად გაიაზრებთ თქვენს მიზნებს, სურვილებს და შესაძლებლობებს.

ნუდისტთა ჯგუფელი... ქორწილი

იამაიკაზე დიდი ზარ-ზეიმით ჩაატარეს ღონისძიება, რომელიც დაფიქსირდა, როგორც „ნუდისტთა ყველაზე მასობრივი ქორწილი მსოფლიოში“. იმ დღეს ამ მოძრაობის 22 წარმომადგენელი – ე.ი. 11 წყვილი შეუღლდა. თუმცა, ისინი ნუდისტებისთვის ჩვეული „სამოსით“ გამოცხადდნენ, ყვავილების სიუხვემ და ბოდი-არტმა მათი სიშიშვლე ჩვეულებრივზე მეტად დაფარა. დაქორწინებულები და სტუმრები ბევრს ცეკვავდნენ, გარს უვლიდნენ საქორწინო კორტეჟს და გადაწყვიტეს, ყოველწლიურად ჩაატარონ ასეთი ღონისძიება, რომელშიც რაც შეიძლება მეტი ახალი მიმდევრის ჩართვა სწადიათ. ■

უხსენებელი... შახვალში

გერმანელმა საგზაო პოლიციელებმა ავტომობილი იმის გამო გააჩერეს, რომ დარწმუნებულები იყვნენ – მთვრალ მძღოლთან ექნებოდათ საქმე, მაგრამ ზიგზაგებით მოძრავი მანქანის საჭესთან მჯდომ 21 წლის კაცს სულ სხვა გასაჭირი დასდგომია. ქალაქ გეტინგენში, ვეტერინარულ კლინიკაში მიმავალ ახალგაზრდას მისი „მეგობარი“ – 1,5-მეტრიანი პითონი გალიიდან გაჰქცევია და მის შარვალში შეუღწევია. „შოკში ჩავვარდი და სრულიად დავკარგე საკუთარ თავზე კონტროლი“, – გულახდილად თქვა ახალგაზრდამ, რომელსაც თავად პოლიციელებმა აღმოუჩინეს დახმარება გველის ამოყვანაში და ჯარიმაც კი არ დააკისრეს. ■

ბაყაყების უნიკალური კოლექცია

ბრიტანული ქალაქ ბეიდონის მკვიდრი, შეილა კრაუნი მთელი ცხოვრება აგროვებს სათამაშო ბაყაყებს და საკმაოდ უჩვეულო შედეგსაც მიაღწია: ამ ცოტა ხნის წინ, მის კოლექციაში 10.000 ექსპონატი დაფიქსირდა და ქალმაც თავისებური „იუბილე“ გადაიხადა. მთელი თავისი ავლადიდების სათანადოდ გამოსაფენად, მას საკუთარი სახლის სათანადოდ გარდაქმნაც მოუხდა, რამაც მას სათამაშოების მაღაზიასა და ტერარიუმს შორის, რაღაც საშუალედო სადგომის იერი მიანიჭა. მიღწეული რეკორდის მიუხედავად, შეილა გაჩერებას არ აპირებს და კვლავაც გააგრძელებს ახალი ექსპონატებით უნიკალური კოლექციის შევსებას.

■

ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა მიხეილ სააკაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა.

ვულოცავთ ბატონ მიხეილს და ბატონ ზვიადს და ვუსურვებთ წარმატებებს!

კლონირება ქართულად

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (7 მაისს) 13 საათამდე.

„ფანტაზია“

კლონირება ქართულად

ფანტაზიორობს მკითხველი“ ალმოჩენილი მსგავსება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცილი განმრთელობაა!

622/13

თბილისელთა საყურადღებოდ: ქალაქის მერიისა და მმართველი პარტიის ძალისხმევით, პრეზიდენტის საერთაშორისო ავტორიტეტის დაშსახურებით, უკვე მიღებულია სოლიდური რაოდენობის ფულადი დახმარება „მეგობარი ქვეყნების ჯგუფისაგან". გადაწყდა, თანხა ისეთი ნივთების შეძენას მოხმარებოდა, რომელთა სიკეთესაც საკუთარ თავზე (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) იგრძნობს ყოველი მოქალაქე — საგანგებო ჩაფხუტები („პაპკები", რომლებიც 7-ბალიან მიწისძვრას უძლებს. „პაპკის" მილება შეგიძლიათ ადგილობრივ გამგეობებში. მისი ტარება აუცილებელია 24 საათის განმავლობაში (გარდა საპარკმახეროში ყოფნისა, რაზეც მერია სპეციალურ ნებართვას გასცემს).
თბილისის მერია.

იკითხეთ ყოველ საშაბათს, იცინეთ ყოველდღე!